


wignis el versia moamzada: DiaDma
DaTuCHam.

diadi datuchas momzadebuli el. wignebis sanaxavad
ewviet jgups:





შესავალი^[P SEP]

მეორე ოცეულის ნარჩენი ფრონტის ხაზის უკან, სანგარში წევს და თვლემს.^[P SEP]

- რა უცნაური ჭურვებია, - ამბობს იუპი მოულოდნელად.^[P SEP]

- რატომ? - ეკითხება ფერდინანდ კობოლეს და თავს წამოყოფს.^[P SEP]

- არ გესმის? - პასუხობს იუპი.^[P SEP]

კობოლეს ყურთან მიაქვს ხელი და ჩვენც ღამეს ვაყურადებთ. მაგრამ არტილერიის ყრუ ხმაურისა და ჭურვების წივილის გარდა არაფერი ისმის. მარჯვნიდან მხოლოდ ტყვიამფრქვევების კაკანი და ხანდახან ყვირილი აღწევს... მაგრამ ამ ხმებს კარგა ხანია შეჩვეულები ვართ, ამისთვის პირის გაღებაც არ ღირს.^[P SEP]

კობოლეს იუპს უნდობლად შესცქერის.^[P SEP]

- ახლა აღარ ისმის, - დაბნეულად თავს იმართლებს იუპი.^[P SEP]

კობოლეს კვლავ ეჭვით ათვალიერებს, მაგრამ რადგან იუპზე ეს შთაბეჭდილებას არ ახდენს, ზურგს აქცევს და ბურტყუნებს: - მუცელი კომბოსტოს ნახარშისგან გიბუებუყებს, ესეც შენი ტყვიები. აჯობებს დაიძინო. - მიწისგან თავის დასადებს იმზადებს და ისე წვება, რომ ფეხები არ დაუსველდეს. - ბიჭო, სახლში ცოლი და ორადგილიანი სანოლი გელოდება, - ბურტყუნებს კობოლეს და თვალები ელულება.^[P SEP]

- ვიღაც ალბათ უკვე წევს მის გვერდით, - პასუხობს იუპი კუთხიდან.^[P SEP]

კობოლეს ცალ თვალს ახელს და გამჭოლ მზერას სტყორცნის. თითქოს წამოდგომას აპირებსო, მაგრამ მხოლოდ ღრიალებს.^[P SEP]

- არ ვურჩევდი ასეთ საქციელს შენს ცოლს, შე ქალაჩუნავ! - და მაშინვე ხვრინვას ამოუშვებს.^{[P]_{SEP}}

იუპი ხელით მანიშნებს, მოდიო. ადოლფ ბეთკეს ფეხს ვაბიჯებ და იუპის გვერდით ვჯდები. მზრუნველობით გადახედავს მხვრინავ ჯარისკაცს და მწარედ ამბობს.^{[P]_{SEP}}

- მისწაირებს წარმოდგენაც არა აქვთ განათლების შესახებ, დამიჯერე.^{[P]_{SEP}}

ომამდე იუპი კიოლნში ვილაც ადვოკატთან გადამწერად მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი წელია, რაც ჯარისკაცია, მაინც ინარჩუნებს მგრძნობიარე სულს და რატომღაც ცდილობს, რომ აქ, ფრონტზე, განათლებულ ადამიანად მიიჩნიონ. თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა სინამდვილეში, მან, რა თქმა უნდა, არ იცის. იმ ყველაფრიდან კი, რაც აქამდე გაუგია, მხოლოდ ეს სიტყვა, „განათლება“, ჩარჩა მესხიერებაში და ისე ეჭიდება, როგორც წყალწაღებული - ხავსს. საერთოდ კი, აქ ყველას აქვს რაღაც ამდაგვარი: ერთს - ცოლი, მეორეს - პატარა ბიზნესი, მესამეს - ჩექმები, ვალენტინ ლაერს - არაყი, ხოლო ტიადენს - ქონიანი ლობიოთი ერთი კარგად გამოძღობის სურვილი.^{[P]_{SEP}}

კობოლეს კი სიტყვა „განათლება“ გახამებულ საყელოებს ახსენებს, რაც საკმარისია, მოთმინება რომ დაკარგოს. ახლაც ეს სიტყვა ნერვებს უშლის და ხვრინვის შეუწყვეტლად ერთ-ორ ძუნწ სიტყვას ამბობს იუპზე.^{[P]_{SEP}}

- აყროლებული ღორი, კანცელარიის ვირთხა!^{[P]_{SEP}}

იუპი, ფილოსოფიურად, საკუთარი ღირსების გრძნობით, უკმაყოფილოდ იქნევს თავს. გასათბობად ერთმანეთს ვეკვრით და მდუმარედ ვსხედვართ. ღამე ცივია, ნესტიანი და ცრის; ამიტომ ქვემოდან ამოგვაქვს სავლელე ლაბადები, რომლებზედაც ვსხედვართ და თავიდან ფეხებამდე ვეხვევით.^{[P]_{SEP}}

ჰორიზონტს იარაღის ცეცხლი ანათებს. ისე მყუდროდ გამოიყურება იქაურობა, გვეჩვენება, რომ ჰორიზონტთან ისე არ ცივა, როგორც აქ. არტილერიის შუქის ზემოთ ვერცხლისფერი ყვავილებივით იფანტება რაკეტები. ფერმის ნანგრევებს ზემოთ, ნისლში, უბარმაზარი წითელი მთვარე მიცურავს.^{[P]_{SEP}}

- გჯერა, რომ სახლში დავბრუნდებით? - მეჩურჩულება იუპი.^{[P]_{SEP}}

მე მხრებს ვიჩეჩ.^{[P]_{SEP}}

- ასე ამბობენ...^{[P]_{SEP}}

იუპი ხვნეშის.^{[P]_{SEP}}

- თბილი ოთახი, დივანი და საღამოს გასეირნება - ნარმოგიდგენია?^{[P]_{SEP}}

- ბოლო შვებულებისას ჩემი სამოქალაქო სამოსი მოვიბომე, - ვამბობ ჩაფიქრებით, - მაგრამ აღარ მომერგო; ახალი სამოსი მჭირდება. - რა უცნაურად ჟღერს ეს ყველაფერი: სამოქალაქო ტანსაცმელი, დივანი, საღამო. უჩვეულო ფიქრები მოსდის კაცს თავში, ეს ფიქრები შავ ყავასავითაა, ხანდახან თუნუქისა და ქვების ნამწვის გემო რომ დაჰკრავს და გულისრევას იწვევს.^{[P]_{SEP}}

იუპი მეოცნებე სახით იჩიქნის ცხვირს.^{[P]_{SEP}}

- ვიტრინა, კაფე, ქალები...^[P]_[SEP]

- კაცო, მადლობა თქვი, რომ ამ ნეხვს თავს დააღწევ, - ვეუბნები და ცივ ხელებს სუნთქვით ვითბობ.^[P]_[SEP]

- მართალი ხარ, - იუპი გამხდარ, დახრილ მხრებზე ლაბადას ისწორებს. - რას გააკეთებ, როცა აქედან წავალთ?^[P]_[SEP]

ვიცინი.^[P]_[SEP]

- მე? მე ისევ სკოლაში უნდა ვიარო; მეც, ვილიმაც, ალბერტმაც და ლუდვიგმაც, აი, იქ რომ წევს, - და უკან, იმ ფიგურაზე ვუთითებ, დაცხრილული სანგრის წინ რომ წევს და ორი მაზარა გადაუფარებია.^[P]_[SEP]

- აჰ, ეშმაკმა დალახვროს! მაგრამ თქვენ ხომ ამას არ იბამთ? - ამბობს იუპი.^[P]_[SEP]

- არ ვიცი. ალბათ იძულებული ვიქნებით, - ვპასუხობ და, თავადაც არ ვიცი, რატომ, ბრაზი მერევა.^[P]_[SEP]

შინელების ქვეშ რაღაც შეინძრა. ფერმკრთალი, გამხდარი სახე მოჩანს, ჩუმი კვნესა გვესმის. იქ ჩემი თანაკლასელი წევს, ლეიტენანტი ლუდვიგ ბრაიერი, ჩვენი ოცეულის მეთაური. რამდენიმე კვირის წინ სისხლიანი ფაღარათი დაემართა, მაგრამ ლაზარეთში დაბრუნება არ უნდა. ურჩევნია ჩვენთან დარჩეს, რადგან ჩვენ ყველანი მშვიდობას ველით და მასაც, ყოველგვარი გაჭანტლების გარეშე, თან წავიყვანთ. ლაზარეთები გადავსებულია დაჭრილებით, მაგრამ არავინ აქცევს მათ ყურადღებას. ლაზარეთის სანოლზე თუ მოხვდი, ჩათვალე, რომ უკვე ცალი ფეხი სამარეში გიდგას. გარშემო ადამიანები იხოცებიან და შენც

ერთ-ერთი მათგანი ხარ, ეს გადამდებია... მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ უკვე ჩათრეული ხარ. მაქს ვეილმა, ჩვენმა სანიტარმა, ბრაიერს რაღაც თაბაშირის მსგავსი სითხე უშოვა: ბრაიერი ხვრეპს ამ სითხეს, რათა შიგნეული დაიცემენტოს და კუჭი გაიმაგროს. მაგრამ მაინც უწევს დღეში ოც-ოცდაათჯერ შარვლის ჩახდა.^[P]_[SEP]

აი, ახლაც მუცელი ასტკივდა. მე ვეხმარები კუთხეში მისასვლელად.^[P]_[SEP]

იუპი ხელს მიქნევს.^[P]_[SEP]

- გესმის? აი, ისევ...^[P]_[SEP]

- რა?^[P]_[SEP]

- იგივე ჭურვები...^[P]_[SEP]

კოზოლე ინძრევა და ამოქნარებს. შემდეგ დგება, მრავალმნიშვნელოვნად დაჰყურებს თავის მძიმე მუშტს, იუპს გადახედავს და ამბობს.^[P]_[SEP]

- მისმინე, თუ ჩვენს გაცურებას ლამობ, მოგიწევს საკუთარი ძვლების ბოსტნეულის ტომრით სახლში გაგზავნა.^[P]_[SEP]

ვაყურადებთ უხილავი ჭურვების სტვენას და ნივილს, ამ ხმას რაღაც უცნაური სისინი ფარავს, ხრინწიანი, განელილი, ისეთი უჩვეულო და ახალი, რომ მბურძგლავს.^[P]_[SEP]

- გაზის ყუმბარები! - ყვირის ვილი ჰომეიერი და ფეხზე დგება.^[P]_[SEP]

ყველანი ვიღვიძებთ და დაძაბულად ვაყურადებთ. ვაისლინგი ჰაერისკენ იშვებს ხელს.^[P]_[SEP]

- აი, თურმე რა ყოფილა! გარეული ბატები!^[P]_[SEP]

გადამფრენი ფრინველები რუხ, მოღრუბლულ ცაზე ბნელად გავლებულ ხაზად უახლოვდებიან მთვარეს, კვეთენ მის წითელ დისკს. ნათლად იკვეთება უამრავი ფრთისგან შექმნილი ჩრდილების შავი კუთხე; უსასრულობაში იკარგება გუნდი, რომელიც ველური, ხორხისმიერი ყაყანით უხმობს ვილაცას.^{[P][SEP]}

- აქედან მიდიან, - ბურტყუნებს ვილი, - ჯანდაბა, ასე რომ შეიძლებოდეს ათესვა! მხოლოდ ორი ფრთა და... ჰაიდააა!^{[P][SEP]}

ჰაინრიხ ვაისლინგი ბატებს თვალს აყოლებს.^{[P][SEP]}

- მალე გამთარი დადგება, - ამბობს ბანტად. ჰაინრიხი გლახია, ამგვარ რამეებში ჭიპი აქვს მოჭრილი.^{[P][SEP]}

ლუდვიგ ბრაიერი მოშვებულად და მონყენილად მიყრდნობია თხრილის კედელს და ჩურჩულებს.^{[P][SEP]}

- პირველად ვნახე ამდაგვარი რამ!^{[P][SEP]}

კობოლფე უცებ ფხიზლდება; ის დანვრილებით ეკითხება ვაისლინგს ბატების შესახებ, უპირველეს ყოვლისა კი, მათი ზომით ინტერესდება, ისეთივე მოსულები არიან თუ არა, როგორც შინაური, ნასუქი ბატებიო.^{[P][SEP]}

- დაახლოებით, - ამბობს ვაისლინგი.^{[P][SEP]}

- ჯანდაბა! - კობოლფეს აღგზნებისგან ნერწყვი ადგება, - ოოჰ, ესე იგი, ახლა თხუთმეტი-ოცი შეუდარებელი შებრანული ბატი მიფრინავს ცაში!^{[P][SEP]}

კვლავ შრიალებენ ჩვენ ზემოთ ფრთები, კვლავ თავბარს გვცემს ხორხისმიერი, უხეში მოძახილი, და აი, ფრთების შრიალი, ბატების

გაბმული ყიყინი თუ ქარის ძლიერი ქროლვა უერთდება სიცოცხლისა და თავისუფლების დაუძლეველ სურვილს. საკეტმა გაიტკაცუნა. კობოლემ თოფი ჩამოიღო და დაძაბული შესცქერის ცას, ზუსტად ბატების რიგის შუაგულს. მის გვერდით ტიადენი დგას, ჩამოვარდნილი ბატის მოსატანად მონადირის ძალღვივით მზადმყოფი; თუმცა გუნდი მშვიდად აგრძელებს ფრენას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დასანანია, - ამბობს ადოლფ ბეთკე, - ეს ერთადერთი აზრიანი გასროლა იქნებოდა მთელი ამ ტილიანი ომის განმავლობაში.<sup>[P]
[SEP]</sup>

კობოლე დანანებით მოისვრის თოფს გვერდზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კიდევ რომ მქონოდა ერთი-ორი საფანტის ტყვია! - და ნაღვლიან ოცნებებში იძირება, რას იზამდა მაშინ. უნებურად იღეჭება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, - ამბობს იუპი, რომელსაც მისთვის თვალი არ მოუშორებია, - ვაშლთან და შემწვარ კარტოფილთან ერთად როგორია?<sup>[P]
[SEP]</sup>

კობოლე განმგმირავად შეჰყურებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოკეტე, კანცელარიის ვირთხავ!<sup>[P]
[SEP]</sup>

- მფრინავი რომ ყოფილიყავი, - ქირქილებს იუპი, - მაშინ მათ ბადით დაიჭერდი!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნადი, შე დამპალო! - პასუხობს კობოლე ბოლოს და კვლავ ძილს აძლევს თავს. ასე ჭობია. წვიმა ძლიერდება. ერთმანეთთან ბურგშექცევით ვსხდებით და სავლელ ლაბადების ქვეშ ვძვრებით. მიწის გორაკებით ვჩანვართ სანგარში. მიწა, უნიფორმა და სიცოცხლე მის ქვეშ.<sup>[P]
[SEP]</sup>

გამყინავი ხმა მალევიძებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ცოცხლად, ცოცხლად!^[P SEP]

- რა მოხდა? - ვკითხულობ ნახევრად მძინარე.^[P SEP]

- წინა ხაზზე უნდა წავიდეთ, - ამბობს კობოლე და თავის ნივთებს აგროვებს.^[P SEP]

- იქიდან არ მოვედით? - ვკითხები გაოცებული.^[P SEP]

- რა სისულელეა! - მესმის ვაისლინგის ლანძღვა, - ომი ხომ დამთავრდა?^[P SEP]

- აბა, ჩქარა, წინ! - ეს უკვე ჰეელია, ჩვენი ასეულის უფროსი, რომელიც მოუთმენლად დარბის სანგარში და ყველას ფეხზე გვყრის.^[P SEP]

ლუდვიგ ბრაიერი უკვე ფეხზეა.^[P SEP]

- საშველი არაა, უნდა წავიდეთ, - ამბობს მორჩილად და ხელყუმბარებს იღებს.^[P SEP]

ადოლფ ბეთკე შესცქერის.^[P SEP]

- აქ უნდა დარჩე, ლუდვიგ, შენი მუცლით წინა ხაზზე ვერ წამოხვალ!^[P SEP]

ბრაიერი თავს იქნევს.^[P SEP]

ღვედები ჭრიალებს, თოფები გრუხუნებს და უცებ სიკვდილის დამპალი სუნი კვლავ ამოდის მიწიდან. გვეგონა, რომ სამუდამოდ დავაღწიეთ მას თავი. მშვიდობაზე ფიქრმა რაკეტასავით გაიქროლა, და თუმცა ჩვენ მისი დაჭერება, მისი გაცნობიერებაც ვერ მოვასწარით, მარტო იმედიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ის რამდენიმე წუთი, რომელიც მშვიდობის მაცნეს დასჭირდა ამ სასიხარულო ამბის

საუნყებლად, უფრო მეტად სულისმემძვრელი ყოფილიყო ჩვენთვის, უფრო მეტად დავებაფრეთ, ვიდრე ბოლო ოცმა თვემ დავგზაფრა. ომის ერთი წელი მეორეს ემატებოდა, ერთი უიმედობის წელი - მეორეს, და ჩვენ არ ვიცოდით, რა უფრო საოცარი იყო, ამდენი წელი რომ გასულიყო უკვე, თუ - მხოლოდ ამდენი. მაგრამ როცა გავიგეთ, რომ მშვიდობა უკვე ასე ახლოსაა, ყოველი საათი უფრო ძნელი ასატანი გახდა და ყოველი წუთი უფრო მტკივნეულად გაიწელა. ახლა ყოველი წამი ომის ქარცეცხლში უფრო გაუსაძლისი და ხანგრძლივი გვეჩვენება, ვიდრე ომში გატარებული მთელი დრო.^{[P]_{SEP}}

ქარი კატასავით კნავის ბრუსტვერის გარშემო და ღრუბლები სწრაფად მიქრიან მთვარის წინ. შუქ-ჩრდილი ერთმანეთს ენაცვლება. მჭიდროდ დანყობილნი მივდივართ, ჩრდილების რაბში, საცოდავი მეორე ასეული, რამდენიმე კაცამდე გამოცხრილული - მთელი ასეული ოცეულის ოდენაც რომ არაა, მაგრამ - ბრძოლებში გამონრთობილი. ჩვენ გვყავს სამი მოხუცი ჭარისკაცი, ასე, ორმოც წლამდე: ბეთკე, ვაისლინგი და კოზოლე, რომლებმაც ბევრი რამ ნახეს და ხანდახან ომის პირველ წუთებზეც ისე ლაპარაკობენ, გეგონებათ, ძველი გერმანების დროინდელ ამბებს ჰყვებიანო.^{[P]_{SEP}}

პოზიციებზე ყველა თავის ადგილს ეძებს, თავის კუთხეს, თავის ორმოს. არაფერი ხდება. მანათობელი ტყვიები, ტყვიამფრქვევები, ვირთხები. ვილი უმიზნებს და ფეხის ბუსტი დარტყმით ჰაერში გასროლილ ვირთხას ნიჩბით შუაზე გლეჯს.^{[P]_{SEP}}

აქა-იქ ტყვიები ცვივა. მარჯვნიდან ჭურვების აფეთქების ხმა ისმის.^[P]_{SEP}]

- იმედია, სიმშვიდე შენარჩუნდება, - ამბობს ვაისლინგი.^[P]_{SEP}]

- თავში ტყვიაღა გვაკლია, - თავს აქნევს ვილი.^[P]_{SEP}]

- ვისაც ბედი არ სწყალობს, ცხვირში ქექვისას მოიმტკრევს თითს, - ბუზღუნებს ვალენტინი.^[P]_{SEP}]

ლუდვიგი საველე ლაბადაზე წევს. ალბათ არ უნდა წამოსულიყო. ვილი აბებს აძლევს. ვალენტინი ურჩევს, შნაპსი დალიოს. ლედერჰოზე ცდილობს, უხამსი ანეკდოტი მოყვას. არავინ უსმენს. ვწევართ, ისევ ვწევართ. დრო თავის მსვლელობას აგრძელებს.^[P]_{SEP}]

მაჟრჟოლებს და წამოდგომას ვცდილობ, ვხედავ, რომ ბეთკეც წამოიშრება. თვით ტიადენიც გამოცოცხლდა. წლების მანძილზე დაგროვილი ინსტინქტი რაღაცას გვკარნახობს, არავინ იცის - რას, მაგრამ ცხადია, რაღაც განსაკუთრებული ხდება. ფრთხილად წამოვიწინეთ და ვუსმენთ. სიბნელის გასარღვევად თვალები გვივიწროვდება, ყველას გვღვიძავს, ნერვები დაჭიმული გვაქვს, ყველა კუნთი - მომართული, სრულ მზადყოფნაში, ჭერ უცნობი, მომავალი საშიშროების დასახვედრად. ვილის ხელში ჩუმად შიშინებს ხელყუმბარები. ჩვენი საუკეთესო მსროლელი წინ მიიწევს. კატებივით ერთმანეთს მიკრულნი ძირს ვყრივართ. გვერდით ლუდვიგ ბრაიერი შევნიშნე. მის დაძაბულ სახეზე ავადმყოფობის ნიშანწყალიც გამქრალა. მასაც ისეთივე ცივი, სიკვდილით დალდასმული სახე აქვს, როგორც ყველას - სანგრის სახე. საშინელმა, ჭკუიდან გადამყვანმა დაძაბულობამ სახე გაგვიყინა. რა უჩვეულოა ეს განცდა, ქვეცნობიერი

რომ გვთავაზობს მანამ, სანამ გრძნობები აღიქვამს მას.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნისლმა და ქარმა იმატა. უცებ ვხვდები, რამ გამოიწვია ჩვენში ასეთი სგანგაშო დაძაბულობა: ყველაფერი დანყნარდა, სიჩუმე ჩამონვა.<sup>[P]
[SEP]</sup>

არც ზარბაზნები, არც სროლა, არც აფეთქებები და არც ტყვიების ნული - მხოლოდ სიცარიელე; არც ერთი გასროლა, არც ყვირილი; სიჩუმე, სრულყოფილი სიჩუმე.<sup>[P]
[SEP]</sup>

ერთმანეთს გადავხედეთ, ამის გაგება შეუძლებელია. მთელი ომის მანძილზე პირველადაა ასეთი სიჩუმე. ცუდი წინათგრძნობა გვაქვს, ვცდილობთ გავიგოთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს. გაზი ხომ არ გაუშვებს? მაგრამ ქარია და გაზს მალე წაიღებს. შეტევა ხომ არ იწყება? მაგრამ მაშინ ხომ სიჩუმე მას დროზე ადრე გამოააშკარავებდა. რაშია საქმე? ნერვიულობისგან ისე გავოფლიანდი, რომ ხელში ხელყუმბარა დამისველდა. ნერვები დანყვეტაზე მაქვს. ხუთი ნუთი. ათი ნუთი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- უკვე თხუთმეტი ნუთი გავიდა! - ამბობს ვალენტინ ლაერი. მისი ხმა ისე სწვდება ცას, თითქოს საფლავიდან ამოდიოდეს. ისევ და ისევ არაფერი ხდება, არც შეტევა, არც ბნელი, მოხტუნავე ჩრდილები... თითები დუნდება და კვლავ იმუშტება. არა, ამისი გაძლება შეუძლებელია! ისე მივეჩვიეთ ფრონტის გუგუნს, რომ ახლა, როცა აღარ გვესმის, ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს ეს-ესაა ავფეთქდებით და გასაბერი ბუშტებივით ცაში ავფრინდებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბიჭებო, ყურადღება, ეს მშვიდობაა! - ამბობს ვილი უცებ და ეს ამბავი ბომბივით სკდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

სახეები მშვიდდება, მოძრაობები უმიზნო, გაუბედავი ხდება. მშვიდობა? ერთმანეთს შევცქერით, არ გვჭერა. ხელყუმბარას ხელს ვუშვებ. მშვიდობა? ლუდვიგი კვლავ საველე ლაბადაზე წვება. მშვიდობა? ბეთკეს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს სადაცაა სახე უნდა გაუსკდესო. მშვიდობა? ვაისლინგი ხესავით გაშემებულა და ისე გამოიყურება, თითქოს პირდაპირ სახლში აპირებდეს წასვლას. ასეთი მღელვარების გამო უცებ ვერც შევამჩნიეთ, რომ სიჩუმე დასრულდა: ისევ ყრუდ აგრუხუნდა იარაღი, ისევ კოდალასავით აკაკანდა ტყვიამფრქვევი. ვმშვიდდებით: თითქოს გვიხარია კიდევ ჩვეული სიკვდილის ხმების გაგონება.^{[P]_[SEP]}

დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ღამით, როგორც ყოველთვის, უკან დავიხიეთ. მტერი არა მარტო უკან მოგვყვება, არამედ ხანდახან შეტევაზეც გადმოდის. უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ, რომ უკვე შუა ცეცხლში ვართ. ჩვენ უკან, ბინდბუნდში წითელი შადრევნები იღვრება. მაგრამ ჩვენთან ჭერკიდევ სიმშვიდეა. ვილიმ და ტიადენმა ერთი ქილა ხორცი იპოვეს და მაშინვე გადასანსლეს. სხვები წვანან და იცდიან. თვეების განმავლობაში გადაიწვნენ, და როდესაც თავის დაცვა აღარაა საჭირო, გულგრილობა ეუფლებათ.^{[P]_[SEP]}

ასეულის ხელმძღვანელი ჩვენს სანგარში მოძვრება.^{[P]_[SEP]}

- ყველაფერი გაქვთ? - ცდილობს, ხმაური გადაფაროს.^{[P]_[SEP]}

- ვაზნები არ გვყოფნის. - ჰველი მხრებს იჩეჩს და ბეთკეს ჩუმიად სიგარეტს აჩეჩებს. ის არც უყურებს, ისე უქნევს თავს მადლობის ნიშნად.^{[P]_[SEP]}

- მაინც უნდა ნახვიდეთ, - ამბობს ჰეელი და მემობელ სანგარში ხტება.<sup>[P]
[SEP]</sup>

მან იცის, რომ ყველაფერი კარგად იქნება. თითოეულ ამ ბებერ ჭარისკაცს მასავით კარგად შეუძლია ასეულის მეთაურობა.<sup>[P]
[SEP]</sup>

დაბნელდა. ცეცხლმა ჩვენამდეც მოაღწია, თავშესაფარი არ გვაქვს. ჩვენ ხელებითა და ნიჩბებით ვჩიჩქნით თხრილს და თავის დასაცავად ღრმულებს ვაკეთებთ. მიწას მჭიდროდ ვეკვრით - ალბერტ ტროსკე - ჩემგან ერთ მხარეს და ადოლფ ბეთკე - მეორე მხარეს. ოც მეტრში ჭურვი ფეთქდება. როცა ეს ეშმაკის მოციქული ნივილით თავს გვატყდება, მაშინვე პირს ვაფჩენთ, ყურის მემბრანები რომ არ გაგვისკდეს, მაგრამ მაინც ნახევრად ვყრუვდებით, მიწა და ტალახი თვალეში გვეყრება, დაწყველილი ტყვია-წამლისა და გოგირდის აირისგან ყელი გვენვის. ნამსხვრევები წვიმასავით ცვივა. ვინმეს აუცილებლად დაეცემა: ჩვენს თხრილში, ბეთკეს თავთან, გავარვარებულ ნამსხვრევებთან ერთად ვიღაცის ხელი ეცემა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჰეელი თხრილში ხტება. ჭურვების აფეთქების შუქზე, ჩაჩქნის ქვეშ მისი სიბრაზისგან გაფითრებული სახე მოჩანს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ხანძარი, - სულს ძლივს ითქვამს, - პირდაპირი მოხვედრა, ყველაფერი განადგურდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

კვლავ ხმაურობს, შიშინებს, ღრიალებს ნეხვისა და ტყვიის წვიმა, ცა ქუხს, მიწა გრუხუნებს. შემდეგ საფარი იხსნება და იხურება, იმ წამს მიწიდან ამოდიან დამწვარი, მიწისგან გაშავებული ადამიანები ხელყუმბარებით ხელში, მიყურადებულნი და მზადმყოფნი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნელა უკან! - ყვირის ჰეელი.^[P]_[SEP]

ჩვენგან მარცხნივ შეტევა იწყება. თხრილში ბრძოლა ჩაღდება, ქვემეხი ყფვს. აფეთქებული ჭურვების ელვა ცას სწვდება. უცებ ტყვიამფრქვევი დუმდება: გაიჭედა. საცეცხლე წერტილს სასწრაფოდ თავს ესხმიან მარცხნიდან. ნუთიც და განადგურდება. ჰეელი ამას ხედავს.^[P]_[SEP]

- ეშმაკმა დალახვროს! - თხრილს ახტება - წინ!^[P]_[SEP]

ჰეელი კვლავ ნამოიჭრა - ასეთ ნუთებში გონებას კარგავს, ხორცშესხმულ ეშმაკად იქცევა. მაგრამ ყველაფერი კარგად მთავრდება. მიზანს მივალწიეთ. თხრილში მყოფებს ძალა ემატებათ, ქვემეხი კვლავ კაკანებს. კავშირი აღდგა და ჩვენ ყველანი ერთად უკან, ბეტონის ბლინდაჟისკენ გავრბივართ. ეს ისე ჩქარა ხდება, რომ ამერიკელები ვერ ამჩნევენ, როგორ დაცარიელდა ჩვენი ბუდე. შუქი ისევ დასთამაშებს ჩვენს თხრილს.^[P]_[SEP]

სიმშვიდეა, ლუდვიგის გამო ვღელავ. მაგრამ ის აქ არის. შემდეგ ბეთვეც მოფორთხავს.^[P]_[SEP]

- ვესლინგი?^[P]_[SEP]

- ვესლინგს რა დაემართა? სად არის ვესლინგი?^[P]_[SEP]

და ჰაერში, არტილერიის გრუხუნში, გაისმის ძახილი: „ვესლინგ! ვესლინგ!“^[P]_[SEP]

ჰეელი გამოჩნდა.^[P]_[SEP]

- რა ხდება?^[P]_[SEP]

- ვესლინგი დაიკარგა.^[P]_[SEP]

უკან დახევამდე ტიადენის გვერდით იწვა, შემდეგ კი აღარ უნახავს.^{[P][SEP]}

- სად? - ეკითხება კობოლე.^{[P][SEP]}

ტიადენი უჩვენებს.^{[P][SEP]}

- ეშმაკმა დალახვროს! - კობოლე ბეთკეს შესცქერის. ორივემ იცის, რომ შეიძლება ეს ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა იყოს. ნუთითაც არ ყოყმანობენ.^{[P][SEP]}

- სულერთია, - ბურტყუნებს ბეთკე.^{[P][SEP]}

- ნავიდეთ, - ხვნიშის კობოლე. ისინი სიბნელეში იკარგებიან, ჰეელიც მათ მიჰყვება.^{[P][SEP]}

ლუდვიგი დანარჩენებს შეტევითვის ამზადებს, ჩვენ დასახმარებლად წამოვდექით. ჯერჯერობით სიმშვიდეა. უცებ ისევ ფეთქდება ყუმბარები. აფეთქებებს შუა რევოლვერის სროლის ხმა ისმის. მაშინვე შეტევაზე გადავდივართ. ლუდვიგი მიგვიძღვის. და აი, ბეთკეს და კობოლეს ოფლიანი სახეები გამოჩნდა. ისინი სავლელ ლაბადაში გახვეულ ადამიანს მოათრევენ.^{[P][SEP]}

ჰეელი? ეს ვესლინგი კვენსის. ჰეელი? ის ხომ ისროდა. ჰეელი მალევე ბრუნდება.^{[P][SEP]}

- მისმა ხელყუმბარამ მთელი ბანდა გაანადგურა თხრილში! - ყვირის, - და კიდევ ორი კაცი, რევოლვერით!^{[P][SEP]}

ვესლინგს დაჟინებით შესცქერის.^{[P][SEP]}

- რა დაგემართა?^{[P][SEP]}

ვესლინგი არ პასუხობს, მუცელი გაგლეჯილი აქვს, როგორც

საყასბოს დახლზე დაგდებული ხორცი. ვერ მიხვდები, რა სიღრმის ჭრილობა აქვს. სასწრაფოდ გადავუხვიეთ. ვესლინგი წყალს თხოულობს, მაგრამ არ ვაძლევთ. მუცელში დაჭრილებს წყალი არ ესმევათ. შემდეგ საბანს ითხოვს. იყინება. ბევრი სისხლი დაკარგა.^[SEP]

საველე შიკრიკს ბრძანება მოაქვს: უკან დახევა გააგრძელეთ. სანამ საკაცეს ვიშოვიდეთ, ვესლინგი თოფებზე დამაგრებული საველე ლაბადით გადაგვყავს, ფრთხილად მივდივართ, დანყობილნი. თანდათან თენდება, ბუჩქნარს ვერცხლისფერი ნისლი მოსდებია. ბრძოლის ველს ვტოვებთ, რაღაც ჩუმად გუბუნებს და ფეთქდება. ლუდვიგ ბრაიერი სახელოს მდუმარედ ზემოთ იწევს. მკლავში ტყვია აქვს მოხვედრილი, ვაილი ჭრილობას უხვევს.^[SEP]

უკან ვიხევთ. უკან.^[SEP]

ჰაერი ღვინოსავით რბილია. თითქოს ნოემბერი კი არა, მარტი იყოს. ცა ღია ცისფერი და გამჭვირვალეა. გზის განაპირა გუბეებში მზე ირეკლება. ალვის ხეების ხეივანში მივდივართ. გზის ორივე მხარეს ხეები აღმართულან, მაღალნი და ხელუხლებელნი, მხოლოდ აქა-იქ აკლია რამდენიმე. ეს მიდამოადრე ფრონტის ზურგი იყო და არც ისე გაუდაბურებულია, როგორც ერთი კილომეტრით უკან, ის ადგილი, ყოველდღე ნაბიჯ-ნაბიჯ რომ ვტოვებდით. მზე ანათებს ყავისფერ საველე ლაბადას, და როდესაც ყვითელ ხეივნებს მივუყვებით, ფოთლები შრიალით დასტრიალებენ თავზე, ზოგი კი შიგნითაც ხვდება.^[SEP]

საველე ლაზარეთი გადაჭედულია. ბევრი დაჭრილი ღია ცის ქვეშ

წევს. იძულებული ვართ, ვესლინგიც გარეთ დავტოვოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

თეთრსახვევებიანი დაჭრილების ერთ ჯგუფს ევაკუაციისთვის ამზადებენ. ლაზარეთს ხურავენ, ექიმი ებოში დაქრის და ახალმოსულებს სინჯავს. ექიმი მოითხოვს, დაუყოვნებლივ გადაიყვანონ საოპერაციოში ჯარისკაცი, რომელსაც მუხლის სახსარში ამოტრიალებული ფეხი უსიცოცხლოდ ჩამოჰკიდებია, ვესლინგს კი მხოლოდ ჭრილობას ხელახლა უხვევენ და ებოში ტოვებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვესლინგი გონზე მოდის და ექიმს თვალს აყოლებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა ხდება?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მალე დაბრუნდება, - ვეუბნები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- უნდა წავეყვანე, საოპერაციო ვარ. - უცებ საშინელი მღელვარება იპყრობს, სახვევს ხელს უფათურებს, - ეს ხომ სასწრაფოდ გასაკერია.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვცდილობთ დავამშვიდოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

სულ მთლად გამწვანებულია და შიშისგან ოფლი ასხამს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ადოლფ, გაეკიდე, უნდა დააბრუნო...<sup>[P]
[SEP]</sup>

ბეთვე წუთით ყოყმანობს, მაგრამ ვეღარ უძლებს ვესლინგის მზერას, მას სხვანაირად არ შეუძლია და თუმცა იცის, რომ ამას აზრი არა აქვს, მიდის. ვხედავ, როგორ ესაუბრება ექიმს. ვესლინგი თვალს არ ამორებს, საშინლად გამოიყურება, ცდილობს, რამდენადაც შეუძლია, თავი შეატრიალოს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბეთვე ბრუნდება; ისე, რომ ვესლინგმა არ შეამჩნიოს, თავს იქნევს, ხელით გვიჩვენებს ერთიო და ჩურჩულით ამბობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ე-რ-თ-ი სა-ა-თი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ იმედიან სახეებს ვიღებთ. მაგრამ ვინ გააცურებს მომაკვდავ გლეხს! როცა ბეთკემ უთხრა, მოგვიანებით გაგიკეთებენ ოპერაციას, ჭერ ჭრილობას უნდა უმკურნალონო, ვესლინგი ყველაფერს მიხვდა. ერთი ნუთით დუმს. მერე ჩურჩულებს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი რა, აქ დგახართ ჯანმრთელები და სახლში ნახვალთ; მე კი - ოთხი წელი, ასეთი ოთხი წელი, ასეთი...<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენ მალე გამოხვალ ლაზარეთიდან, ჰაინრიხ, - ანუგეშებს ბეთკე.<sup>[P]
[SEP]</sup>

არ უჭერებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მორჩით.<sup>[P]
[SEP]</sup>

ამის შემდეგ ბევრი აღარ ულაპარაკია. შიგნით შეყვანაც აღარ უნდა, უნდა გარეთ დარჩეს. ლაზარეთი მალლობზე დგას. ხეივანი მთელი სიგრძე-სიგანით ჩანს აქედან. მიწა ლაზარეთთან ახლოს ჭრელია და ოქროსფერი, წყნარად და რბილად, მშვიდობიანად განოლილა. აქედან სახნავი მინდვრებიც მოჩანს, პატარა, რუხი, გადახნული ნაკვეთები. როცა ქარი დაუბერავს და სისხლისა და ჩირქის სუნს გაფანტავს, კაცს მიწის ბელტების სურნელი ეცემა ცხვირში. შორს ყველაფერი ცისფერია და მშვიდობით სუნთქავს; რადგან ფრონტი შორსაა. ფრონტი მარჯვნივაა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვესლინგი დუმს, ყველაფერს დაკვირვებით ათვალიერებს. თვალები გამჭოლი და ნათელი უხდება. გლეხია და ბუნებას ჩვენზე უკეთ იცნობს. იცის, რომ სამუდამოდ ემშვიდობება ყველაფერს,

ამიტომაც უნდა, არაფერი გამოორჩეს და თვალს არ ამორებს. სულ უფრო და უფრო ფითრდება, ბოლოს გამოძრავდება და ჩურჩულებს.^{[P][SEP]}

- ერნსტ...^{[P][SEP]}

მის ბაგეებთან ვიხრები.^{[P][SEP]}

- ჩემი ნივთები ამოიღე, - ამბობს.^{[P][SEP]}

- ჯერ დრო გაქვს, ჰაინრიხ...^{[P][SEP]}

- არა, არა, მიდი.^{[P][SEP]}

ნივთებს წინ ვუწყობ. გაქეცილი მუშაობის საფულე, დანა, საათი, ფული - თანდათან ყველა ნივთს ცნობს. საფულეში მისი ცოლის სურათიც დევს.^{[P][SEP]}

- აბა მაჩვენე, - ამბობს.^{[P][SEP]}

ვიღებ სურათს და ისე მიჭირავს, რომ დაინახოს. ნათელი, ხორბლისფერი სახე; ათვალეირებს. ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩულებს.^{[P][SEP]}

- აღარაფერი იქნება... - ტუჩები უკანკალებს, თვალს არიდებს. - თან წაიღე, - მეუბნება. ვერ ვხვდები, რას გულისხმობს, მაგრამ აღარ მინდა კითხვებით შევანუხო და ჯიბეში ვიდებ.^{[P][SEP]}

- ამას მივუტან...^{[P][SEP]}

ვესლინგი უჩვეულოდ გაფართოებული თვალებით მიყურებს. რაღაცას ბურტყუნებს, თავს აქნევს და კვნესის. დაძაბული ვცდილობ, კიდევ რაიმე გავიგო, მაგრამ ის მხოლოდ ხრიალებს, იჭიმება, ღრმად და იშვიათად სუნთქავს, შესვენებებით, სუნთქვა უჭირს, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქავს და უცებ თვალებიდან სინათლე უქრება. ის მკვდარია.^{[P][SEP]}

მეორე დღით უკანასკნელად ვწევართ სანგარში. კანტიკუნტად

ისვრიან. ომი დამთავრდა. ერთ საათში უნდა დავტოვოთ აქაურობა. არასოდეს დავბრუნდებით. თუ ნავედით, სამუდამოდ ნაველთ.^{[P]_{SEP}}

ყველაფერს ვანგრევთ, რაც დაუნგრეველი დარჩა. გაუბედურებული ნარჩენები. რამდენიმე სანგარი. შემდეგ უკან დახვევის ბრძანება მოვიდა.^{[P]_{SEP}}

უჩვეულო ნუთები. ერთმანეთის გვერდით ვდგავართ და ნინ ვიცქირებით. ნისლის მსუბუქი ფთილები მინაზე განოლილა. ცხადად ჩანს თხრილებისა და სანგრების კონტურები. მართალია, ეს მხოლოდ ბოლო სანგრებია, რომლებიც თადარიგისთვის იყო შემონახული, მაგრამ მაინც ცეცხლის ხაზია. რა ხშირად გადავრბოდით ამ გზებზე და რა ცოტა ვბრუნდებოდით უკან. ჩვენ ნინ რუხად განოლილა ერთფეროვანი სივრცე, - ის, რაც ტყისგან დარჩა, - რამდენიმე ნამორალი, სოფლის ნანგრევები, შუაში კი მაღალი განმარტოებული კედელი, დაუნგრეველი რომ გადარჩენილა.^{[P]_{SEP}}

- ჰოლო, - ამბობს ბეთკე ფიქრიანად, - აქ გავატარე ოთხი წელი...^{[P]_{SEP}}

- ჭანდაბას, მართალი ხარ, - კვერს უკრავს კობოლე, - და აი, ყველაფერი დამთავრდა.^{[P]_{SEP}}

- კაი, კაცო,- ვილი ჰომეიერი მინაყრილს მიყრდნობია. - სასაცილოა ეს ყველაფერი, არა?^{[P]_{SEP}}

ვდგავართ და ვაშტერდებით. სივრცე, ტყის ნარჩენი, იქით, ჰორიზონტთან, საველე გზები, ეს საზარელი სამყარო და გაუსაძლისი ცხოვრება. ახლა კი ყველაფერი უკანაა, თუ ნაბიჯს ავუჩქარებთ, ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაიძირება და ერთ საათში გაქრება, თითქოს

არც არასოდეს არსებულა. ვინ წარმოიდგენდა ამას!{P}{SEP}

ვდგავართ და სიხარულისგან ვღრიალებთ და ვიცინით - რაღაც მძიმე შეგრძნება გვაქვს კუჭში, თითქოს ცოცხი გვეჭამოს და სადაცაა გული აგვერევაო.{P}{SEP}

სიტყვას არავინ ძრავს. ლუდვიგ ბრაიერი ქანცგამოცლილი მიყრდნობია თხრილის კედელს და ხელს მალლა სწევს, თითქოს ვიღაცას ხელს უქნევდეს.{P}{SEP}

ჰეელი მოდის.{P}{SEP}

- ერთმანეთს ვეღარ შორდებით, ხომ? ახლა ინყება დამპლობა.{P}{SEP}

ლედერჰოზე გაკვირვებული შესცქერის.{P}{SEP}

- ახლა ხომ მშვიდობა ინყება.{P}{SEP}

- დიახ. ზუსტად დამპლობა. - ამბობს ჰეელი და ისეთი სახით მიდის, თითქოს დედა მოკვდომოდეს.{P}{SEP}

- ამას Pour de mérite

აკლია, - ამბობს ლედერჰოზე.{P}{SEP}

- მოკეტე, - ამბობს ალბერტ ტროსკე.{P}{SEP}

- აბა, ნავედით, - ამბობს ბეთკე, მაგრამ ფეხს არ იცვლის.{P}{SEP}

- ჰოლო, ბევრი ჩვენიანი გვრჩება აქ, - ამბობს ლუდვიგი.{P}{SEP}

- კი - ბრანდტი, მიულერი, კატი, ჰაიე, ბოიმერი, ბერტინკი...{P}{SEP}

- ზანდკუჰი, მაინდერსი, ორივე ტერბრუგენი - ჰუგო და ბერნჰარდი...{P}{SEP}

- კაცო, მორჩი...{P}{SEP}

ბევრი ჩვენიანი წევს აქ, ამას აქამდე ვერ ვგრძნობდით. ერთად

ვიყავით, ისინი საფლავეში, ჩვენ - საფლავეებს ზემოთ, მხოლოდ ერთი მუჭა მიწა გვაშორებდა. მათ ოდნავ გაგვასწრეს, ჩვენი რიგები ყოველდღიურად მცირდებოდა, მათი კი მატულობდა და უკვე აღარ ვიცოდით, რომელ ჯგუფს მივუკუთვნებოდით. ხანდახან ჭურვები ისევ უკან აბრუნებდა, მაღლა ამოყრიდა ლპობაშერეულ ძვლებს, უნიფორმის ნარჩენებს, გახრწნილ, სველ, უკვე მიწად ქცეულ, ტყვიების ქარცეცხლით მიწისქვეშა სანგრებიდან ბრძოლის ველზე დაბრუნებულ თავებს. ეს ყველაფერი სრულებით არ გვაშინებდა: იმდენად განუყოფელი ვიყავით. ახლა ჩვენ ცხოვრებაში ვბრუნდებით, ისინი კი აქ რჩებიან.^[P]_[SEP]

ლუდვიგი, რომლის მამაც ფრონტის ზუსტად ამ მონაკვეთში დაეცა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ცხვირს ხელით ინმენდს და ტრიალდება, ნელა მივყვებით მას. შემდეგ ვჩერდებით და უკან ვიყურებით. კვლავ მდუმარედ ვდგავართ. უცებ ვგრძნობთ, რომ ამ მწუხარების უფსკრულს, ამ დაცხრილული თხრილების ქვეყანას ჩვენს გულებში დაუდვია ბინა. ეს დაწყველილი ადგილი, თავი რომ მოგვაბეზრა, ისეთი მშობლიური გამხდარა, როგორც გაუდაბურებული, საშინელი სამშობლო. ჩვენი ადგილი აქაა, ჩვენ მას ვეკუთვნივთ.^[P]_[SEP]

ვცდილობთ თავიდან ამოვიგდოთ ეს ყველაფერი - მაგრამ ეს ხომ აქ დარჩენილი, დაკარგული წლებია; ამხანაგები, რომლებიც აქ წვანან; გაჭირვება, მიწას რომ მოსდებია - ნალველი ჩაჭრილა ჩვენს სხეულში და სულ ტყუილად ვცდილობთ მის თავიდან მოშორებას.^[P]_[SEP]

შემდეგ მწყობრად ვაგრძელებთ გზას.^[P]_[SEP]

ნაწილი პირველი^[P]_[SEP]

გზა გრძლად განოლილა ჩვენ წინ, სოფლები ნაცრისფერ შუქში გახვეულა, ხეები შრიალებენ და ფოთლები ცვივა და ცვივა.^[P]_[SEP]

გზას ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვებიან გახუნებულ, ჭუჭყიანუნიფორმიანი რუხი კოლონები. ფოლადის ჩაჩქნებქვეშ გაბურძენილი სახეები: შიმშილისა და გაჭირვებისგან ჩამომხმარი, გამოფიტული და დაღარული შიშის, ვაჟკაცობისა და სიკვდილის ხაზებით. მდუმარედ მიდიან. მრავალი გზა გაუთელავთ, მრავალ საბარგო ვაგონში მსხდარან, მრავალ სანგარში უყურყუტიათ, მრავალ თხრილში წოლილან, უსიტყვოდ. და აი, ასე მიუყვებიან გზას სამშობლოსკენ, მშვიდობისკენ, უსიტყვოდ.^[P]_[SEP]

წვერიანი მოხუცი კაცები და გამხდარი ბიჭები, ჯერ ოცი წელიც რომ არ შესრულებიათ, თანასწორნი არიან, ამხანაგები უფროს-უმცროსობის გარეშე. მათ გვერდით მიჰყვებიან უნტერ-ოფიცრები, ნახევრად ბავშვები, რომლებიც ღამის შეტევებში არაერთხელ გასძლოლიან მათ. უკან კი მკვდრების არმიია. ასე მიიწევენ წინ, ნაბიჯ-ნაბიჯ. სწეულნი, ნახევრად მშიერნი, აღჭურვილობის გარეშე, მეთხელეებულ ჯგუფებად, თვალებით, რომელთაც ჯერ ვერ გაუცნობიერებიათ: გაქცევა ჯოჯოხეთიდან - გზა უკან, ცხოვრებისკენ.^[P]_[SEP]

1.^[P]_[SEP]

ასეული წელა მიიწევს წინ, დავიღალეთ; დაჭრილებიც თან

გვახლავს. ამის გამო ჩვენი ასეული თანდათან უკან რჩება. გზა ბორცვიანია და როდესაც მაღლა ავდივართ, ერთ მხარეს ჩვენი ასეულის ბოლოს, მეორე მხარეს კი მჭიდროდ დანყობილ ჯარისკაცთა უსასრულო ჯაჭვს ვხედავთ, უკან რომ მოგვეყვება. ეს ამერიკელები არიან. ფართო მდინარესავით მიედინებიან ხეების რიგში და ზემოდან იარაღის ციალი დასთამაშებთ. გარშემო კი წყნარი მინდვრებია და შემოდგომის ფერებით მოხატულ ხეებს მშვიდად და გულგრილად აღუმართავთ კენწეროები ჯარისკაცების ამ მოძრავი ნაკადის ზემოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ღამით პატარა სოფელში ვჩერდებით. სახლების უკან მოვეწყვეთ. იქვე, გვერდით, ტირიფებით გარშემორტყმული ნაკადული მოჩუხჩუხებს. ნაკადულს პატარა ბილიკი გასდევს. ცალ-ცალად მივდივართ, ერთიმეორის უკან. კობოლე პირველი მიდის, მის გვერდით ვოლფი, ასეულის ძაღლი, მირბის და მის პურის აბგას ყნოსავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მოულოდნელად, გზაჯვარედინზე, იქ, სადაც ბილიკი გზატკეცილს უერთდება, ფერდინანდი უკან გამორბის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ფრთხილად!<sup>[P]
[SEP]</sup>

თოფები შევმართეთ და დავიფანტეთ. ცეცხლის გასახსნელად უკვე სრულიად მზადმყოფი კობოლე იქვე, გზისპირა თხრილში წვება, იუპი და ტროსკე ანწლებში იმალებიან, ვილი ჰომეიერი ხელყუმბარებს იმარჯვებს, თავად ჩვენი დაჭრილებიც საბრძოლო მზადყოფნაში მოდიან.<sup>[P]
[SEP]</sup>

გზატკეცილზე ამერიკელები გამოჩნდნენ, იცინიან და ერთმანეთს

ეხუმრებიან. ეს მოწინავე ჯგუფია, ჩვენ რომ უკან მოგვეყვებოდა.^{[P]_{SEP}}

მხოლოდ ადოლფ ბეთკე არის ფეხზე. ის ჩერდება და ნელი ნაბიჯით გამოდის სამალავიდან. კობოლუე დგება, დანარჩენები ამრბე მოვდივართ და ქამრებს და თოფებს ვისწორებთ. ხომ უკვე რამდენიმე დღე გავიდა, რაც ბრძოლები შეწყდა.^{[P]_{SEP}}

გაოცებული ამერიკელები შედგნენ. ლაპარაკს წყვეტენ. ნელ-ნელა გვიახლოვდებიან. ჩვენ ერთი თხრილით უკან ვიხევთ, რათა ბურგიდან მაინც ვიყოთ დაცულნი, დაჭრილებს შუაში ვიქცევთ და ვიცდით... რამდენიმე წამის დუმილის შემდეგ ჯგუფიდან აყლაყუდა ამერიკელი გამოდის და ხელს გვიქნევს.^{[P]_{SEP}}

- ჰელო, ამხანაგო!^{[P]_{SEP}}

ადოლფ ბეთკეც ხელს უწევს.^{[P]_{SEP}}

- ჰელო!^{[P]_{SEP}}

დაძაბულობა ქრება. ამერიკელები უფრო ახლოს მოდიან. ერთი წუთის შემდეგ უკვე ჩვენ გარშემო არიან. აქამდე ასე ახლოს მხოლოდ დაჭრილი ან მკვდარი ამერიკელი თუ გვინახავს.^{[P]_{SEP}}

უჩვეულო მომენტია, მდუმარედ შევცქერით. ნახევარწრეში ვყავართ მოქცეული. მაღალი, ძლიერი ადამიანები; უცებ შეატყობ, რომ ყოველთვის მაძღრისად იკვებებიან. ყველანი ახალგაზრდები არიან - არც ერთი მათგანი არ არის მიახლოებით მაინც ადოლფ ბეთკეს ან ფერდინანდ კობოლუეს ასაკის, თუმცა მათზე გაცილებით ხანდაზმულებიც მოიძებნებიან ჩვენს რიგებში; მაგრამ არც ალბერტ ტროსკესა და კარლ ბრიოგერივით ახალგაზრდა ჰყავთ ვინმე - და

ისინიც არ არიან ჩვენ შორის ყველაზე უმცროსები.<sup>[P]
[SEP]</sup>

ახალი უნიფორმები და შინელები აცვიათ; ზუსტად მორგებული, ნყალგამძლე ჩექმები; ხარისხიანი იარაღი და ტყვიებით სავსე ჭიბეები აქვთ. ყველანი ცოცხლად და ყოჩაღად გამოიყურებიან.<sup>[P]
[SEP]</sup>

მათთან შედარებით ყაჩაღების ბანდას ვგავართ. ჩვენი უნიფორმები მრავალწლიანი ჭუჭყის, არდენის წვიმების, შამპანის კირისა და ფლანდრიის ჭაობებისგან გახუნებულა; შინელები დაცხრილულია, უხეშად დაკემსილი, თიხისა და მიმშრალი სასხლისგან გახამებული; ჩექმები - დაფლეთილი, იარაღი - დიდი ხანია მწყობრიდან გამოსული, ტყვიები გათავების პირასაა. ჩვენ ყველა ერთნაირად მოთხუპნილები, გაველურებულები და ძალაგამოცლილნი ვართ. ომმა ჯერ ჩვენ გადაგვიარა.<sup>[P]
[SEP]</sup>

უფრო მეტი სამხედრო ნაწილი იყრის აქ თავს. მოედანი ახლა სავსეა ცნობისმოყვარეებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჯერ კიდევ კუთხეში ვდგავართ, ჩვენს დაჭრილებს შემოხვეულნი; იმიტომ კი არა, რომ გვემინია, არამედ იმიტომ, რომ განუყოფელნი ვართ. ამერიკელები ერთმანეთს ჩვენს ძველ, გაცრეცილ ნივთებზე ანიშნებენ. ერთ-ერთი მათგანი ბრაიერს თეთრ პურს სთავაზობს. ის არ ართმევს, მიუხედავად იმისა, რომ თვალებში შიმშილი ჩასდგომია. უცებ ვილაც ჩვენი დაჭრილების სახვევებზე ანიშნებს. სახვევები გოფრირებული ქაღალდისაა და ბანრით არის დამაგრებული. ათვალიერებენ, მერე ჯგუფდებიან და ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. მათი თავაზიანი სახეები თანაგრძნობას გამოხატავს,

ხედავენ, რომ დოლბანდიც კი არ გვაქვს. ჯარისკაცი, რომელმაც პირველმა მოგვმართა, ბეთკეს მხარზე ადებს ხელს და ეუბნება:^{[P]_{SEP}}

- გერმანელი კარგი ჯარისკაცი, ყოჩაღი ჯარისკაცი!^{[P]_{SEP}}

ამხანაგები ენერგიულად ეთანხმებიან.^{[P]_{SEP}}

ჩვენ არ ვპასუხობთ - ძალა არა გვაქვს რაიმე ვუპასუხოთ. ბოლო დღეები განსაკუთრებით მძიმე იყო. დღე და ღამე შუა ცეცხლში ვიყავით, ტყუილუბრალოდ ვკარგავდით ამხანაგებს, კითხვების გარეშე მივდიოდით საბრძოლველად, როგორც ყოველთვის, და ჩვენი ორასკაციანი ასეულისგან მხოლოდ ოცდათორმეტი დავრჩით. ბრძოლებს ისე დავაღწიეთ თავი, არაფერზე დავფიქრებულვართ და არაფერი გვიგრძნია: ჩვენ შევასრულეთ ყველაფერი, რაც გვევალებოდა.^{[P]_{SEP}}

მაგრამ ახლა, ამერიკელების თანაგრძნობის გამომხატველი მზერა განსჯის უნარს გვიბრუნებს და ვხვდებით, რა უაზრობა იყო ეს ყველაფერი. ამ მრავალრიცხოვანმა, კარგად შეიარაღებულმა ჯარმა დაგვანახვა, რა განწირულია ბრძოლა, როცა მონინააღმდეგეს ამხელა უპირატესობა აქვს.^{[P]_{SEP}}

ტუჩებს ვიკვნეტთ და ერთმანეთს შევცქერით. ბეთკე ამერიკელის ხელიდან ითავისუფლებს მხარს, კობოლე წინ იყურება. ლუდვიგ ბრაიერი სწორდება. ჩვენ უფრო მაგრად ვბლუჯავთ თოფებს, სხეული გვეძაბება, კვლავ თვალდაუხრელნი, მოქუფრულნი შევცქერით გზას, საიდანაც მოვედით. აღელვებისგან ვიძაბებით და ცეცხლს გვიკიდებს იმაზე ფიქრი, რა გამოვიარეთ, რა ტანჯვას გავუძელით.^{[P]_{SEP}}

არ ვიცი რა გვემართება; მაგრამ საკმარისია ერთი უხეში სიტყვა, რომ ავინწყვიტოთ, გვინდა თუ არა, თავს დავესხათ სუნთქვაშეკრულნი, ველური ჟინით; გაგიჟებულებმა და თავგზააბნეულებმა ვიბრძოლოთ - ყველაფრის მიუხედავად, ისევ ვიბრძოლოთ.^[P SEP]

ერთი ჩასკვნილი სერჟანტი, სახე რომ გასწითლებია, ჩვენკენ მოიწევს და კობოლეს გერმანული სიტყვების კორიანტელს ატეხს თავზე. ფერდინანდი განცვიფრებისგან შემცხარი დგას.^[P SEP]

- ზუსტად ჩვენსავით სუფთა გერმანულით ლაპარაკობს, - ეუბნება ბეთკეს გაკვირვებული, - რას იტყვი?^[P SEP]

ჭარისკაცი უკეთესად და უფრო თავისუფლად ლაპარაკობს, ვიდრე კობოლე. ის ამბობს, რომ ომამდე დრემდენში იმყოფებოდა და იქ ბევრი მეგობარი ჰყავს.^[P SEP]

- დრემდენში? - ეკითხება კობოლე სულ უფრო გაოგნებული, - მეც იქ გავატარე ორი წელი.^[P SEP]

სერჟანტი იღიმება, თითქოს ჭილდო მიიღო. ის იმ ქუჩას ასახელებს, სადაც ცხოვრობდა.^[P SEP]

- ხუთი წუთის სავალიც არაა იმ ადგილამდე, სადაც ვცხოვრობდი, - გვიხსნის ფერდინანდი აღელვებით, - როგორ მოხდა, რომ არ შევხვედრივართ! ქვრივ პოლას თუ იცნობდით, იოჰანისგასეს კუთხეში? მსუქანი, შავთმიანი, ჩემი დიასახლისი იყო.^[P SEP]

მართალია, სერჟანტი მას არ იცნობდა, მაგრამ ძალიან კარგად იცნობდა მრჩეველ ცანდერს, რომელიც კობოლემ ვერ გაიხსენა. სამაგიეროდ, ორივეს კარგი მოგონებები აკავშირებდა ელბასთან,

სასახლესთან; ორივეს ისე გაებადრა სახე, თითქოს კარგა ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. ფერდინანდი სერჟანტს მხარზე ხელს ურტყამს.^{[P]_{SEP}}

- ბიჭო, რა კარგად ლაპარაკობს გერმანულად, და დრეზდენშიც ნამყოფია! კაცო, რა გვქონდა ჩვენ გასაყოფი, რატომ ვიომეთ?^{[P]_{SEP}}

სერჟანტი იცინის. არც მან იცის, რატომ იომა. ჭიბიდან ერთი კოლოფი სიგარეტი ამოაქვს და კობოლეს უწვდის, ის სწრაფად ართმევს, რადგან ერთი ღერი კარგი სიგარეტისთვის ყველა ჩვენგანი სულს მისცემს, რადგან ჩვენ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ნიფლის ფოთლებისა და თივისგან გაკეთებულ სიგარეტებს ვაბოლებთ. ჩვეულებრივად კი, როგორც ვალენტინ ლაერი ამბობს, ცხენის გამხმარ ფუნასთან შერეულ წყალმცენარეებს ვწნევით - ვალენტინს კი ამგვარ რამეებში ჭიპი აქვს მოჭრილი. ნამდვილად დაეჭვრება.^{[P]_{SEP}}

კობოლე ნეტარებით უშვებს ბოლს პირიდან, ჩვენ ხარბად ვისუნთქავთ. ლაერი ფითრდება. ნესტოები უთამაშებს.^{[P]_{SEP}}

- ერთი ნაფაზი დამარტყმევიწე, - მუდარის ტონით მიმართავს ფერდინანდს, მაგრამ, სანამ სიგარეტს გამოართმევდეს, სხვა ამერიკელი ვირჯინიული თამბაქოს კოლოფს უწვდის. ვალენტინი უნდობლად შესცქერის ამერიკელს. შემდეგ კოლოფს ართმევს, ყნოსავს და სახე უნათდება. უგუნებოდ უბრუნებს კოლოფს. მაგრამ ამერიკელი ხელს გვერდზე უწევს და ლაერის ქუდზე დამაგრებულ კოკარდაზე

უთითებს, საველე ტომარაზე რომ დევს.^{[P]_{SEP}}

ვალენტინი ვერ ხვდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მას სურს თამბაქო კოკარდაზე გაგიცვალოს, - უხსნის დრეზდენელი სერჟანტი. ლაერი კიდევ უფრო იბნევა. ამ საუკეთესო თამბაქოს ამ გაცვეთილ კოკარდაში - ეტყობა ნაყლაპი აქვს. ვალენტინი ვერ შეეღეოდა თამბაქოს კოლოფს, უნტერ-ოფიცრის ან თუნდაც ლეიტენანტის ადგილიც რომ შეეთავაზებინათ. ის ქუდს უწვდის, თავის კოკარდიანად და აკანკალებული ხელით ხარბად ტენის ჩიბუხს თამბაქოთი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ახლა კი ვხვდებით, რაშია საქმე: ამერიკელებს სურთ რაღაცები გაგიცვალონ. ემჩნევათ, რომ დიდი ხანი არაა, რაც ომში არიან; ჯერ კიდევ სუვენირებს აგროვებენ - სამხრეებს, კოკარდებს, ქამრის ბალთებს, ორდენებს, უნიფორმის ღილებს. ჩვენ კი სანაცვლოდ მივიღებთ საპონს, სიგარეტებს, შოკოლადებს და კონსერვებს. ჩვენს ძაღლში კი ერთ მუჭა ფულს იძლევიან - მაგრამ რაც უნდა შემოგვთავაზონ, ვოლფი ჩვენთან დარჩება. ჩვენს დაჭრილებსაც გაუმართლათ. ერთმა ამერიკელმა, პირი სავსე რომ ჰქონდა ოქროს კბილებით და ისე უელავდა, როგორც სპილენძის საამქრო, მოინდომა დაჭრილების სისხლიანი სახვევების დასაკუთრება, რათა სახლში დაემტკიცებინა, რომ ისინი მართლაც ქაღალდისგან იყო გაკეთებული. გემრიელ კექსს გვთავაზობს და, რაც მთავარია, სახვევების მთელ გროვას. ძაღზე კმაყოფილი, ფრთხილად ალაგებს ქაღალდის ჭუჭყიან სახვევებს თავის აბგაში, განსაკუთრებული სიფრთხილით კი - ლუდვიგ ბრაიერის ძონძებს; ხუმრობა ხომ არ არის - ეს ლეიტენანტის სისხლია!

სთხოვს, ლუდვიგმა ნაგლეჯზე ფანქრით დააწეროს ადგილისა და თავისი სახელი და სამხედრო ნაწილის ნომერი. ყველა უნდა დაარწმუნოს თავის სიმართლეში. ლუდვიგი ჯერ წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ ვაილი ითანხმებს, რადგან სახვევები გვაკლია. გარდა ამისა, ბრაიერის დიზენტერიისთვის კექსი პირდაპირ მისწრებაა. ყველაზე ჭკვიანურად კი ლედერჰოზე იქცევა. მას ორდენებით სავსე ყუთი მოაქვს, რომელიდაც მიტოვებულ კანცელარიაში რომ უპოვია. მასავით ლიმონივით ყვითელ, დაჭმუჭნილსახიან ამერიკელს სურს მთელი ყუთი ჩაიგდოს ხელში. ლედერჰოზე მოჭუტული თვალებით დიდხანს და გამჭოლი მზერით უყურებს, ამერიკელი მის მზერას ასევე გაუნძრევლად და მოჩვენებითი უცოდველობით ხვდება. ამნუთას ორივენი ძმებივით ჰგვანან ერთმანეთს. ახლა კი ვაჭრული სული, ყველაფრისთვის რომ გაუძლია, ომზეც იმარჯვებს და სიკვდილზეც.^[58]

ლედერჰოზეს მონინააღმდეგე მალე ამჩნევს, რომ აქ ვერაფერს გააწყობს, არტურისთვის საცალო ვაჭრობა უფრო მისაღებია და ისიც ვაჭრობს მანამ, სანამ ყუთი არ დაცარიელდება. თანდათან მის გვერდით ნივთების გროვა ხვავდება, მათ შორისაა კარაქი, საპონი, აბრეშუმი, კვერცხები და თეთრეული. ბოლოს კი ლედერჰოზე მოღრეცილფეხებიან სავაჭრო დახლს ემსგავსება.^[59]

მივდივართ. ამერიკელები შეძახილებითა და ხელის ქნევით გვემშვიდობებიან. განსაკუთრებით თავს არ იზოგავს სერჟანტი. კობოლევს კი დელავს, რამდენადაც მოხუც მებრძოლს ძალუძს აღელვება. გამოსამშვიდობებლად რაღაცას ბურტყუნებს და ხელს

უქნევს; მაგრამ ეს ყველაფერი მუქარასავით გამოსდის. შემდეგ ბეთკეს მიმართავს: [P] [SEP]

- ძალიან კარგი ბიჭები არიან, არა? [P] [SEP]

ადოლფი ეთანხმება. მდუმარედ ვაგრძელებთ გზას. ფერდინანდს თავი ჩაუქინდრავს. ის ფიქრობს. ამას ხშირად არ აკეთებს, მაგრამ თუ რაიმეს ჩაიდებს გულში, მაშინ ჭიუტად და დიდხანს უტრიალებს. დრემდენელ სერჟანტზე ფიქრობს. [P] [SEP]

სოფლებში ხალხი გვათვალისწილებს. რკინიგზის მეისრის ჭიხურში ყვავილები ფანჯარაზე გამოუდგამთ. მკერდსავსე ქალი ბავშვს ძუძუს აწოვებს. მას ცისფერი კაბა აცვია. ძაღლები გვიყვებენ. ვოლფიც ყვეით პასუხობს. გზაზე მამალი დედალს ახტება. ჩვენ უაზროდ ვენწევით. [P] [SEP]

მარშით სიარული. სავლელე ლაზარეთის ბონა. სურსათით მომარაგების ბონა. დიდი პარკი ჭადრებით, ხეების ქვეშ საკაცეები და დაჭრილები. ფოთლები ცვივა და ყველაფერს ნითლად და ოქროსფრად ფარავს. [P] [SEP]

გაზით მონამლულების ლაზარეთი, მძიმე ავადმყოფთათვის, რომელთა ტრანსპორტირება შეუძლებელია. ლურჯი, ცვილის მსგავსი მწვანე სახეები, ჩაფერფლილი, მუავით ამოჭმული თვალები, მოხიხინე, მოგუდული, მომაკვდავი ადამიანები. ყველა გაქცევას აპირებს, ტყვედ ჩავარდნის ეშინიათ. თითქოს სულერთი არ იყოს, სად მოკვდებიან. [P] [SEP]

ვცდილობთ დავამშვიდოთ, ვარწმუნებთ, ამერიკელები უკეთ მოგხედავენო, მაგრამ მათ არაფრის გაგონება არ სურთ. ისევ და ისევ გვიყვირიან და გვთხოვენ, თან წავიყვანოთ. [P] [SEP]

საშინელი ხმით გვიხმობენ, ამ გამჭვირვალე ჰაერში მათ სახეებს არაამქვეყნიური იერი ადევს. ყველაზე საშინელი შესახედავი კი მათი წვერია. გაბურძენიან და შავი სოკოებივით უცნაურად მოზრდიან ნიკაპის გარშემო. ბოგიერთი მძიმედ დაჭრილი ბავშვივით იშვერს თავის გამხდარ, ნაცრისფერ ხელებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გთხოვთ ნამიყვანოთ, ძმებო, - გვევედრებიან, - გთხოვთ ნამიყვანოთ!<sup>[P]
[SEP]</sup>

მათ თვალებს უცხო, ღრმა ჩრდილი დასწოლია, ამ ჩრდილში კი მათი გუგები ჩაძირულა. სხვები ჩუმად არიან. სადამდეც შეუძლიათ, თვალს გვაყოლებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

თანდათან ძახილი სუსტდება. გზა ზღაბგნით მიიწევს წინ. ბევრ რამეს მივათრევთ, რაღაც ხომ უნდა მივიტანოთ სახლში. ღრუბლები ცას გამოჰკიდებია. ნაშუადღევს მზე ღრუბლებიდან ანათებს და არყის ხეები გზაზე დამდგარ გუბურებში ირეკლება. მსუბუქი, ცისფერი ნისლი ტოტებს დაჰკიდებია.<sup>[P]
[SEP]</sup>

მივდივარ, ზურგზე აბგა მაქვს მოგდებული, ქვემოთ ვიყურები. გზის პირას, წვიმის წკრიალა გუბურებში, აბრეშუმით ნათელი ხეების სურათი ირეკლება. ამ მოულოდნელ სარკეში ყველაფერი გაცილებით ნამდვილია, ვიდრე რეალობაში. ყავისფერ მიწაში ჩაგუბებულა ცა და ხეები, სიღრმე და გამჭვირვალება; ვუმზერ და ჟრუანტელი მივლის... ამდენი ხნის განმავლობაში პირველად ვგრძნობ, რომ რაღაც მშვენიერია... რომ უბრალოდ ლამაზია. ლამაზია და კამკამაა წყლის გუბურაში არეკლილი ეს სურათი - ამ ჟრუანტელისგან გულს ბაგაბუგი

გააქვს. უცებ, ერთ ნამში ვთავისუფლდები ყველაფრისგან და პირველად ვგრძნობ: მშვიდობაა, ვხედავ: მშვიდობაა. მთელი სხეულით ვგრძნობ: მშვიდობაა. სიმძიმე, აქამდე რომ არ მშორდებოდა, შემსუბუქდა; უცნობი, ახალი რაღაც ამოფრინდა ჩემგან - თოლია, თეთრი თოლია; მშვიდობა, მთრთოლარე ჰორიზონტი, მთრთოლარე მოლოდინი, პირველი მზერა, წინათგრძნობა, იმედი და მომავალი: მშვიდობა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვკრთები და ირგვლივ ვიყურები; იქ, უკან, ჩემი ამხანაგები საკაცეებზე წვანან და კვლავ ყვირიან. მშვიდობა დადგა, და მიუხედავად ამისა, ისინი სასიკვდილოდ არიან განწირულნი. მე კი სიხარულისგან ვკანკალებ და არ მრცხვენია. უცნაურია ეს ყველაფერი.<sup>[P]
[SEP]</sup>

შეიძლება ომებს იმიტომ არა აქვს დასასრული, რომ ჩვენ, ადამიანებს, არ შეგვიძლია ბოლომდე ვიგრძნოთ ის, რასაც გრძნობს ჩვენ გვერდით მდგომი.<sup>[P]
[SEP]</sup>

2.^{[P] [SEP]}

ნაშუადღევს გლეხის ეზოში ვსხედვართ. ჩვენი ასეულის მეთაური, ობერლეიტენანტი ჰეელი, ფაბრიკის ბიუროდან გამოდის და გვიხმობს. ბრძანებაა, - ნდობით აღჭურვილი პირები უნდა ავირჩიოთ. ჩვენ გაოცებულნი ვართ ამ ამბით. აქამდე ამგვარი რამ არ ყოფილა.<sup>[P]
[SEP]</sup>

მაქს ვაილი შემოდის ეზოში დაგვიცხადებს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბერლინში რევოლუციაა.^{[P][SEP]}

ჰეელი მკაცრად პასუხობს.^{[P][SEP]}

- სისულელეა, ბერლინში არეულობაა.^{[P][SEP]}

მაგრამ ვაილს არ დაუმთავრებია.^{[P][SEP]}

- კაიზერი პოლანდიაში გაიქცა.^{[P][SEP]}

ეს ამბავი გვაფხიზლებს. ალბათ ვაილი გაგიჟდა. ჰეელი ჭარხალივით წითლდება და ყვირის.^{[P][SEP]}

- წყეულო მატყუარავ!^{[P][SEP]}

ვაილი გაბეთს ანოდებს. ჰეელი გაბეთს ჭმუჭნის და გაცოფებული აშტერდება. ის ვაილს ვერ იტანს, რადგან ვაილი ერთი წყნარი ებრაელია, რომელიც მუდამ სადღაც ბის და წიგნს კითხულობს. ჰეელს კი ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამინა - ქალამნად.^{[P][SEP]}

- რას ჩმახავ! - ბურტყუნებს და ისე უყურებს ვაილს, თითქოს შეჭმას უპირებდეს.^{[P][SEP]}

მაქსი ქურთუკს იხსნის და შიდა ჭიბიდან გაბეთის მეორე, საგანგებო გამოშვებას იღებს. ჰეელი დახედავს ფურცელს, შემდეგ ხელიდან გლეჯს, ნაკუნებად აქცევს და სახლში შედის. ვაილი აკონინებს ნაგლეჯებს და უკანასკნელ ცნობებს გვიკითხავს. ჩვენ მთვრალი ქათმებივით ვსხედვართ. არავის არაფერი ესმის.^{[P][SEP]}

- მას თითქოს სამოქალაქო ომის თავიდან აცილება უნდოდა, - ამბობს ვაილი.^{[P][SEP]}

- სისულელეა, - ყვირის კობოლე, - ამის თქმას ფრონტზე ვინ გაბედავდა, ეშმაკმა დალახვროს, ამისთვის ვიყავით ამდენ ხანს აქ?^{[P][SEP]}

- იუპ, მიჩქმითე, მართლა აქ ვარ? - ამბობს ბეთვე თავის ქნევით. იუპი უდასტურებს.^{[P][SEP]}

- მაშინ ალბათ მართალია, - აგრძელებს ბეთვე, - მიუხედავად ამისა, არაფერი მესმის. რომელიმე ჩვენგანს რომ ჩაეძინა ეს, მაშინვე კედელთან მიაყენებდნენ.^{[P][SEP]}

- ვესლინგზე და შროდერზე აღარაფერს ვამბობ, - ამბობს კობოლე და ხელებს მუშტავს.^{[P][SEP]}

- თორემ გული გამეგლიჯება. ცხვირმოუხოცავი ღლაპი - შროდერი, ბავშვი, მინაზე გართხმული წევს და ის, ვისთვისაც ის დაეცა, ითესება! რა სიდამპლეთა! - ქუსლს ურტყამს ლუდით სავსე კასრს.^{[P][SEP]}

ვილი ჰომეიერი გულდანყვევით იქნევს ხელს.^{[P][SEP]}

- სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, ეს ადამიანი ჩემთვის, უბრალოდ, აღარ არსებობს!^{[P][SEP]}

ვაილი ამბობს, რომ სხვადასხვა დანაყოფში ჯარისკაცთა საბჭოები ყალიბდება. ოფიცრები უკვე აღარ მიუძღვიან ჯარს, ბევრ მათგანს სამხრეებიც კი ჩამოჰგლიჯეს.^{[P][SEP]}

ჰოდა, ვაილმა გადანყვიტა აქაც ჩამოაყალიბოს ჯარისკაცთა საბჭო. მაგრამ მას არავინ უბამს მხარს. ჩვენ აღარაფრის ჩამოყალიბება არ გვინდა. ჩვენ სახლში გვინდა. იქამდე კი უამისოდაც მივალწვეთ.^{[P][SEP]}

საბოლოოდ ნდობით აღჭურვილი პირები აირჩიეს: ადოლფ ბეთვე, მაქს ვაილი და ლუდვიგ ბრაიერი.^{[P][SEP]}

ვაილი ლუდვიგს სთხოვს, რომ მან სამხრეები მოიხსნას.^{[P][SEP]}

- თავში რალაც ვერ გაქვს კარგად, - ამბობს ლუდვიგი და თითს

მუბღზე იკაკუნებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბეთვე ვაილს უკან სწევს და მოკლედ ამბობს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ლუდვიგი ხომ ჩვენია.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგ ბრაიერი მოხალისეა, მან ფრონტზე მიიღო ლეიტენანტის ჩინი. ის შენობით მოგვემართავს, არა მარტო ჩვენ - ტროსკეს, ჰომეიერს, ბროგერს და მე - რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ჩვენ მისი თანასკოლელები ვართ - არამედ, თუ სხვა ოფიცერი არ არის შორიახლოს, თავის უფროს ამხანაგებსაც. და ეს მის დამსახურებად ითვლება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგრამ ჰეელი? - თავისას არ იშლის ვაილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ეს გასაგებია. ჰეელი ხშირად ავინროვებდა ვაილს და სულ არაა გასაკვირი, რომ ახლა უნდა, სამაგიერო გადაუხადოს. ჩვენ ფეხებზე გვკიდია. მართალია, ჰეელი ხანდახან უხეში იყო, მაგრამ არასდროს დაუხევეია უკან. ამას კი ჭარისკაცები აფასებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მიდი და დაელაპარაკე, - ამბობს ბეთვე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თან სახვევები და ბამბაც წაიღე, - მიამახებს ტიადენი.<sup>[P]
[SEP]</sup>

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად ვითარდება. ჰეელი სწორედ მაშინ გამოდის ბიუროდან, ვაილი რომ იქ შესვლას აპირებს. მას რამდენიმე ფორმულარი უჭირავს ხელში და მათზე უთითებს ვაილს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყველაფერი სწორია, - ამბობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვაილი ლაპარაკს იწყებს, სამხრეების ხსენებისას ჰეელი მოულოდნელ მოძრაობას აკეთებს. ჩვენ ველოდებით, რომ ახლა აყალმაყალი ატყდება, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, ასმეთაური

მხოლოდ ორ სიტყვას ამბობს.^[P]_[SEP]

- მართალი ხართ!^[P]_[SEP]

შემდეგ ლუდვიგთან მიდის და მხარზე ხელს უთათუნებს.^[P]_[SEP]

- ალბათ ძნელია ამის გაგება, ბრაიერ? ჯარისკაცის მაზარა, მხოლოდ ესლა დაგვრჩა, დანარჩენი უკვე აღარ არსებობს.^[P]_[SEP]

ყველანი ვდუმვართ, ეს ის ჰეელი აღარ არის, ვისაც ვიცნობდით - ღამით, დასაზვერად წასულს მხოლოდ ჯოხი რომ ეჭირა ხელში და კერკეტი კაკალივით იყო; ახლა ჩვენ წინ ადამიანია, რომელიც ძლივს დგას ფეხზე და ლაპარაკიც უჭირს.^[P]_[SEP]

გვიან ღამით, მძინარეს, ჩურჩული მალვიძებს.^[P]_[SEP]

- შენ რა, სრულ ჭკუაზე ხარ? - მესმის კომოლეს ხმა.^[P]_[SEP]

- მართლა, - არწმუნებს ვილი, - ნამოდი, თავად ნახე.^[P]_[SEP]

წამოხტნენ და ებოში გავარდნენ. მივყვები. ბიუროში სინათლეა, ყველაფერი კარგად ჩანს. ჰეელი მაგიდას უბის, წინ მაზარა უდევს, რომელსაც სამხრეები აგლეჯილი აქვს. სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია, თავი ხელებში ჩაურგავს, და - მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, ერთი ნაბიჯით ვუახლოვდები - ჰეელი, ჰეელი ტირის!^[P]_[SEP]

- რა ხდება? - ჩურჩულებს ტიადენი.^[P]_[SEP]

- გადი! - ამბობს ბეთკე დატიადენს თავში წამოარტყამს. გაოგნებულები უკან მივიპარებით.^[P]_[SEP]

მეორე დღეს ჩვენამდე აღწევს ხმა, მეზობელი ნანილის უფროსმა თავი ჩამოიხრჩო, როცა კაიზერის გაქცევის ამბავი შეიტყო.^[P]_[SEP]

ჰეელი მოდის, უძინარია და სახეზე მწვანე ფერი ადევს. ჩუმაღ

იძლევა საჭირო განკარგულებებს. შემდეგ კვლავ მიდის. საზარელ ხასიათზე ვართ. უკანასკნელი რამ, რაც გაგვაჩნდა, წაგვართვეს, ფეხქვეშ მინა გამოგვაცალეს.^{[P]_{SEP}}

- ნამდვილად გვიღალატეს, - ამბობს კოზოლე ნარბშეკრული. უკვე სხვა რაზმი ვართ, იმ რაზმს არ ვგავართ, გაშმაგებით რომ მიიწევდა წინ. კოლონებად ვენწყობით და კვლავ მივდივართ: თავგზააბნეული ასეული. მიტოვებული არმია.^{[P]_{SEP}}

სანგრის ინსტრუმენტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე მონოტონურ მელოდიას იმეორებს - ტყუილუბრალოდ, ტყუილუბრალოდ...^{[P]_{SEP}}

მხოლოდ ლედერჰობვა ჩიტივით მხიარული. ის თავისი ამერიკული ნადავლიდან კონსერვებს და შაქარს ყიდის.^{[P]_{SEP}}

მეორე საღამოს უკვე გერმანიაში ვართ. ახლა, როცა ფრანგული ლაპარაკი აღარ გვესმის, ნამდვილად გვჭერა, რომ მშვიდობა დადგა. გულის სიღრმეში, აქამდე სულ გვეშინოდა, კვლავ სანგრებში დაბრუნების ბრძანება არ მიგველო. ჯარისკაცს ხომ არ სჭერა სიკეთის და ურჩევნია, თავიდანვე რაიმე ცუდს ელოდეს. მაგრამ თანდათან ტკბილი სითბო გვეღვრება ტანში.^{[P]_{SEP}}

ერთ დიდ სოფელში შევდივართ. ქუჩები დამჭკნარი გირლანდებით არის მორთული. ალბათ მრავალ არმიას ჩაუვლია აქ და ბოლო ასეულებისადმი ინტერესი უკვე დაუკარგავთ. იძულებულნი ვართ, გეპირი მისალმებითა და მწვანე ქაღალდისგან გამოჭრილი მუხის ფოთლების ჩარჩოიანი თითო-ოროლა პლაკატით დავკმაყოფილდეთ. იქვე მდგარი ხალხი თვალსაც კი არ გვაყოლებს, მიეჩვივნენ

ჩვენაირების ხილვას. ჩვენთვის კი აქ ჩამოსვლა ახალია, მონყურებული ვართ თბილ, თავაზიან სიტყვებსა და მზერას, თუმცა ვამტკიცებთ, რომ ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რა იქნებოდა, გოგონებს მაინც რომ დაექნიათ ხელი... ტიადენი და იუპი გამუდმებით ცდილობენ, მათ ხმა მიაწვდინონ, მაგრამ ამაოდ. ალბათ ძალიან გაუბედურებულები ვჩანვართ. ბოლოს ისინიც ჩერდებიან.^{[P]_{SEP}}

მხოლოდ ბავშვები გვაცილებენ. ხელიხელჩაკიდებული მივდივართ. შოკოლადის ნატეხებს ვჩუქნით, რაც გვემეტება, რადგან სახლშიც გვინდა რაღაც მივიტანოთ.^{[P]_{SEP}}

ადოლფ ბეთკეს პატარა გოგონა აჰყავს ხელში. პატარა მის უღვაშს ეთამაშება, თითქოს აღვირი იყოს და იცინის. ადოლფს რაღა დარჩენია, სახეს მანჭავს. გოგონა ხელებს უტყაპუნებს სახეში. ადოლფი ერთ ხელს იჭერს და მაჩვენებს, რა პანანააო.^{[P]_{SEP}}

ადოლფი აღარ ეთამაშება და ბავშვი ტირილს იწყებს. ადოლფი ცდილობს დაამშვიდოს, მაგრამ გოგონა ტირილს უმატებს და იძულებულია, ძირს ჩამოსვას.^{[P]_{SEP}}

- ალბათ ბავშვების საფრთხობელად ვიქეცით, - ბურტყუნებს კომოლფე.^{[P]_{SEP}}

- რა თქმა უნდა, ამინებთ სანგრის სიფათი, ეს მათთვის საშიშია, - განმარტავს ვილი.^{[P]_{SEP}}

- სისხლის სუნი აგვდის, ამის ბრალია ყველაფერი, - ამბობს ლუდვიგ ბრაიერი.^{[P]_{SEP}}

- ჰო, ერთი კარგი ბანაობა არ გვანწყენდა, - ოცნებობს იუპი, - მაშინ გოგონებიც მოგვაქცევდნენ ყურადღებას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მარტო ბანაობა რომ შველოდეს საქმეს, - პასუხობს ჩაფიქრებული ლუდვიგი.<sup>[P]
[SEP]</sup>

გუნებანამხდარნი ვაგრძელებთ გზას. წლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება სხვანაირად წარმოგვედგინა. გვეგონა, რომ გველოდებოდნენ; ახლა კი ვხედავთ, რომ ყველა თავისი თავით არის დაკავებული. ყველაფერი, ჩვეულებრივ, წინ მიდის, ჩვენ ალბათ ბედმეტნი ვართ. ეს სოფელი, რა თქმა უნდა, არ არის მთელი გერმანია, მაგრამ წყნა მაინც გვახრჩობს, უჩვეულო წინათგრძნობას შევეუპყრივართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ეტლები დაქრის, მეეტლები ყვირიან, ადამიანები წამიერ მზერას გვტყორცნიან და კვლავ თავიანთ საფიქრალსა და საზრუნავს უბრუნდებიან. ეკლესიის კომპურაზე საათი რეკავს, სველი ქარი სახეში გვცემს. მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი, გრძელი თავსაბურავით, მუხლჩაუხრელი დარბის ჩვენს რიგებში და აკანკალებული ხმით გვეკითხება, ვინმე ერჰარდ შმიდტი ხომ არ შეგხვედრიათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ერთ დიდ ნალიაში დავბინავდით. მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ ბევრი ვიარეთ, ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ მოისვენა. დუქნებისკენ გავწიეთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

იქ სიცოცხლე ჩქეფს. დუქანში ამ წელს მონეული, ახალი, გემრიელი ღვინო აქვთ და თანაც ისეთი მაგარი, რომ მაშინვე თავში გირტყამს კაცს. კარგად ვსხედვართ. თამბაქოს კვამლი დაბალ ჭერზე

მიიზღაზნება, ღვინოს კი მზისა და მინის სურნელი დაჰკრავს. აბგებიდან კონსერვებს ვიღებთ და ხორცს მოზრდილ ბუტერბროდებზე ხვავრიელად ვალაგებთ. დანებს იქვე, მაგიდაზე ვარჭობთ და ვჭამთ. ნავთის ლამპა, მშობლიურად, თბილ შუქს გვფენს.^[55]

საღამო სამყაროს უფრო მშვენიერს ხდის, ოღონდ არა სანგრებში, არამედ მშვიდობის ჟამს. ამ ნაშუადღევს სოფელში ნაღვლიანები შემოვედით, ახლა კი გამოვცოცხლდით. პატარა ორკესტრს, კუთხეში რომ უკრავს, ჩვენ ვავსებთ. ჩვენ შორის აღმოჩნდნენ არა მარტო ფორტეპიანოსა და ჰარმონიკაზე დამკვრელები, არამედ ერთი ბავარიელი, ბას-გიტარის პროფესიონალიც. ამას დაემატა ვილი ჰომეიერი, რომელმაც სახელდახელოდ, რაღაც სასწაულით, ვიოლინო შეაკონინა და ქვაბის სახურავებით, ლიტავრებისა და ფუნების მაგივრობას რომ უწევს, „დიდებას და ბრწყინვალეებას“ უბერავს. მაგრამ რასაც ყველაზე უფრო მონატრებულნი ვართ და რაც ღვინოზე მეტად გვივარდება თავში, ეს გოგოებია. ისინი შუადლით ნანახ გოგოებს არ ჰგვანან, იცინიან და ხელმისაწვდომნი არიან. ან იქნებ გვეჩვენება ასე? დიდი ხანია, რაც გოგონები არ გვინახავს. თავიდან ჟინმა და გაუბედაობამ თანაბრად შეგვიპყრო, ჩვენი თავის იმედი არ გვექონდა, ამდენი წლის განმავლობაში მათთან ურთიერთობას გადავეჩვიეთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოზოლე უკვე ვალსს ცეკვავს ერთ-ერთ მათგანთან, ერთ წარმოსადგე, ბრუსტვერივით უმველებელმკერდიან „კუდიანთან“, რომლის მკერდშიც თავი ჩაუფლია. სხვებიც მას ჰბაძავენ. ტკბილი, მაგარი

ღვინო სასიამოვნოდ გვიღიტინებს თავში, გოგონების კაბები შრიალებს, მუსიკა ჟღერს, ჩვენ კუთხეში, ადოლფ ბეთკეს შემოვხვევივართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ძმებო, - ამბობს ის, - ხვალ ან ზევ უკვე სახლში ვიქნებით. ძმებო, ძმებო, ჩემი ცოლი უკვე ათი თვეა, რაც..<sup>[P]
[SEP]</sup>

მე მაგიდაზე ვარ გადანოლილი და ვალენტინ ლაერს ვესაუბრები, ცივად და დაფიქრებით რომ აფასებს გოგონებს. ქერათმიანი გოგონა მის გვერდით ზის, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. როცა მაგიდაზე გადავწევი, ვიგრძენი, რომ ხალათიდან მაგიდის კიდეს რაღაც აწვება. ეს ჰენრიხ ვესლინგის საათია. რა შორსაა ახლა ყველაფერი ეს!<sup>[P]
[SEP]</sup>

იუპს ჩაპუტკუნებული ქალი ჩაუბღუჯავს, კითხვის ნიშანს მიაგავს მასთან მოცეკვავე. უზარმაზარი ტორი გოგონას ფართო თეძოზე უდევს და ზედ ფორტეპიანოსავით უკრავს. გოგონა სველი ტუჩებით უღიმის და ისიც სულ უფრო მეტად თამამდება. ებოში მიიპარება, უკვე გარეთაა.<sup>[P]
[SEP]</sup>

რამდენიმე ნუთის შემდეგ გარეთ გავდივარ განმარტოებული კუთხის საპოვნელად, და ვპოულობ კიდევ ასეთ ადგილს, მაგრამ იქ უკვე გაოფლილი უნტერ-ოფიცერი მხვდება თავის გოგონასთან ერთად. ბაღში დავბორიალებ და აი, როგორც იქნა, დავაპირე ჩემი საქმის დაწყება, რომ უკან რაღაც გაბრაახუნდა. შემოვბრუნდი და დავინახე - იუპი თავის მსუქანასთან ერთად მინაზე გაგორებულა. მათ ბაღის მაგიდა გადატრიალებიათ, მსუქანა ფხუკუნებს და ენას მიჩვენებს, იუპი ქშინავს. მე ბუჩქების უკან ვიმალები და ვიღაცას ხელზე

ვაბიჯებ. დაწყველილი ღამეა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რამ დაგაბრძავა, შე ვირო, შენა? - ღრიალებს ვიღაც ბოხი ხმით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა ვიცოდი, ყვეფჩო, აქ რომ იყავი წამოგორებული? - ვპასუხობ
გაბრაზებული და ძლივს გავდივარ სამშვიდობოს.<sup>[P]
[SEP]</sup>

გრძელი ნიავი გაბოლილი დარბაზის შემდეგ, სახლების მუქი
სახურავები, ფოთლები, შარდის ჩუმი, მშვიდი დგაფუნი... ალბერტი
მოდის და ჩემ გვერდით დგება. მთვარე ანათებს. მთვარის შუქზე ჩვენს
შარდს ვერცხლისფერი დაჰკრავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბიჭო, ერნსტი ხარ? - მეკითხება ალბერტი.<sup>[P]
[SEP]</sup>

მე თავს ვუქნევ. ცოტა ხანს ისევ შევცქერით მთვარეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნუთუ ყველა ეს საშინელება უკან დაგვრჩა, ალბერტ, რას იტყვი?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეშმაკმა დასწყველოს, ჰო, ერნსტ...<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ უკან რაღაც კრუტუნებს და ტკაცუნობს. ბუჩქებიდან გოგოების
აღტაცებული, მოგუდული ჭყლიპინი ისმის. ღამე ჭექა-ქუხილივით
მომსკდარი სიცოცხლით იმუხტება და ორივეს გიჟური ცეცხლი წვავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბაღში ვიღაც კვნესის, ქირქილით პასუხობენ. ჩრდილები გამოდიან
სათივიდან. ორნი ერთ კიბეზე. კაცს გიჟივით ჩაურგავს თავი ქალის
ქვედატანში და რაღაცას ბურტყუნებს. ქალი ჩახლექილი ხმით იცინის,
და ეს სიცილი ჭაგრისივით კანრავს ჩვენს ნერვებს. ტანში ჟრუანტელი
მივლის. რა ახლოსაა გუშინ და დღეს, სიკვდილი და სიცოცხლე.<sup>[P]
[SEP]</sup>

ტიადენი გაოფლიანებული, გაბრწყინებული სახით გამოდის ბნელი
ბაღიდან.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ძმებო, ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვარ, - ამბობს და

ხალათის დილებს იკრავს.^[P]

სახლს გარს ვუვლით და უცებ ვილი ჰომეიერს ვეჭახებით, რომელსაც ბოსტანში ცეცხლი გაუჩაღებია და რამდენიმე ნაალაფარი კარტოფილი შეუყრია ცეცხლში. ახლა მშვიდად და მეოცნებედ მისჯდომია ცეცხლს და ელოდება, როდის შეინვება. გვერდით ამერიკული კოტლეტების კონსერვები უწყვია, იქვე ძალი ჩაცუცქულა და ელის.^[P]

მოლაპლაპე ცეცხლის სპილენძისფერი ანარეკლი დაჰკრავს მის წითელ თმას. ქვემოთ მდებარე მინდვრებიდან ნისლი ამოდის, ვარსკვლავები ციმციმებენ. ირგვლივ ვუსხდებით და ცეცხლიდან კარტოფილი ამოგვაქვს. კანი დანახშირებული აქვს, მაგრამ შიგთავსი ოქროსფერია და სურნელოვანი. კარტოფილს ორივე ხელით ვბლუჯავთ და ისე ვუბერავთ სულს, როგორც ტუჩის გარმონს. თან ალუმინის მათარებიდან შნაპსსაც ვაყოლებთ.^[P]

რა გემრიელია კარტოფილი! ნუთუ სამყარო უკან ბრუნდება? სად ვართ? პატარა ბიჭები, მინდორში ვსხედვართ და მთელი დღე სურნელოვანი მინიდან კარტოფილს ვიღებთ, ჩვენს ზურგს უკან კი წითელლოყება გოგონები დგანან გახუნებული კაბებითა და კალათებით ხელში? ოჰ, ჩვენი ახალგაზრდობის კარტოფილიანი კოცონები! მინდვრად კვამლის თეთრი ბოლქვები იფანტება, ალი ტკაცუნობს, გარშემო კი სიჩუმეა. კარტოფილს სულ ბოლოს იღებენ, ყველაფერი უკვე მოწეულია - მხოლოდ მინა, სუფთა ჰაერი, მწარე, თეთრი, საყვარელი ბოლი, შემოდგომის მიწურული, მწარე ბოლი,

შემოდგომის მწარე სურნელი, ახალგაზრდობის კარტოფილიანი კოცონი - კვამლი იფანტება, იფანტება და ჰაერს უერთდება. ამხანაგების სახეები. ჩვენ გზაში ვართ. ომი დამთავრდა. ყველაფერი უჩვეულოდ ქრება - კვლავ ბრუნდება კარტოფილიანი კოცონი, შემოდგომა და სიცოცხლე.^[P]^[SEP]

- ბიჭო, ვილი, ვილი...^[P]^[SEP]

- რა იყო? - გვეკითხება და ზემოთ იყურება, ხელები სავსე აქვს კარტოფილით და ხორციტ.^[P]^[SEP]

აჰ, ბატისტინა, მე სულ სხვა რამ ვიგულისხმე.^[P]^[SEP]

ვილი შარვალზე ხელებს ინმენდს და ჭაყვას კეცავს. სოფელში სიჩუმეა, მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმის. აღარსადაა ჭურვების ხმა, არც შეიარაღებული ნაწილების ხმაური, არც „სასწრაფოს“ მანქანების ჩუმი ჭრიალი... ღამე, როდესაც ბევრად ნაკლები ადამიანი მოკვდება, ვიდრე ბოლო ოთხი წლის მანძილზე ყოველ ღამეს კვდებოდა.^[P]^[SEP]

კვლავ ლუდხანაში ვბრუნდებით. მაგრამ იქ ბევრი არაფერი შეცვლილა. ვალენტინი ქურთუკს იხდის და რამდენიმე ილეთს აკეთებს. გოგონები ტაშს უკრავენ, მაგრამ ვალენტინი უკმაყოფილოა. იმედგაცრუებული ეუბნება კობოლეს.^[P]^[SEP]

- ერთ დროს კარგი არტისტი ვიყავი, ფერდინანდ. მაგრამ ახლა ბაზრის დონესაც ვერ ვაკმაყოფილებ. ყველაფერი დაგვკარგე. ვალენტინის საცირკო ნომერი - აი, ეს იყო წარმოდგენა! ახლა კი მხოლოდ რევემატიზმი დამრჩა...^[P]^[SEP]

- აჰ, გიხაროდეს, რომ ძვლები მთელი გამოიტანე, - ამბობს

კობოლე და მაგიდას ურტყამს ხელს, - მუსიკა! ვილი! [P] [SEP]

ჰომეიერი თავისი ლიტავრითა და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტებით დასაკრავად ემზადება. დარბაზს კვლავ გამოცოცხლება ეტყობა. იუპს ვეკითხები, როგორ მოენონა მსუქანა. ის ხელის მოძრაობით იმედგაცრუებას გამოხატავს. [P] [SEP]

- კარგი, რა, - ვეუბნები გაკვირვებული, - ყველაფერს ისე ჩქარა აგვარებ... [P] [SEP]

სახე ემანჭება. [P] [SEP]

- მეგონა ვუყვარდი, გესმის? მან კი, უსირცხვილომ, ფული მომთხოვა. და თანაც იმ ემზაკისეულ ბალის მაგიდაზე მუხლი ისე მივარტყი, რომ ახლაც ძლივს დავდივარ. [P] [SEP]

გაფითრებული ლუდვიგ ბრაიერი მშვიდად უზის მაგიდას. მას კარგა ხანია უნდა ეძინოს, მაგრამ აქედან წასვლა არ სურს. მკლავი უკვე ურჩება, დიზენტერიაც აღარ ანუხებს. მაგრამ ჯერ ისევ თავის თავშია ჩაკეტილი. [P] [SEP]

- ლუდვიგ, - ამბობს ტიადენი მკაცრად, - გადი ბაღში, ასე ატობებს. [P] [SEP]
ლუდვიგი თავს იქნევს და უცებ მეტისმეტად ფითრდება. გვერდით ვუჭდება. [P] [SEP]

- სულ არ გიხარია სახლში დაბრუნება? - ვეკითხები. [P] [SEP]

დგება და მიდის. მისი აღარ მესმის. შემდეგ ვპოულობ, მარტო დგას გარეთ. არაფერს ვეკითხები. მდუმარედ ვბრუნდებით. [P] [SEP]

კართან ლედერჰოზგს ვეჭახებით, მსუქანასთან ერთად აპირებს გაპარვას. იუპი ქირქილებს. [P] [SEP]

- აი, ლედერჰოზესაც სიურპრიზი ელის!

- არა, მსუქანას, - ამბობს ვილი, - არ დაიჭერო, რომ არტური ერთ პფენინგს მაინც გაიმეტებს.

ღვინო მდინარესავით იღვრება მაგიდაზე, ლამპა ბჟუტავს და გოგონების ქვედაკაბები ფრიალებს. დაღლილობა თანდათან მანვება შუბლზე. ყველაფერს შუქის შარავანდედი დაჰყვება, როგორც მანათობელ ტყვიებს ნისლში; დაღლილობისგან თავი ნელ-ნელა მიცურდება მაგიდაზე. ღამე სწრაფი მატარებელივით უჩვეულოდ რბილად მისრიალებს, მალე სახლში ვიქნებით.

3.

ყაზარმის ეზოში უკანასკნელად ვეწყობით. ასეულის ერთი ნაწილი აქვე, შემოგარენში ცხოვრობს, მათ უკვე ნასვლის უფლება მისცეს. დარჩენილებმა თავად უნდა გაიკვლიონ გზა. რკინიგზის მოძრაობა ისე შეზღუდულია, რომ ერთად ვეღარ გადაგვიყვანენ, უნდა დავიშალოთ.

ფართო, რუხი ეზო საკმაოდ დიდია. ნოემბრის ნაღვლიან ქარს, ეზოში რომ დაქრის, განშორებისა და სიკვდილის სუნი დაჰკრავს. სასადილოსა და სადარაჯოს შორის ვდგავართ. მეტი ადგილი არც გვჭირდება. ფართო, ცარიელი ადგილი სევდიან მოგონებებს იწვევს. აქ ურიცხვ რიგებად ჩამწკრივებულან მკვდრები.

ჰველი ასეულს ათვალიერებს. მას თან დაჰყვებიან მკვდარ

წინამორბედთა აჩრდილები. მის უკან ბერტინკი დგას - ყელიდან სისხლმდინარი, გაგლეჯილი ნიკაპითა და ნაღვლიანი თვალებით, წლინახევრის წინ გარდაცლილი ასმეთაური, მასწავლებელი, დაქორწინებული, ოთხი შვილის მამა; ბერტინკის უკან - შავ-ყვითელსახიანი მოლერი, ცხრამეტი წლისა, ასმეთაურად დანიშვნის მესამე დღეს გაბით მონამლული; შემდეგ რედეკერი - მეტყვევ, აფეთქებისგან მიწაში ცოცხლად დამარხული; შემდეგ - უფრო ადრინდელი, ბუტნერი, შეტევისას ტყვიამფრქვევის ტყვიით გულგანგმირული; მის შემდეგ, აჩრდილებივით, უფრო ადრინდელი, უსახელო ასმეთაურები - შვიდი ორ წელიწადში. და ხუთასზე მეტი ჯარისკაცი. ოცდათორმეტი კი ყაზარმის ეზოში ვდგავართ.^{[P]_{SEP}}

ჰეელი ცდილობს გამოსამშვიდობებელი სიტყვა თქვას, მაგრამ არ გამოსდის. ბოლოს ხელს იღებს განზრახვაზე. არ არსებობს ქვეყნად სიტყვა, რომელსაც შეუძლია ანუგეშოს ყაზარმის ცარიელ ეზოში, ასეულის შეთხელებულ რიგებში მდგომნი, თავიანთი ფარაჯებითა და ჩექმებით აქ რომ დაყუდებულან მდუმარედ და მშვიდად და ამხანაგებზე ფიქრობენ.^{[P]_{SEP}}

ჰეელი თითოეულ ჩვენგანთან მოდის და ხელს გვართმევს. მაქს ვაილთან ჩერდება და ტუჩებიდან ცრის:^{[P]_{SEP}}

- აი, დაიწყო შენი დრო, ვაილ.^{[P]_{SEP}}
- ის ნაკლებსისხლიანი იქნება, - პასუხობს ვაილი მშვიდად.^{[P]_{SEP}}
- და ნაკლებად გმირული, - პასუხობს ჰეელი.^{[P]_{SEP}}
- ეს არ არის ერთადერთი რამ ცხოვრებაში, - ამბობს ვაილი.^{[P]_{SEP}}

- მაგრამ საუკეთესოა, - სიტყვას უბრუნებს პეელი. - სხვა რა დარჩა?<sup>[P]
[SEP]</sup>

ვაილი ნუთით ყოყმანობს. შემდეგ ამბობს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ის, რაც დღეს ცუდად ჟღერს, ჰერ ობერლეიტენანტო: სიკეთე და სიყვარული. მათაც ჰყავთ თავისი გმირები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, - პასუხობს პეელი სწრაფად, თითქოს დიდი ხნის ნაფიქრი ჰქონდეს, და შუბლს იჭმუხნის, - მათ მხოლოდ ნამებულები ჰყავთ, ეს სულ სხვა რამეა. გმირობა კი იწყება იქ, სადაც გონება უკან იხევს; მაშინ იწყება, როცა სიცოცხლე უფასურდება. ისაბრის არქონაა, თრობაა, რისკი, როგორც მოგვსენებათ, და არაფერი ესაქმება მიზანთან. მიზანი თქვენი სამყაროა. „რატომ? რისთვის? რის გამო?“ - ვინც ასეთ კითხვებს სვამს, მას გმირობის არაფერი გაეგება.<sup>[P]
[SEP]</sup>

ისე მგზნებარედ ლაპარაკობს, თითქოს საკუთარი თავის დარწმუნება სურსო. ჩამომხმარი სახე უთამაშებს, რამდენიმე დღეში ისეთი სიმწარე ნახა, რომ უცბად დაბერდა. ასევე ჩქარა შეიცვალა ვაილი - იმ უღიმღამო ბიჭისგან, ჭკუა რომ არ მოეთხოვებოდა, ბოლო დროს გამორჩეულ და თავდაჭერებულ ადამიანად იქცა. ვერავინ იფიქრებდა, ასე თუ შეიცვლებოდა. რაც უფრო მეტად ნერვიულობდა პეელი, მით უფრო მშვიდი იყო მაქსი. მან ჩუმად და მტკიცედ თქვა:<sup>[P]
[SEP]</sup>

- რამდენიმე კაცის გმირობა უბედურებად უჯდება მილიონებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

პეელი მხრებს იჩეჩს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- უფრო ძვირი ფასია, მიზანი, მიზანშეწონილობა - ეს თქვენი სიტყვებია, მაგ სიტყვებით შორს ვერ წახვალ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვაილი სამხედრო შინელს ათვალეირებს, ჭერ კიდევ რომ აცვია
ჰეელს.^{[P]_{SEP}}

- თქვენმა სიტყვებმა სად მიგვიყვანა?^{[P]_{SEP}}

ჰეელი ნითლდება.^{[P]_{SEP}}

- მოგონებებთან, - ამბობს მკაცრად, - სულ ცოტა, იმ საგნების
მოგონებებთან, რომელთა ფულით ყიდვა არ შეიძლება.^{[P]_{SEP}}

ვაილი ცოტა ხნით დუმს.^{[P]_{SEP}}

- მოგონებებთან, - იმეორებს და ყაზარმის ცარიელ ეზოსა და ჩვენს
შეთხელებულ რიგებს გადახედავს, - ჰოო... და საშინელ
პასუხისმგებლობასთან.^{[P]_{SEP}}

ჩვენ ამეების არაფერი გაგვეგება. ჩვენ ვიყინებით და სრულიად
ზედმეტად მიგვაჩნია ლაყობა. ლაყობით ხომ ქვეყანას ვერ
შეცვლი.^{[P]_{SEP}}

რიგები თხელდება. გამომშვიდობება იწყება. ჩემს მეზობლად
მდგარი მიუღერი აბგას ისწორებს და პროდუქტებით სავსე პაკეტს
ილლიაში იდებს. შემდეგ ხელს მართმევს.^{[P]_{SEP}}

- აბა, კარგად იყავი, ერნსტ.^{[P]_{SEP}}

- კარგად იყავი, ფელიქს.^{[P]_{SEP}}

შემდეგ ვილისთან, ალბერტთან, კომოლესთანაც მიდის.^{[P]_{SEP}}

გერჰარდ პოლი მოდის, ასეულის მომღერალი, მარშირების დროს
ყველაზე მაღალ ნოტებს რომ იღებდა. ელოდა, სანამ მელოდია ორ
ხმაში გადავიდოდა და ძალამოკრებილი თავისუფლად იღებდა
მაღალ ნოტებს. მის ხალისიან, გარუჭულ სახეს აღელვება ეტყობა,

ახლახან გამოემშვიდობა კარლ ბრიოგერს, თავის უცვლელ პარტნიორს სკატის თამაშისას. გამომშვიდობება არც ისე იოლი აღმოჩნდა.^{[P]_{SEP}}

- მშვიდობით, ერნსტ!^{[P]_{SEP}}

- მშვიდობით, გერჰარდ!^{[P]_{SEP}}

ის მიდის.^{[P]_{SEP}}

ვედეკამპფი მინვდის ხელს - ის ბრძოლის ველზე დაცემულთათვის ჭვრებს ამზადებდა.^{[P]_{SEP}}

- აბა, ერნსტ, მშვიდობით! სამწუხაროა, მაგრამ შენთვის ჭვრის გაკეთებამ არ მომიწია. დასანანია, რა კარგი ჭვარი იქნებოდა, ნითელი ხის როიალის თავი მქონდა გადანახული.^{[P]_{SEP}}

- შეიძლება კიდევ გამოგადგეს, - ვპასუხოვ, - როცა საქმე იქამდე მივა, დეპეშას გამოგიგზავნი.^{[P]_{SEP}}

იცინის.^{[P]_{SEP}}

- ყურადღება არ მოადუნო, ბიჭო, ომი ჯერ არ დამთავრებულა.^{[P]_{SEP}}

შემდეგ მხრების ირიბი ქნევით ნელა გვშორდება.^{[P]_{SEP}}

პირველი ჭგუფი უკვე აღარ დგას ყაზარმის ჭიშკართან. შეფლერი, ფასბინდერი, პატარა ლუკა და აუგუსტ ბეკმანი ნავიდნენ. მათ სხვებიც მიჰყვნენ. ჩვენ ვღელავთ. იმას უნდა მივეჩვიოთ, რომ სამუდამოდ ნავიდნენ. აქამდე მხოლოდ სიკვდილის, დაჭრის ან დათხოვნის მიზეზით ტოვებდნენ ასეულს. ახლა ამას მშვიდობა დაემატა.^{[P]_{SEP}}

უცნაურია ეს ყველაფერი. თხრილებსა და სანგრებს ისე შევეჩვიეთ, რომ უკვე არ ვენდობით ჩვენ ირგვლივ გამეფებულ სიმშვიდეს -

თითქოს სიმშვიდე მხოლოდ მიზეზი იყოს დანაღმულ სივრცეში შესატყუებლად.<sup>[P]
[SEP]</sup>

და აი, უკვე შერბიან ამ სივრცეში ჩვენი ამხანაგები, წინდაუხედავად, მარტო, უიარალოდ, ხელყუმბარების გარეშე. სურვილი გიჩნდება დაედევნო, უკან დააბრუნო და დაუყვირო: საით გარბიხართ, რა გინდათ იქ მარტოდმარტო, ჩვენ ხომ ერთად უნდა ვიყოთ; ჩვენ ხომ სხვანაირად ცხოვრება არ შეგვიძლია.<sup>[P]
[SEP]</sup>

საოცარი ნისქვილის დოლაბი გვიტრიალებს თავის ქალაში: ძალიან დიდხანს ვიყავით ჯარისკაცები. ცარიელი ყაზარმის ეზოში ნოემბრის ქარი დაქრის. სულ უფრო მეტი ამხანაგი გვტოვებს. ალბათ ეს დიდხანს არ გასტანს და ბოლოს ყველა მარტო დავრჩებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენი ასეულის ნარჩენს სახლისკენ ერთი გზა აქვს. სადგურის დარბაზში მოვენწყვით, აქ ველოდებით მატარებელს. დახვავებული ყუთებით, აბგებით, საველე ლაბადებით დარბაზი ჯარის ბანაკს დამსგავსებია.<sup>[P]
[SEP]</sup>

შვიდი საათის განმავლობაში მხოლოდ ორი მატარებელი ჩამოდგა. ყურძნის მტევნებით კიდია საფეხურებზე ხალხი. ნაშუადღევს ძლივს ვპოულობთ ადგილს რელსებთან ახლოს, სადამოთი უფრო ახლოს გადავდივართ, უკეთეს პოზიციაზე. ფეხზე მდგომებს გვძინავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

პირველი მატარებელი მეორე დღეს, შუადღით მოდის. საბარგო მატარებელია, ფრონტზე დაბრმავებული ცხენებით სავსე. მათ ამობრუნებულ თვალებს წითელი ხაზებით დასერილი, მოთეთრო სიცისფრე დაჰკრავს. მშვიდად დგანან, თავები წინ წაუნწეიათ და

მხოლოდ მთრთოლარე ნესტოები ამხელს, რომ ცოცხლები არიან.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნაშუადღევს ცნობილი ხდება, რომ დღეს მატარებელი აღარ მოვა. კაციშვილი ფეხს არ იცვლის. ჯარისკაცს არ სჯერა განცხადებების. მართლაც, მოულოდნელად კიდევ ერთი მატარებელი მოდის. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ნახევრად ცარიელია.<sup>[P]
[SEP]</sup>

სადგურის თაღებს არყევს მიმწყდარი ხალხის კოლონები, რომლებიც მოსაცდელი დარბაზიდან გამოიჭრნენ. ისინი გარეთ მდგომ მგზავრებში ერთ დიდ გორგლად ითქვიფებიან.<sup>[P]
[SEP]</sup>

მატარებელი წინ მისრიალებს. ფანჯრები ღიაა. ალბერტ ტროსკეს, ჩვენ შორის ყველაზე მსუბუქს, მაღლა ვაგდებთ დაისიც მაიმუნივით ძვრება ვაგონში. ერთ ნუთში კარს უამრავი ადამიანი ეკიდება. ფანჯრების უმეტესობა დახურულია და აი, რამდენიმე ადამიანი, ვისაც მატარებელში მოხვედრა დასერილ ხელებად დაუჭდა, უკვე ამსხვრევს მათ. შუშის ნამსხვრევებს საბნებს აფარებენ და რამდენიმე ადგილას მატარებელს აბორდაჟით იღებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მატარებელი ჩერდება. მაგრამ ფანჯრებს ქვემოდან გლეჯენ. ტიადენი და ძაღლი პირველი შევარდებიან ვაგონში, ბეთკე და კობოლე, ვილის დახმარებით, მათ შემდეგ შედიან. სამივე შესასვლელი კარისკენ გარბის, რათა ვაგონი ორივე მხრიდან ჩაკეტოს. ჩვენი ნივთები, ლუდვიგთან და ლედერჰობესთან ერთად, ვაგონში შეფრინდა. შემდეგნი ვართ: ვალენტინი, მე და კარლ ბრიოგერი, სულ ბოლოს კი, მას შემდეგ, რაც გზას ისუფთავებს,

ვილი.^[P]_[SEP]

- ყველანი შიგნით ვართ? - ყვირის კობოლე, კარიდან, სადაც საშინელი ჭყლეტაა.^[P]_[SEP]

- ყველანი! - ღრიალებს ვილი.^[P]_[SEP]

ბეთვე, კობოლე და ტიადენი გასროლილ ტყვიასავით გარბიან და ცარიელ ადგილებს იკავენ. ახალი ნაკადი კვლავ იჭრება ვაგონში, ბარგი ყველა თავისუფალ სანტიმეტრს ავსებს. ბუფერებზე უკვე ადამიანები სხედან. ვაგონის სახურავები სავსეა ხალხით. მემანქანე ყვირის:^[P]_[SEP]

- ჩამოდით ჩქარა, კისერს მოიტეხთ!^[P]_[SEP]

- მოკეტე, ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე! - გაისმის პასუხი. ტუალეტში ხუთი კაცი ზის. ერთს საჯდომი ფანჯარაში გამოუყვია.^[P]_[SEP]

მატარებელი ადგილიდან იძვრის. რამდენიმე კაცი, ვინც თავი ვერ შეიკავა, ძირს ვარდება, ორი მათგანი მატარებლის ბორბლებში ყვება, ისინი სასწრაფოდ გაჰყავთ. დარჩენილი მგზავრები უმაღვე იკავენ მათ ადგილს. მატარებლის კიბეები სავსეა ხალხით, ჭყლეტა დაძრულ მატარებელშიც გრძელდება.^[P]_[SEP]

ერთი მგზავრი კარს ჩაბლაუჭებია. კარი იღება და ის პაერში გამოკიდებული რჩება, მხოლოდ ფანჯრის რაფას ეჭიდება. ვილი მიძვრება, საყელოზე ხელს ავლებს და ვაგონში შემოჰყავს.^[P]_[SEP]

ლამით ჩვენს ვაგონში პირველი მსხვერპლია. მატარებელი დაბალ გვირაბში შედის, სახურავზე მდგომი რამდენიმე ადამიანი იტყლიტება და ქვემოთ ვარდება.^[P]_[SEP]

სხვა ვაგონებშიც არის მსხვერპლი. ამიტომაც სახურავები ხის სამაგრებით, ბანრებითა და შეკრული შაშხანებით გაამაგრეს, გარდა ამისა, დარაჯიც დააყენეს, მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად.^{[P]_{SEP}}

ჩვენ გვძინავს და გვძინავს - ფეხზე მდგომებს, დანოლილებს, დამსხდრებს, ჩამუხლულებს, ყუთებსა და აბგებზე გადანოლილებს - ჩვენ გვძინავს. მატარებელი მიჯაყყაყებს. სახლები, ხეები, ბაღები; ადამიანები, ხელს რომ გვიქნევენ; მსვლელობები, წითელი დროშები, სადგურის დაცვა, ყვირილი, პროკლამაციები, რევოლუცია... ჩვენ ჯერ გვძინავს, დანარჩენი დაიცდის. მხოლოდ ახლა ვიგრძენით, როგორ დავდლილვართ ამ წლების მანძილზე.^{[P]_{SEP}}

მოსაღამოვდა. ჭრაქი ანთია. მატარებელი ნელა მიიზღაბნება. გაუმართაობის გამო ხშირად ჩერდება.^{[P]_{SEP}}

აბგები ქანაობს. ჩიბუხები ბოლავს. ძაღლს მშვიდად სძინავს ჩემს მუხლებზე. ადოლფ ბეთკე ჩემკენ იხრება და ძაღლს ბენჯზე უსვამს ხელს.^{[P]_{SEP}}

- ჰო, ერნსტ, მალე დავმორდებით, - ამბობს ცოტა ხანში.^{[P]_{SEP}}

მე ვეთანხმები. უცნაურია, მაგრამ ცხოვრება ადოლფის გარეშე ვერ წარმომიდგენია - მისი ფხიზელი თვალებისა და მშვიდი ხმის გარეშე. მან ჩემსა და ალბერტზე შეფობა აიღო, როცა გამოუცდელი ახალწვეულები ბრძოლის ველზე მოვხვდით. ის რომ არა, არა მგონია, ახლა აქ ვყოფილიყავი.^{[P]_{SEP}}

- მალე შევხვდებით, - ვამბობ, - ხშირად შევხვდებით, ადოლფ.^{[P]_{SEP}}

ჩექმის ქუსლი მხვდება სახეში. ჩვენ ზევით, საბარგო ბაღეში,

ტიადენი მოკალათებულა და გაცხოველებით ითვლის ფულს - ხასიათზე მოსასვლელად სადგურიდან პირდაპირ ბორდელში აპირებს წასვლას, თან რიგითებს თავის გამოცდილებას უზიარებს და არავინ ამას უხამსობად არ უთვლის - მის მონათხრობში ხომ არაფერია ომზე, ამიტომ ამის მოსმენა შეიძლება.^{[P][SEP]}

მესანგრე, რომელსაც ხელზე ორი თითი აკლია, ამაყად ჰყვება, რომ მისმა ცოლმა მემუიდე თვეზე სამკილოგრაშიანი ბავშვი გააჩინა. ლედერჰოზე დასცინის - ასეთი რამ არ არსებობსო.^{[P][SEP]}

ის თითებზე ითვლის, რამდენი თვე გავიდა მისი შვებულებიდან ბავშვის გაჩენამდე.^{[P][SEP]}

- შვიდი, - ამბობს, - სწორი უნდა იყოს.^{[P][SEP]}

ლედერჰოზე ფხუკუნებს და დამცინავად მანჭავს ლიმონისფერ სახეს.^{[P][SEP]}

- ალბათ ვინმე დაგეხმარა.^{[P][SEP]}

მესანგრე მიშტერებია.^{[P][SEP]}

- რა თქვი? გაიმეორე! - ენა ებმება.^{[P][SEP]}

- ეს ხომ ნათელია, - ბურტყუნებს არტური და უკან გადაწვება.^{[P][SEP]}

მესანგრეს ოფლი ასხამს, ისევ და ისევ ითვლის. ტუჩები უკანკალებს. ერთი მსუქანი, წვერიანი მეეტლე სიცილისგან ფანჭარას ასკდება.^{[P][SEP]}

- ბიჭო, რა ყყყყია, რა ყყყყია!^{[P][SEP]}

ბეთვე დგება.^{[P][SEP]}

- მოკვეტე, მსუქანო!^{[P][SEP]}

- რატომ? - კითხულობს ნვეროსანი.^{[P][SEP]}

- იმიტომ, რომ უნდა მოკვეთო, - ამბობს ბეთვე, - და შენც, არტურ!^{[P][SEP]}
მესანგრეს ფერი ეკარგება.^{[P][SEP]}

- რა უნდა ვქნა? - კითხულობს უმწეოდ და ფანჯრის რაფას ეჭიდება.^{[P][SEP]}

- რა და, მაშინ უნდა იქორწინო, - ამბობს იუპი ფიქრიანად, - თუ შვილები უკვე გყავს, მაშინ ასეთი რამე აღარ დაგემათება.^{[P][SEP]}

გარეთ საღამო წყნარად მისრიალებს. ტყეები ჰორიზონტთან ბნელი ძროხებივით განოლილან, მინდვრები ბუნდოვნად მოჩანს მატარებლიდან გამომავალი ჭრაქის შუქზე. სახლამდე მხოლოდ ორი საათი დარჩა. ბეთვე დგება და თავის აბგას ალაგებს. ის ქალაქთან ახლოს, სოფელში ცხოვრობს და ჩვენზე ადრე უნდა ჩავიდეს.^{[P][SEP]}

მატარებელი ჩერდება. ადოლფი ხელს გვინვდის. პატარა ბაქანზე დგას და ფეხს ითრევს, გარემოს თვალს ავლებს და ნამიერად მთელ გარშემო მდებარე სურათს ისრუტავს, როგორც გამომშრალი მინდორი - წვიმას. შემდეგ კვლავ ჩვენკენ ტრიალდება, მაგრამ აღარაფერი ესმის. ლუდვიგ ბრაიერი ტკივილის მიუხედავად ფანჯარასთან დგას.^{[P][SEP]}

- აბა, მოუსვი აქედან, ადოლფ, - ეუბნება, - ცოლი გელოდება.^{[P][SEP]}

ბეთვე საყვედურით სავსე თვალებით შეგვეყურებს და თავს იქნევს.^{[P][SEP]}

- ასეთი საჩქაროც არ არის, ლუდვიგ.^{[P][SEP]}

აშკარად ეტყობა, რომ ერთი სული აქვს, მიტრიალდეს და წავიდეს, მაგრამ ადოლფი ადოლფია - ის უკანასკნელ წუთამდე ჩვენ გვერდით დგას. ხოლო როცა მატარებელი ადგილიდან იძვრის, ტრიალდება და

ფართო ნაბიჯებით მიუყვება გზას.^[SEP]

- მალე გნახავთ! - ვყვირი, ხმა რომ დავანიო.^[SEP]

თვალს ვაყოლებთ მინდვრად მიმავალს. კიდევ დიდხანს გვიქნევს ხელს. ორთქლმავლის ბოლი ნიავს მიაქვს. შორს ნითელი სინათლეები ციმციმებს.^[SEP]

მატარებელმა უკვე კარგა მანძილი გაიარა, ახლა ადოლფი ძალიან პატარად მოჩანს, წერტილი, პატარა ადამიანი მარტოდმარტო უზარმაზარ, ბნელ დაბლობზე, რომელსაც თავს საავდრო შუქით განათებული გოგირდისფერი ცის გუმბათი დასდგომია. არ ვიცი რატომ, ეს შეიძლება ადოლფთან არც იყოს დაკავშირებული, მაგრამ მე შემძრა ამ უკიდევანო ველზე, უზარმაზარი ცის ქვეშ, მარტოდმარტო მიმავალი კაცის სურათმა.^[SEP]

შემდეგ ხეები გამორბიან და უფრო დიდი სიბნელე მოაქვთ და არაფერი რჩება მოძრაობის, ცისა და ტყის გარდა.^[SEP]

კუპეში ხმაურია. შიგნით სითბო, სუნი და შემოსაზღვრული სივრცეა, გარუჭული, ქარისგან გამომშრალი სახეები, რომლებსაც თვალები თეთრ ლაქებად აჩნევიათ. აქ მიწის, ოფლის, სისხლისა და უნიფორმის სუნი დგას; გარეთ კი, მატარებლის რახუნთან ერთად, უმისამართოდ მიექანება მთელი სამყარო, უკან რჩება მთელი სამყარო - სანგრები, თხრილები, სიბნელე და მწუხარება, რომელიც ახლა მხოლოდ ფანჯრების წინ მსრბოლი მორევია და მეტი არაფერი, მას აღარ ძალუძს ჩვენი შეჩერება.^[SEP]

ვიღაც სიმღერას იწყებს. სხვები ხმას უწყობენ. მალე მთელი კუპე

მღერის. მეზობელი კუპეც, მთელი ვაგონი, მთელი მატარებელი. უფრო ხმამაღლა ვმღერით, უფრო ძლიერად, შუბლები გვიწითლდება, ძარღვები გვებერება; ჯარისკაცურ სიმღერებს ვმღერით, ფეხზე ვდგებით და ერთმანეთს შევცქერით, თვალები გვიბრწყინავს, ბორბლებს რიტმი გამოჰყავს, ჩვენ ვმღერით და ვმღერით...^[SEP]

ლუდვიგსა და კობოლეს შუა ვარ ჩაწყლექილი და ჩემს ქურთუკშიც კი ატანს მათი სითბო, ხელებს ვამოძრავებ, თავს ვატრიალებ, კუნთები მეჭიმება და კანკალი მუხლებიდან კუჭამდე ამდის. თრთოლა, შუშხუნა ლიმონათივით, იჭრება ფილტვებში, ტუჩებში, თვალებში, და კუპე დნობას იწყებს. ეს თრთოლა ისე შუშხუნებს ჩემში, როგორც ტელეგრაფის ბოძი - წვიმაში, ათასობით მავთული რეკავს, ათასობით ქუჩა იხსნება; ფრთხილად ვადებ ხელს ლუდვიგის ხელს და მგონია, რომ ჩემი ხელის სიმხურვალე დასწვავს, მაგრამ, როცა ის მიყურებს, დაღლილი და ფერმკრთალი, როგორც ყოველთვის, სიტყვები არ მყოფნის იმის გამოსახატავად, რასაც განვიცდი. მხოლოდ იმას ვახერხებ, რომ ვკითხო:^[SEP]

- სიგარეტი გაქვს, ლუდვიგ?^[SEP]

ის მინვდის. მატარებელი მიქრის. ჩვენ კი ვმღერით და ვმღერით. თანდათან ჩვენს სიმღერას რაღაც დახშული გრუხუნი ემატება და ბორბლების რახუნში, მორიგი პაუზის დროს, რაღაც საშინელი გრიალით მიგორავს მინდორში და სკდება. ღრუბლები გროვდება. ჭექა-ქუხილი იწყება. ელვა ისე ანათებს, როგორც არტილერიის ცეცხლი. კობოლე ფანჯარასთან დგას და თავს აქეთ-იქით იქნევს,

ჩურჩულებს.^[P]_[SEP]

- ძმებო, ასეთ დროს ელჭეჯი! - გარეთ იხედება. უცებ ყვირის: - ჩქარა! ჩქარა!^[P]_[SEP]

ჩვენ ფანჯრებს ვანყდებით. ელვის შუქზე ქალაქის ნერნეტა კოშკურები ჩნდება. სიბნელე გრუხუნით ეშვება ქალაქზე, ყოველი გაელვებისას სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებით მას.^[P]_[SEP]

აღელვებისგან თვალები გვენვის. მოლოდინი, უზარმაზარ მცენარესავით, იზრდება ჩვენ შორის, ჩვენ ზემოთ, ჩვენ შიგნით.^[P]_[SEP]

კობოლე თავის ნივთებს აგროვებს.^[P]_[SEP]

- ხალხნო, სად მოგვიწევს ერთ წელიწადში ჯდომა? - ამბობს და მხრებში იშლება.^[P]_[SEP]

- ტრაკზე, - ნერვიულად პასუხობს იუპი.^[P]_[SEP]

არავინ იცინის. ქალაქი თავზე დაგვატყდა და თავისკენ გვიზიდავს. და აი, გადაიშალა ის და ველური შუქით სუნთქავს. ფართოდ გადაშლილი გვეგებება და ჩვენც მივდივართ მის შესახვედრად, ჯარისკაცებით სავსე მატარებელი, საიქიოდან სამშობლოში დაბრუნებული მატარებელი, უზარმაზარი მოლოდინის მატარებელი. უფრო და უფრო ვუახლოვდებით, გიჟურად მივჭრივართ, კედლები მოქრიან ჩვენკენ, ახლა შევეჭახებით, ელვა ანათებს, თავანყვეტილი გრუხუნებს... და აი, უკვე ვაგონის ორივე მხარეს ხმაური და ყვირილი ისმის. ციდან კოკისპირული წვიმა ატყდება სადგურს, სველი ბაქანი ბრწყინავს. ჩვენ თავდავინყებით შევრბივართ ამ აურზაურში.^[P]_[SEP]

კარიდან ვხტები, ძაღლიც ფეხდაფეხ მომდევს, ფეხებზე მეკვრის და

ნაწილი მეორე^{[P] [SEP]}

1.^{[P] [SEP]}

ვედრიდან ქვაფენილზე გადმოსხმული წყალივით სხვადასხვა მიმართულებით ვიფანტებით. კოზოლე, ბრიოგერი და ტროსკე სამხედრო ნაბიჯით მიუყვებიან ჰაინრიხშტრასეს ქვევით, ასეთივე სიჩქარით ვუხვევთ მე და ლუდვიგი სადგურის ხეივნისკენ. ლედერჰოზე კი, გამოუმშვიდობებლად, თავისი ძონძებით სავსე ფუთით ტყვიასავით მიქრის. ტიადენი ვილისთან აზუსტებს ბორდელამდე უმოკლეს გზას, მხოლოდ იუპს და ვალენტინს არ ეჩქარებათ არსად. მათ არავინ ელოდება და ამიტომაც საკვები პროდუქტების გასაყიდად მოსაცდელი დარბაზისკენ მიდიან, შემდეგ კი ყაზარმაში აპირებენ ნასვლას.<sup>[P]
[SEP]</sup>

ხეებიდან და სადგურის სახურავებიდან წყალი წვეთავს; ღრუბლები დაბლა და ჩქარა მიქრიან. რამდენიმე ახალწვეული გვიახლოვდება. წითელი სამკლაფურები უკეთიათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სამხრეები მოიძრეთ! - გაყვირის ერთ-ერთი მათგანი და ლუდვიგს ეცემა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოკეტე, შე ძუძუმწოვარა! - ვამბობ და გვერდით ვწევ აბეზარს.<sup>[P]
[SEP]</sup>

დანარჩენები ჩვენ გარშემო გროვდებიან, ლუდვიგი ერთს შეხედავს

და გზას აგრძელებს. ჭარისკაცი უკან იხევს. უცებ ორი მებღვაური ლუდვიგს თავს ესხმის.^[P]_[SEP]

- ღორებო, ვერ ხედავთ, რომ დაჭრილია? - ვლრიალებ და ხელების გასათავისუფლებლად აბგას ძირს ვაგდებ. მაგრამ ლუდვიგი უკვე ძირს გდია. მკლავში დაჭრილია და თავდაცვა უჭირს. უნიფორმიანი მებღვაურები ხელს ავლებენ, აჯანჭლარებენ და გარს ეხვევიან.^[P]_[SEP]

- ლეიტენანტი! - სისინებს ქალის ხმა, - მოკალით ეს სისხლისმსმელი!^[P]_[SEP]

სანამ მივეშველებოდე, სახეში ვიღაც ისე მირტყამს, რომ ვბარბაცდები.^[P]_[SEP]

- პირუტყვო! - სუნთქვა მეკვრის და თავდამსხმელს მთელი ძალით ნიხლს ვურტყამ მუცელში. ის ყვირის და უკან ვარდება. მაშინვე სამი მებღვაური მეცემა. ერთ-ერთ მათგანს ძალღი კეფაში სწვდება, სხვები კი ძირს მანარცხებენ.^[P]_[SEP]

- სინათლე ჩააქრეთ! დანები ამოიღეთ! - ყვირის ქალი.^[P]_[SEP]

ძირს ვაგდივარ და მხოლოდ ფეხებს ვხედავ. დაბლიდან ვხედავ, როგორ ახრჩობს ლუდვიგი თავისუფალი ხელით ნაქცეულ მებღვაურს. ვიღაცა ქამრის ბალთას მირტყამს თავში, ვიღაც მუშტს მიბრახუნებს კბილებში. მართალია, ვოლფი თავდამსხმელს უკვე მუხლში ჩაფრენია, მაგრამ ადგომას მაინც ვერ ვახერხებ - ისინი კვლავ და კვლავ გვანარცხებენ ძირს და ალბათ გადაუწყვეტიათ, ძვალი და რბილი გაგვიერთიანონ. გაცოფებული ვცდილობ პისტოლეტის ამოღებას. ამნუთას ერთი ჩემი მოწინააღმდეგე მოცელილი ვარდება

ქვაფენილზე. მის შემდეგ კიდევ ერთი გონებანართმეული ეხეთქება მინას, მერე მეორე, მესამე. ეს, რა თქმა უნდა, ვილის დამსახურებაა.^[P SEP]

ვილი სასწრაფოდ მორბის ჩვენთან, აბგა გზაზე მიუგდია და ახლა ჩვენს თავს ზემოთ დააბიჯებს. ორი უკვე დაუჭერია და ერთმანეთს თავებით ახეთქებს. ისინი ნამსვე გონებას კარგავენ - თუ ვილი გაცოფდა, მჭედლის უროსავით ძლიერი ხდება. ჩვენ ვთავისუფლდებით და ფეხზე ვდგებით, მაგრამ თავდამსხმელები გაქცევას ახერხებენ. მხოლოდ იმას ვასწრებ, რომ ერთ-ერთ მათგანს ბურგში აბგას ვესვრი, შემდეგ უკვე ლუდვიგის დასახმარებლად გავრბივარ.^[P SEP]

ვილი კი მათ მისდევს. დაინახა, როგორ ურტყამდნენ მეზღვაურები ლუდვიგს, ერთ-ერთი მათგანი წყალსადენ არხში გდია გალურჯებული და კვნესის, ვოლფი კი თავს დასდგომია. მეორეს ვილი მისდევს, თმა ცეცხლის ალივით უფრიალებს ჰაერში.^[P SEP]

ლუდვიგს სახვევი გახევია, იქიდან სისხლი მოჟონავს, სახე მოთხუპნილი აქვს, შუბლი - დარტყმისგან დალურჯებული. სახეს ინმენდს და ნელა დგება.^[P SEP]

- ძალიან დაშავდი? - ვეკითხები.^[P SEP]

მკვდარივით ფერმიხდილი თავს იქნევს.^[P SEP]

ვილი ამასობაში მეზღვაურს ეწევა და ტომარასავით აქვთ მოათრევს.^[P SEP]

- თქვე დამძალო ღორებო, - კბილებს აკრაჭუნებს, - მთელი ბაფხული გემზე გაატარეთ და ერთი გასროლაც არ გაგიგიათ, ახლა კი

ბედავთ ხახა დააღოთ და ფრონტის ჯარისკაცებს თავს დაესხათ, მე თქვენ გიჩვენებთ სერის! დაიჩოქე, შე დედალო! ახლავე პატიება ითხოვე!^[P]_[SEP]

ის ხელის კვრით მოერეკება მეზღვაურს და თან ისეთი საშინელი სახე აქვს, რომ მართლა ჟრუანტელი დაუვლის კაცს ტანში.^[P]_[SEP]

- დედას გიტირებ! - ქშინავს ვილი, - შუაზე გაგგლეჯ, ძირს, მუხლებზე!^[P]_[SEP]

კაცი სლუკუნებს.^[P]_[SEP]

- შეეშვი, ვილი, - ამბობს ლუდვიგი და თავის ნივთებს ქვაფენილიდან კრეფს.^[P]_[SEP]

- რა? - კითხულობს ვილი უაზროდ. - გაგიჟდი, მათ ხომ ხელი დაგიზიანეს?^[P]_[SEP]

ლუდვიგი ნასვლას აპირებს.^[P]_[SEP]

- კარგი, რა, გაუშვი, ნავიდნენ...^[P]_[SEP]

ვილი ერთი ნუთით გაკვირვებული შესცქერის ლუდვიგს; შემდეგ თავის ქნევით ათავისუფლებს მეზღვაურს.^[P]_[SEP]

- კარგი, აბა, მოუსვი! - მაგრამ საკუთარ თავს უარს ვერ ეუბნება სიამოვნებაზე, რომ სწორედ მაშინ, როცა მეზღვაური ათესვას აპირებს, კარგი ჭიტლაცი უთავაზოს და თანაც ისე ძლიერად, რომ ის ერთი-ორჯერ გემრიელად ტრიალდება.^[P]_[SEP]

ჩვენ გზას ვაგრძელებთ. ვილი ილანძლება, როდესაც გაცოფებულია; არ შეუძლია, არ ილაპარაკოს. ლუდვიგი კი დუმს.^[P]_[SEP]

მოულოდნელად ბირშტრასსეს შესახვევთან კვლავ ვამჩნევთ

გაქცეულების ჯგუფს. მათ დახმარება მოუყვანიათ. ვილი თოფს იმარჯვებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დატენეთ და დამცავი ჩართეთ! - ბრძანებს და თვალები უპატარავდება. ლუდვიგი რევოლვერს აძრობს და მეც მაშინვე საბრძოლო მზადყოფნაში მომყავს შაშხანა. აქამდე ყველაფერი თამაში იყო. ახლა კი მართლა სერიოზულად არის საქმე. მეორეჯერ თავდასხმის უფლებას არავის მივცემთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ქუჩაზე ერთმანეთისგან სამი ნაბიჯის დაშორებით ვიფანტებით, სამიზნედ რომ არ ვიქცეთ, და შეტევაზე გადავდივართ. ძალღი მაშინვე მიხვდა, რაშია საქმე. კრუტუნით იმალება წყალსადენ არხში - ბრძოლის ველზე ისწავლა თავშესაფარში დამალვა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ოც მეტრზე ახლოს არ მოხვიდეთ! გესვრით! - იმუქრება ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ წინ მდგარი ჯგუფი ანერვიულდა. წინ მივიწვევთ. შაშხანებმა მიზანში ამოგვიღეს. ვილი ქამრიდან იღებს ძველი მარაგიდან შემორჩენილ ხელყუმბარას და დამცავს ტკაცანით გლეჯს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სამამდე ვითვლი.<sup>[P]
[SEP]</sup>

მაშინ ჯგუფიდან მოხუცი კაცი გამოდის, რომელსაც უნტერ-ოფიცრის ფორმა აცვია, ოღონდ სამხრეების გარეშე. ჩვენ წინ დგება და ყვირის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ამხანაგები ვართ თუ არა?<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილის განცვიფრებისგან სუნთქვა ეკვრის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჯანდაბას, ამას ჩვენ გვეკითხებით, თქვე დამპალო კურდღლებო?!

- პასუხობს მომღბალი, - ვინ დაიწყო, პირველი ვინ დაესხა თავს

დაჭრილს?^[P]_[SEP]

მონინაალმდეგე შეცბუნებულია.^[P]_[SEP]

- თქვენ ჩაიდინეთ ეს? - ეკითხება თავისიანებს.^[P]_[SEP]

- მან სამხრეების მოხსნაზე უარი განაცხადა, - თქვა ერთ-ერთმა ჯგუფიდან.^[P]_[SEP]

უნტერ-ოფიცერი უხერხულად შეიშმუნა. შემდეგ მოგვიბრუნდა:^[P]_[SEP]

- ეს არ უნდა გაგეკეთებინათ, ამხანაგებო. მაგრამ, როგორც ჩანს, არ იცით, აქ რა ხდება, საიდან მოდიხართ?^[P]_[SEP]

- საიდან უნდა მოვდიოდეთ, ფრონტიდან! - ფრუტუნებს ვილი.^[P]_[SEP]

- და საით მიდიხართ?^[P]_[SEP]

- იქ, სადაც თქვენ მთელი ომის განმავლობაში იყავით - სახლში.^[P]_[SEP]

- ამხანაგო, - უნტერ-ოფიცერი მალლა სწევს თავის ცარიელ სახელოს, - აი, ეს საკუთარ საძინებელში დავკარგე.^[P]_[SEP]

- მით უარესი, - ამბობს ვილი მშვიდად, - მაშინ რატომ არ გრცხვენია, ამ ქვეშაფსია ჯარისკაცებთან ერთად რომ ხარ!^[P]_[SEP]

უნტერ-ოფიცერი მოგვიახლოვდა.^[P]_[SEP]

- ეს რევოლუციაა, - ამბობს მშვიდად, - და ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მონინაალმდეგეა!^[P]_[SEP]

ვილი იცინის.^[P]_[SEP]

- კარგი რევოლუციაა, სამხრეების ჩამომგლეჯების! თუ სხვა არაფერი გინდათ... - და ზიზღით იფურთხება.^[P]_[SEP]

- ჰო, - ამბობს ცალხელა და სწრაფად უახლოვდება ვილის. - ჩვენ მეტი გვინდა! ბოლო მოვუღოთ ომს, ბოლო მოვუღოთ პროვოკაციებს!

ბოლო მოვულოთ მკვლელობებს! კვლავ გვინდა ადამიანები ვიყოთ და არა საზარბაზნე ხორცი! ^[P]_[SEP]

ვილი ხელყუმბარიან ხელს ქვემოთ უშვებს. ^[P]_[SEP]

- ამისთვის კარგი დასაწყისი იყო! - ამბობს და ლუდვიგის დაგლეჯილ სახვევზე უთითებს. შემდეგ ორი ნახტომით უახლოვდება ახალწვეულებს. ^[P]_[SEP]

- ჭობია სახლში ნახვიდეთ, თქვე ძუძუმწოვრებო! - უღრენს უკან დახეულ რაზმს, - ადამიანები გინდათ გახდეთ და ჭერ ჭარისკაცებიც კი არა ხართ, ვინმემ რომ ნახოს, შაშხანები როგორ გიჭირავთ, შეეშინდება, ხელები არ მოიმტვრიოთ! ^[P]_[SEP]

ჯგუფი იშლება. ვილი ბრუნდება და უნტერ-ოფიცერს მიეჭრება. ^[P]_[SEP]

- ახლა მინდა რალაც გითხრა! ეს ნაგავი ჩვენც კარგა ხანია მოგვებზრდა, ეს უნდა დამთავრდეს, ცხადია! მაგრამ ასე არა! თუ რამეა გასაკეთებელი, ჩვენ თვითონ მივხედავთ, მაგრამ კიდევ დიდხანს ვერავინ ჩამოგვწერს და აბა, კარგად გაახილვე თვალები! - ხელის ორი გაქნევით სამხრეებს იგლეჯს. - ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მე მსურს ასე და არა იმიტომ, რომ თქვენ გინდათ ეს! ეს ჩემი საქმეა. ეს კი, - უთითებს ლუდვიგზე, - ეს ჩვენი ლეიტენანტია, მან არ მოიხსნა სამხრეები და ვაი მას, ვინც ამას მოსთხოვს. ^[P]_[SEP]

ცალხელა ეთანხმება. სახეზე ფიქრმა გადაურბინა. ^[P]_[SEP]

- მეც ვიყავი ომში, კაცო, ჩემთვისაც ნაცნობია ყველაფერი, აი, - ის თავის მოჭრილ ხელზე უთითებს, - მეოცე ქვეითი დივიზია, ვერდენი. ^[P]_[SEP]

- ჩვენც იქ ვიყავით, - მოკლედ უჭრის ვილი. - სადილობის დროა! ^[P]_[SEP]

აბგას იღებს და შაშხანას მხარზე იგდებს. ჩვენ გზას ვაგრძელებთ. მაგრამ როდესაც ლუდვიგი მოხუცი უნტერ-ოფიცრის წინ ჩაივლის, წითელსამკლავურიანი უნტერ-ოფიცერი მხედრულ სალამს აძლევს და ჩვენ ვხვდებით, რას ნიშნავს ეს: ის სამხედრო ფორმას და ომს კი არ ესალმება, არამედ ფრონტიდან დაბრუნებულ ამხანაგებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ყველაზე ახლოს ვილის სახლია. აღელვებული ხელს უქნევს მოშორებით მდგარ პატარა სახლს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სალამი ბებერ ქოხს! ახლა უკვე თადარიგში გადასვლისა და დასვენების დროა!<sup>[P]
[SEP]</sup>

ვაპირებთ შევჩერდეთ. მაგრამ ვილი უფლებას არ გვაძლევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჯერ ლუდვიგი მივიყვანოთ, - დაუჟინია, - კარტოფილის სალათს და ჭკუის სწავლებებს კიდევ მოვესწრები.<sup>[P]
[SEP]</sup>

გზაში ვისვენებთ და ვსუფთავდებით, ჩვენმა მშობლებმა არ უნდა შეამჩნიონ, რომ პირდაპირ ჩხუბიდან მოვედით. ლუდვიგს სახეს ვწმენდთ და სახვევს ვუსწორებთ, სისხლიანი ადგილები გვინდა დავფაროთ, დედამისს გული რომ არ გაუსკდეს. ისე კი მაინც უნდა წავიდეს ლაზარეთში, სადაც ახალ სახვევებს დაადებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მშვიდობიანად მივალწიეთ ლუდვიგის სახლამდე. ის კვლავ აღელვებული ჩანს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ფეხებზე დაიკიდე, - ვეუბნები და ხელს ვუწვდი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი თავის ტორს ადებს მხარზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყველას შეიძლება დაემართოს, ბებერო, შენი ჭრილობა რომ არა, ერთი კარგად დაბეღდი!<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი თავს გვიქნევს და ეზოს კარსაღებს. ვუყურებთ, კიბეზე როგორ ადის. უკვე ნახევარი გზა გავლილი აქვს, რომ ვილის რაღაც აზრი უნათებს გონებას:^[P]_[SEP]

- სხვა დროს ფეხი უნდა დაართყა, ლუდვიგ! ასეთ შემთხვევებში უნდა ურტყა, ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მისცე!^[P]_[SEP]

და კმაყოფილი კარს ხურავს.^[P]_[SEP]

- ნეტავ რა დაემართა ამ რამდენიმე კვირაში? - ვამბობ.^[P]_[SEP]

ვილი კეფას იფხანს.^[P]_[SEP]

- ალბათ დიზენტერიის ბრალია, - ამბობს ის, - თორემ ლუდვიგი ჩვეულებრივ... გახსოვს, როგორ ააფეთქა ტანკი, ბიქსმოტთან, სულ მარტოდმარტომ? ეს არც ისე ადვილი იყო, ჩემო ძვირფასო.^[P]_[SEP]

ზურგზე აბგას ისწორებს.^[P]_[SEP]

- აბა, კარგად იყავი, ერნსტ! ახლა ვნახავ, თუ რას აკეთებდა ჰომეიერების ოჯახი ამ ნახევარ წელს. ვაფასებ ამადელევებელ წუთებს, მაგრამ მერე აღბრდა იწყება. დედაჩემი, ბიჭო, ფელდფებელად არის დაბადებული! ოქროს გული აქვს ბებერს, მაგრამ გრანიტის ჩარჩოში ჩასმული!^[P]_[SEP]

გზას მარტო ვაგრძელებ და უცებ სამყარო იცვლება, ყურები მიგუგუნებს, თითქოს ქვაფენილის ქვეშ მდინარე მიედინებოდეს, და სახლში მისვლამდე არც არაფერი მესმის და ვერც ვერაფერს ვხედავ. ნელა ავდივარ კიბეზე, კარს ზემოთ აბრაა გაკრული: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, გვერდით კი ყვავილების თაიგულია მიმაგრებული. უკვე დამინახეს და დები კართან მხვდებიან, უკან კი

საერთო ოთახია. მაგიდა სავესეა კერძებით და ყველაფერი საზემოდ გამოიყურება.^{[P]_{SEP}}

- რა სისულელეა, - ვამბობ, - ყვავილები და ეს ყველაფერი - რა საჭიროა? რა მნიშვნელობა აქვს? რატომ ტირი, დედა? მე ხომ უკვე აქ ვარ, ომიც დამთავრდა, ნულარ იტირებ, დედა! - და მხოლოდ მაშინ ვამჩნევ, რომ მეც მარილიანი ცრემლები მისველებს სიფათს.^{[P]_{SEP}}

2.^{[P]_{SEP}}

კარტოფილის მაჭკატებს მივირთმევთ, კვერცხით და ძეხვით - არაჩვეულებრივი სადილია. უკვე ორი წელია, რაც უკანასკნელად ვნახე კვერცხი; კარტოფილის მაჭკატებზე უკვე აღარაფერს ვამბობ.^{[P]_{SEP}}

ახლა უკვე მისაღებ ოთახში, მაძღარნი და კმაყოფილნი, ვუსხედვართ დიდ მაგიდას და რკოს ყავას ვსვამთ, შაქრის შემცვლელით. ლამპა ანთია, იადონი გალობს, ღუმელიც ცხელია და ვოლფს მაგიდის ქვეშ სძინავს. მშვენიერია. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს.^{[P]_{SEP}}

- აბა, მოგვიყვი, რა გადაგხდა, ერნსტ, - ამბობს მამა.^{[P]_{SEP}}

- რა გადამხდა? - ჩავეკითხე და დავფიქრდი. - არაფერიც არ გადამხდენია. სულ ომი იყო, რა შეიძლებოდა იქ გადაგვხდენოდა?^{[P]_{SEP}}

რამდენიც უნდა ვიფიქრო, არაფერი მახსენდება. იქაურ ამბებზე სამოქალაქო პირებთან ვერ ილაპარაკებ და სხვა არაფერი ვიცი.^{[P]_{SEP}}

- თქვენ ალბათ უფრო მეტი რამ გექნებათ მოსაყოლი, - ვამბობ მობოდიშებით.^{[P]_{SEP}}

მათ კი აქვთ მოსაყოლი. ჩემი დები მიყვებიან, როგორ

შოულობდენენ პროდუქტს. ორჯერ ჟანდარმებმა სადგურზე ყველაფერი წაართვეს. მესამეჯერ უკვე კვერცხები ჩაიკერეს პალტოებში, ძეხვი კოფთაში დამალეს და კარტოფილით ჭიბეები გამოიტენეს. ასე გადიოდნენ კვირიდან კვირამდე.<sup>[P]
[SEP]</sup>

უყურადღებოდ ვუსმენ. მას შემდეგ, რაც ჩემი დები ბოლოს ვნახე, გაბრდილან. შეიძლება მაშინ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, ამიტომაც მხვდება ახლა თვალში, იღბემ ალბათ უკვე ჩვიდმეტს გადააბიჯა. რა ჩქარა გადის დრო!<sup>[P]
[SEP]</sup>

- იცი, რომ სასამართლოს მრჩეველი პლაისტერი გარდაიცვალა? - მეკითხება მამა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- როდის?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ივლისში, დაახლოებით, ოც რიცხვში, თუ სადღაც ამ დროს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ღუმელზე წყალი მღერის. სუფრის ბოლოს ხელით ვჭმუჭნი, ჰო, ივლისში - მაშინ ბოლო ხუთ დღეში ოცდათექვსმეტი კაცი დაგვარგეთ. მხოლოდ სამი მათგანის სახელი მახსოვს; მას შემდეგ იმდენი ადამიანი დაგვემატა...<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა დაემართა? - ვკითხულობ ძილნარევი ხმით, ოთახის სითბოსგან მოთენთილი, - ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა თუ ტყვია?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგრამ ერნსტ, - მპასუხობს მამა გაკვირვებული, - ის ხომ ჭარისკაცი არ იყო, ფილტვების ანთება ჰქონდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, მართალია, - ვამბობ და სკამზე ვსწორდები, - ასეც შეიძლება მოხდეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მათ გააგრძელეს თხრობა, თუ რა ხდებოდა ჩემი ბოლო

შვებულების შემდეგ. მშვიერმა ქალებმა ყასაბი კუთხეში მოკლეს; ერთხელ კი, აგვისტოს ბოლოს, ყველა ოჯახს მთელი ფუნტი თევზი დაურიგეს; დოქტორ კნოტის ძალღი დაიჭირეს და ალბათ მისგან საპონი გააკეთეს; ფროილდინ მენტრუპს ბავშვი შეეძინა; კარტოფილი ისევ გაძვირდა; შემდეგ კვირას ალბათ საყასბოში ძვლებს გაყიდიან; დეიდა გრეტას მეორე ქალიშვილი გასულ კვირას როტმისტრზე გათხოვდა.^{[P][SEP]}

გარეთ წვიმა ფანჯრებზე აკაკუნებს, მხრებს ვიჩეჩ. უჩვეულოა, ისევ ოთახში რომ ვზივარ, უჩვეულოა სახლში ყოფნა...^{[P][SEP]}

დაიკო საუბარს წყვეტს.^{[P][SEP]}

- შენ ხომ არ მისმენ, ერნსტ, - ამბობს გაკვირვებული.^{[P][SEP]}

- როგორ არა, - ვარწმუნებ და მაშინვე თავი ხელში ამყავს, - როტმისტრზე, ჰო, როტმისტრზე იქორწინა.^{[P][SEP]}

- ჰო, წარმოიდგინე, რა ბედნიერებაა, - აგრძელებს დაიკო ცოცხლად, - მიუხედავად იმისა, რომ მთელი სახე ჭორფლით აქვს დაფარული! რას იტყვი ამაზე?^{[P][SEP]}

რა უნდა ვთქვა, თუ როტმისტრი თავში ტყვიას მიიღებს, მისი საქმე ისევე გათავებულია, როგორც ყველა დანარჩენის.^{[P][SEP]}

საუბარს აგრძელებენ, მე კი ფიქრებს ვერ ვუყერი თავს. სადღაც გამირბიან.^{[P][SEP]}

ვდგები და ფანჯარასთან მივდივარ. რამდენიმე საცვალე კიდეა თოკზე და საღამოს ბინდ-ბუნდში რუხად და ნალვლიანად ფრიალებს. შორიდან, ჩემ თვალწინ მოჩვენებასავით ამოტივტივდა სხვა სურათი:

ქარში მოფრიალე საცვლები, მარტოსული ჰარმონიკა, საღამო, ღამისეული რეიდი... ბანგების გვამები გახუნებულ, ცისფერ შინელებში, მკვდრების დამსკდარი ტუჩები, სისხლიანი თვალები, გაბი... უცებ ყველაფერი ნათლად მიდგება თვალწინ, შემდეგ ჩვენება ქრება და ისევ ქანაობენ თოკზე საცვლები, თეთრი წყვდიადი ეფინება გარემოს და ვგრძნობ, რომ ჩემ უკან ოთახია, ახლობლები, სითბო და საიმედო კედლები... ყველაფერი უკან დარჩა, ვფიქრობ; გულზე მეშვება და სწრაფად ვბრუნდები ჩემებისკენ.^{[P][SEP]}

- რატომ ვერ ისვენებ, ერნსტ? - მეკითხება მამა, - თხუთმეტი წუთი არ მჭდარხარ მშვიდად.^{[P][SEP]}

- ალბათ გადაიღალა, - ამბობს დედა.^{[P][SEP]}

- არა, - ვპასუხობ ოდნავ დაბნეული და ფიქრს ვაგრძელებ, - ასე არაა; მგონია დიდხანს ვერ გავძლებ სკამზე, ველზე სკამები არ გვქონდა, სადაც მოგვიხდებოდა, იქ ვეყარეთ. უბრალოდ გადავეჩვიე.^{[P][SEP]}

- სასაცილოა, - ამბობს მამა.^{[P][SEP]}

მხრებს ვიჩეჩ. დედა იღიმება.^{[P][SEP]}

- ნახე შენი ოთახი? - მეკითხება.^{[P][SEP]}

- ჯერ არა.^{[P][SEP]}

გული ბაგაბუგს მიწყებს, კარს ვაღებ და წიგნების სუნს ვისუნთქავ. სწრაფად ვანთებ შუქს, ვათვალიერებ.^{[P][SEP]}

- არაფერი შეგვიცვლია, - ამბობს ჩემ უკან მდგარი დაიკო.^{[P][SEP]}

- ჰო, ჰო, - ვპასუხობ და მინდა თავი დავიცვა, რადგან ახლა მარტო

მინდა დავრჩე, მაგრამ სხვებიც მომეყვებიან. ისინი კართან დგანან და ცდილობენ თავიანთი მზერით გამამხნევონ. სავარძელში ვჯდები და ხელებს მაგიდაზე ვაწყობ. მისი გლუვი ზედაპირის სიგრილეს ვგრძნობ. დიახ, არაფერი შეცვლილა. აქ ყავისფერ პრესპაპიესაც ვხედავ, კარლ ფოგტმა რომ მაჩუქა. ისევ ძველ ადგილას დგას, კომპასსა და სამელნეს შორის. კარლ ფოგტი კი კემელთან დაილუპა.^{[P][SEP]}

- აღარ მოგნონს შენი ოთახი? - მეკითხება დაიკო.^{[P][SEP]}

- როგორ არა, - ვპასუხობ ყოყმანით, - მაგრამ ისეთი პატარაა...^{[P][SEP]}
მამა იცინის.^{[P][SEP]}

- ადრეც ზუსტად ასეთი იყო.^{[P][SEP]}

- კო, ალბათ ასეა, - ვპასუხობ, - მაგრამ მე უფრო დიდი მეგონა.^{[P][SEP]}

- დიდი ხანია, რაც აქ არ ყოფილხარ, ერნსტ, - ამბობს დედა.^{[P][SEP]}
თავს ვუქნევ.^{[P][SEP]}

- ლოგინი ახალი გამოცვლილია, - აგრძელებს დედა, - შეგიძლია არ შეამონმო.^{[P][SEP]}

ჭიბეში ვიქეჩები. ადოლფ ბეთკემ გამომშვიდობებისას ერთი კოლოფი სიგარეტი მაჩუქა. ახლა აუცილებლად უნდა მოვნიო. ყველაფერი ისე მყიფეა ირგვლივ, თითქოს თავბრუ მესხმოდეს. ღრმანათობს ვარტყამ და ვგრძნობ, რომ უკეთ ვხდები.^{[P][SEP]}

- სიგარეტს ეწევი? - მეკითხება მამა საყვედურნარევი გაკვირვებით.^{[P][SEP]}

გაოცებული შევცქერი.^{[P][SEP]}

- რა თქმა უნდა, - ვპასუხობ, - ფრონტზე ყოველდღე სამ-ოთხ ცალს

გვაძლევდნენ, ეს ჩვენი წილი იყო, ხომ არ მოწვევ? ^[P]_[SEP]

თავის ქნევით მართმევს. ^[P]_[SEP]

- ადრე ხომ არ ეწოდო? ^[P]_[SEP]

- ადრე, - ვთქვი და მისმა სიტყვებმა ღიმილი მომგვარა, რადგან ის ამხელა მნიშვნელობას ანიჭებს ამგვარ რამეებს. ადრე ალბათ ასე არ მოვიქცეოდი; მაგრამ უფროსი ადამიანების რიდი სანგარში დავკარგე. იქ ყველანი თანასწორნი ვიყავით. ^[P]_[SEP]

ჩუმად დავხედე საათს. ორიოდე საათია, რაც აქ ვარ და უკვე მეჩვენება, რომ რამდენიმე კვირა გავიდა, რაც ვილი და ლუდვიგი არ მინახავს. სიამოვნებით ახლავე წავიდოდი მათთან, რადგან ჯერ კიდევ ვერ წარმომიდგენია, რომ სამუდამოდ ოჯახთან უნდა დავრჩე; ჯერ კიდევ მგონია, რომ ხვალ ან გეგ, ან მერე, ისევ მწყობრში უნდა ჩავდგეთ, მხარი მხარს ვუსწოროთ, წყევლით, მორჩილად, მაგრამ ერთად. ^[P]_[SEP]

ბოლოს ვდგები და პალტოს ვიღებ. ^[P]_[SEP]

- ამ საღამოს ჩვენთან არ დარჩები? - მეკითხება დედა. ^[P]_[SEP]

- უნდა გამოვცხადდე, - ვამბობ, რადგან სიმართლე რომ ვუთხრა, ვერ გაიგებს. ^[P]_[SEP]

კიბემდე მაცილებს. ^[P]_[SEP]

- მოიცადე, - ამბობს, - ბნელა, გაგინათებ. ^[P]_[SEP]

გაკვირვებული ვჩერდები. შუქი? რამდენიმე საფეხურზე? ღმერთო ჩემო, რამდენ ტალახიან თხრილში, რამდენ დანგრეულ გზაზე მივლია სიბნელეში, ტყვიების წვიმაში, ახლა კი შუქი - კიბის გასანათებლად? ^[P]_[SEP]

- აჰ, დედა! - მაგრამ მოთმინებით ვიცდი, სანამ ლამპით არ მოვიდა და არ გამინათა. თითქოს მისი ნაბი ალერსი ვიგრძენი.^[P SEP]

- ფრთხილად იყავი, ერნსტ, არაფერს გადაეყარო! - მომადახა.^[P SEP]

- რას უნდა გადავეყარო, აქ, სამშობლოში, აქ, მშვიდობისას, დედა?

- ვეუბნები ღიმილით და ზემოთ ვიყურები.^[P SEP]

დედა კიბის მოაჯირს გადმოჰკიდებია. ლამპის შუქზე მის პატარა, დაღარულ სახეს ოქროსფერი ელფერი დაჰკრავს. უკან, სადარბაზოში მორიალე შუქიც არარეალურია. და უცებ ავლელდი, გული მეტკინა, უჩვეულო გრძნობები მომანვა, - თითქოს არაფერია ქვეყნად ამ სახის გარდა, თითქოს კვლავ ბავშვი ვარ, რომელსაც კიბე უნდა გაუნათო; ყმანვილი, რომელსაც შეიძლება ქუჩაში რაღაც დაემართოს და ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ მოჩვენება დასიზმარია.^[P SEP]

მაგრამ ჩემი ქამრის ბალთამ ლამპის შუქი აირეკლა. ნამი გაქრა, ბავშვი აღარ ვარ, სამხედრო ფორმა მაცვია. სამ-სამი საფეხურის გამოტოვებით ჩავრბივარ კიბეზე და სახლის კარს ვაღებ, ამხანაგებთან მისვლას ვჩქარობ.^[P SEP]

პირველად ალბერტ ტროსკესთან მივდივარ. დედამისს ნამტირალევი თვალეები აქვს, მაგრამ დღეს ეს უცნაური არაა და არაფერს ცუდს არ უნდა ნიშნავდეს. მაგრამ არც ალბერტია დედამისზე ნაკლებ შეცბუნებული. ის მაგიდასთან განუწულ წინილასავით მის. ალბერტის გვერდით მისი უფროსი ძმია. ჰანსი კარგა ხანია არ მინახავს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ლაზარეთში მოხვდა. გასუქებულა და ლოყები დაბრანვია.^[P SEP]

- გამარჯობა, ჰანს, გამოჯანმრთელდი? - ვამბობ მხიარულად, - ახლა როგორ ხარ? მშვენივრად გამოიყურები, ფეხზე სიარული ჭობია ნოლას, არა?<sup>[P]
[SEP]</sup>

პასუხად რაღაცას ბურტყუნებს. ფრაუ ტროსკე სლუკუნებს და ოთახიდან გადის. ალბერტი თვალთ მანიშნებს. დაბნეული ვიყურები გარშემო და უცებ ვხედავ, რომ ჰანსის ფეხებთან ყავარჯნები აწყვია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჯერ არ გამოჯანმრთელებულხარ? - ვეკითხები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი, რა თქმა უნდა, წინა კვირას ლაზარეთიდან დავბრუნდი, - ჰანსი ხელს ავლებს ყავარჯნებს, ეყრდნობა და ორი ნახტომით ღუმელთან მიდის. არც ერთი ტერფი არა აქვს. მარჯვენაზე პროთეზი აქვს, მარცხენაზე - ფეხსაცმლიანი ხელოვნური ფეხი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ძალიან მრცხვენია ჩემი სულელური სიტყვების.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არ ვიცოდი, ჰანს, - ვამბობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

თავს მიქნევს. ფეხები კარპატებში მოჰყინვია, შემდეგ განგრენაც დამატებია და იძულებული გახდნენ მოეკვეთათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მადლობა ღმერთს, მხოლოდ ტერფები, - ფრაუ ტროსკეს ბალიშები მოაქვს და პროთეზების ქვეშ უდებს. - ჯავრი ნუ გაქვს, ჰანს, ჩვენ შევძლებთ ამას, შენ კვლავ ისწავლი სიარულს, - დედა ჰანსს გვერდით უჯდება და ხელებზე ეფერება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, - ვამბობ, რადგან ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა ვთქვა, - კარგია, ფეხები მაინც რომ გაქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჩემთვის ესეც საკმარისია.<sup>[P]
[SEP]</sup>

სიგარეტს ვაძლევ. როგორც უნდა მოიქცე ასეთ მომენტებში,

როდენ კარგი განზრახვაც უნდა გქონდეს, ყველაფერი უხეშად გამოგდის. მაინც რალაცაზე ვსაუბრობთ, გაჭირვებით ვსაუბრობთ, მაგრამ როდესაც რომელიმე ჩვენგანი დგება, მე ან ალბერტი, ვამჩნევ, როგორი ბნელი, ნატანჯი მზერით გვიყურებს ჰანსი ფეხებზე და როგორ მიჰყვება დედის თვალები მის მზერას - მხოლოდ ფეხებს ხედავენ - თქვენ ფეხები გაქვთ, მე - არა.^[P SEP]

ჰანსს სხვა რამეზე ფიქრი არ შეუძლია და დედამისიც მხოლოდ ამ ფიქრით არის შეპყრობილი. დედა ვერ ხვდება, რომ ალბერტი ამას მტკივნეულად განიცდის. რამდენიმე საათია, რაც სახლშია და კიდევ უფრო მორიდებული გახდა.^[P SEP]

- ბიჭო, ყაზარმაში უნდა გამოვცხადდეთ, - ვეუბნები, რალაცა მიზეზი ხომ უნდა გქონდეს გარეთ გასასვლელი.^[P SEP]

- ჰო, - მაშინვე მეთანხმება.^[P SEP]

გარეთ თავისუფლად ამოვისუნთქეთ, საღამოს მზე მშვიდად ირეკლება ქვაფენილზე, ლამპიონები ქარში ციმციმებენ. ალბერტი გამტერებული იყურება წინ.^[P SEP]

- არაფრის შეცვლა არ შემიძლია, ერნსტ, - ალაპარაკდა ბორძიკით, - მაგრამ, როცა მათ შორის ვზივარ და ჰანსს და დედაჩემს ვუყურებ, მგონია, რომ დამნაშავე ვარ და მრცხვენია, რომ ორივე ფეხი მაქვს. საშინელებაა, ასე ჯანმრთელი რომ ვარ. ლუდვიგივით ხელში დაჭრილი მაინც ვიყო, მაშინ ასე დათრგუნვილად არ ვიგრძნობდი თავს.^[P SEP]

ვცდილობ ნუგეში ვცე. ის კი კვლავ გვერდზე იყურება. ჩემი ნათქვამი

არ ამშვიდებს, მაგრამ მე ოდნავ გულზე მეშვება. ასეა ყოველთვის, როცა დაიმედებას ცდილობ.^[P]_[SEP]

ვილისთან მივდივართ. მის ოთახში არეულობაა. კედელთან დაშლილი საწოლი დგას. საწოლს ადიდებენ, რადგან ვილი ომში ისე გაბრდილა, რომ ზედ აღარ ეტევა. გვერდით ფიცრები, ჩაქუჩები და ხერხები აწყვია. მაგიდაზე დიდი ქვაბი დგას, კარტოფილის სალათით სავსე. თვითონ აქ არაა. დედამისი გვეუბნება, რომ ერთი საათია უკვე აბაზანაშია, ჭუჭყის ჩამოსაფხეკად. ველოდებით.^[P]_[SEP]

ფრაუ ჰომეიერი ვილის აბგასთან ჩამუხლულა და იქეჭება, თავის ქნევით ამოაქვს იქიდან რაღაც საძაგელი ძონძები, ადრე რომ წინდები იყო.^[P]_[SEP]

- სულ დახვრეტილა, - ჩურჩულებს და მე და ალბერტს ათვალწუნებით გვიყურებს.^[P]_[SEP]

- ომის ნივთებია, - ვამბობ და მხრებს ვიჩეჩ.^[P]_[SEP]

- ესე იგი, ომის ნივთები, არა? - ამბობს ნანყენი, - როგორ ყველაფერი იცით! საუკეთესო შალისგან იყო მოქსოვილი! რვა დღე დავრბოდი მათ საყიდლად. გადასაგდება, ახალს კი ასეთს ვეღარ იშოვი! - შენუხებული დაჰყურებს წინდების ნარჩენს. - იმდენი დრო მაინც ჰქონდა ომში, წინდები რომ გამოეცვალა. ბოლოს ოთხი წყვილი წაიღო. მხოლოდ ორი მოიტანა უკან და თანაც ასეთ მდგომარეობაში! - თითებს წინდის ნახვრეტებში ყოფს.^[P]_[SEP]

დავაპირე თუ არა ვილის გამოსარჩლება, თვითონ შემოიჭრა საზეიმო, ხმამაღალი ღრიალით.^[P]_[SEP]

- აი, ასე მოვალორეთ მთელი ქვეყანა! სამზარეულოს ქვაბში მოხარშვის კანდიდატი! ამ საღამოს ქათმის ფრიკასეს მივირთმევთ! [SEP]

ხელში დროშასავით აფრიალებს ჩასუქებულ მამალს. მისი კუდი მომწვანო-მოოქროსფრად ელავს, ბიბილო მენამულად ანათებს, ნისკარტზე კი სისხლის რამდენიმე წვეთი ჰკიდია. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ნაჭამი ვიყავი, პირში ნერწყვი მომადგა. [SEP]

ვილი ნეტარებით იქნევდა ფრინველს აქეთ-იქით, ფრაუ ნამოხტა და ყვირილი ატეხა. [SEP]

- ვილი, ეს რა მოიტანე? [SEP]

ვილიმ ამაყად მოახსენა, რომ ახლახან იპოვა მამალი სარდაფის გვერდით, დაიჭირა და დაკლა, ორი წუთიც არ დასჭირვებია. დედას მხარზე ხელს ურტყამს. [SEP]

- ეს ჩვენ ფრონტზე ვისწავლეთ; ტყუილად კი არ იყო ვილი მზარეულის თანაშემწე! [SEP]

ქალი ისე შეჰყურებს, თითქოს ბომბა გადაყლაპაო. შემდეგ ქმარს ეძახის და ღონემიხდილი ეუბნება. [SEP]

- ოსკარ, აბა ერთი შეხედე, ჰანსს ბინდინგის ნასუქი მამალი დაუკლავს! [SEP]

- როგორ თუ ბინდინგის? - კითხულობს ვილი. [SEP]

- ეს მამალი ხომ ჩვენი მეგობლისაა, ბინდინგის! რძის გამყიდველის! ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ ჩაიდინე ამგვარი რამ? - ფრაუ ჰომეიერი სკამზე ვარდება. [SEP]

- ასეთი მშვენიერ მამლის ბრანულას ხელიდან ხომ არ გავუშვებდი?

- ამბობს ვილი გაკვირვებით, - ეს უკვე ჩვევაში გვაქვს!<sup>[P]
[SEP]</sup>

ფრაუ ჰომეიერი ვერ მშვიდდება!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლა ამბავი ატყდება! ეს ბინდინგი ისეთი ფიცხია!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვინ გგონივარ? - გულწრფელად სწყინს ვილის, - ხომ არ გგონია, რომ ვინმემ დამინახა? ახალბედა კი არა ვარ! ეს ზუსტად მეათეა. იუბილარი მამალი! ძალიან მშვიდად შეგვიძლია მივირთვათ, ბინდინგია თუ ვილაცა, წარმოდგენაც არა აქვს ამაზე! - ვილი ნაზად უაღერსებს მამალს. - გემრიელი უნდა იყო! შევწვით თუ მოვხარშოთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენ გგონია, ერთ ლუკმას მაინც შეგამ მანდედან? - ყვირის წყობიდან გამოსული ფრაუ ჰომეიერი, - ახლავე დააბრუნე!<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი არ გავგიჟებულვარ, - ეუბნება ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენ ხომ ის მოიპარე? - მოთქვამს სასონარკვეთილი ქალი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოვიპარე? - კინალამ ჩაბჭირდა ვილი, - მით უკეთესი! მას რეკვიზირება გავუკეთეთ! ვიშოვეთ! ვიპოვეთ! - მოვიპარეთ? მოპარევა, ფულს როცა წაართმევ ვინმეს. აი, ესაა ქურდობა და არა ის, რამეს შესაჭმელად რომ ანაპნავ. მაშინ ჩვენ ძალიან ბევრი მოგვიპარავს, ერნსტ, არა?<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა თქმა უნდა, ვილი, - ვამბობ, - მამალი თვითონ ჩაგივარდა ხელში, როგორც მაშინ შტადენის მეორე ბატალიონის უფროსის მამალი; გახსოვს, როგორ მოამზადე ქათმის ფრიკასე? რეცეპტის მიხედვით: ერთ ქათამში - ერთი ცხენი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნასიამოვნები ვილი იღიმება და ლუმელს ხელს ადებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ცივია, - ამბობს იმედგაცრუებული და დედას მიმართავს: - ნახშირი აღარ გაქვთ?^{[P]_{SEP}}

ფრაუ ჰომეიერი აღშფოთებისგან ლაპარაკის უნარს კარგავს. მხოლოდ თავის ქნევალა შეუძლია. ვილი აწყნარებს:^{[P]_{SEP}}

- ხვალ ვიშოვი. სხვა თუ არაფერი, ეს სკამიც გამოდგება, მაინც აღარაფრად ვარგა.^{[P]_{SEP}}

ფრაუ ჰომეიერი ისევ შეძრწუნებული შესცქერის შვილს. შემდეგ ჯერ მამალს გლექს ხელიდან, მერე სკამს და რძით მოვაჭრე ბინდინგის სახლისკენ მიდის.^{[P]_{SEP}}

ვილი სრულიად განიარაღებულია.^{[P]_{SEP}}

- „მივდივარ, უკან არ ვიხედები...“

- ამბობს დადარდიანებული, - გაიგე რამე, ერნსტ?^{[P]_{SEP}}

ის, რომ სკამის აღება არ შეიძლება, ასე თუ ისე, მაინც შემიძლია გავიგო, თუმცა ომში მთელი პიანინო დავწვით, ცხენი რომ მოგვეხარშა; ბოლოს და ბოლოს, იმასაც გავიგებ, რომ აქ, სახლში, ხელებს ზედმეტი თავისუფლება არ უნდა მივცეთ, რამე ცუდად დადებულის რომ დავინახოთ - მიუხედავად იმისა, რომ ფრონტზე საჭმლის მოპოვება უფრო ბედისწერის საქმე იყო, ვიდრე მორალისა; მაგრამ უკან დააბრუნო მამალი, რომელიც ისედაც უკვე მკვდარია, მაშინ, როცა ახალწვეულმაც კი კარგად იცის, რომ ეს უსიამოვნების გარდა არაფერს მოიტანს, - ნამდვილად სისულელედ მიმაჩნია.^{[P]_{SEP}}

- ეს რომ მოდაში შემოვიდეს, ნამდვილად შიმშილით მოვკვდებით, გაფრთხილდი! - მიმტკიცებს აღელვებული ვილი. - ეჰ, ფრონტზე

ნახევარ საათში უმშვენიერესი ქათმის ფრიკასე გვექნებოდა; თან ყვითელ სოუზსაც გავაკეთებდი...^[P]^[SEP]

ვილი ხან ლუმელს შესცქერის, ხან - კარს.^[P]^[SEP]

- ჭობია ავითესოთ, - ვთავაზობ, - აქ სიტუაცია ძალიან დაიძაბა.^[P]^[SEP]

მაგრამ ამასობაში ფრაუ ჰომეიერი ბრუნდება.^[P]^[SEP]

- სახლში არ იყო, - ამბობს სუნთქვაშეკრული და აღელვებული საუბრის გაგრძელებას აპირებს. უცებ ამჩნევს, რომ ვილიმ ტანთ ჩაიცვა. ვილის დედას უცებ ყველაფერი ავინწყდება.^[P]^[SEP]

- ნასვლას აპირებ?^[P]^[SEP]

- ცოტა ხნით საპატრულოდ გავალთ, დედა, - ამბობს ვილი სიცილით.^[P]^[SEP]

ფრაუ ჰომეიერი ტირილს იწყებს. ვილი თანაგრძნობით ხელს ადებს მხარზე.^[P]^[SEP]

- დავბრუნდები, ამიერიდან ყოველთვის დავბრუნდებით. უფრო ხშირად, ვიდრე საჭიროა, მისმინე...^[P]^[SEP]

მხარდამხარ, გრძელი ნაბიჯით, ჯიბეში ხელებჩანყობილები, ქუჩას მივუყვებით.^[P]^[SEP]

- ლუდვიგს არ გავუაროთ? - ვკითხულობ.^[P]^[SEP]

ვილი თავს აქნევს.^[P]^[SEP]

- ჭობია, ეძინოს, ასე აჯობებს მისთვის.^[P]^[SEP]

ქალაქში ხმაურია. მეზღვაურებით დატენილი საბარგო მანქანები ქალაქში დაქრიან. წითელი დროშები ფრიალებს.^[P]^[SEP]

რატუმასთან უამრავი პროკლამაცია მოაქვთ და მაშინვე არიგებენ.

ადამიანები ხელიდან გლეჯენ მებღვაურებს ფურცლებს და ხარბად კითხულობენ. თვალები უბრწყინავთ. ნიავი უბერავს და ქალაქებისგროვას თეთრი მტრედების გუნდივით ჰაერში იტაცებს. ფურცლები შიშველ ტოტებში იჩხირება და შრიალებს.^[P]_[SEP]

- ამხანაგებო, - ამბობს ტუჩების კანკალით ჩვენ გვერდით მდგომი, ხაკისფერ პალტოში გამონწყობილი მოხუცი, - ამხანაგებო, უკეთეს დროს უნდა ველოდოთ...^[P]_[SEP]

- ჭანდაბას, აქ რაღაც ხდება, - ვამბობ მე.^[P]_[SEP]

ფეხს ვუჩქარებთ. რაც უფრო ვუახლოვდებით ტაძრის ეზოს, უფრო ძლიერდება ხალხის ნაკადი. მოედანი სავსეა ხალხით. თეატრის კიბებზე ჯარისკაცი დგას და ლაპარაკობს. სახეზე კარბიდის ლამპის თეთრი სინათლე დასთამაშებს. ჩვენ კარგად არ გვესმის, რას ამბობს, რადგან ქარი ძლიერად უბერავს მოედანზე და ტაძრის მხრიდან ორღანის ძლიერი ბგერები მოაქვს, რომელიც სუსტ, წყვეტილ ხმას ფარავს. ამალელვებელი განწყობა სუფევს მოედანზე, რაღაც შეუცნობლის მოლოდინის. ხალხის ბრბო კედელივით აღმართულა. თითქმის ყოველი მათგანი ჯარისკაცია. ბევრი ცოლთან ერთად მოსულა. მდუმარე, კუმბ სახეებზე ისეთივე გამომეტყველება აქვთ, როგორიც ბრძოლის ველზე, როცა რკინის ჩაფხუტებიდან მტერს უთვალთვალებდნენ. მაგრამ ახლა ამ მზერაში კიდევ რაღაც სხვა გამოკრთის: მომავლის წინათგრძნობა, ახალი ცხოვრების უსაზღვრო მოლოდინი - თეატრიდან შეძახილები მოისმა, ტაძარი გუგუნით გამოეხმაურა.^[P]_[SEP]

- ბიჭებო, მოდი, შევეუერთდეთ! - ამბობს ალტაცებული ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ხელები აღიმართა. რიგები ამოძრავდა. მსვლელობა დაიწყო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- წინ, ამხანაგებო!<sup>[P]
[SEP]</sup>

მსვლელობა ძლიერ ნაკადად მიუყვება ქუჩას. ჩვენც უნებლიეთ მივყვებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ გვერდით არტილერიისტი მოდის, ჩვენ წინ - მესანგრე. ჭგუფი ჭგუფს უერთდება. მხოლოდ ცოტანი თუ იცნობენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს გულს ვუშლით. ჯარისკაცებს არ სჭირდებათ რაიმე იცოდნენ ერთმანეთის შესახებ. ისინი ამხანაგები არიან, ეს საკმარისია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ადე, ოტო, გამოგვეყვი! - ეძახის ერთი მესანგრე გვერდით მდგომს. ის ყოყმანობს. ცოლთან ერთად არის. ქალი ხელს უყრის ქმარს და შესცქერის. ის მორიდებით იღიმება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოგვიანებით, ფრანც.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი იტყვანება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- როცა ქვედაკაბები შუაში დგება, გემმარიტი ამხანაგობა ჯანდაბაში მიდის, ფრთხილად იყავით!<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, სისულელეა, - პასუხობს მესანგრე და სიგარეტს უწვდის. - ქალი ცხოვრების ნახევარია. ყველაფერს თავისი დრო აქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

უნებლიეთ ფეხს ვუნყოფთ მსვლელობას. ეს სხვა მარშირებაა, სრულიად განსხვავებული. ქვაფენილი კანკალებს, და გიჟური, სულისშემკვრელი იმედი კოლონებს ელვასავით გადაურბენს: თითქოს მხოლოდ ახლა შემოდის ჩვენს ცხოვრებაში თავისუფლება და

სამართლიანობა.^[P]_[SEP]

ასი ნაბიჯის შემდეგ მსვლელობა ბურგომისტრის სახლთან ჩერდება. რამდენიმე მუშა მივარდნია კარს და, რაც ძალი და ღონე აქვს, ეჭაჭგურება. სიჩუმე ისადგურებს, დახურულ ფანჯრებს მიღმა კი ერთი ნუთით გაიღვავებს ქალის ფერმკრთალი სახე. ნჭღრევა გრძელდება. ქვა ესროლეს ფანჯარას, ერთს მეორეც მიჰყვა. ნამსხვრევეები ბრახუნით ცვივა ბაღში. პირველი სართულის აივანზე ბურგომისტრი გამოდის. შეძახილებით ხვდება.^[P]_[SEP]

ცდილობს ხალხი დაარწმუნოს, მაგრამ არავინ უსმენს.^[P]_[SEP]

- აბა, ნამოდით! - ყვირის ვიღაც.^[P]_[SEP]

ბურგომისტრი მხრებს იჩეჩს და თანხმდება. ცოტა ხნის შემდეგ მსვლელობას წინ მიუძღვის. შემდეგი, რომელიც სახლიდან გამოიყვანეს, მომარაგების მინისტრია. შემდეგ შეშინებული თავმოტვლეპილის ჯერი დადგა, რომელსაც კარაქის ტალონების განაწილება ევალება. მარცვლეულის ვაჭარს ვეღარ მივუსწარით - გაიგო თუ არა, რომ მოვდიოდით, დროულად უშველა თავს. მსვლელობა სასახლის ეზომდე მივიდა და რაიონის მმართველობასთან გაჩერდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა კიბე აირბინა და შიგ შევიდა. ჩვენ ვიცდით. ყველა ფანჯარა გაჩახჩახებულია.^[P]_[SEP]

ბოლოს კარი იღება. ცვდილობთ ყველაფერი დავინახოთ. სიტყვით გამოდის პორტფელიანი კაცი. ფურცლებში იქექება და მონოტონური ხმით წინასწარ დანერილი სიტყვის კითხვას იწყებს. დაძაბული ვუსმენთ. ვილის ორივე ხელი უშველებელ ყურებთან მიაქვს, და

რადგან ერთი თავით სხვებზე მაღალია, უკეთესად იგებს სიტყვებს და ყველას გასაგონად იმეორებს. მაგრამ სიტყვები ჩვენს თავს ზემოთ მიქრიან. ჟღერენ და იფანტებიან. ისინი ჩვენ არ გვეხებიან, მიედინებიან და მიედინებიან, არ გვალეღვებენ. უბრალოდ მიედინებიან და მიედინებიან.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ ავფორიაქდით, ჩვენ ეს არ გვესმის. ჩვენ შეჩვეული ვართ მოქმედებას. ეს ხომ რევოლუციაა! აქ ხომ რაღაც უნდა მოხდეს! მაგრამ ზემოთ მდგომი კაცი ლაპარაკობს და ლაპარაკობს. ის სიმშვიდისა და გონიერებისკენ მოგვიწოდებს, თუმცა აქ ყველა მშვიდად და წყნარად დგას. ბოლოს და ბოლოს, ძირს ჩამოდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვინ იყო? - ვკითხულობ იმედგაცრუებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ გვერდით მდგომმა არტილერისტმა ყველაფერი იცის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელმძღვანელია, ადრე, როგორც ვიცი, კბილის ექიმი იყო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰა! - ბურტყუნებს ვილი და თავის ალისფერ თავს აქეთ-იქით ატრიალებს. - რა სისულელისთვის მოვცდი! ვიფიქრე, მაშინვე სადგურზე წავიდოდით და მერე პირდაპირ - ბერლინში.<sup>[P]
[SEP]</sup>

შეძახილები ბრბოში ძლიერდება და უფრო და უფრო მომთხონი ხდება. ბურგომისტრმა უნდა ილაპარაკოს. მისთვის კიბე მიაქვთ. წყნარი ხმით გვიხსნის, რომ ყველაფერს დანვრილებით გამოიკვლევენ. ორი აკანკალებული გადამყიდველი გვერდით უდგას და შიშისგან ოფლად იწურება, თუმცა ახლა არაფერი ემუქრებათ. მათ უსტვენენ, მაგრამ ვერავინ ბედავს მათზე ხელისაღმართვას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აბა, - ამბობს ვილი, - ბურგომისტრი მაინც გვყავს უშიშარი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ის მიჩვეულია, - ამბობს არტილერისტი, - დღეგამოშვებით გამოჰყავთ სახლიდან.<sup>[P]
[SEP]</sup>

გვიკვირს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ასეთი რამ ხშირად ხდება? - ეკითხება ალბერტი.<sup>[P]
[SEP]</sup>

არტილერისტი კვერს უკრავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სულ უფრო მეტი ახალი რაზმი ბრუნდება უკან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინი დაამყარებენ წესრიგს, მაგრამ ყველაფერი ამით მთავრდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კაცო, ეს კი ვერ გავიგე, - ამბობს ალბერტი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არც მე მესმის, - გვიხსნის არტილერისტი და გულიანად ამოქნარებს, - მეც სხვანაირად წარმომედგინა. აბა, ნახვამდის, წავალ, ჩემს გოგო-ბიჭებს მივხედავ, ასე აჯობებს...<sup>[P]
[SEP]</sup>

სხვებიც მიჰყვნენ. მოედანი უცებ დაცარიელდა. ახლა მეორე დელეგატი გამოდის სიტყვით. ისიც სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს. ხელმძღვანელობა იბრუნებს ყველაფრისთვის. უკვე შეუდგნენ საქმეს. განათებულ ფანჯრებზე უთითებს. ჯობია სახლში წავიდეთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დასწყევლოს ღმერთმა, სულ ეს იყო? - ვამბობ განაწყენებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

საკუთარ თავზე გვეცინება, მათ რომ ავყევით. რის გაკეთებას ვაპირებდით მანამდე?<sup>[P]
[SEP]</sup>

- დასწყევლოს ღმერთმა! - ამბობს ვილი გულდანყვევით. ჩვენ მხრებს ვიჩეხთ და მივბორიალებთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ცოტა ხანს კიდევ დავეხეტებით, შემდეგ კი ჩვენ-ჩვენს გზას

მივეყვებით. ალბერტი სახლში მივიყვანე და მარტო ვბრუნდები. უჩვეულოა: ახლა, როცა ჩემი მეგობრები ჩემთან არ არიან, ჩემ გარშემო ყველაფერი ირყევა და არარეალური ხდება. ყველაფერი ხდება, რაც თავისთავად ცხადი და მყარია, უცებ ფერს იცვლის და ისე გამოგნებლად და უჩვეულოდ მეჩვენება, რომ აღარ ვიცი, მესიზმრება თუ მართლა აქ ვარ, მართლა სახლში ვარ?^{[P]_{SEP}}

მყარად განოლილან ქვით მოკირწყლული ქუჩები, პრიალა, მბზინავი სახურავებით. არსად ჩანს ნახვრეტები და ყუმბარის ნაკვალევი. ღამეში აღმართულა დაუზიანებელი კედლები, მუქი აივნები და სვეტები, თითქოს ლურჯ ცაზე ამოუჭრიათო. ომის მსახვრალი ხელი აქაურობას არ შეხებია, ყველა ფანჯრის მინა მთელია, და ფარდების ნათელ ღრუბლებს იქით სხვა, ფარული სამყარო იმალება. ამ სამყაროში არაა სიკვდილი, რომელიც აქამდე ესოდენ მშობლიური იყო ჩვენთვის.^{[P]_{SEP}}

ერთი განათებულფანჯრებიანი სახლის წინ ვჩერდები. ჩუმად იღვრება მუსიკის ჰანგები, ფარდები მხოლოდ ნახევრად ფარავს ფანჯრებს, ისე, რომ შეგიძლია შიგ შეიხედო.^{[P]_{SEP}}

ქალი როიალთან ზის და უკრავს, მარტოა. მხოლოდ მაგიდის ლამპის შუქი ეცემა თეთრი ნოტების ფურცლებს. ოთახი ბინდბუნდში ჩაფლულა, დივანი და ლამაზად დახლართულბურგიანი სკამები ყველაფერს მშვიდობიან იერს ჰფენს. სავარძელში ძალღი ნევს და სძინავს. მოჭადოებული შევცქერი ამ სურათს. მხოლოდ მაშინ, როცა ქალი დგება და მსუბუქი ნაბიჯით მიდის მაგიდასთან, სწრაფად ვიხევ

უკან. გული ამოვარდნაზე მაქვს. მანათობელ რაკეტებსა და დაცხრილულ ნანგრევებს შორის თითქმის დავინწყებული მქონდა, რომ ეს ყველაფერი კიდევ არსებობს: ოთახები, ხალიჩები, სიმშვიდე, სითბო და ქალები. მინდა გავალო სახლის კარი და ოთახში შევიდე, მინდა სავარძელში ჩავეფლო, ხელები გავითბო და ეს სითბო ძვალ-რბილში გამიჭდეს, მინდა დაუსრულებლად ვილაპარაკო და ის სასტიკი და ქარიშხლიანი დღეები ქალის მშვიდ თვალებში ჩავძირო და დავივიწყო, მინდა ყველაფერი ეს ჭუჭყიანი სამოსივით გავიხადო.^[SEP]

ოთახში სინათლე ქრება, ღამე კი უცებ ივსება იდუმალი ძახილით და გაურკვეველი ხმებით, სურათებით და განვლილი დღეებით, ივსება კითხვებით და პასუხებით.^[SEP]

ვხეტილობ. კლოსტერბერგის აღმართზე შევჩერდი. ქალაქს ვერცხლისფერი დაჰკრავს, მთვარე მდინარეში ირეკლება, კომპები ქანაობენ და წარმოუდგენელი სიმშვიდეა. ცოტა ხანს ვდგავარ ასე და შემდეგ კვლავ ვუბრუნდები ქუჩებს და სახლებს.^[SEP]

ფეხაკრეფით ავდივარ სახლის კიბეზე, მშობლებს უკვე სძინავთ. მათი სუნთქვა მესმის: უფრო ჩუმი - დედაჩემის და უფრო უხეში - მამის. მრცხვენია, რომ ასე გვიან დავბრუნდი.^[SEP]

ჩემს ოთახში სინათლეს ვანთებ. კუთხეში სანოლი დგას, გაქათქათებული საბნით. ვჯდები და რამდენიმე წუთი ასე ვზივარ. თვალები მეხუჭება, მექანიკურად ვწვები და საბნის დახურებას ვცდილობ. მაგრამ უცებ კვლავ ვდგები, ტანთ გახდა დამვიწყებია. ომში ხომ ყოველთვის ტანსაცმლიანად გვეძინა. ნელა ვიხდი უნიფორმას და

ჩექმებს კუთხეში ვანყობ. ვხედავ, რომ სანოლის ბოლოს ღამის პერანგი კიდია. აღარც კი მახსოვს ასეთი ნივთების არსებობა. ჩაცმას ვიწყებ და რაღაც უცხო გრძნობა მერევა, პირდაპირ ბალიშებში, ძილში ვეშვები, შემდეგ კვლავ ვუბრუნდები რეალობას და მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობ: აქ ვარ - პო, აქ ვარ!^[P]_[SEP]

3.^[P]_[SEP]

მე და ალბერტი მეიერის კაფეში ფანჯარასთან ვსხედვართ. ჩვენ ნინ, მარმარილოს მრგვალ მაგიდაზე, ორი ფინჯანი ყავა დგას და ცივდება. უკვე სამი საათია, რაც აქ ვართ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვბედავთ ამ მწარე ნარეცხის დალევას - ჩვენ, ბრძოლის ველზე ყველანაირ ნაგავს რომ მივეჩვიეთ; მაგრამ ეს სულაც ქვანახშირისგან მოდულდებულს ჰგავს.^[P]_[SEP]

მხოლოდ სამი მაგიდაა დაკავებული. ერთ-ერთ მაგიდასთან გადამყიდველები პროდუქტებზე ლაპარაკობენ; მეორესთან - ცოლქმარი გაზეთებს ჩაჰკირკიტებს; მესამეს ჩვენ ვუსხედვართ და კომფორტს გადაჩვეულ უკანალებს ნითელიპლუმის დივანზე ვანებივრებთ.^[P]_[SEP]

ფარდები ჭუჭყიანია, ჰაერი - დახუთული, ოფიციალტი ქალი მონყენილობისგან ამთქნარებს, და სიმართლე რომ ვთქვათ, აქ არაფერია საინტერესო, ჩვენ კი ყველაფერი გვინტერესებს. კარგად ვგრძნობთ თავს, ბევრი დრო გვაქვს, მუსიკა უკრავს და შეგვიძლია

ფანჯრიდან ქუჩის თვალიერება, ასეთი ფუფუნება კი, კარგა ხანია, არ გვღირსებია.^{[P]_{SEP}}

ამიტომ, სანამ მუსიკოსები თავიანთ ინსტრუმენტებს არ ააღაგებენ და სანამ მიმტანი ქალი უკმაყოფილო სახით ჩვენს მაგიდასთან სულ უფრო და უფრო ახლოს არ დაინყებს ტრიალს, აქ ვრჩებით. შემდეგ ფულს მაგიდაზე ვდებთ და სადამომორეულ ქუჩებში ხეტიალს ვინყებთ. კარგია, როცა ერთი ვიტრინიდან მეორესთან მიდიხარ, არაფრის დარდი არა გაქვს და თავისუფალი ადამიანი ხარ.^{[P]_{SEP}}

შტუბენშტრასებზე ვჩერდებით.^{[P]_{SEP}}

- ბეკერთან ხომ არ შეგვევლო? - ვეუბნები ალბერტს.^{[P]_{SEP}}

- მართლა კარგი იქნება. გავაოცებთ. - მეთანხმება ალბერტი.^{[P]_{SEP}}

ბეკერის მალაზიაში სკოლაში სწავლის საუკეთესო ნაწილი გავატარეთ. იქ ყველაფერი შეგეძლო გეყიდა, რასაც მოისურვებდი: რვეულები, სახაზავი მონყობილობა, პეპლის საჭერები, აკვარიუმები, საფოსტო მარკების კოლექციები, ანტიკვარული წიგნები და ბროშურები ალგებრის ამოცანების „გასაღებებით“. საათობით ვისხედით ბეკერთან, იქ ფარულად ვწვოდით სიგარეტს და პირველად, ფარულად ვხვდებოდით გიმნაზიელ გოგონებს. ბეკერი ჩვენი უფროსი მესაიდუმლე იყო. შევდივართ. კედელს აყუდებული მოსწავლეები სწრაფად მალავენ სიგარეტს მუჭში. ჩვენ ვიღიმებით და ოდნავ უკან ვიხევთ. გოგონა მოდის და გვეკითხება, რა გვსურს.^{[P]_{SEP}}

- ჰერ ბეკერთან გვინდოდა საუბარი, - ვეუბნები სწრაფად.^{[P]_{SEP}}

გოგონა ყოყმანობს.^{[P]_{SEP}}

- მე ვერ დაგვხმარებთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, ფროილან, - შევეპასუხე, - ვერ დაგვხმარებით. მოახსენეთ
ჰერ ბეკერს.<sup>[P]
[SEP]</sup>

გოგონა მიდის. ჩვენ ერთმანეთს მზერას ვავლებთ და ჩვენი
საქციელით კმაყოფილნი, ჭიბეებში ხელებჩანყობილნი ვიცდით. აი,
დახვედრაც ასეთი უნდა!<sup>[P]
[SEP]</sup>

კარგად ნაცნობი ზარის ხმა; ბეკერი შემოდის, პატარა, ნაცრისფერი,
დაჩაჩანაკებული ბერიკაცი. ერთი ნუთი თვალებს ახამხამებს, შემდეგ
გვცნობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შეხე, ბირკოლცი და ტროსკე, - ამბობს ის, - ისევ აქ ხართ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, - ვამბობთ და ვფიქრობთ, რომ ახლა დაიწყება მთავარი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგია! რას ისურვებდით? - გვეკითხება, - სიგარეტებს?<sup>[P]
[SEP]</sup>

შეცბუნებულები ვდგავართ, სინამდვილეში არაფრის ყიდვას არ
ვაპირებდით, ამაზე არ გვიფიქრია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, ათი სიგარეტი. - ვამბობ ბოლოს.<sup>[P]
[SEP]</sup>

გვითვლის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აბა, შეხვედრამდე, - თავს აქნევს და კანტორის კარიდან მიმაღვას
აპირებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ერთი ნუთი ფეხს არ ვიცვლით. ბეკერი მოგვიბრუნდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დაგავიწყდათ რამე? - გვეუბნება უკვე კიბეზე შემდგარი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, არა, - ვამბობთ და მაღაზიიდან გავდივართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, ალბერტ, ის ალბათ ფიქრობს, რომ სასეირნოდ ვიყავით
ამდენ ხანს, არა?<sup>[P]
[SEP]</sup>

ალბერტი იმედგაცრუებული ხელს იქნევს: [P]
[SEP]

- რეგვენი!.. [P]
[SEP]

ხეტიალს ვაგრძელებთ. მოგვიანებით ვილიც გვიერთდება და ერთად მივდივართ ყაზარმაში. [P]
[SEP]

გზაში უცებ ვილი გვერდზე ხტება. მეც შევშინდი. ნამდვილად გაფრენილი ჭურვის ხმა იყო, მაგრამ როგორ მოვლორდით, სიცილით ვკვდებით. ეს ხომ ტრამვაიმ გაიტკაცუნა მოხვევისას. [P]
[SEP]

იუპი და ვალენტინი მარტო სხედან უზარმაზარ დარბაზში. ტიადენი ჭერ საერთოდ არ გამოჩენილა. ალბათ ისევ ბორდელშია. გახარებულნი გვესალმებიან; ახლა სკატსაც ვითამაშებთ. ამ ცოტა ხანში იუპს მოუსწრია და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი გამხდარა. უფრო სწორად, თავად დაინიშნა თავი. ყაზარმაში ისეთი საშინელი არეულობაა, ვერავინ არკვევს თავსა და ბოლოს. ეს სამსახური კი მას შესაძლებლობას აძლევს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყოს, მით უმეტეს, რომ თავისი სამოქალაქო თანამდებობაც დაკარგა. ადვოკატმა, ვისთანაც მუშაობდა, მოსწერა, რომ ახალი თანამშრომელი ქალი მშვენივრად უძღვება საქმეს და უფრო იაფიც უჭდება, იუპი კი ალბათ ფრონტზე ყოფნისას ოდნავ ჩამორჩა საქმეს; ძალიან ნუხს, მაგრამ მკაცრი დრო დადგა და მომავალში ნარმატებებს უსურვებს ბატონ იუპს. [P]
[SEP]

- კარგი ნაგავია, - ამბობს იუპი მელანქოლიურად, - მთელი ეს ნლები ერთი სურვილი მქონდა: სამხედროსგან შორს ვყოფილიყავი, ახლა კი ისე გამიხდა საქმე, რომ მიხარია აქ დარჩენა. რაც იქნება

იქნება, - თვრამეტს ჩამოვდივარ.^{[P][SEP]}

ვილის მომგებიანი კომბინაცია უჭირავს ხელში.^{[P][SEP]}

- ოცი, - ვპასუხობ მის მაგივრად. - და შენ, ვალენტინ?^{[P][SEP]}

ის მხრებს იჩეჩს.^{[P][SEP]}

- ოცდაოთხი.^{[P][SEP]}

იუპი ორმოცზე კარტს ყრის, ამ დროს კარლ ბრიოგერი შემოდის.^{[P][SEP]}

- მინდოდა მენახა, რას აკეთებთ, - ამბობს.^{[P][SEP]}

- იცოდი, რომ აქ ვიქნებოდით, ხომ? - ქირქილებს ვილი და უფრო მოხერხებულად ეწყობა. - დიახ, ყაბარმა ჯარისკაცისთვის ჭემმარიტი სამშობლოა. ორმოცდაერთი!^{[P][SEP]}

- ორმოცდაექვსი! - გაჰყვირის აბარტში შესული ვალენტინი.^{[P][SEP]}

- ორმოცდარვა! - ღრიალებს ვილი.^{[P][SEP]}

ჯანდაბა, აი ეს თამაშია! მაგიდასთან უფრო ახლოს მივდივართ. ვილი ნასიამოვნები ეყრდნობა კარადას და უმაღლეს კარტს გვიჩვენებს. მაგრამ ვალენტინი საშინლად იღმიტება; მას კიდევ ძლიერი სვლა აქვს წინ.^{[P][SEP]}

არაჩვეულებრივი სიმყუდროვეა. მაგიდაზე სანთელი ინვის და ლაპლაპებს, ბინდ-ბუნდში ჯარისკაცული სანოლები მოჩანს. იუპის მოტანილ მოზრდილყველის ნაჭრებს მივირთმევთ, ის ხიშტის წვერით ყველას უნანილებს თავის ულუფას.^{[P][SEP]}

- ორმოცდაათი! - აცხადებს ვალენტინი.^{[P][SEP]}

უცებ კარი იხსნება და ტიადენი შემორბის.^{[P][SEP]}

- ზე...ზე... - ბლუკუნებს და აღელვებისგან სლოკინს იწყებს.^{[P][SEP]}

ჩვენ ხელანეული დაგვყავს ოთახში.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბოგებმა ფული აგნაპნეს? - ეკითხება ვილი თანაგრძნობით.<sup>[P]
[SEP]</sup>

თავს იქნევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ზე...ზე...<sup>[P]
[SEP]</sup>

- სმენა! - უყვირის ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ტიადენი გონს მოდის. სლოკინი წყდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ზეელიგი, ზეელიგი ვიპოვე! - პასუხობს ალტაცებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

- იცოდე, - ბრდღვინავს ვილი, - თუ იტყუები, ფანჯრიდან გადაგაგდებ!<sup>[P]
[SEP]</sup>

ზეელიგი ჩვენი ასეულის ფელდფებელი იყო, პირველი რანგის პირუტყვი. რევოლუციამდე ორი თვით ადრე, ჩვენდა სამნუხაროდ, შეცვალეს, ამიტომ ამდენ ხანს ვერ გამოვიჭირეთ. ტიადენი ამბობს, რომ ის დუქან „კონიგ ვილჰელმის“ მეპატრონეა და საუკეთესო ლუდი აქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- წავედით! - ვიძახი და ყველანი გავრბივართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ფერდინანდს ვერ დავტოვებთ, - ამბობს ვილი, - მას ზეელიგთან შროდერის საქმე აქვს გასარჩევი.<sup>[P]
[SEP]</sup>

კომოლეს სახლთან ვყვირით და ვუსტვენთ, სანამ უჟმური გამომეტყველებით თავად არ გამოჩნდა ფანჯარასთან.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა დაგემართათ ამ შუალამისას? - ბურტყუნებს, - დაგავინყდათ, რომ ცოლი მყავს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოითმენს, - ყვირის ვილი, - ჩამოდი ჩქარა ქვემოთ, ზეელიგი ვიპოვეთ!<sup>[P]
[SEP]</sup>

ფერდინანდი გამოცოცხლდა.^[P]_[SEP]

- მართლა? - კითხულობს.^[P]_[SEP]

- მართლა! - უყვირის ტიადენი.^[P]_[SEP]

- კარგი, მოვდივარ! - ამბობს, - მაგრამ ვაი თქვენ, თუ გამაცურეთ!^[P]_[SEP]
ხუთ ნუთში უკვე ქვევითაა და მომხდარის შესახებ გვაყოლებს.

კისრისტეხით გავრბივართ.^[P]_[SEP]

ჰაკენშტრასეს შესახვევში ვილი აღელვებისგან ვილაცას ეჭახება და ძირს ანარცხებს.^[P]_[SEP]

- ნაძირლებო! - ყვირის ის ქვემოდან.^[P]_[SEP]

ვილი ბრუნდება და თავზე ადგება.^[P]_[SEP]

- პარდონ, რა თქვით? - ეკითხება და მის ქუდს აბიჯებს. ნაქცეული
ნამოიმართა და დაჟინებით შესცქერის.^[P]_[SEP]

- არა მგონია, რომ მახსოვდეს, - პასუხობს ბრაზიანად.^[P]_[SEP]

- გაგიმართლათ, - ამბობს ვილი, - ლანძღვისთვის შესაფერისი
აღნაგობა არ გაქვთ.^[P]_[SEP]

ბალი გადავჭერთ და აი, „კონიგ ვილჰელმთან“ შევჩერდით.
სახელი შეცვლილი აქვს. ახლა „ედელვაისი“ ჰქვია. ვილი დარეკვას
აპირებს.^[P]_[SEP]

- ერთი ნუთით! - კობოლემ ტორი უკან ნაალებინა და ვილი
დააფიცა.^[P]_[SEP]

- თუ ჩხუბი ატყდა, პირველი მე ვურტყამ! მომეცი ხელი!^[P]_[SEP]

- ყველაფერი რიგზეა! - ეთანხმება ვილი და კარს აღებს.^[P]_[SEP]

ხმაური, კვამლი და შუქი თვალს გვჭრის. ჭიქები წვრიალებს,

მუსიკის აპარატი „მხიარული ქვრივიდან“ მარშს აგრიალებს. დახლის ონკანები ბრწყინავს. პატარა დახლიდან, სადაც გოგონები ჭიქებს რეცხენ, სიცილი ისმის. ბიჭები გუნდად ეხვევიან გარს. ხუმრობები იფრქვევა, წყალი გადმოდის. წყალში დატეხილი სახეები ირეკლება. ერთი არტილერისტი ყველას შნაპსზე ეპატიჟება და თან გოგონას უკანალს ავლებს ხელს.^[P]_[SEP]

- ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროის საქონელია! - ღრიალებს ალტაცებული.^[P]_[SEP]

ჩვენ გზას ვიკვლევთ.^[P]_[SEP]

- აი, აქ დგას, - ამბობს ვილი.^[P]_[SEP]

მართლაც, სახელოებაკაპიწებული, პერანგგაღეღილი, გაოფლილი და კისერგანითლებული ბარის მეპატრონე დახლთან დგას. მუქ ოქროსფერ ნაკადად მოედინება მისი უზარმაზარი მუშტებიდან ლუდი. აი, ამოიხედა და დაგვინახა. ღიმილმა სახე გაუბადრა.^[P]_[SEP]

- ყოჩაღ! თქვენც აქ ხართ? რას ისურვებდით, შავს თუ თეთრს?^[P]_[SEP]

- თეთრს, თეთრს, ბატონო ფელდფებელო! - თავხედურად პასუხობს ტიადენი.^[P]_[SEP]

მეპატრონე თვალებით გვთვლის.^[P]_[SEP]

- შვიდი, - ამბობს ვილი.^[P]_[SEP]

- შვიდი, - იმეორებს მეპატრონე და მზერა ფერდინანდზე გადააქვს,

- ექვსი და კობოლე, ხომ ასეა?^[P]_[SEP]

ფერდინანდი დახლთან მიდის და მუშტებით ზედ ეყრდნობა.^[P]_[SEP]

- მითხარი ზეელიგ, რომიც გაქვს?^[P]_[SEP]

ბეელიგი ერთხანს ნიკელის დახლის წინ მიდი-მოდის, შემდეგ ამბობს: [P] [SEP]

- რა თქმა უნდა, რომიც მაქვს. [P] [SEP]

კობოლე ქვემოდან უყურებს. [P] [SEP]

- სიამოვნებით ნრუპავ, არა? [P] [SEP]

ბეელიგი კონიაკის ჭიქებში ასხამს რომს. [P] [SEP]

- რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვნრუპავ. [P] [SEP]

- გახსოვს ბოლოს როდის გამოთვერი? [P] [SEP]

- არაა... [P] [SEP]

- მე კი მახსოვს! - ღრიალებს კობოლე და დახლს აშვებული ხარავით ეძგერება, - შროდერის სახელი რამეს გეუბნება? [P] [SEP]

- შროდერები ბევრია ამქვეყნად, - პასუხობს დახლიდარი ბერელედ. [P] [SEP]

კობოლესთვის ეს უკვე მეტისმეტია, გადასახტომად ემზადება. ვილი ხელს ჰკიდებს და თავის ადგილზე აბრუნებს. [P] [SEP]

- ჯერ დავლიოთ! შვიდი თეთრი! - გადასძახა დახლს იქით მდგარს. [P] [SEP]

კობოლე დუმს, მაგიდას მივუსხედით. ბეელიგი თავად გვიდგამს ნახევარლიტრიან კათხებს. [P] [SEP]

- პრობიტ! - გვეუბნება. [P] [SEP]

- პრობიტ! - პასუხობს ტიადენი და ჩვენც ვსვამთ. შემდეგ სკამზე გადაწვება: - აბა, რა გითხარით? [P] [SEP]

ფერდინანდი თვალს აყოლებს დახლისკენ მიმავალს. [P] [SEP]

- ბიჭო, იმაზე რომ ვფიქრობ, - გამოცრა კბილებიდან, - თუ როგორ იბრუებოდა რომით, როცა შროდერს ვასაფლავებდით... - ხმა უწყდება.^[P SEP]

- მხოლოდ არ მოვდუნდეთ, - ამბობს ტიადენი.^[P SEP]

თითქოს კობოლეს სიტყვებმა ფარდა ჩამოხიეს, აქამდე მხოლოდ ნელა რომ ირხეოდა, უცებ თითქოს ნაცრისფერი, მისტიკური სამყარო იჭრება დუქანში, დახუთულ ოთახში თითქოს ფანჯრები დნება, იატაკიდან ჩრდილები ამოდიან და მოგონებები ბოლავენ.^[P SEP]

კობოლეს და ბეელიგი ერთმანეთს ვერასდროს იტანდნენ, მაგრამ 1918 წლის აგვისტოში ერთმანეთს სასიკვდილოდ გადაემტერნენ. მაშინ მეორე ეშელონის დაცხრილულ სანგარში ვინეჯით და მთელი ღამე ამ თხრილში უნდა გვემუშავა. ღრმად ვერ ვთხრიდით, რადგან გრუნტის წყლები გვიშლიდა ხელს, ბოლოს კი უკვე სქელ ტალახში მოგვინია მუშაობამ.^[P SEP]

ბეთვე, ვაისლინგი და კობოლეს კედლებს ამაგრებდნენ. ჩვენ, დანარჩენები, სანამ სამარე გაითხრებოდა, გვამებს ვაგროვებდით და ერთ რიგში ვანყობდით. ალბერტ ტროსკვე, ჩვენი რაზმის უნტერ-ოფიცერი, მათ სამხრე ნიშნებს აძრობდა და სამხედრო ნიგნაკებს აგროვებდა, თუ რომელიმეს კიდევე შერჩენოდა.^[P SEP]

ზოგიერთ მკვდარს უკვე შავი, ლპობაშეპარული სახე ჰქონდა, რადგან ნესტიან თვეებში ლპობა უფრო სწრაფად მიმდინარეობს; სამაგიეროდ, გვამები არც ისე ძალიან ყარდნენ, როგორც ზაფხულში. ზოგიერთი დასველებულიყო და წყლისგან ღრუბელივით

გაბერილიყო. ბოგი ხელებგაშლილი ეგდო მინაზე. ანევისას ტანსაცმლის ნაკუნებოვით იშლებოდნენ, ისე იყვნენ დაცხრილულნი. არც ამოსაცნობი ნიშნები ჰქონდათ მთელი. ბოლოს დაკემსილი შარვლის მიხედვით ეფრეიტორი გლაზერი ამოვიცანით. ძალიან შემსუბუქებულიყო; მისგან მხოლოდ ნახევარიდა იყო დარჩენილი.^[P SEP]

ხელებს, ფეხებს და თავებს, ცალ-ცალკე რომ ეყარა, ბრებენტში ვაგროვებდით. როცა გლაზერი მოვიტანეთ, ბეთკემ თქვა:^[P SEP]

- საკმარისია, მეტი აღარ ჩაეტევა.^[P SEP]

რამდენიმე სავსე კირის ტომარა ვიშოვეთ. იუპმა თხრილს ნიჩბებით მოაყარა კირი. მალე მაქს ვეილიც მოვიდა და ჯვრები მოიტანა. ჩვენდა გასაოცრად, სიბნელიდან უცებ ჩვენ გვერდით ფელდფებელი ზეელიგი გაჩნდა: ჩვენ ვიცოდით, რომ რადგან ახლომახლო მღვდელი არ იყო, ხოლო ჩვენი ორი ოფიცერი შეუძლოდ იყო, ლოცვები მას უნდა წაეკითხა. ზეელიგი ხასიათზე ვერ იყო. მიუხედავად თავისი წარმოსადგეი ფიგურისა, სისხლს ვერ იტანდა, ამასთანავე ქათმის სიბრმავეც სჭირდა და ღამით თითქმის ვერაფერს ხედავდა. ისე დაიბნა, რომ საფლავის კიდე ვერ შეამჩნია და პირდაპირ თხრილში ჩავარდა. ტიადენს გაეცინა და დაგუდული ხმით წამოიძახა:^[P SEP]

- დააყარე, მიდი, დააყარე!^[P SEP]

სავარაუდოდ, კობოლე ზუსტად ამ ადგილზე აღმოჩნდა. ზეელიგი, მთელი თავისი ტონიანი სხეულით, პირდაპირ მას დაეცა თავზე. ფერდინანდმა საშინელი ლანძღვა დაიწყო, და როცა ფელდფებელი იცნო, როგორც გამოცდილმა მეომარმა, ენას კბილი არ დააჭირა - რას

იბამ, მაშინ ხომ 1918 წელი იდგა. ფელდფეხელი წამოდგა, თავისი დაუძინებელი მტერი იცნო, ბომბასავით გასკდა და ყვირილით ეცა კობოლეს. ფერდინანდიც ვალში არ დარჩა. ბეთკე, რომელიც იქვე მუშაობდა, ცდილობდა გაეშველებინა. ფელდფეხელი სიბრაზისგან იფურთხებოდა, კობოლეს, რომელიც თავს უდანაშაულოდ გრძნობდა, ტოლს არ უდებდა. კობოლეს დასახმარებლად თხრილში ვილი ჩახტა. საშინელი ღრიალი მოისმოდა თხრილის სიღრმიდან.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დანყნარდით! - თქვა უცებ ვილაცამ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან ჩუმად თქვა, ხმაური იმნამს შეწყდა. ბეელიგი ქსუტუნით ამოფორთხდა. უნიფორმა კირის მტვრით სულ გასთეთრებოდა და საშობაო შაქრის ანგელოზს მიაგავდა. კობოლეს და ბეთკეს ამოვიდნენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბემოთ ჯოხზე დაყრდნობილი ლუდვიგ ბრაიერი იდგა. აქამდე, დიზინტერიის პირველი ძლიერი შეტევის გამო, ორი მზარის ქვეშ, ბლინდაჟთან იწვა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა მოხდა? - იკითხა. სამი ადამიანი ერთდროულად ცდილობდა აეხსნა ეს მისთვის. ლუდვიგმა შეანყვეტინა: - სულერთია.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბემდეგი ამტკიცებდა, კობოლემ მკერდში მკრა ხელიო. კობოლეს კვლავ წამოენთო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სინყნარე! - გაიმეორა ლუდვიგმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

სიჩუმე ჩამონვა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყველა ამოსაცნობი ნიშანი შეაგროვე, ალბერტ? - იკითხა შემდეგ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, - უპასუხა ტროსკემ და ჩუმად დაუმატა, კობოლეს რომ არ გაეგონა - შროდერიც აქ ყოფილა.^{[P][SEP]}

ორივემ ერთმანეთს გადახედა. შემდეგ ლუდვიგმა თქვა:^{[P][SEP]}

- ესე იგი, ტყვედ არ ჩავარდნილა. სად წევს?^{[P][SEP]}

ალბერტი გაუძღვა რიგის გასწვრივ, ბრიოგერი და მე გავეყვით; შროდერი ჩვენი თანასკოლელი იყო. ტროსკე ერთ გვამთან შეჩერდა, რომელსაც ქვიშის ტომარა ეფარა. ბრაიერი დაიხარა. ალბერტმა უკან დახია.^{[P][SEP]}

- არ გადახადო, ლუდვიგ, - სთხოვა.^{[P][SEP]}

ბრეიერი შემობრუნდა.^{[P][SEP]}

- ჰო, ალბერტ, ჰო, - თქვა მან მშვიდად, - ჰო.^{[P][SEP]}

შროდერის სხეულს კაციშვილი ველარ იცნობდა. ტანი კამბალასავით გაბრტყელებოდა, სახე ხისგან გამოჩორკნილს მიუგავდა; პირის ადგილზე კბილების გვირგვინით დამშვენებული ირიბი ხვრელი ჰქონდა. ბრაიერმა მდუმარედ გადაათვარა ბრეზენტის გვამს.^{[P][SEP]}

- მან იცის? - იკითხა და იმ მიმართულებით გაიხედა, სადაც კობოლე მუშაობდა. ალბერტმა თავი გაიქნია.^{[P][SEP]}

- უნდა ვეცადოთ, რომ ბეელიგი მოშორდეს აქაურობას, - თქვა მან, - თორემ რაღაც უბედურება დატრიალდება.^{[P][SEP]}

შროდერი კობოლეს მეგობარი იყო. ვერ გაგვეგო, რა საერთო ჰქონდათ; შროდერი ძალიან მგრძობიარე და ნაზი იყო, ნამდვილი ბავშვი, სრულიად განსხვავებული ფერდინანდისგან. კობოლე მას

დედასავით იცავდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ქმენა შემოგვესმა, ბეელიგი ნამოგვწეოდა და გაფართოებული თვალებით შემოგვეცქეროდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ასეთი რამ ჯერ არ მინახავს, - ბორძიკით წარმოთქვა, - ეს როგორ მოხდა?<sup>[P]
[SEP]</sup>

არავინ უპასუხა. შროდერი რვა დღის წინ შვებულებამიუნდა გასულიყო, მაგრამ ბეელიგმა ხელი შეუშალა, რადგან კობოლეს ვერ იტანდა. და აი, შროდერი მოკლეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

წავედით. ამ წუთში ბეელიგის ატანა არ შეგვეძლო. ლუდვიგი კვლავ თავის ფარაჯებში ჩაძვრა. მხოლოდ ალბერტი დარჩა. ბეელიგი გვამს დაშტერებოდა. მთვარემ ღრუბლებიდან გამოანათა და მიცვალებულებს შუქი მოჰფინა. ფელდფებელი მსუქანი სხეულით წინ გადახრილი იდგა და გაქვავებულ სახეებს დასცქეროდა. დადუმებულებს სახეზე აუნერელი სასონარკვეთის გამომეტყველება შეჰყინვოდათ, და ეს მდუმარება ყვირილში გადადიოდა. ალბერტმა ცივად თქვა:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყველაფერს აჯობებს, ახლა თქვენი ლოცვა წაიკითხოთ და უკან დაბრუნდეთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ფელდფებელმა შუბლი მოინმინდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არ შემიძლია, - წაიბურტყუნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

თავბარდაცემული იდგა; ჩვენ კარგად გვესმოდა ეს გრძნობა: კვირების განმავლობაში შიშს არ გრძნობდი და უცებ რაღაც სულელური მიზეზი წყობიდან გამოგიყვანდა. გამწვანებული სახით

ნაბარბაცდა უკან.^[P]_[SEP]

- რა ეგონა, აქ კანფეტებს არიგებდნენ? - თქვა ტიადენმა მშრალად.^[P]_[SEP]

წვიმა გაძლიერდა, და ჩვენ მოთმინება დავკარგეთ, ზეელიგი აღარ დაბრუნებულა. ბოლოს ლუდვიგ ბრაიერი გამოვიყვანეთ თავისი შინელებიდან და მან ჩუმად წაიკითხა „მამაო ჩვენო“.^[P]_[SEP]

მიცვალელები ქვემოთ ჩავუშვით. ვაილი გვეხმარებოდა. შევამჩნიე, როგორ კანკალებდა. ძალიან ჩუმად ჩურჩულებდა.^[P]_[SEP]

- შურს ვიძიებთ! - იმეორებდა და იმეორებდა. გაკვირვებული შევეცქეროდი.^[P]_[SEP]

- რა დაგემართა? - შევეკითხე, - პირველი ხომ არ არის, ძალიან ბევრისთვის მოგიწევს შურისძიება.^[P]_[SEP]

ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.^[P]_[SEP]

პირველი რიგები რომ ჩავანყვეთ, ვალენტინმა და იუპმა ვიღაც კიდევ მოიტანეს საველე ლაბადით.^[P]_[SEP]

- ეს კიდევ ცოცხალია, - თქვა იუპმა და საველე ლაბადა გახსნა.^[P]_[SEP]

კობოლემ დახედა.^[P]_[SEP]

- დიდი დრო აღარ დარჩენია, - თქვა მან, - შეგვიძლია დაველოდოთ.^[P]_[SEP]

საველე ლაბადაზე მწოლიარე კაცი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხრიალებდა, ყოველ ამოსუნთქვაზე პირიდან სისხლი სდიოდა.^[P]_[SEP]

- ნავიყვანოთ? - იკითხა იუპმა.^[P]_[SEP]

- იმწამსვე მოკვდება, - თქვა ალბერტმა და სისხლზე მიგვანიშნა.

ჩვენ გვერდით დავანვინეთ. ვაილი თავს დასტრიალებდა. ჩვენ მუშაობა გავაგრძელებთ. ახლა ვალენტინი მეხმარებოდა. გლაზერიც ჩავუშვიტ.^[P]^[SEP]

- სანყალი, ცოლი ჰყავს, კაცო, ცოლი... - ბურტყუნებდა ვალენტინი.^[P]^[SEP]

- ფრთხილად, ახლა შროდერის ჯერია, - დაიძახა იუპმა ქვემოდან და საველე ლაბადა ჩაასრიალა.^[P]^[SEP]

- მოკვტე, - წაისისინა ბრიოგერმა.^[P]^[SEP]

კობოლეს გვამი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.^[P]^[SEP]

- ვინ? - იკითხა მან დაბნეულმა.^[P]^[SEP]

- შროდერი, - უპასუხა იუპმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ფერდინანდმა უკვე იცოდა.^[P]^[SEP]

- ნუ სულელობ, ბატისტვინავ, ის ხომ ტყვედ არის, - დაიღრიალა გაცოფებულმა კობოლემ.^[P]^[SEP]

- არა, ფერდინანდ, მართალია, - თქვა ალბერტ ტროსკემ, რომელიც იქვე იდგა. ჩვენ სუნთქვა შეგვეკრა. კობოლემ უსიტყვოდ ამოათრია გვამი და მასთან ერთად ამოძვრა. შემდეგ ჯიბის ლამპა მიანათა. ძალიან დაბლა დაიხარა სახის ნარჩენზე და რაღაცას ეძებდა.^[P]^[SEP]

- მადლობა ღმერთს, რომ ზეელიგი წავიდა, - წაიჩურჩულა კარლმა.^[P]^[SEP]

გაუნძრევლად ველოდით შემდეგ წამს. კობოლე წამოდგა.^[P]^[SEP]

- მომეცით ნიჩაბი! - თქვა მოკლედ.^[P]^[SEP]

მივანოდე. მკვლელობას და ხელჩართულ ბრძოლას ველოდით. მან შროდერს საკუთარი საფლავი გაუკეთა და სხვების დამატების უფლება არ მოგვცა. თვითონ ჩაანვინა შიგ. ზეელიგზე არც უფიქრია, ისე ძლიერად სტკიოდა გული.<sup>[P]
[SEP]</sup>

გამთენიისას ორივე საფლავი მზად გვექონდა. ამასობაში დაჭრილიც მოკვდა და ჩვენ შევძელით სხვებთან ერთად მისი დამარხვა. მიწა დავტკეპნეთ. ჭვრებით შევამკეთ. კობოლემ კალმისტრით ერთ-ერთ მათგანზე შროდერის სახელი წაანერა და რკინის ჩაჩქანიც დაჰკიდა ბედ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი კიდევ ერთხელ მოვიდა, ჩვენ ჩაჩქანები მოვიხსენით, მან მეორეჯერ წაიკითხა „მამაო ჩვენო“. ალბერტი ფერდაკარგული იდგა მის გვერდით. შროდერი სკოლაში მის გვერდზე იჯდა. ყველაზე უარესად კი კობოლე გამოიყურებოდა; მთლად განაცრისფერებული და განადგურებული იყო და საერთოდ არაფერი უთქვამს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ცოტა ხანს ვიდევით, წვიმა გრძელდებოდა. შემდეგ ყავა მოიტანეს და ჩვენც საჭმელად დავსხედით.<sup>[P]
[SEP]</sup>

დილით ახლოს მდებარე სანგრიდან ზეელიგი გამოძვრა. ჩვენ უკვე დიდი ხნის წასული გვეგონა. კილომეტრზე რომის სუნს აფრქვევდა და ახლა უკან დაბრუნებას აპირებდა. კობოლემ მის დანახვაზე დაიგმინა. საბედნიეროდ, ვილი იქვე იყო. უცებ მიიჭრა ფერდინანდთან და მაგრად შებოჭა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენც, ოთხივე, მთელი ძალ-ღონით ვაკავებდით, რომ არ გაგვეცეოდა და ფელდფებელი არ მიეხრჩო. ერთი საათის შემდეგ გონს მოეგო და

მიხვდა, რომ თავს თუ არ მოერეოდა, საქმეს გაიფუჭებდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

მოგვიანებით შროდერის საფლავზე დაიფიცა, რომ ადრე თუ გვიან ზეელიგს ანგარიშს გაუსწორებდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ახლა ზეელიგი დახლთან დგას და კობოლესგან მხოლოდ ხუთი მეტრი ამორებს. არც ერთი აღარაა ჯარისკაცი. ორკესტრი მესამეჯერ აგუგუნებს მარშს, „მხიარული ქვრივიდან“.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მედუქნევ, კიდევ ჩამოარიგე შნაპსი! - ყვირის ტიადენი და გოჭის თვალებიდან ნაპერწკლებს ყრის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლავე! - პასუხობს ზეელიგი და ჭიქები მოაქვს. - პროსტ, მეგობრებო!<sup>[P]
[SEP]</sup>

კობოლე მოქუფრული წარბებიდან იყურება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენჩვენი მეგობარი არა ხარ! - უღრენს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ზეელიგს ბოთლი თან მიაქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, თუ ასე გინდა, არ ვიქნები. - პასუხობს და დახლთან ბრუნდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვალენტინი ჭიქებს ავსებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დალიე, ფერდინანდ, ეს არის ერთადერთი ჭემმარიტება ამქვეყნად, - ამბობს ის.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი კვლავ უკვეთს. ტიადენი უკვე შეზარხოშებულია და ზეელიგს ეძახის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აბა, ზეელიგ, შე ასეულის ვირთხავ, ვეღარ გამოგვამწყვდევ გალიაში, არა? მოდი, შენც დალიე ჩვენთან ერთად! - და თავის ყოფილ უფროსს მხარზე უბარტყუნებს, თან ისე ძლიერად, რომ

ზეელიგი სლოკინებს. ადრე ამ საქციელის გამო სამხედრო ტრიბუნალი ერთ წელს მიუსჯიდა ან საგიჟეთში მოხვდებოდა.^{[P][SEP]}

კობოლე ხან დახლს შესცქერის და ხან თავის ჭიქას, ხან ჭიქას და ხან ლუდის ონკანთან მდგარ თავაზიან, მსუქან მამაკაცს. თავს იქნევს.^{[P][SEP]}

- ეს ხომ სულ სხვა ადამიანია, ერნსტ, - მომმართავს.^{[P][SEP]}

მეც იმასვე ვგრძნობ. ზეელიგს ვეღარ ვცნობ, ისე იყო შემრდილი თავის უნიფორმას და უბის ნიგნავს, რომ ჩვეულებრივ პერანგში ვერც წარმომედგინა, მით უმეტეს, დუქნის მეპატრონის როლში. ახლა კი ჭიქა მოაქვს და ტიადენს, რომელსაც ადრე მდილადაც არ თვლიდა, უფლებას აძლევს, შენობით ელაპარაკოს და მხრებზე ხელი უბარტყუნოს, როგორ შეიცვალა სამყარო!!!^{[P][SEP]}

ვილი გასამხნევებლად კობოლეს გვერდზე იდაყვს ურტყამს.^{[P][SEP]}

- აბა?^{[P][SEP]}

- არ ვიცი, ვილი, - ეუბნება მას შეცბუნებული ფერდინანდი, - უნდა მოვდო სიფათში თუ არა? ასე არ წარმომედგინა. შეხედე, როგორ გვემსახურება ეს ნაძირალა. ამის სურვილი დაგვკარგე.^{[P][SEP]}

ტიადენი სულ ახალ და ახალ შეკვეთებს იძლევა. დიდ სიამოვნებას ანიჭებს, თავის ყოფილ უფროსს წინ და უკან რომ არბენინებს.^{[P][SEP]}

ზეელიგმაც კარგა ბლომად დალია, ალკოჰოლისა და გაცხოველებული ვაჭრობისგან ბულდოგის სიფათი ნამონთებია.^{[P][SEP]}

- მოდი, ისევ ვიმეგობროთ, ყველას რომით გიმასპინძლდებით.^{[P][SEP]}

- რა? - ამბობს კობოლე და დგება.^{[P][SEP]}

- კიდევ ერთი ბოთლი რომი მაქვს კარადაში. - ამბობს ბეელიგი უცოდველად და ბოთლის მოსატანად მიდის. კობოლეს თითქოს ჭოხი ჩაართყვს თავშიო, ისე მიშტერებია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ალბათ არაფერი ახსოვს, ფერდინანდ, - ამბობს ვილი, - თორემ ასეთ რისკზე არ წავიდოდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბეელიგი უკან ბრუნდება და გვისხამს. კობოლე ღვარძლიანად სისინებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აღარ გახსოვს, შიშისგან როგორ გამოიბრუჟე რომით? შენ მორგში ღამის დარაჯად მუშაობა უფრო შეგეფერება!<sup>[P]
[SEP]</sup>

ბეელიგი შემრიგებლურად იქნევს ხელს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, თითქოს არც ყოფილა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ფერდინანდი კვლავ დუმს. ბეელიგს გამომწვევად რომ ეპასუხა, ჩხუბი ატყდებოდა, მაგრამ ეს უჩვეულო ხათრიანობა აბნევს კობოლეს და სიმტკიცეს აკარგვინებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ტიადენი ჭიქას ყნოსავს და ჩვენც მას ვბაძავთ, ჩინებული რომია.<sup>[P]
[SEP]</sup>

კობოლე თავის ჭიქას ძირს ანარცხებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მე არ დამისხათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კაცო, - იძახის ტიადენი, - ჩემთვის მაინც მოგეცა! - ცდილობს გადაარჩინოს, რის გადარჩენაც შეიძლება, მაგრამ შედეგი უმნიშვნელოა.<sup>[P]
[SEP]</sup>

დუქანი ნელ-ნელა ცარიელდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თავისუფალი ხართ! - იძახის ბეელიგი და დარაბებს ხურავს. ჩვენ ვდგებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აბა, ფერდინანდ? - ვეკითხები, ის თავს იქნევს. ჭერ არ გადაუნყვებია. ეს ის ბეელიგი არ არის, ეს მიმტანი.<sup>[P]
[SEP]</sup>

მედუქნე კარს გვიღებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნახვამდის, ბატონებო, მშვიდობიან ღამეს გისურვებთ!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბატონებო, - ფხუკუნებს ტიადენი, - ბატონებო - ადრე ღორებს გვეძახდა...<sup>[P]
[SEP]</sup>

კობოლე თითქმის გასულია, უცებ შემთხვევით იატაკს დახედავს და ბეელიგის ფეხებს დაინახავს, მას კვლავ კარგად ნაცნობი გამაშები აცვია. შარვალსაც შერჩენია ბოლები და სამხედრო იერი. ბევით მედუქნეა, ქვემოთ კი ისევ ფელდფებელად რჩება. ყველაფერს ეს ნუთი წყვეტს. უცებ ფერდინანდი ბეელიგისკენ ბრუნდება, ის უკან იხევს. კობოლე მიჰყვება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყურადღებით მისმინე, - იღრინება, - შროდერი! შროდერი! შროდერი! - გახსოვს ეს სახელი, დამპალო ძაღლო? აი, შენ შროდერისთვის! დიდი მოკითხვა საერთო საფლავიდან! - ურტყამს ბეელიგს. მედუქნე წონასწორობას იცავს და დახლის უკან ხტება, ხის ჩაქუჩს იღებს და კობოლეს სახეში და მხრებზე ურტყამს. კობოლე ისეთი გაცოფებულია, რომ უკან არ იხევს. ბეელიგს ქეჩოში ხელს ავლებს და თავს ისე ძლიერად არტყმევინებს დახლზე, რომ გარშემო ყველაფერი ჭახუნობს, ონკანი იხსნება და ლუდი მოჩქევს. - ახლა ილოთე, შე რომის კასრო! უნდა ჩაიხრჩო, გამობრუჟდე სასმლით! - კბილებს აკრაჭუნებს კობოლე.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდი კეფაზე ესხმება ბეელიგს. პერანგიდან შარვალშიც ატანს და

გასაბერი ბუშტივით იბერება. სიბრაზისგან ბრდღვინავს, რადგან დღესდღეობით ძალიან ძნელია ასეთი ძვირფასი ლუდის შოვნა. ზეელიგი მალე ახერხებს წამოდგომას და ჭიქის ხელში აღებას; ჭიქას ქვემოდან ურტყამს კობოლეს ნიკაპში.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შეცდა, - ამბობს ვილი, რომელიც ცნობისმოყვარედ იყურება კარიდან, - თავი უნდა დაერთყა და მუხლი ეთავაზებინა.<sup>[P]
[SEP]</sup>

არც ერთი ჩვენგანი არ ერევა. ეს კობოლეს საქმეა, რა საშინლადაც უნდა სცემოსზეელიგმა, არ უნდა დავეხმაროთ. ჩვენ მხოლოდ იმისთვის ვართ აქ, რომ ვინმე ზეელიგის დახმარებას თუ გადანყვეტს, შევაჩეროთ. არც არავინ აპირებს მის დახმარებას, რადგან ტიადენი სამი სიტყვით უხსნის ყველას, რაშია საქმე.<sup>[P]
[SEP]</sup>

ფერდინანდს სახე მთლიანად გასისხლიანებული აქვს; ახლა კი ნამდვილად ცოფდება და ზეელიგს ჩქარა უღებს ბოლოს. მკერდში ერთი დარტყმით ძირს ანარცხებს, ზედ აწვება და თავს რამდენჯერმე არტყმევიანებს იატაკზე, სანამ გულს არ მოიოხებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ამის შემდეგ მივდივართ. ცვილივით გაფითრებული ლინა თავზე ადგას თავის მოხრიალე შეფს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჭობია საავადმყოფოში წაიყვანოთ! - უძახის ვილი, - დაახლოებით ორი-სამი კვირა მოუნდება, არა უშავს, გადაიტანს!<sup>[P]
[SEP]</sup>

გარეთ კობოლე ბავშვივით, თავისუფლად იღიმება, რადგან შროდერის ჭავრი ამოიყარა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი იყო, - ამბობს და თან სისხლს ინმენდს. შემდეგ ხელს გვიწვდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლა მე სასწრაფოდ ჩემს ცოლთან უნდა დავბრუნდე, თორემ იფიქრებს, რომ ნამდვილ ჩხუბში მოვხვდი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბაზრის მოედანთან დავმორდით. იუპი და ვალენტინი ყაზარმაში ნავიდნენ. ყრუდ მიბრახუნობენ მთვარით განათებულ ქვაფენილზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სიამოვნებით ნავყვებოდი, - ამბობს უცებ ალბერტი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მესმის, - კვერს უკრავს ვილი, რომელიც ჭერ კიდევ თავის მამალზე ფიქრობს, - რაღაც ძალიან დანვრილმანდნენ აქ ადამიანები, არა?<sup>[P]
[SEP]</sup>

ვეთანხმები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ალბათ მალე ისევ სკოლაში მოგვიწევს წასვლა, - ვამბობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვდგავართ და ვიციანთ. ტიადენი განცდილი სიამოვნებისგან ჭერ გონს ვერ მოსულა. შემდეგ სიცილით მისდევს ვალენტინს და იუპს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი თავს იფხანს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გგონიათ, ვინმეს გაახარებს ჩვენი ნახვა? არც ისე სასიამოვნო ხალხი ვართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მათ ერჩიათ სადმე შორს დავრჩენილიყავით გმირებად, - ამბობს კარლი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაინტერესებს, რა ცირკი იქნება, - ამბობს ვილი, - ახლა ბავშვები აღარ ვართ, ტყვიების წვიმაში ვართ გამონრთობილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

შემდეგ ფეხი ასწია და ერთი გვარიანად გააკუა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ოცდათხუთმეტი, - აღნიშნა კმაყოფილმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

როცა ჩვენი ასეული დაიშალა, იარაღი თან გაგვატანეს და გვითხრეს, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჩაგვებარებინა. და აი, ახლა ყაზარმაში ვართ და იარაღს ვაბარებთ. თან ანგარიშიც უნდა გაგვისწორონ: ორმოცდაათი მარკა - დათხოვნის ფული და თხუთმეტი მარკა - გზისთვის. გარდა ამისა, კიდევ გვეკუთვნის მამბარა, ერთი ნყვილი ფეხსაცმელი, თეთრეული და უნიფორმა. ჩვენ სხვენზე მივძვრებით ძველმანების ასარჩევად. კაპტენარმუსი

აგდებულად გვანიშნებს, რაიმე გამოარჩიეთ თქვენთვისო.^{[P]_{SEP}}

ვილი დაუდევრად არჩევს ჩამოკიდებულ ნივთებს.^{[P]_{SEP}}

- მისმინე, - ამბობს თბილად, - ეს შეიძლება ახალნვეულებს შესთავაზო, ძონძები ხომ ნოეს კიდობნის დროინდელია! რაიმე ახალი გვიჩვენე!^{[P]_{SEP}}

- სხვა არ მაქვს, - ბუზღუნით პასუხობს კაპტენარმუსი.^{[P]_{SEP}}

- ჰო, - ამბობს ვილი და ერთი ნუთი უმზერს, შემდეგ ალუმინის პორტსიგარს იღებს.^{[P]_{SEP}}

- ენევი?^{[P]_{SEP}}

კაპტენარმუსი მელოტ თავს იქნევს.^{[P]_{SEP}}

- საღეჯი თუთუნი ხომ არ გირჩევნია? - ვილი ქურთუკის ჭიბეში ეძებს.^{[P]_{SEP}}

- არა.^{[P]_{SEP}}

- კარგი, ხომ სვამ? - ვილის ყველაფერზე უფიქრია; რაღაცა მოიძია მკერდზე.^{[P]_{SEP}}

- არა, არც ვსვამ, - ამბობს სანყობის ვირთხა.^{[P]_{SEP}}

- მაშინ სხვა აღარაფერი მრჩება, ერთი კარგად უნდა მოგდო სიფათში, - ეუბნება მეგობრულად, - იცოდე, ახალი ფორმის გარეშე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით.^{[P]_{SEP}}

საბედნიეროდ, იუპი გამოჩნდა. როგორც ჯარისკაცების დეპუტატი, ახლა ის დიდი ვინმეა. იუპი კაპტენარმუსს თვალს უკრავს.^{[P]_{SEP}}

- ჩვენებურები არიან, ჰაინრიხ! ძველი ბიჭები. ერთი ამათ სალონი აჩვენე.^{[P]_{SEP}}

კაპტენარმუსი უცებ გახალისდა.^{[P]_{SEP}}

- მაშინვე რატომ არ მითხარით?^{[P]_{SEP}}

უკან გავეყვით. აქ ახალი ნივთები კიდეა.^{[P]_{SEP}}

ჩქარა ვიხდით ჩვენს ძონძებს და ახლებს ვიცვამთ. ვილი ამტკიცებს, ორი ფარაჯა მჭირდება, რადგან სამხედროში სისხლნაკლული გავხდით. კაპტენარმუსი ყოყმანობს. იუპი მკლავში ხელს უყრის, კუთხეში მიჰყავს და დახმარების ფულზე ელაპარაკება. როცა უკან ბრუნდებიან, კაპტენარმუსი უკვე მშვიდაა. ის ცალი თვალით უყურებს ტიადენს და ვილის, რომლებიც უკვე საკმაოდ მსუქნად გამოიყურებიან.^{[P]_{SEP}}

- აბა ჰო, - ბუზღუნებს, - მე რა? ზოგს ფორმა საერთოდ არ მიაქვს, ფული თავზესაყრელად აქვთ; მთავარია საბუთები მქონდეს წესრიგში.^{[P]_{SEP}}

ჩვენ ნივთების მიღების საბუთს ვანერთ ხელს.^{[P]_{SEP}}

- რაღაცას ამბობდი სიგარეტზე, - მიმართავს კაპტერი ვილის.^{[P]_{SEP}}

დაბნეულ ვილის პორტსიგარი ამოაქვს.^{[P]_{SEP}}

- და საღეჭი თუთუნი? - აგრძელებს ის.^{[P]_{SEP}}

ვილი ქურთუკის ჭიბეში იქექება.^{[P]_{SEP}}

- მაგრამ დაღევა არ გიყვარს, არა? - ეკითხება.^{[P]_{SEP}}

- რატომაც არა, - ამბობს კაპტენარმუსი წყნარად, - ზუსტად ეს გამომიწერა ახლახან ექიმმა. მეც სისხლნაკლული ვარ. მომეცი შენი ბოთლი.^{[P]_{SEP}}

- ერთი წუთით... ახლავე, - ვილი რაც შეიძლება ბევრს სვამს, ცოტა სასმელი მაინც რომ გადაარჩინოს. ბოლოს კაპტენარმუსს ნახევრად დაცლილ ბოთლს აძლევს.^{[P]_{SEP}}

იუპი ყაზარმის ჭიშკრამდე გვაცილებს.^{[P]_{SEP}}

- იცით ვინ არის ამჟამად აქ? - გვეკითხება, - მაქს ვილი, ჯარისკაცთა საბჭოშია!^{[P]_{SEP}}

-სამაგისო ადგილია, - ამბობს კობოლე, - საკმაოდ თბილი ადგილია, არა?^{[P]_{SEP}}

- ისე რა, - ამბობს იუპი, - ამჟამად მე და ვალენტინი, ყოველ შემთხვევაში, მონყობილები ვართ; თუ რამე დაგჭირდათ, უფასო სამგზავრო ბილეთი ან კიდევ რამე, მე აქ ვარ.^{[P]_{SEP}}

- მაშინ ერთი ბილეთი მომეცი, - ვეუბნები, - ადოლფთან წავალ.^{[P]_{SEP}}

მას ბილეთების შეკვრა ამოაქვს და ერთ ცალს ახევს.^{[P]_{SEP}}

- თვითონ შეავსე. ალბათ მეორე კლასით იმგზავრებ.^{[P]_{SEP}}

- არის!^{[P]_{SEP}}

ქუჩაში ვილი ფარაჯას იხსნის. შიგნით კიდევ მეორე აცვია.^{[P]_{SEP}}

- ჭობს მე მქონდეს, ვიდრე ვინმე გადამყიდველს ჩაუვარდეს ხელში,

ეს მაინც შეიძლება გაიმეტონ პრუსაკებმა, ჩემს სხეულში არსებული ნამსხვრევების ფასად! [P]
[SEP]

ჩვენ ფართო ქუჩას მივუყვებით. კოზოლე გვიყვება, რომ დღეს გადანყვებილი აქვს სამტრედე შეაკეთოს. ომამდე მტრედებს და შავთეთრ ზღვის გოჭებს აშენებდა. ახლაც აპირებს ამ საქმის გაგრძელებას. ფრონტზეც სულ ამაზე ოცნებობდა. [P]
[SEP]

- კიდევ რას აპირებ, ფერდინანდ? - ვეკითხები. [P]
[SEP]

- სამუშაო უნდა ვეძებო, - მოკლედ მომიჭრა, - ბოლოს და ბოლოს, დაოჯახებული ვარ, კაცო; ახლა კუჭზეც უნდა ვიფიქრო. [P]
[SEP]

მარიანკირხეს ტერიტორიიდან გასროლის ხმა გაისმა. ყური მივუგდეთ. [P]
[SEP]

- სამხედრო რევოლვერი და შაშხანა-98, - ამბობს ვილი საქმის ცოდნით, - მგონი რევოლვერი ორი იყო. [P]
[SEP]

- მერე რა, კიდევ რომ იყოს, - იცინის ტიადენი, - ფლანდრიასთან შედარებით, ბავშვური თამაშია. [P]
[SEP]

ვილი მამაკაცის ტანსაცმლის მალაზიასთან ჩერდება. ვიტრინაში ქალაქის პიჯაკია გამოფენილი, მაგრამ ვილის ეს არ აინტერესებს. ის მოჭადლოებულივით შესცქერის გახუნებულ სურათებს, პიჯაკის უკან რომაა გამოფენილი. აღტაცებით გვითითებს წვერიანი, ელეგანტური ბატონის გამოსახულებაზე, სამუდამოდ მონადირესთან სასაუბროდ რომ არის განწირული. [P]
[SEP]

- იცით, ბიჭებო, ეს რა არის? [P]
[SEP]

- თოფია, - ამბობს კოზოლე, რომელიც მონადირეს უყურებს. [P]
[SEP]

- სისულელეა, - მოუთმენლად ანყვეტინებს ვილი, - ფრავს ვერ ხედავ? მაგარი რამეა! მერცხლის კუდი, გაიგე? ყველაზე მოდურია ახლა! იცით რა მომივიდა თავში? მე ჩემი ფარაჯიდან ასეთს შევაკვრინებ, შავად შევალეზინებ, გადავაკეთებ, ქამარსაც მოვადრებ... ერთი სიტყვით, ბრწყინვალე რამე გამოვა!^{[P]_[SEP]}

ეტყობა, ძალიან მოსწონს თავისი იდეა; კარლი კი ცივ წყალს ასხამს:^{[P]_[SEP]}

- ზოლიანი შარვალიც თუ გაქვს მაგისტვის? - ეკითხება დინჯად.^{[P]_[SEP]}

ვილი ერთი ნუთით დაფიქრდა.^{[P]_[SEP]}

- მაგას ჩემს ბებერს ავნაპნი, - გადანყვიტა, - ამასთანავე, თეთრ საქორწილო ჟილეტსაც. აბა, რას იტყვით, რა სანახავი იქნება მაშინ ვილი! - ბედნიერებისგან გაბრწყინებული სათითაოდ გვათვალეზრებს.
- ჯანდაბა, ძმებო, ცხოვრება ახლა იწყება, ხომ ასეა?^{[P]_[SEP]}

სახლში მივდივარ და ყაზარმაში აღებული ფულის ნახევარს დედაჩემს ვაძლევ.^{[P]_[SEP]}

- ლუდვიგ ბრაიერია აქ, - მეუბნება, - შენს ოთახშია.^{[P]_[SEP]}

- ლეიტენანტია? - მეკითხება მამა.^{[P]_[SEP]}

- ჰო, - ვპასუხობ, - არ იცოდი?^{[P]_[SEP]}

ლუდვიგი უკეთ გამოიყურება. დიზენტერია თანდათან ურჩება. მილიმის.^{[P]_[SEP]}

- რამდენიმე წიგნი მინდა მათხოვო, ერნსტ.^{[P]_[SEP]}

- ამოირჩიე რაც გინდა, ლუდვიგ, - ვეუბნები.^{[P]_[SEP]}

- შენ არ გჭირდება? - მეკითხება.^{[P]_[SEP]}

თავს ვიქნევ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლა არა. გუშინ ვცადე რაღაც ნამეკითხა. სასაცილოა, მაგრამ აზრებს თავს ვერ ვუყრი. რამდენიმე ფურცლის შემდეგ სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. თითქოს თავი გამეყინა. რომანები გინდა?<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, - ამბობს და რამდენიმე წიგნს იღებს. სათაურს დავხედე. - ასეთი რთული რამეები რად გინდა?<sup>[P]
[SEP]</sup>

დაბნეული იღიმება, შემდეგ ყოყმანით ამბობს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ფრონტზე ბევრ რამეზე ვფიქრობდი, ერნსტ, ბევრი რამ არ მესმოდა. ახლა კი, როდესაც ყველაფერმა ჩაიარა, რაღაც-რაღაცები მინდა გავიგო; მინდა უკეთ ჩავწვდე, რა არის ადამიანი, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამე მომხდარიყო და საიდან მოდის ეს ყველაფერი. ბევრი შეკითხვა იბადება. საკუთარ თავშიც უნდა გავერკვეთ. ადრე ხომ ცხოვრება სულ სხვანაირი გვეჩვენებოდა. ბევრი რამ მინდა ვიცოდე, ერნსტ...<sup>[P]
[SEP]</sup>

წიგნებზე ვუთითებ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გგონია, რომ პასუხებს იქ იპოვი?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყოველ შემთხვევაში, მინდა ვცადო. ახლა დილიდან საღამომდე ვკითხულობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მალე მემშვიდობება. ვზივარ და ვფიქრობ. მე რას ვაკეთებდი ამასობაში? მორცხვად ავიღე ერთი წიგნი. მალე გვერდით გადავდე და ფანჯარაში ყურება დავინყე. შემიძლია საათობით სიცარიელეში ვიყურო, ადრე სხვანაირად იყო, ადრე ყოველთვის ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა.<sup>[P]
[SEP]</sup>

დედა შემოდის ოთახში.^[P]_[SEP]

- ერნსტ, დღეს ხომ ნახვალ ბიძია კარლთან?^[P]_[SEP]

- კი, რა თქმა უნდა, - ვპასუხობ უნადილოდ.^[P]_[SEP]

- ის ხშირად გვიგზავნიდა პროდუქტს, - ფრთხილად მეუბნება
დედა.^[P]_[SEP]

თავს ვუქნევ. გარეთ ბნელდება. ნაბლის ხეების ტოტებს ცისფერი
ლანდები დაჰკიდებია.^[P]_[SEP]

დედას მივუბრუნდი:^[P]_[SEP]

- ბაფხულობით ხშირად დადიოდით ალვის ხეების ხეივანში, დედა?

- ვეკითხები სწრაფად, - ალბათ ძალიან ლამაზია იქაურობა...^[P]_[SEP]

- არა, ერნსტ, მთელი წელი არ ვყოფილვართ.^[P]_[SEP]

- კი, მაგრამ რატომ? - ვკითხე გაკვირვებულმა, - ადრე ხომყოველ
კვირადღეს იქ ატარებდით?^[P]_[SEP]

- აღარ ნავსულვართ, - მპასუხობს ის ჩუმად, - სეირნობისას უფრო
გშვივდება; ჩვენ ხომ საჭმელი არ გვქონდა.^[P]_[SEP]

- აჰ, ასე... - ვთქვი წელა, - მაგრამ ბიძია კარლი... მას ყველაფერი
საკმარისად აქვს, ხომ?^[P]_[SEP]

- ხშირადაც გვიგზავნიდა, ერნსტ.^[P]_[SEP]

უცებ ხასიათი მიფუჭდება.^[P]_[SEP]

- რისთვის იყო საჭირო ეს ყველაფერი, დედა..^[P]_[SEP]

ის ხელზე მეფერება.^[P]_[SEP]

- რალაც მიზეზი იქნება, ერნსტ. უფალმა ალბათ იცის.^[P]_[SEP]

ბიძია კარლი ჩვენი ოჯახის საამაყო ნათესავია, მას ვილა აქვს და

ომის დროს სამხედრო ხაზინაში მუშაობდა.^[P]_[SEP]

ვოლფი მომყვება, მაგრამ გარეთ უნდა დარჩეს, რადგან ბიცოლას ძაღლები არ უყვარს. კარზე ვაკაკუნებ.^[P]_[SEP]

ფრაკში გამონყობილი კაცი მიღებს კარს, მორიდებით ვესალმები. შემდეგ ვხვდები, რომ მსახურია. ეს ამბავი სამხედროში სულ დამავინყდა.^[P]_[SEP]

კაცი ისე მათვალაიერებს, თითქოს სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილი ობერლეიტენანტი იყოს. ვულიმი, ჩემი ღიმილი უპასუხოდ რჩება. როცა ფარაჯას ვიხდი, ხელს სწევს, თითქოს უნდა მომეხმაროსო.^[P]_[SEP]

- ჰო, - ვამბობ, მისი კეთილგანწყობა რომ მოვიპოვო, - ბებერი მეომარი თავად მოახერხებს ფარაჯის დაკიდებას! - ამ სიტყვებით ფარაჯას საკიდზე ვკიდებ.^[P]_[SEP]

ის ხსნის ჩემს ფარაჯას საკიდიდან და სერიოზული სახით გვერდით საკიდზე კიდებს. ლაქიაა, რა უნდა მოსთხოვო, ვფიქრობ და გზას ვაგრძელებ.^[P]_[SEP]

ბიძია კარლი დეგების რაკუნით მეგებება. ქედმაღლურად მესალმება, რადგან უბრალო რიგითი ვარ. გაკვირვებული ვათვალაიერებ მის მბრწყინავ გამოსასვლელ უნიფორმას.^[P]_[SEP]

- დღეს შემწვარი ცხენით გაგვიმასპინძლდებით? - ვეკითხები ხუმრობით.^[P]_[SEP]

- ეს როგორ? - მეკითხება გაკვირვებული.^[P]_[SEP]

- რადგან სადილზე დეგებით მობრძანდით, - ვპასუხობ ღიმილით.^[P]_[SEP]

გაბრაზებული მიყურებს. უნებლიეთ სუსტ ნერტილში გავარტყი. ბიუროს ჭიებს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ ხმლებისა და დებებისადმი.^{[P]_{SEP}}

ვიდრე ავუხსნი, რომ მისი განაწყენება არავითარ შემთხვევაში არ მსურდა, ბიცოლა გამოდის შრიალ-შრიალით. ის ჯერ კიდევ საუთლო ფიცარივით ბრტყელია და პატარა შავი თვალები, ძველებურად, გაპრიალებული ღილებივით უციმციმებს.^{[P]_{SEP}}

შეკითხვებს მაყრის და თან გამუდმებით გვერდზე იცქირება.^{[P]_{SEP}}

ოდნავ ვიბნევი. ძალიან ბევრი ხალხია, ბევრი ქალბატონი და, რაც მთავარია, ზედმეტად ბევრი სინათლე. ფრონტზე მხოლოდ ერთი ნავთის ლამპა გვქონდა. ეს ჭაღები კი სასამართლოს აღმასრულებელივით შეუბრალებელნი არიან. მათ ვერსად დაემალები.^{[P]_{SEP}}

უნებლიეთ ზურგი მოვიქავე.^{[P]_{SEP}}

- რას აკეთებ? - მეკითხება ბიცოლა შუა საუბარში.^{[P]_{SEP}}

- ალბათ ტილია, გამეჩქა; ფრონტზე იმდენი ტილი გვყავდა, რომ მათგან ასე იოლად ვერ განთავისუფლდები.^{[P]_{SEP}}

შემინებული უკან იხევს.^{[P]_{SEP}}

- ნუ გეშინიათ, - ვამშვიდებ, - მათ ხტუნვა არ იციან. რწყილები კი არ არიან.^{[P]_{SEP}}

- ღმერთო ჩემო! - სახე უგრძელდება და თითი პირთან მიაქვს, თითქოს რაღაც საშინელება მეთქვას. აი, ასეთები არიან: უნდათ, რომ გმირები ვიყოთ, მაგრამ ტილების გაგონებაც არ სურთ.^{[P]_{SEP}}

იძულებული ვარ რამდენიმე ადამიანს ხელი ჩამოვართვა და ოფლი მასხამს. ადამიანები აქ სულ სხვანაირები არიან, ვიდრე ფრონტზე. მე ტანკით მძიმედ მივინევ წინ. ისე უჭირავთ თავი, თითქოს თოჭინები იყვნენ და ისე საუბრობენ, როგორც თეატრში. ფრთხილად ვცდილობ ხელები დავმალო, რადგან თხრილის ჭუჭყი ჯერ კიდევ მაგრად მაქვს ჩამჭდარი. დაბნეული ხელებს შარვალზე ვინმენდ; მიუხედავად ამისა, როცა ქალბატონებს ვუნვდი ხელს, მაინც ნესტიანი მაქვს. დავბორიალებ და უცებ იმ ჯგუფში ვხვდები, სადაც სასამართლო პალატის მრჩეველი სიტყვით გამოდის.^[SEP]

- წარმოიდგინეთ, ბატონებო, - ცხარობს, - მეუნაგირე! მეუნაგირე და უცებ რესპუბლიკის პრეზიდენტი! წარმოიდგინეთ სურათი, სადღესასწაულო მიღება სასახლეში და მეუნაგირე ხალხს იღებს! თავის მოჭრა! - აღელვებისგან ახველებს, - რას იტყვი ამაზე, ყმანვილო მეომარო! - ყვირის და მხარზე ხელს მირტყამს.^[SEP]

აქამდე ამაზე არ მიფიქრია, დაბნეული მხრებს ვიჩეჩ.^[SEP]

- შეიძლება რაღაც მანაც იცოდეს.^[SEP]

სასამართლო პალატის მრჩეველი ერთი ნუთით მაშტერდება; შემდეგ სიამოვნებისგან ცმუკავს.^[SEP]

- ძალიან კარგი! - ამბობს, - შეიძლება რაღაც იცის?! არა, ჩემო ძვირფასო, ეს თანდაყოლილი ნიჭია! მეუნაგირე! მკერავმა და მენაღემ რაღა დააშავა?^[SEP]

ისევ სხვებს მიუბრუნდა. მე მისი სიტყვები გულს მწყვეტს; რა უფლება აქვს, ასე აგდებულად ილაპარაკოს მენაღეებზე? ისინი უფრო

ცუდი ჯარისკაცები არ იყვნენ, ვიდრე განათლებული ბატონები. ადოლფ ბეთკეც მენაღვა, მაგრამ სამხედრო საქმე ზოგიერთ მაიორზე უკეთ იცის. ჩვენთან, ფრონტზე, ადამიანს აფასებდნენ და არა პროფესიას. ათვალწუნებით ვუყურებ მრჩეველს. ციტატებად იღვრება, შეიძლება მართლაც ცოდნით არის გატენილი, მაგრამ მირჩევნია, ფრონტზე ცეცხლიდან მან კი არა, ადოლფ ბეთკემ გამომიყვანოს.^{[P]_{SEP}}

მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, სუფრას მივუსხედით. გვერდით გოგონა მიზის გედის ბოათი ყელზე. ძალიან მომწონს, მაგრამ არ ვიცი, როგორ მივმართო. ჯარში ცოტას ვლაპარაკობდი, ქალბატონები კი თვალთ არ მენახა. დანარჩენები ძალიან ცოცხლად საუბრობენ, ყურადღებით ვუსმენ, ეგებ მეც რამე ვისწავლო.^{[P]_{SEP}}

სუფრის თავში სასამართლოპალატის მრჩეველი ზის, რომელიც თანამესუფრეებს უხსნის, ორი თვე კიდევ რომ გვეომა, გავიმარჯვებდითო. ცუდად გავხდი ამდენი სისულელის მოსმენით, რადგან ყველა ჯარისკაცმა იცის, რომ არც აღჭურვილობა და აღარც ხალხი აღარ გვყავდა. მის პირდაპირ მჭდომი ქალბატონი ჰყვება, რომ მისი ქმარი ომში დაეცა, თან ისეთ მრავალმნიშვნელოვან გამომეტყველებას იღებს, თითქოს ომში თვითონ დაცემულიყო. მოშორებით, სუფრის ბოლოში, აქციებსა და ზავის პირობებზე საუბრობენ. ეს, რა თქმა უნდა, ყველამ უკეთესად იცის, ვიდრე იმ ადამიანებმა, ვისაც უშუალოდ ეხებოდა ეს ყველაფერი. ერთი კაცი, კეხიანი ცხვირით, მოჩვენებითი თანაგრძნობით ჭორაობს თავისი მეგობრის ცოლზე და ასეთი ღვარძლიანი საუბრისთვის ღირსია,

სიფათში ჭიქა მიიღოს.<sup>[P]
[SEP]</sup>

თავში ყველაფერი ამერია და თვალყურის მიდევნება მიჭირს. გოგონა გედის ბოათი დამცინავად მეკითხება, ფრონტზე ხომ არ დამუნჯდიო?<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, - ვპასუხობ და ვფიქრობ: კობოლუე და ტიადენი რომ ყოფილიყვნენ აქ, კარგად ვიმხიარულებდით იმ სისულელეებზე, ასეთი სერიოზული სახით რომ ქადაგებენ; თუმცა გული მწყდება, რომ ვერ მოვახერხე, დროულად მეთქვა, რას ვფიქრობ მათზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

მადლობა ღმერთს, სუფრაზე ხრამუნა კატლეტები გამოჩნდა. ვისუნთქავ მათ არომატს, ნამდვილი ღორის კატლეტია, ნამდვილ ცხიმში შემწვარი. მათი დანახვა ყველა წყენას მავინყებს. ერთ ცალს ვიღებ და გემრიელად ვილუკმები. ძალიან გემრიელია. დიდი ხანია, რაც ახალი კატლეტი არ მიჭამია. უკანასკნელად ეს ფლანდრიაში იყო - ერთ მშვენიერ ბაფხულის საღამოს ორი გოჭი დავიჭირეთ და მალე მათგან ძვლებილა დარჩა. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო კატჩინსკი - აპ, კატ, - და ჰაიე ვესტუსი; ისინი სულ სხვა ბიჭები იყვნენ, ამათ კი არ ჰგავდნენ - ხელებზე ვეყრდნობი და ჩემ გარშემო ყველაფერი ქრება, ისე ცხადად ვხედავ ყველა ჩემს ამხანაგს. ძალიან ქორთვა გოჭები იყო; კარტოფილიც შევწვით გარნირად; კეერიც იქ იყო და პაულ ბოიმერიც, - ჰო, პაული, - აღარაფერი მესმის და ველარაფერს ვხედავ, მთლიანად მოგონებებში ვიძირები.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვიღაცის სიცილი მაფხიზლებს. სუფრაზე სიჩუმეა. ბიცოლა ლინა გოგირდმუავას ბოთლს მიაგავს. ჩემი მეზობელი გოგონა სიცილს

იკავებს, ყველა მე შემომცქერის.<sup>[P]
[SEP]</sup>

ოფლი მასხამს. ვზივარ, ისე როგორც მაშინ, ფლანდრიაში - მაგიდაზე დაყრდნობილი, გაქონილი თითებით და კატლეტის ნარჩენს ვაყუმბარებ - სხვები სუფთად, დანა-ჩანგლით მიირთმევენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნამონითლებული მივშტერებივარ რაღაცას. როგორ გავითიშე ასე? მაგრამ სხვანაირად ჭამას არ ვარ მიჩვეული, ფრონტზე სულ ასე ვჭამდით, დიდი-დიდი, ერთი კოვზი ან ჩანგალი გვქონოდა, თეფში კი - არასდროს.<sup>[P]
[SEP]</sup>

სირცხვილს თანდათან სიბრაზე ერევა. სიბრაზე ბიძია კარლზე, რომელიც ხაზგასმულად ხმამაღლა იწყებს ომის კრედიტებზე საუბარს; სიბრაზე ყველა ამ ადამიანზე, რომლებიც ასე მნიშვნელოვნად გამოიყურებიან თავიანთი ჭკვიანური სიტყვებით; სიბრაზე მთელ აქაურობაზე, რომელიც ასე ჩვეულებრივად ცხოვრობს თავისი სულელური წვრილმანებით, თითქოსდა არ არსებობდეს ეს საშინელი წლები, როდესაც მხოლოდ ერთი რამ იყო ნამდვილი: სიკვდილი ან სიცოცხლე, მეტი არაფერი.<sup>[P]
[SEP]</sup>

მდუმარედ და ჭიუტად ვიტენი პირში ყველაფერს, რასაც მოვერევი, საფუძვლიანად მინდა დავნაყრდე და როგორც კი მოვახერხებ, გავიპარო.<sup>[P]
[SEP]</sup>

გარდერობში ფრაკში გამოწყობილი მსახური დგას. ჩემს ნივთებს ხელს ვავლებ და ვეჩურჩულები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რატომ ფრონტზე არ შეგხვდი, შე გალაქულო მაიმუნო! შენ და მთელი ეს ხროვა! - შემდეგ კარს ვიჭახუნებ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვოლფი სახლის წინ მიცდის, მახტება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოდი, ვოლფ! - ვეუბნები და უცებ ვხვდები, რომ კატლეტთან დაკავშირებულმა მარცხმა კი არ გამაბრაზა, არამედ იმ დამყაყებულმა, თავდაჭერებულმა, ძველი დროის სულმა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია აქ. - ნამოდი, ვოლფ! - ვეუბნები, - ესენი ჩვენებურები არ არიან! ნებისმიერ ფრანგ თხრილის ჭიასთან მეტი გვაქვს საერთო, ნამო, ჩვენს ამხანაგებთან ნავიდეთ! იქ უკეთესია, ხელებითაც რომ ჭამდნენ და ასლოკინებდნენ კიდევ, ნამო!<sup>[P]
[SEP]</sup>

გავრბივართ ძალღი და მე; რაც ძალი და ღონე გვაქვს, მივრბივართ, ქშენით, ყეფით, გიჟებივით მივრბივართ, თვალები გვიბრწყინავს - ყველაფერი ეშმაკს წაუღია, ჩვენ ვცოცხლობთ, ასე არაა, ვოლფ? ჩვენ ვცოცხლობთ!<sup>[P]
[SEP]</sup>

5.^{[P] [SEP]}

ლუდვიგ ბრაიერი, ალბერტ ტროსკე და მე სკოლისკენ მივდივართ. გაკვეთილები იწყება. ჩვენ პედაგოგიურ კოლეჯში ვსწავლობდით და სავალდებულო გამოცდები არ ჩაგვიბარებია. ომის მონაწილე გიმნაზიის მოსწავლეებს უფრო გაუმართლათ - მათ გამოცდები ან განვევამდე, ან შვეებულების დროს ჩააბარეს. ისინი კი, ვინც ეს ვერ მოახერხა, კვლავ სკოლაში უნდა დაბრუნდნენ. კარლ ბრიოგერიც, ჩვენსავით, მათ რიგს ეკუთვნის.<sup>[P]
[SEP]</sup>

ტაძრის წინ მივდივართ. სახურავის სპილენძის მწვანე ფირფიტები

რუხი ტოლით შეუცვლიათ. გუმბათები დაობებული და ჟანგით შეჭმული ჩანს; ამიტომაც ეკლესია ფაბრიკის შენობას მიაგავს. სპილენძი ჭურვებად გადაადნეს.^[P]_{SEP}]

- უფალი ღმერთი ამას ვერც წარმოიდგენდა, - ამბობს ალბერტი.^[P]_{SEP}]
ტაძრის დასავლეთით, ვინრო ქუჩაზე, გიმნაზიის პირდაპირ, ორსართულიანი კოლეჯი დგას. იქით მდინარე და ცაცხვებიანი ბორცვია. სანამ ჭარისკაცებიგავხდებოდით, ეს შენობები მთელი სამყარო იყო ჩვენთვის, შემდეგ უკვე სანგრებმა ჩაანაცვლა. ახლა კვლავ აქ ვართ, მაგრამ ეს აღარაა ჩვენი სამყარო. სანგრები უფრო ძლიერი აღმოჩნდა.^[P]_{SEP}]

გიმნაზიის წინ ჩვენს ამხანაგს შევხვდით, გეორგ რაეს, ჩვენი ბავშვური თამაშების განუყრელ მონაწილეს, რომელიც ფრონტზე ლეიტენანტი და ასეულის მეთაური იყო. შვებულების დროს იბარმაცა და ლოტობას გადაჰყვა, სულ არ უფიქრია გამოცდებსა და ატესტატზე. ამიტომაც ახლა კვლავ უნდა გაიაროს დამამთავრებელი კლასი, რომელშიც მეორეჯერ ჩარჩა.^[P]_{SEP}]

- მართალია, გეორგ? - ვეკითხები, - ფრონტზე ლათინური ენის საუკეთესო სპეციალისტი გახდი?^[P]_{SEP}]

ის თავისი წეროსავით გრძელი ფეხებით გიმნაზიას გარს უვლის და იცინის.^[P]_{SEP}]

- ფრთხილად იყავი, ყოფაქცევაში არ ჩაიჭრა, - მომძახის.^[P]_{SEP}]
ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მფრინავი იყო. ოთხი ინგლისური თვითმფრინავი ჩამოაგდო, მაგრამ არა მგონია, რომ

პითაგორას თეორემის დამტკიცება შეძლოს.<sup>[P]
[SEP]</sup>

კოლეჯისკენ მივდივართ. ქუჩა გადატენილია უნიფორმებით. აქ ჩვენ
წინ ამოტივტივებას იწყებს ნახევრად დავინწყებული სახეები, სახელები,
რომლებიც კარგა ხანია აღარ გაგვიგონია. კოჭლობით გვიახლოვდება
პანს ვალდორფი, ჩვიდმეტი წლის ნოემბერში გაგლექილი მუხლით
რომ გამოვიყვანეთ ცეცხლიდან. ფეხი თეძომდე აქვს მოკვეთილი,
ხელოვნურსახსრიან მძიმე პროთეზს ატარებს და სიარულისას
ძლიერად კოჭლობს. კურთ ლაიტპოლდი სიცილით გვახსენებს თავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გოც ფონ ბერლიხინგენი რკინის მუშტით.<sup>[P]
[SEP]</sup>

მას ხელოვნური მარჯვენა ხელი აქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

შემდეგ ვიღაც ჭიშკრის კუთხიდან გამოდის და გვეუბნება:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ველარ მიცანით, არა?<sup>[P]
[SEP]</sup>

სახეზე შევხედე, თუ ამას სახე შეიძლება ეწოდოს, შუბლიდან
მარცხენა თვალამდე დიდი წითელი ნაჭრილობევი გასდევს. ხორცი
ისე ამოზრდია, რომ თვალი დაჰჰატარავებია და ღრმად აქვს
ჩამჭდარი, მაგრამ მაინც აქვს; მარჯვნივ კი შუშის თვალი უციმციმებს.
ცხვირი აღარ აქვს. მის ადგილზე არსებულ ღრმულს კი შავი ჩვარი
უმაღავს. ჭრილობა, რომელიც ზევიდან ქვევით ჩასდევს, შესივებულ
და ირიბად შეზრდილ ტუჩს ორად უყოფს. ამის გამო გაურკვეველად
ლაპარაკობს. კბილები ჩაუსვამს და ღიად დარჩენილი პირიდან
ფირფიტა მოუჩანს. გაუბედავად შევყურებ. მობუყბუყე ხმა ამბობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- პაულ რადემაჰერი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვიცანი მისი ზოლიანი კოსტიუმი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გამარჯობა, პაულ. როგორაა საქმე?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ხომ ხედავ, - ცდილობს ტუჩები გაამოდროს, - ორი საველე ნიჩბის დარტყმა და კიდევ ეს, დამატებით... - ის ხელს მაღლა სწევს, სამი თითი აკლია. ნაღვლიანად ციმციმებს მისი ერთადერთი თვალი; მეორე კი დაშტერებით და გულგრილად იყურება პირდაპირ. - ის მაინც რომ ვიცოდე, შემძლია თუ არა, მასწავლებელი გავხდე. გაურკვეველად ვლაპარაკობ. შენ თუ იგებ ჩემს ლაპარაკს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგად ვიგებ, - ვპასუხობ, - დროთა განმავლობაში კიდევ უკეთესად ილაპარაკებ. ალბათ ოპერაციის გაკეთებაც შეიძლება.<sup>[P]
[SEP]</sup>

მხრებს იჩეჩს და დუმს. ეტყობა, დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ შეიძლებოდეს, უკვე გაუკეთებდნენ ოპერაციას.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი ჩვენთან მოდის ბოლო ამბების მოსაყოლად. ის გვიყვება, რომ ფილტვში დაჭრილ ბორკმანს ჭლეჩიც დამატებია და ამის შედეგად გარდაცვლილა. ჰენცეს თავი მოუკლავს, როცა გაუგია, რომ ხერხემლის ჭრილობა ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვავდა. ეს გასაგებიცაა: ის ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. მაიერი სექტემბერში დაიღუპა, ლიხტენფელდი - ივნისში. ლიხტენფელდმა მხოლოდ ორი დღე დაჰყო ომში.<sup>[P]
[SEP]</sup>

უცებ საოცარი რამ მოხდა. ერთი პატარა, საცოდავი ფიგურა ამოიზარდა ჩვენ წინ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნუთუ ეს შენ ხარ, ვესტერჰოლტ? - ეკითხება გაოცებული ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი, ისევ მე ვარ, შე შხამიანო, - პასუხობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი გაოგნებულია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მეგონა, მკვდარი იყავი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჯერ ცოცხალი ვარ, - პასუხობს ვესტერჰოლტი თბილად.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგრამ გაზეთებში ნავიკითხე ამის შესახებ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მცდარი ინფორმაცია იყო, - ჩაიციხა პატარამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არაფერს არ უნდა ენდოს კაცი, - ამბობს ვილი თავის ქნევით, -

მეგონა, უკვე შეგჭამეს ჭიებმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენ შემდეგ, ვილი, - პასუხობს ვესტერჰოლტი თავმომწონედ, - შენ უფრო ადრე მოხვდები იქ, ნითელთმიანები დიდხანს არ ცოცხლობენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

შიგნით შევდივართ. ეზო, სადაც ათ საათზე ბუტერბროდებს ვჭამდით, საკლასო ოთახები - დაფებით და მერხებით, დერეფნები - ქუდის საკიდების რიგებით, არ შეცვლილა, მაგრამ ჩვენ მაინც სულ სხვა სამყაროში ვხვდებით. მხოლოდ ნახევრად ჩაბნელებული ოთახების სუნს ვცნობთ, ისეთი დახუთული არაა, მაგრამ ძალიან მიაგავს ყაზარმებისას.<sup>[P]
[SEP]</sup>

სააქტო დარბაზში ორღანის ასობით მილი ლაპლაპებს. ორღანის მარჯვნივ მასწავლებელთა ჯგუფი დგას. დირექტორის კათედრაზე ორი ქოთნის მცენარე დაუდგამთ, წინ კი დაფნის გვირგვინია ბაფთებით. დირექტორს გამოსასვლელი კოსტიუმი აცვია. ეს კი იმის ნიშანია, რომ საზეიმო შეხვედრა გაიმართება. ჩვენ ერთად შეჭგუფებულნი ვდგავართ. არავის აქვს სურვილი, პირველ რიგში იდგეს. მხოლოდ ვილი დგას გამორჩეულად, წინ გამოწეული; ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში მისი თავი ბორდელის ნათურასავით წითლად ანათებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მასწავლებლების ჯგუფს ვათვალისწინებ. ადრე ისინი უფრო მეტს ნიშნავდნენ ჩემთვის, ვიდრე სხვადანარჩენი ადამიანები; არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი უფროსები იყვნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათი გვჯეროდა, მაშინაც კი, როცა დავცინოდით ხოლმე. დღეს კი ისინი მხოლოდ მოხუცი ადამიანები არიან, რომელთაც არაფრად ვაგდებთ.^[P SEP]

აი, დგანან და კვლავ სურთ რაღაც გვასწავლონ. ემჩნევათ, რომ მზად არიან, მსხვერპლი გაიღონ ჩვენი გულისთვის. მაგრამ რისი სწავლება შეუძლიათ? ჩვენ ახლა ცხოვრება მათზე უკეთ ვიცით, ჩვენ სხვა ცოდნა მივიღეთ - სასტიკი, სისხლიანი, გარდაუვალი და საშინელი. დღეს ბევრ რამეს ვასწავლიდით, მაგრამ მათ ეს არ სჭირდებათ! ახლა რომ სააქტო დარბაზში მოულოდნელად შეტევა დაიწყოს, შეშინებულები და უსუსურები ბაჭიებივით დაიფანტებიან. ჩვენ კი არ დავიბნევით, წყნარად და გამიზნულად გავაკეთებთ, რაც საჭიროა: მაგალითად, ჯერ მათ გამოვკვეტავთ ოთახში, ხელი რომ არ შეგვიშალონ, და შემდეგ თავს დავიცავთ.^[P SEP]

დირექტორი ახველებს და სიტყვისთვის ემზადება. სიტყვები გამართულად და თავისუფლად მოედინება, ის შესანიშნავი ორატორია, ეს არ უნდა დავუკარგოთ. საუბრობს ჯარის გმირულ ბრძოლაზე, ომზე, გამარჯვებასა და ვაჟკაცობაზე, მაგრამ ყველა ლამაზი სიტყვის მიღმა რაღაც ეკალი იმალება, შეიძლება, სწორედ ლამაზი სიტყვების გამო. არც ისე გამართული და თავისუფალი იყო ეს სიტყვა. მე და ლუდვიგმა ერთმანეთს გადავხედეთ; ალბერტს,

ვალდორფს, ვესტერჰოლტს, რაინერსმანს - არავის მოხვედრია გულზე მისი გამოსვლა.^[59]

თანდათან დირექტორი როლში შედის. უკვე ხოტბას ასხამს არა მარტო გმირობას ბრძოლის ველზე, არამედ უფრო მოკრძალებულსაც - აქ, სახლში.^[60]

- აქ, ბურგში, ჩვენც მოვიხადეთ ჩვენი ვალი. ჯარისკაცებისთვის ყველაფერს ვიკლებდით, ვშიმშილობდით, შიში გვკლავდა და ვკანკალებდით, ძნელი იყო ეს და ხშირად შეიძლება უფრო ძნელიც, ვიდრე ჩვენი მამაცი მებრძოლებისთვის, იქ, ფრონტზე..^[61]

- ჰოპლა, - ამბობს ვესტერჰოლტი, ჩურჩული ატყდა. მოხუცი აღმაცერად იყურება დარბაზში და აგრძელებს:^[62]

- თუმცა, ცხადია, ამ ორი გმირობის შედარება არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა არმიამ გამარჯვება ვერ მოიპოვა, მათ უშიშრად ჩახედეს სიკვდილს თვალებში, მისი ჭეშმარიტი სახე დაინახეს და თავიანთი უზარმაზარი მოვალეობა აღასრულეს. მოდი, ახლა უფრო მჭიდროდ გავერთიანდეთ ჩვენი სამშობლოს ირგვლივ, მან ხომ ასეთი მძიმე განსაცდელი გამოიარა; მოდი, მტრების გულის გასახეთქად ვიშრომით დანგრეულის აღსადგენად, ვიშრომით ჩვენი გენიალური მასწავლებლის, გოეთეს ანდერძის მიხედვით, გარდასული ნლების სიღრმიდან ხმამაღლა რომ მოუნოდებს ჩვენს არეულ დროს: „აღლენ გენალტენ ბუმ თრუტბ სიკჰ ერჰალტენ !“

აქ მოხუცის ხმა ტერცინამდე დაემგა. ახლა ის მეცხრე ცაზვა. მასწავლებლების შავ გუნდში მღელვარებაა, დაძაბული და

სერიოზული სახეები აქვთ.^[P]_[SEP]

- განსაკუთრებული პატივი კი ბრძოლის ველზე დაცემულ ჩვენი კოლეჯის აღსაზრდელებს უნდა მივაგოთ, შემართებით რომ წავიდნენ საბრძოლველად, სამშობლოს დასაცავად და ღირსების ველზე დაეცნენ. ოცდაერთი მეომარი გამოაკლდა ჩვენს რიგებს და, იარაღით ხელში, ღირსეული სიკვდილი პოვა; ოცდაერთმა გმირმა თავი დააღწია ბრძოლის ყიჟინას და სამუდამო ძილით განისვენა მწვანე ველზე...^[P]_[SEP]

ამ მომენტში გაისმის მოკლე, მოგუდული სიცილი. დირექტორი შეცბუნებულია. ვილი იცინის. კარადასავით უმველებელი დგას. გაცოფებისგან სახე წამოჭარხლებია.^[P]_[SEP]

- მწვანე ველი, მწვანე ველი, - ბურტყუნებს, - სამუდამო ძილი? ისინი სანგრებში წვანან, დანგრეულები, დაგლეჯილები, ნაგავში გახვეულები; მწვანე ველი! - სიმღერის გაკვეთილზე ხომ არ გგონიათ თავი? - ქარის წისქვილივით ქშინავს, - გმირული სიკვდილი! როგორ წარმოგიდგენიათ?! გინდათ იცოდეთ, როგორ მოკვდა პატარა პოიერი? მთელი დღე მავთულხლართებში ეგდო და ყვიროდა, ნანლავები მუცლიდან მაკარონივით გადმოჰყვროდა. შემდეგ ყუმბარამ თითები მოაგლიჯა და ორი საათის შემდეგ - ფეხის ნარჩენები, მიუხედავად ამისა, ის კვლავ ცოცხალი იყო და ცდილობდა, მეორე ხელით ნანლავები უკან ჩაეტენა. მხოლოდ საღამოსკენ მოედო ბოლო. უკან რომ დავბრუნდით, ის უკვე საცერივით დახვრეტილი იყო. მოუყევით დედამისს, როგორ მოკვდა, თუ გამბედაობა გეყოფათ!^[P]_[SEP]

დირექტორი გაფითრდა. არ იცის, დისციპლინისკენ უნდა მოგვიწოდოს თუ დაგვიყვავოს. მაგრამ ვერც ერთს ბედავს და ვერც მეორეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბატონო დირექტორო, - დაიწყო ალბერტ ტროსკემ, - ჩვენ იმისთვის არა ვართ აქ, რომ თქვენგან მოვისმინოთ, რა კარგად გავაკეთეთ ჩვენი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით გამარჯვება. ეს სულ ფეხებზე გვკიდია.<sup>[P]
[SEP]</sup>

დირექტორი უხერხულ მდგომარეობაშია, მასთან ერთად - მასწავლებელთა მთელი გუნდიც. სააქტო დარბაზი ირყევა, ორღანი კანკალებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გთხოვთ, სიტყვები მაინც შეარჩიოთ, - ფარხმალდაყრილი დირექტორი ცდილობს, რაღაც მაინც თქვას პროტესტის ნიშნად.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შაისე

, შაისე და კიდევ ერთხელ შაისე! - იმეორებს ალბერტი, - წლების მანძილზე ეს ყოველი მესამე სიტყვა იყო ჩვენთვის, რომ იცოდეთ! ფრონტზე ისე ჩაძაღლებული იყო ყველაფერი, რომ თქვენი სისულელეები კარგა ხანს დავინყებულები გვქონდა, ტუჩებს ვიკვნიტდით და შაისეს გავიძახოდით, და ისევ იწყებოდა. თქვენ ალბათ წარმოდგენაც არგაქვთ, რა ხდებოდა! აქ ბეჭითი აღსაზრდელები, ძვირფასი მოსწავლეები კი არ შეკრებილან, აქ ჭარისკაცები მოვიდნენ!<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგრამ, ბატონებო, - ყვირის მოხუცი თითქმის საზეიმო ხმით, - გაუგებრობას აქვს ადგილი, სამარცხვინო გაუგებრობას...<sup>[P]
[SEP]</sup>

სიტყვის ბოლომდე დასრულება ვერ შეძლო, ჰელმუტ რაინერსმანმა შეანყვეტინა, რომელმაც უბერთან თავისი დაჭრილი ძმა საშინელი ცეცხლიდან გამოათრია და უკვე დაჭრილთა პუნქტში ჰყავდა მიყვანილი, ხელში რომ ჩააკვდა.^{[P]_{SEP}}

- ისინი დაეცნენ, - საბარელი ხმით ყვირის ის, - ისინი იმიტომ კი არ დაცემულან ბრძოლის ველზე, რომ მათზე მაღალფარდოვანი სიტყვებით ვილაპარაკოთ. ისინი ჩვენი ამხანაგები არიან, მორჩა, ჩვენ არ გვინდა, რომ მათზე ილაყბონ!^{[P]_{SEP}}

საშინელი არეულობა იწყება. დირექტორი შეძრწუნებულია და მთლად უმწეო დგას. მასწავლებელთა საბჭო გაპუტული ქათმებივით შექუჩებულია. მხოლოდ ორი მასწავლებელია მშვიდად. ისინი ჭარისკაცები იყვნენ.^{[P]_{SEP}}

მოხუცი ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს. ძალიან ბევრნი ვართ და ვილიც მის წინ ბოხი ხმით გაჰყვირის. კაცმა არ იცის, რას უნდა მოელოდნენ გაველურებული ბიჭებისგან, ჭიბიდან უცებ ხელყუმბარებიც კი შეიძლება ამოიღონ. დირექტორი ისე იქნევს მკლავებს, როგორც მთავარანგელოზი - ფრთებს, მაგრამ არავის ესმის მისი.^{[P]_{SEP}}

უეცრად ხმაური იკლებს და ლუდვიგ ბრაიერი წინ გამოდის. სიმშვიდეა.^{[P]_{SEP}}

- ბატონო დირექტორო, - იწყებს ლუდვიგი მჟღერი ხმით, - თქვენ ომი თქვენებურად დაინახეთ: მოფრიალე დროშებით, ალტაცებით და მარშის მუსიკით. თქვენ ის მხოლოდ სადგურში ნახეთ, საიდანაც

ფრონტზე გაგვაცილეთ. ამისთვის არ გასაყვედურობთ. ჩვენც ისევე ვფიქრობდით, როგორც თქვენ. შემდეგ კი ომის მეორე სახე ვიხილეთ. 1914 წლის პათოსი მალე გაქრა. ჩვენ მაინც გავძელით, რადგან უფრო ღრმა რამ გვაერთიანებდა - ის, რაც ფრონტმა მოგვცა, - პასუხისმგებლობა, რაზეც თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ და რომელზედაც საუბარი არ ღირს.^[P]_[SEP]

ლუდვიგი ერთი წამით წინ იყურება. შემდეგ შუბლზე ხელს იდებს და ლაპარაკს აგრძელებს.^[P]_[SEP]

- ჩვენ პასუხს არ გთხოვთ - ეს სისულელეა, რადგან მაშინ არავინ იცოდა, რა იწყებოდა; მაგრამ მოვითხოვთ, რომ აღარ გვიკარნახოთ, რა უნდა ვიფიქროთ ამ ყველაფერზე. ჩვენ გულანთებულნი გავემართეთ ომში, სამშობლოს სახელით ვიბრძოდით, და მდუმარედ დავბრუნდით უკან, სამშობლოს ცნება გულში ჩავიმარხეთ. ამიტომ გთხოვთ, რომ დადუმდეთ. შეეშვით მაღალფარდოვან სიტყვებს, ისინი ჩვენ არ შეგვეფერება, არც ჩვენს მკვდარ ამხანაგებს. ჩვენ ვნახეთ მათი სიკვდილი. ეს მოგონებები ისე ახლოსაა ჩვენთან, რომ გვიჭირს იმის ატანა, როგორ საუბრობთ თქვენ მათზე. ისინი უფრო ამაღლებული მიზნისთვის დაიხოცნენ და არა ამისთვის.^[P]_[SEP]

სიჩუმე ჩამონვა.^[P]_[SEP]

- მაგრამ, ბრაიერ, - ამბობს ჩუმად დირექტორი, - ეს სულ არ მინდოდა მეთქვა...^[P]_[SEP]

ლუდვიგი დუმს.^[P]_[SEP]

ცოტა ხნის შემდეგ დირექტორი ამბობს.^[P]_[SEP]

- მაშინ თავად მითხარით, რა გინდათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ერთმანეთს გადავხედეთ. რა გვინდა? ჰო, ასე ადვილი რომ იყოს ამის ერთი წინადადებით გამოხატვა... ძლიერი გრძნობა გაურკვეველად დულს ჩვენში - მაგრამ სიტყვებით როგორ გამოვხატოთ? სიტყვებს ჯერ ვერ ვპოულობთ; შეიძლება შემდეგ, ოდესმე, ვიპოვოთ!<sup>[P]
[SEP]</sup>

დარბაზი დუმს. ერთი წუთის შემდეგ დირექტორის წინ ვესტერპოლტი წამოიჭიმება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რაიმე პრაქტიკულზე ვსაუბრობთ? - ამბობს ის, - ეს ყველაზე უფრო საჭიროა. რას ფიქრობთ ჩვენზე? აქ სამოცდაათი ჯარისკაცი დგას, რომლებიც კვლავ სკოლის მერხებს უნდა მიუსხდნენ. ახლავე გეტყვით: სასწავლო მასალაზე წარმოდგენაც არა გვაქვს, მაგრამ არც სურვილი გვაქვს, დიდხანს ვისხდეთ აქ.<sup>[P]
[SEP]</sup>

დირექტორი უცებ აბრზე მოდის. გვიხსნის, რომ ამ საკითხზე ბემოთ ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ. დღესდღეობით იმ კლასებში უნდა გავწავლიდეთ, საიდანაც წავედით. შემდეგ ნახავენ, რისი გაკეთება იქნება შესაძლებელი.<sup>[P]
[SEP]</sup>

პასუხად სიცილი და ჩურჩული გაისმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს ხომ თქვენც არ გჯერათ, - ამბობს განაწყენებული ვილი, - რომ მერხებს იმ ბავშვების გვერდით მივუსხდებით, ვინც ომში არ ყოფილა, და ხელს მაღლა ავიწევთ, თუ რაიმე გვეცოდინება. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მხოლოდ ახლა ვამჩნევთ, რა სასაცილოდ გამოიყურება ყველაფერი ეს. წლების განმავლობაში ვისროდით, ვანგრევდით და

ვკლავდით - ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა თურმე, რომელი კლასიდან გაგვიწვიეს, მეორიდან თუ მესამედან; რომ ვიღაც ორუცნობიანი ამოცანის ამოხსნას ახერხებდა, ვიღაც კი - მხოლოდ ერთუცნობიანის. ეს არის ის განსხვავება, რაც აქ ასე მნიშვნელოვანია.<sup>[P]
[SEP]</sup>

დირექტორი შეგვპირდა, რომ განცხადებას შეიტანდა ჭარისკაცებისთვის სპეციალური კურსის გახსნის მოთხოვნით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ამას ვერ დაველოდებით, - ამბობს ალბერტ ტროსკე მოკლედ, - ამას ჭობია, ჩვენს თავზე ავიღოთ ეს საქმე.<sup>[P]
[SEP]</sup>

დირექტორი არ გვეჩინაალმდეგება, მდუმარედ მიდის კარისკენ.<sup>[P]
[SEP]</sup> მასწავლებლები მიჰყვებიან. ჩვენც მათსავით გარეთ მივბარტყუნობთ. მანამდე კი ვილი, რომელიც ადვილად გამოძვრა უსიამოვნებიდან, ორივე ქოთნის ყვავილს იღებს მაგიდიდან და ძირს ანარცხებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბოსტნეულს ვერ ვიტან, - ამბობს მოლუშული.<sup>[P]
[SEP]</sup> დაფნის გვირგვინს ვესტერპოლტს აფხატებს თავზე.<sup>[P]
[SEP]</sup> -ამისგან წვნიანი მოიხარშე!<sup>[P]
[SEP]</sup>

სიგარეტს და ჩიბუხებს ვაბოლებთ. გიმნაზიელ ომის მონაწილეებთან ერთად ვსხედვართ და ვთათბირობთ - ასზე მეტი ჭარისკაცი, თვრამეტი ლეიტენანტი, ოცდაათი ფელდფეხელი და უნტერ-ოფიცერი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვესტერპოლტი სკოლის ძველ განაწესს ხმამაღლა კითხულობს, მაგრამ წინ წასვლა უჭირს, რადგან ყოველი აბზაცის შემდეგ ხარხარი

გვიტყვობა. ვერ ვიჭერებთ, რომ ოდესღაც ეს ჩვენი შინაგანაწესი იყო. ვესტერპოლტი ბევრს იცინის იმაზე, რომ ომამდე კლასის მასწავლებლის გარეშე საღამოს გარეთ გასვლა არ შეგვეძლო; მაგრამ ვილი მას აჩერებს.^[59]

- დამშვიდდი, ალვინ, - უყვირის, - შენ შენი კლასის მასწავლებელი ყველაზე მეტად შეარცხვინე, ვიდრე რომელიმე სხვამ. გარდაცვლილთა სიაში ენერე, გულაჩუყებულმა დირექტორმა თავის სიტყვაში მოგიხსენია და პატივი მოგაგო, როგორც გმირს და მონინავე მოსწავლეს; და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ გყოფნის თავხედობა, საღ-საღამათი დაბრუნდე. მოხუცს შენთან დაკავშირებით კარგა მაგრად შეეშალა. მას თავისი სიტყვების უკან წაღება მოუწევს, რომელიც შენს პატივცემულ გვამს მიუძღვნა. შენ ხომ ალგებრაშიც და თხზულებაშიც ისევე მოიკოჭლებ, როგორც ადრე.^[60]

ჩვენ მოსწავლეთა საბჭოს ვირჩევთ. შეიძლება ჩვენი მასწავლებლები კარგად ერკვევიან გამოცდების საკითხებში, მაგრამ მართვის უფლებას აღარ გადავულოცავთ. ჩვენგან ვირჩევთ ლუდვიგ ბრაიერს, ჰელმუტ რაინერსმანს და ალბერტ ტროსკეს, გიმნაზიელებიდან კი - გეორგ რაესა და კარლ ბრიოგერს.^[61]

ამის შემდეგ ვირჩევთ სამ წარმომადგენელს, რომლებიც ხვალ სამინისტროში და პროვინციულ დაწესებულებებში უნდა გაემგზავრონ სწავლისა და გამოცდების ვადების დასადგენად. ვილის, ვესტერპოლტსა და ალბერტს დაევაღათ ამის შესრულება. ლუდვიგი ვერ გაემგზავრება, რადგან ჯერ ბოლომდე არ

გამოჯანმრთელებულა.<sup>[P]
[SEP]</sup>

სამივემ სამხედრო ქაღალდები და უფასო სამგზავრო ბილეთები მიიღო, რაც ბლომად გვაქვს. ლეიტენანტები და ჯარისკაცთა დეპუტატებიც ხომ საკმაოდ გვყავს ამ დოკუმენტებზე ხელმოსანერად.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჰელმუტ რაინერსმანი ყველაფერს საქმიანად უდგება: ვილის ურჩევს, კარადაში დაკიდოს ახალი ფარაჯა და ძველი ჩაიცვას - დაკვრებული და ტყვიისგან დაცხრილული.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს როგორ? - უკვირს ვილის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კანცელარიის ვირთხებზე ათას საბუთზე მეტად ასეთი რამეები მოქმედებს, - უხსნის ჰელმუტი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი ყოყმანობს, რადგან თავისი ფარაჯით ამაყოფს და სურს, დიდი ქალაქის კაფეში მოინონოს თავი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თუ სკოლის საბჭოში ხელს მაგიდაზე კარგა მაგრად დავარტყამ, ეს არანაკლებ იმოქმედებს, - თვლის ის.<sup>[P]
[SEP]</sup>

მაგრამ ჰელმუტი შეჰასუხებას არ იღებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ერთი ხელის მოსმით ვერ გავანადგურებთ ყველაფერს, - ამბობს ის, - ეს ხალხი გვჭირდება. შენ თუ დაკემსილ ფარაჯაში გამონწყობილი დააბრაზუნებ მაგიდაზე, უფრო მეტს მიაღწევ, ვიდრე - ახალ ფარაჯაში. ასეთები არიან ჩვენი ძმები, დამიჯერე.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი უთმობს. ჰელმუტი ალვინ ვესტერჰოლტს უბრუნდება და ათვალიერებს. ძალიან გაპუტული ეჩვენება, ამიტომაც ლუდვიგ ბრაიერის ორდენს აკრავს მკერდზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- საიდუმლო მრჩევლებზე ასე უფრო მოახდენ შთაბეჭდილებას, - ამბობს ჰელმუტი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ალბერტს ეს არ სჭირდება, მას საკმაოდ აქვს გულზე ჟღარუნები. ახლა სამივე კარგად არის აღჭურვილი. ჰელმუტი კიდევ ერთხელ ავლებს თვალს თავის ნამუშევარს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბრწყინვალეა, - ამბობს, - აბა, ნინ! აჩვენეთ მაგ ღორებს, როგორები არიან ნამდვილი მებრძოლები!<sup>[P]
[SEP]</sup>

- შეგიძლია, ჩვენი იმედი გქონდეს, - უხსნის ვილი, რომელიც უკვე დაწყნარდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

სიგარები და ჩიბუხები ბოლავს. სურვილები, ფიქრები და მისწრაფებები ერთმანეთში ირევა. ღმერთმა იცის, რა გამოვა ამისგან. ასი ახალგაზრდა ჯარისკაცი, თვრამეტი ლეიტენანტი, ოცდაათი ფელდფებელი და უნტერ-ოფიცერი სხედან და ცხოვრების თავიდან დაწყებას აპირებენ. ყოველ მათგანს შეუძლია ასეული უმცირესი დანაკარგით გაიყვანოს საშინელი ცეცხლიდან, არც ერთი მათგანი ერთი წუთითაც არ შეყოვნდება, ისე აირჩევს სწორ გზას, თუ მის სანგარში განგაში ატყდება: „მოდიან!“ ყოველი მათგანი შესანიშნავი ჯარისკაცია, არც მეტი, არც ნაკლები.<sup>[P]
[SEP]</sup>

მაგრამ მშვიდობიანობის დროს? გამოვდგებით კი მშვიდობისთვის? გამოვდგებით კი რაიმე სხვა საქმისთვის?<sup>[P]
[SEP]</sup>

ნაწილი მესამე<sup>[P]
[SEP]</sup>

სადგურიდან გამოვდივარ, ადოლფ ბეთკესთან მივდივარ. მის სახლს წამსვე ვცნობ, ერთი ოცდაათჯერ მაინც ჰქონდა აღწერილი. [P]
[SEP]

ხეხილიანი ბაღი. ტოტებს კვლავ შერჩენია ვაშლები. ნაწილი მინდორში, ხეებქვეშ მიმოფანტულა. კარის წინ, დიდ მდელოზე, უშველებელი ნაბლის ხე დგას. მიწა, ქვის მაგიდა და მის გვერდით მდგარი სკამი სავსეა მონითალო-მოყავისფრო ფოთლებით, მათ შორის მოჩანს გამსკდარი, ჩამოყრილი ნაბლის ჩხვლეტია ნაყოფის ქერქები. რამდენიმეს ვიღებ და ვათვალიერებ: პრიალა, დაძარღვულ მონითალო-მოყავისფრო ნაბლის ქერქს, თესლის ღია ლაკით შუაში. კიდევ თუ არსებობს ამგვარი სილამაზე, ვფიქრობ და ვხედავ ცისფრად დაბურულ ტყეებს - ტყეებს, სადაც ყუმბარებისგან დაგლეჯილი ხეები აღარ არის; სადაც მინდვრად ნიავს ტყვია-წამლისა და გაზის სიმყრალე აღარ მოაქვს; ვხედავ გადახნულ სურნელოვან, ნაყოფიერ მიწას, სახნისებში შებმულ ცხენებს, და მათ წინ და უკან (არა სამხედრო ტექნიკის კოლონების წინ) უიარაღო, ომიდან დაბრუნებულ გლეხებს, გლეხებს ჭარისკაცის ფორმაში. [P]
[SEP]

მზე ტყის თავზე ღრუბლებში იმალება, მაგრამ ვერცხლისფერი სხივები მაინც იფრქვევა ზემოდან, ბავშვების ჭრელ-ჭრელი ფრანები მალლა ცაში აჭრილა, ფილტვები სუნთქავს, ჰაერი გრილად ლივლივებს, აღარც სანგრებია და აღარც ნაღმები, აღარც აბგა გიხუთავს სულს, აღარც ქამარი გაქვს შემოჭერილი; სადღაც უკან

დარჩა სიფრთხილე, მტრის დაძაბული მოლოდინი, სამალავიდან ამოდრომა, რომელიც ყოველ წამს შეიძლება სიკვდილით დამთავრებულიყო. თავისუფლად და გამართული მივდივარ და ვგრძნობ ამ წუთის სიძლიერეს: აქ ვარ და ადოლფის მოსანახულებლად მივდივარ.^[P]_[SEP]

სახლის კარი ნახევრად ღიაა. მარჯვნივ სამზარეულოა. ვაკაკუნებ. არავინ მპასუხობს. ხმამაღლა ვამბობ: დილა მშვიდობისა. ჩქამიც არ ისმის. წინ მივდივარ და კიდევ ერთ კარს ვაღებ. ვიღაც მარტო უბის მაგიდას. ამოიხედა, გაველურებულია, ძველი სამხედრო ფორმა აცვია. ერთი შეხედვით ვიცანი: ბეთკე.^[P]_[SEP]

- ადოლფ, - ვუძახი გახარებული, - ვერ გაიგე, როგორ შემოვედი? გეძინა, არა?^[P]_[SEP]

არ განძრეულა, ისე მიწვდის ხელს.^[P]_[SEP]

- შენი მონახულება გვინდოდა, ადოლფ...^[P]_[SEP]

- კარგია, ერნსტ, - ამბობს მოღუშული.^[P]_[SEP]

- რამე მოხდა, ადოლფ? - ვეკითხები გაკვირვებული.^[P]_[SEP]

- ნუ მკითხავ, ერნსტ...^[P]_[SEP]

გვერდით ვუჭდები.^[P]_[SEP]

- ბიჭო, ადოლფ, რა დაგემართა?^[P]_[SEP]

ის თავს იცავს.^[P]_[SEP]

- კაი, რა, ერნსტ, შემეშვი. კარგია, რომ ერთ-ერთი თქვენგანი მოვიდა, - დგება. - თორემ სულ მთლად გაგიჟდები ასე მარტო...^[P]_[SEP]

გარშემო ვიჭყირები. მისი ცოლი არსად ჩანს. ის დუმს, შემდეგ

კვლავ ამბობს: [P]
[SEP]

- კარგია, რომ მოხვედი. [P]
[SEP]

შნაპსს და სიგარეტებს იღებს. სქელი, ვარდისფერძირიანი ჭიქებით
ვსვამთ. ფანჯრის წინ ბალი და ხეხილის ხეივანია. ქარი ქრის. ბალის
კარი ჭრიალებს. კუთხიდან შავად შეღებილი საათი რეკავს. [P]
[SEP]

- პროსტ, ადოლფ! [P]
[SEP]

- პროსტ, ერნსტ! [P]
[SEP]

კატა შემოდის ოთახში, საკვრავ მანქანაზე ხტება და კრუტუნებს.
ცოტა ხნის შემდეგ ადოლფი ლაპარაკს იწყებს: [P]
[SEP]

- მოდიან და ჭკუას მარიგებენ მშობლები, სიდედრ-სიმა მრი. ჩვენ კი
ერთმანეთს ვერ ვუგებთ. თითქოს ისევ ის ადამიანები არ ვიყოთ. -
ხელებზე ეყრდნობა. - შენ გესმის ჩემი, ერნსტ, და მე - შენი, მათთან კი
ისე ვგრძნობ თავს, თითქოს კედელი იყოს ჩვენ შორის. [P]
[SEP]

ბოლოს ყველაფერს მომიყვა. [P]
[SEP]

ბეთვე სახლში ბრუნდება, ჭარისკაცური აბგა ჰკიდია ზურგზე, ხელში
ტომარა უჭირავს საჩუქრებით - პროდუქტი, ყავა, შოკოლადები,
აბრეშუმის ნაჭერიც, საკაბისთვის. [P]
[SEP]

უნდა, ჩუმად შემოვიდეს, ცოლს სიურპრიზი მოუწყოს, მაგრამ
ძალი ისე წვნავის, რომ ლამის თავისი პატარა ქოხი დაანგრიოს.
ვაშლის ხეებს შორის მიქრის ხეივანში - თავისი გზა, თავისი სახლი,
თავისი ცოლი... გული ისე უცემს, როგორც მჭედლის ურო, ღრმად
ჩაისუნთქავს, კარს აღებს, და აი, როგორც იქნა! [P]
[SEP]

მარი!.. [P]
[SEP]

ხედავს... უცებ ერთ მზერაში ჩაატიო ყველაფერი: საათი, მაგიდა, დიდი სავარძელი, ცოლი; უნდა, რომ მიეჭრას, მაგრამ ქალი უკან იხევს და მისჩერებია, თითქოს მოჩვენება იდგეს მის წინ.^{[P][SEP]}

ჯერ ვერაფერს ხვდება.^[P]

- ასე შეგაშინე?^[SEP]

- ჰო, - ამბობს შეშინებული.^[P]

- კარგი, გეყოფა, მარია, - პასუხობს აღელვებისგან აკანკალებული. ახლა, როცა უკვე ოთახშია, კანკალებს. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც არ უნახავს.^[SEP]

- არ ვიცოდი, ასე მალე თუ მოხვიდოდი, ადოლფ, - ამბობს ქალი.^[SEP] კარადას ეყრდნობა და გაფართოებული თვალებით შესცქერის. თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, გული ეკუმშება.^[SEP]

- არ გიხარია ჩემი დანახვა? - ეკითხება ფარხმალდაყრილი.^[SEP]

- კი, როგორ არა, ადოლფ...^[SEP]

- რამე მოხდა? - ეკითხება; ჯერ კიდევ საჩუქრები უჭირავს ხელში.^[SEP]

უცებ ქალს ქვითინი უტყდება, რატომ არ უნდა გაიგოს ყველაფერი ახლავე, სხვები მაინც მოუყვებიან: ვილაც კაცთან კავშირი ჰქონდა, ეს თავისთავად მოხდა, მას სულ არ უნდოდა და ყოველთვის მასზე ფიქრობდა, ახლა შეუძლია მოკლას.^[SEP]

ადოლფი დგას, დგას და ბოლოს ამჩნევს, რომ ჯარისკაცის აბგა კვლავ ზურგზე ჰკიდია. მოიხსნადა ამოლაგება დაიწყო, კანკალებს, ფიქრობს: არ შეიძლება სიმართლე იყოს, არ შეიძლება სიმართლე იყოს - და ამოლაგებას აგრძელებს; აბრეშუმი შრიალებს მის ხელებში,

გაუნოდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს შენ ჩამოგიტანე, - და კვლავ ფიქრობს: „არ შეიძლება მართალი იყოს, არ შეიძლება...“ კვლავ ხელში უჭირავს წითელი აბრეშუმი, კიდევ ვერ გაუცნობიერებია, რა მოხდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ცოლი ტირის და არაფრის გაგონება არ სურს. ადოლფი ძირს ჯდება და ფიქრობს. უცებ საშინელ შიმშილს გრძნობს. ვაშლები მაგიდაზე აწყვია, წვნიანი, მშვენიერი ვაშლები საკუთარი ბალიდან. იღებს და ჭამს, რაღაც ხომ უნდა აკეთოს. შემდეგ ხელები უდუნდება და ხვდება, რაშია საქმე. საშინელი სიბრაზე დულს მასში, უნდა, რაღაც დაამტვრიოს და გარეთ გარბის იმ ვაჟბატონის საძებრად.<sup>[P]
[SEP]</sup>

ადოლფი კაცს ვერ პოულობს. მაშინ დუქანში მიდის. ესალმებიან, მაგრამ თითქოს ნემსებზე სხედან, თვალს ვერ უსწორებენ და საუბრისას ყოველ სიტყვას წონიან, ესე იგი, უკვე ყველაფერი იციან. ისე იქცევა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს; მაგრამ ამის გაძლება ძნელია. სასმელს ხახაში ისხამს და გადის; უკან შევითხვას ადევნებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სახლში თუ იყავი?<sup>[P]
[SEP]</sup>

და უცებ სიჩუმე ისადგურებს. მთელ სოფელში დაძრწის და ამასობაში ღამდება კიდევ. უცებ კვლავ თავისი სახლის წინ დგას. რას იზამს, უნდა შევიდეს. ღამშა ანთია, ყავა მაგიდაზე დგას, ღუმელზე - ტაფაზე შემწვარი კარტოფილი. ყველაფერი ეს უარეს დღეში აგდება. რა კარგი იქნებოდა, ყველაფერი სხვანაირად რომ ყოფილიყო. თეთრი სუფრაც კი გადაუფარებიათ, მაგრამ ასე უარესია.<sup>[P]
[SEP]</sup>

ცოლი აქ არის და აღარ ტირის. ადოლფი ჯდება, ის ყავას უსხამს და შემწვარ კარტოფილსა და ძეხვს მაგიდაზე დებს. ქალს თეფში არ უდგას წინ. ადოლფი უყურებს. ქალი ფერმკრთალი და გამხდარია. წარსული კვლავ ამოუტივტივდა უაზრო მწუხარებით მოსილს. ყველაფერი უნდა დაივიწყოს, ჩაიკეტოს, საწოლზე მიეგდოს და ქვად იქცეს. გვერდზე სწევს ორთქლადენილ ყავას, ტაფასაც არ ეკარება. ქალს შეეშინდა. მან იცის, რა ელის.^{[P]_{SEP}}

ადოლფი არ დგება, უბრალოდ არ შეუძლია, თავს იქნევს და ამბობს.^{[P]_{SEP}}

- მომშორდი, მარი.^{[P]_{SEP}}

ქალი არაფერს პასუხობს, შალს ბეჭებზე იხურავს, ტაფას კიდევ ერთხელ უდებს წინ და მორიდებულად ეუბნება.^{[P]_{SEP}}

- ცოტა მაინც შეჭამე, ადოლფ.^{[P]_{SEP}}

შემდეგ მიდის. ის მიდის, მიდის, თავისი ჩუმი ნაბიჯებით, კარი იხურება, გარეთ ძალღი ყეფს, ფანჯრებში ქარი ზუზუნებს. ბეთკე მარტო რჩება.^{[P]_{SEP}}

შემდეგ კი ღამე.^{[P]_{SEP}}

რამდენიმე დღე ასე მარტო ყურყურებს სახლში, სანგრებიდან დაბრუნებული...^{[P]_{SEP}}

ადოლფი ცდილობს, იპოვოს ის ვაჟბატონი, ძვალ-რბილი გაუერთიანოს; მაგრამ მან დროზე იცნოსა რაღაცა და დაიშალა. ადოლფი ჩასაფრებულია, ყველგან ეძებს, მაგრამ ვერსად პოულობს და ეს საერთოდ ანადგურებს.^{[P]_{SEP}}

მაშინ გამოჩნდნენ სიდედრი და სიმამრი და არწმუნებენ, რომ უნდა დაფიქრდეს, ქალი კარგა ხანია გონს მოეგო, ოთხი წელი მარტო იყო, ესეც არაა ადვილი, ის ვაჟბატონია დამნაშავე, მაგრამ ომის დროს უარესიც მომხდარა.^{[P]_{SEP}}

- რა უნდა ვქნა, ერნსტ? - მიყურებს ადოლფი.^{[P]_{SEP}}

- ჯანდაბას, - ვამბობ, - ჯანდაბას!^{[P]_{SEP}}

- ამისთვის დავბრუნდით სახლში, ერნსტ?^{[P]_{SEP}}

ვასხამ და ვსვამთ. რადგან ადოლფს სიგარეტები უთავდება და არ შეუძლია საყიდლად წასვლა, მე მივდივარ მოსატანად. ადოლფი თავგამოდებული მწეველია და ალბათ უსიგარეტოდ ძალიან უჭირს, ამიტომ „ვალდფროინდის“

მთელ ყუთს ვყიდულობ, სქელ, ყავისფერ ღერებს, თავის სახელს რომ ამართლებს. ისინი არყის ხისგან არის დამზადებული, მაგრამ სულ არარაობას ჭობია.^{[P]_{SEP}}

უკან რომ ვბრუნდები, ვიღაც მხედება სახლში, და მაშინვე ვხვდები, რომ ადოლფის ცოლია. გამართული დგას, რბილი კეფა აქვს. არის რაღაც გულის ამაჩუყებელი ქალის კეფაში, რაღაც ბავშვური; არ შეიძლება მათზე გაბრაზება. მხედველობაში არ მყავს მსუქნები, სქელკეფიანები.^{[P]_{SEP}}

ვესალმები და ქუდს ვიხდი. ქალი არ მპასუხობს. სიგარეტებს ადოლფს წინ ვუდებ, მაგრამ არ იღებს. საათი ნიკნიკებს. ფანჯრის წინ ნაბლის ფოთლები ტრიალებს. ხანდახან ფანჯარასთან მარტოსული ფოთოლი გაიშრიალებს, რომელსაც ქარი მინაზე ანებებს; და მაშინ

გეჩვენება, რომ ერთ ღეროზე მიმაგრებული ხუთი ყავისფერი, მინისგან მოთხუპნილი ფოთოლი ხარბი ხელის თითებივით ცდილობს ოთახში შემოჭრას. შემოდგომის მკვდარი ხელები. ბოლოს ადოლფი დგება და შეცვლილი ხმით ამბობს:^[P]_[SEP]

- აბა, ნადი, მარი.^[P]_[SEP]

დამჯერ მოსწავლესავით დგება, წინ იყურება და მიდის. რბილი კეფის მონახაბი, ვინრო ბეჭები. როგორ შეიძლება ეს?^[P]_[SEP]

- ასე მოდის ყოველდღე, ზის, არაფერს ამბობს, ელოდება და მიყურებს, - ამბობს ნაღვლიანად ადოლფი.^[P]_[SEP]

თანავეუგრძნობ, მაგრამ ახლა თანავეუგრძნობ მის ცოლსაც.^[P]_[SEP]

- ნამომყევი ქალაქში, აქ დარჩენა არ ღირს, - ვთავაზობ.^[P]_[SEP]

არ უნდა. ძალი ყეფს, ქალმა ბალის კარი გაიხურა, და ახლა მშობლებთან ბრუნდება.^[P]_[SEP]

- უნდა, რომ დაგიბრუნდეს? - ვეკითხები.^[P]_[SEP]

თავს მიქნევს. აღარაფერს ვეკითხები. თვითონ უნდა მოაგვაროს ეს საქმე.^[P]_[SEP]

- ნამომყევი, - ვთავაზობ კიდევ ერთხელ.^[P]_[SEP]

- მოგვიანებით, ერნსტ.^[P]_[SEP]

- სიგარეტი მაინც აიღე, - მივუჩოჩე ყუთი და დაველოდე, სანამ ერთი აიღო. შემდეგ ხელი გავუწოდე, - კვლავ გესტუმრები, ადოლფ.^[P]_[SEP]

ეზოს კარამდე მიმაცილა. ცოტა ხნის შემდეგ ხელს ვუქნევ. ის კვლავ ცხაურთან დგას და მის უკან კვლავ ღამის სიბნელეა, როგორც მაშინ, როცა მატარებლიდან ჩავიდა. რატომ არ დარჩა მაშინ ჩვენთან? ახლა

მართოა და უბედური, რაც უნდა გვინდოდეს, ვერ დავეხმარებით. ბრძოლის ველზე ყველაფერი უფრო მარტივია - თუ ცოცხალი ხარ, ყველაფერი კარგად არის.<sup>[P]
[SEP]</sup>

2.^{[P] [SEP]}

თვალეზდახუჭული ვნევარ დივანზე. ფეხები გაჭიმული მაქვს და თავი - დივნის ზურგზე მიდებული. ძილ-ღვიძილში აზრები აბნეულად მიტრიალებს თავში. გონება სიფხიზლესა და სიზმარს შორის მერყეობს და დაღლილობა ჩრდილივით მანვება თავზე. სადღაც შორიდან გარკვევით ისმის ქვემეხების გრუხუნი, ჩუმად უსტვენენ ჭურვები და გონგის ლითონისებრი ბგერებიც გვიახლოვდება, გაზის შეტევას რომ გვამცნობს. სანამ აირწინალს ვიპოვიდე, წყვდიადი ნელა იხევს უკან. თბილი, ნათელი გრძნობა მეუფლება; მინა, რომელსაც მივკვრივარ, პლუმის დივნად იქცევა. ლოყით მაგრად ვეკვრი დივანს და ძლივს ვაცნობიერებ, რომ სახლში ვარ... სანგარში დარხეული გაზის განგაშის ხმა თანდათან გადადის ჭურჭლის ნკარუნში, რომელსაც დედა ფრთხილად აწყობს მაგიდაზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

შემდეგ სიბნელე თავიდან მიახლოვდება და მასთან ერთად - ქვემეხების გრუხუნიც.<sup>[P]
[SEP]</sup>

მხოლოდ შორიდან, თითქოს ტყეები და ზღვები გადმოელახოს, სიტყვები ჩამესმის, რომლებიც თანდათან აზრს იღებენ და ჩემამდე აღწევენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ძევი ბიძია კარლმა მოგვითხანა, - ამბობს დედა არტილერიის ჩემ გრუხუნში.<sup>[P]
[SEP]</sup>

დედის სიტყვები სადღაც სანგრის კიდესთან მენწვა, მათთან ერთად მაძლარი, თავდაჯერებული სახეც ამოყოფს თავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ის, - ვამბობ ნანყენი, და ჩემი ხმა დაღლილობისგან ისე ჟღერს, თითქოს ბამბა მედოს პირში. - ეს სულელი... ტრაკი...<sup>[P]
[SEP]</sup>

შემდეგ ვეცემი, ვეცემი, და ბნელი ჩრდილები გრძელ ტალღებად მატყდება თავზე, მაგრამ არ ვიძინებ. რაღაც მაკლია - გონგის თანაბარი, ჩუმი, ლითონისებრი ნკრიალი. ნელ-ნელა აბრზე მოვდივარ და თვალებს ვახელ. დედა გაფითრებული, შეძრწუნებული სახით თავს დამდგომია და მომშტერებია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა დაგემართა? - ვყვირი შეშინებული და დივნიდან ვხტები. - ავად ხარ?<sup>[P]
[SEP]</sup>

დედა ხელის აქნევით მაჩერებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, არა, მაგრამ ასეთი რამე როგორ თქვი?<sup>[P]
[SEP]</sup>

ფფიქრობ. კი, მაგრამ რა ვთქვი ასეთი? აჰ, ჰო, რაღაც ბიძია კარლზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, რა, დედა, ნუ ხარ ასე მგრძნობიარე, - ვიცინი და გულზე მეშვება, - ბიძია კარლი ხომ გადამყიდველია, შენც ხომ იცი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს არ მიგულისხმია, - მპასუხობს ჩუმად, - მაგრამ ასეთ გამოთქმებს თუ ხმარობ...<sup>[P]
[SEP]</sup>

უცებ მახსენდება, რა ვთქვი მთვლემარემ. მრცხვენია, რომ ეს დედასთან დამემართა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- უნებლიეთ მომივიდა, - ვუსხნი მობოდიშებით, - დროა მივეჩვიო, რომ ფრონტზე აღარ ვარ. იქ უხეშად საუბრობენ, უხეშად, მაგრამ გულლიად.^[P]_[SEP]

თმას ვისწორებ და სამხედრო მუნდირს ვიკრავ. სიგარეტებს ვეძებ. ამ დროს ვამჩნევ, რომ დედა ჯერ კიდევ მომჩერებია და ხელები უკანკალებს.^[P]_[SEP]

გაოცებული ვარ.^[P]_[SEP]

- მაგრამ, დედა, - ვამბობ გაკვირვებით და ხელს მხრებზე ვადებ, - ჯარისკაცები ასეთები არიან.^[P]_[SEP]

- ჰო, ჰო, ვიცი, - მპასუხობს, - მაგრამ შენ... შენც..^[P]_[SEP]

ვიცინი. ბუნებრივია, მეც. მინდა დავუყვირო, მაგრამ ვდუმვარ და თავს ვანებებ, უცებ რაღაც დამემართა. დივანზე ვჯდები, აზრზე რომ მოვიდე. ჩემ წინაშე შემოფოთებული მოხუცი ქალი დგას მზრუნველი სახით. ხელები გადაუჭდია, დაღლილი, ნამუშევარი, დანაოჭებული ხელები, ცისფერი ძარღვებით დასერილი. ადრე ამას ვერ ვამჩნევდი, ადრე ბევრ რამეს ვერ ვამჩნევდი, რადგან ახალგაზრდა ვიყავი, ახლა კი ვხვდები, თუ რატომ განვსხვავდები ამ გამხდარი, მწუხარე ქალისთვის მსოფლიოს ყველა ჯარისკაცისგან: მე მისთვის ბავშვი ვარ.^[P]_[SEP]

მუდამ ბავშვი ვიქნები მისთვის, ჯარისკაციც კი. ომში მხოლოდ გაცოფებული მხეცების გროვას ხედავდა, მისი შვილის სიცოცხლეს რომ ემუქრებოდა. მაგრამ არასოდეს უფიქრია, რომ მისი შვილიც, რომლის სიცოცხლესაც ასე ადარდებდა, ასეთივე გაცოფებული მხეცი

იყო სხვა დედების შვილების მიმართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მზერა ჩემს ხელებზე გადმომაქვს. ამ ხელებით, 1917-ის მაისში, ფრანგი ჯარისკაცი ხიშტით მოვკალი, სისხლი საზიზღრად ჩამომდიოდა თითებიდან, მე კი საშინელი, გაუცნობიერებელი შიშითა და სიბრაზით შეპყრობილი, ვურჯობდი და ვურჯობდი ხიშტს, შემდეგ გულიც ამერია და მთელი ღამე ვტიროდი. მხოლოდ დილით შეძლო აღოღო ბეთკემ ჩემი დამშვიდება. მაშინ 18 წლის ვიყავი, ეს კი პირველი შეტევა იყო, რომელშიც მონაწილეობა მივიღე.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნელა ვატრიალებ ხელებს. როცა ჩვენმა არმიამ ივლისის დასაწყისში მტრის რიგები გაარღვია, სამი კაცი მოვკალი. სამივე მავთულხლართებში გაიხლართა და ასე ეკიდნენ მთელი დღის განმავლობაში. მოდუნებული ხელები ყუმბარების აფეთქებისას ჰაერში ქანაობდნენ, თითქოს იმუქრებიან ან შველას ითხოვენო. შემდეგ ჩემმა ნასროლმახელყუმბარამ ერთ ინგლისელ კაპიტანს ფეხები წააცალა. საშინლად ყვიროდა, გაგლეჯილი თავი მალლა ეჭირა, ხელებზე ეყრდნობოდა, ტანი სელაპივით ამოებურცა. მალე სისხლისგან დაიცალა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ახლა კი ვზივარ აქ, დედაჩემის პირდაპირ, რომელიც ლამის ტირის, და ვერ გაუგია, რატომ გავუხემდი ისე, რომ უწმანურ სიტყვებსაც კი ვხმარობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ერნსტ, - ამბობს ჩუმად, - რაღაც მინდა გითხრა, ძალიან შეიცვალე. ნერვიული გახდი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჰო, ვფიქრობ მწარედ, შევიცვალე. კიდევ რა იცი ჩემზე, დედა? ის

მეოცნებე, წყნარი ბიჭი წარსულს ჩაჰბარდა. არ უნდა იცოდეს, ბოლო წლებში რას ვაკეთებდი, წარმოდგენაც არ უნდა გქონდეს, სინამდვილეში რა მოხდა და როგორი გავხდი. ამ ყველაფრის მეასედი ნაწილიც კი გულს გაგიგლეჯდა.^{[P]_{SEP}}

- ყველაფერი მალე გამოსწორდება, - ვამბობ გაუცნობიერებელი შიშითა და სიბრაზით შეპყრობილი და უშედეგოდ ვცდილობ თავის დამშვიდებას.^{[P]_{SEP}}

დედა ჩემ გვერდით ჯდება და ხელებზე მეფერება, მე ხელი უკან მიმაქვს. ის შემფოთებული მიყურებს.^{[P]_{SEP}}

- ხანდახან სულ უცხო ხარ ჩემთვის, ერნსტ; მაშინ ისეთი სახე გაქვს ხოლმე, რომ ვერ გცნობ.^{[P]_{SEP}}

- ჯერ უნდა შევეჩვიო, - ვამბობ, - ჯერ კიდევ სტუმარივით ვგრძნობ თავს.^{[P]_{SEP}}

ოთახში სიბნელე ჩამონვა. დერეფნიდან ვოლფი შემოდის და იატაკზე წვება. მიყურებს და თვალები უციმციმებს, ჯერ კიდევ ვერ შესჩვევია აქაურობას.^{[P]_{SEP}}

დედა უკან იხევს.^{[P]_{SEP}}

- კარგია, რომ დაბრუნდი, ერნსტ...^{[P]_{SEP}}

- ო, ეს მთავარია, - ვამბობ და ვდგები.^{[P]_{SEP}}

დედა კუთხეში მიმჯდარა, პატარა, ბინდბუნდში გახვეული და უცნაურად მომლბალი. ვამჩნევ, როგორ შეიცვალა როლები. ახლა ისაა ბავშვი.^{[P]_{SEP}}

მიყვარს. აჰ, არასოდეს მყვარებია უფრო ძლიერ, ვიდრე ახლა,

როცა ვიცი, რომ ვერ შევძლებ მივუახლოვდე, ყველაფერს მოვუყვებ და მის კალთაში ვპოვო ნუგეში. ხომ არ დავკარგე დედა? უცებ ვგრძნობ, რა გაუცხოებული და მარტოსული ვარ.^[P]^[SEP]

თვალები დახუჭული აქვს.^[P]^[SEP]

- ახლა ჩავიცვამ და ცოტა ხნით გავალ, - ჩავჩურჩულე, მყუდროება რომ არ დამერღვია; ის თავს მიქნევს.^[P]^[SEP]

- კარგი, ჩემო ბიჭო, - ამბობს და შემდეგ ჩუმად: - ჩემო კარგო ბიჭო.^[P]^[SEP]

მისი სიტყვები დანასავით მერტობა. ფრთხილად ვხურავ კარს.^[P]^[SEP]

3.^[P]^[SEP]

მინდვრები სველია, გზებიდან წყალი ჩუხჩუხით მოედინება. პალტოს ჯიბეში კონსერვის ქილა მიდევს და ალვის ხეების ხეივანს მივუყვები. პატარა ბიჭობისას აქ პეპლებს და თევზებს ვიჭერდი, ხეების ქვეშ ვინეჭი და ვოცნებობდი.^[P]^[SEP]

გაზაფხულზე თხრილი სავსეა ბაყაყის ქვირითითა და წყალმცენარეებით. ღია მწვანე ღეროები ნელა ქანაობენ პატარა, ნათელ ტალღებში. ლელიანში ლერწმის ღეროებზე გრძელფეხება წყლის ობობები დახტიან; წყლის ბღარბების მთელი გუნდი მზის შუქზე თამაშობს და ცქვიტ, ვინრო ჩრდილებს ისვრის ოქროსფრად დალაქავებულ ქვიშაზე.^[P]^[SEP]

ცივა და ნესტია. არხის გაყოლებით გრძელ რიგებად

ჩამწკრივებულან ალვის ხეები. ცისფერი ნისლი შემოხვევია მათ შიშველ ტოტებს. მოვა დრო, კვლავ ამწვანდებიან, ამრიალდებიან და მზე თბილი ნეტარებით კვლავ მოეფინება მიწას, რომელიც ჩემი ბავშვობის მოგონებებით არის სავსე.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნაპირის შვერილს მივუყვები, ჩემს ფეხებთან თევზები დაფუსფუსებენ. თავს ვეღარ ვიკავებ. იქ, სადაც არხი ვინროვდება, ველოდები, შიშველი ხელით ორ წყლის ზღარბს ვიჭერ, მაშინვე ჩემს ქილაში ვსვამ და ვათვალიერებ.<sup>[P]
[SEP]</sup>

აქეთ-იქით აწყდებიან, გრაციოზულები და უნაკლონი, ზურგზე სამი ნემსი, მოქნილი ყავისფერი სხეული და მოშრიალე მკერდის ფარფლები აქვთ. წყალი ბროლივით ანკარაა და მზის სხივებს ათასფრად ირეკლავს. ფრთხილად ვიღებ ქილას და გზას ვაგრძელებ, ხანდახან შიგ ვიხედები, გული მიძგერს, თითქოს ჩემი ბავშვობა მომეთავსებინოს ამ ქილაში და სახლში მიმქონდეს. ყურესთან ვიმუხლები: დუმფარების მჭიდრო ბარდები წყალზე ლივლივებენ; ლურჯი, მარმარილოსებრი ტრიტონები ფუგასების მსგავსად ირხვეიან აქეთ-იქით და ჰაერის ჩასასუნთქად წყლიდან თავს ყოფენ; ხავსზე ნელა დახობავენ ქინქლის ლიფსიტები; ზარმაცად მიცურავს მცურავი ხოჭო და ხის მორის ქვემოდან ბაყაყის გაკვირვებული თვალები მომჩერებია. ვუყურებ მთელ ამ სამყაროს, მათში გაცილებით მეტია დაფარული, ვიდრე თვალთ შვიძლება დაინახო - მათში წარსულის მოგონებებია, განვლილი მისწრაფებები და ბედნიერება.<sup>[P]
[SEP]</sup>

ფრთხილად ვიღებ ქილას და გზას ვაგრძელებ, ვეძებ, ვიმედოვნებ.

ქარი ქრის, ჰორიზონტზე ლურჯი მთები მოჩანს. მაგრამ უცებ საშინელი შიში მიჰყრობს - ქვემოთ, ქვემოთ, თავშესაფარში! შენ ხომ მხედველობის არეში მოხვდი, მთლიანად დაუცველი დგახარ! - გიჟურმა შიშმა მომხარა, ხელებს წინ ვიშვერ, მინდა რომელიმე ხის უკან დავიმალო; ვკანკალებ და აჩქარებულად ვსუნთქავ; ცოტა ხნის შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქე, ჩაიარა! - დამფრთხალი გარშემო ვიხედები - არავის დავუნახავვარ, ერთი ნუთი მჭირდება დასამშვიდებლად; შემდეგ ქილის ასაღებად ვიხრები, ხელიდან რომ გამივარდა. ნყალი გადმოსხმულა, მაგრამ თევზები კვლავ შიგ არიან. თხრილიდან ქილით ახალი ნყალი ამომაქვს.^[59]

ნელა მივუყვები გზას და ფიქრებს. ტყე მიახლოვდება. გზაზე კატა გადარბის. რკინიგზა, ტყის მახლობლად, მინდვრებს კვეთს. აქ შეიძლება ბლინდაჟების აშენება, საფუძვლიანად, ბეტონის გადახურვით; შემდეგ თხრილები - მარცხნივ, სათვალთვალ კოშკებით; იქით კი რამდენიმე ქვემეხი - არა, ორიც საკმარისი იქნება, სხვები შეიძლება ტყესთანაც განლაგდეს, თორემ მთელი გარემო ჭვარედინი ცეცხლის ქვეშ მოხვდება; ალვის ხეები უნდა მოიჭრას, მტრის ჯარმა მიზანში რომ ვერ ამოიღოს; იქით ბორცვზე კი ნალმტყორცნები - და მაშინ აბა, გაბედონ და მოვიდნენ...^[60]

მატარებელი უსტვენს. ავიხედე. რას ვაკეთებ აქ? მოვედი, რომ ჩემი ბავშვობის გარემო მეპოვა, მე კი სანგრებიც თან მოვათრიე. ეს უკვე ჩვევაში გამიჭდა, უკვე ბუნებას ვეღარ ვამჩნევ, მხოლოდ ტერიტორია არსებობს - ტერიტორია თავდასხმისა თუ თავდაცვისთვის. ძველი

ნისქვილი, მაღლა რომ დგას, ნისქვილი არ არის - ის საყრდენი წერტილია; ტყე ტყე არ არის - ის არტილერიის სამალავია. ომი ყველგან თავს გვახსენებს.^[P]_[SEP]

ვიბერტყავ ამ სურათებს და ვცდილობ წარსულზე ვიფიქრო. მაგრამ კარგად არ გამომდის. ისეთი ალტაცებული აღარ ვარ, როგორც ცოტა ხნის წინ, და გზის გაგრძელების სურვილიც დავკარგე. უკან ვბრუნდები.^[P]_[SEP]

შორიდან მარტოსულ ფიგურას ვხედავ, ჩემს შესახვედრად რომ მოდის. ეს გეორგ რაეა.^[P]_[SEP]

- რას აკეთებ აქ? - მეკითხება გაოცებული.^[P]_[SEP]

- და შენ?^[P]_[SEP]

- არაფერს.^[P]_[SEP]

- მეც არაფერს, - ვპასუხობ.^[P]_[SEP]

- ეს ქილა რად გინდა? - მეკითხება და ერთხანს დამცინავად შემომცქერის.^[P]_[SEP]

ვნითლდები.^[P]_[SEP]

- ნუ გრცხვენია, - მეუბნება, - თევზები გინდა დაიჭირო, ხომ?^[P]_[SEP]

თავს ვუქნევ.^[P]_[SEP]

- მერე?^[P]_[SEP]

პასუხად მხოლოდ თავს ვაქნევ.^[P]_[SEP]

- ჰო, ეს უნიფორმით არ გამოვა, - ამბობს ფიქრიანად.^[P]_[SEP]

ფიცრის გროვაზე ვსხდებით და ვაბოლებთ. რაე ქუდს იხდის.^[P]_[SEP]

- გახსოვს, როგორ ვცვლიდით საფოსტო მარკებს?^[P]_[SEP]

- კი, კარგად მახსოვს, ახალმოჭრილი, მზებზე გასაშრობად დაწყებული ხეების ფისისა და კუპრის ძლიერი სუნი, ალვის ხეების სითეთრე, ჰაერისა და წყლის გრილი დინება - ყველაფერი კარგად მახსოვს; როგორ ვეძებდით ბალახის ბაყაყებს, როგორ ვკითხულობდით წიგნებს, როგორ ვსაუბრობდით ცხოვრებასა და მომავალზე, რომელიც სადღაც ცისფერ ჰორიზონტთან გვიცდიდა, ჩუმ მუსიკასავით მიმზიდველი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რაღაც შეიცვალა, ერნსტ, არა? - ამბობს რაე და იღიმება, იმ ღიმილით, ყველა ჩვენგანი რომ ვიღიმით - ოდნავ მწარე, დაღლილი ღიმილით. - ფრონტზე თევზებს ცოტა სხვანაირად ვიჭვრდით, ერთი ხელყუმბარა წყალში და უკვე ფარფლებდაგლეჭილები, თეთრი მუცლებით ტივტივებდნენ წყლის ზედაპირზე. ეს უფრო პრაქტიკული იყო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- როგორ მოხდა, გეორგ, - ვამბობ მე, - რომ ასე უსაქმოდ დავბორიალებთ და არ ვიცით, რით დავინყოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რაღაც გვაკლია, ერნსტ, არა?<sup>[P]
[SEP]</sup>
ვეთანხმები. გეორგი ოდნავ მეხება მკერდზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რაღაცას გეტყვი. მეც მიფიქრია ამაზე. აი ეს, - ის გარშემო გადაშლილ მინდორზე მითითებს, - აქ ცხოვრება ჩქეფდა, ეს ყველაფერი ყვაოდა და იზრდებოდა, და ჩვენც მასთან ერთად; ის კი, ჩვენ უკან რაც იყო, - თავით უკანა სივრცეზე მითითებს, - სიკვდილი იყო, იქ ყველაფერი კვდებოდა და ჩვენი პატარა ნაწილიც მოკვდა იქ. - ისევ მწარედ იღიმება. - ჩვენ ცოტათი შეკეთება გვჭირდება, ჩემო

ბიჭო.^[P]_[SEP]

- ბაფხული მაინც იყოს, - ვამბობ მე, - ბაფხულში უფრო ადვილია.^[P]_[SEP]

- ამაშია საქმე, - მპასუხობს და ბოლს პირიდან უშვებს. - ვფიქრობ, ეს სულ სხვა რამეა.^[P]_[SEP]

- მაინც რა?^[P]_[SEP]

გეორგი მხრებს იჩეჩს და დგება.^[P]_[SEP]

- ნავიდეთ სახლში, ერნსტ. გინდა გითხრა, რა მოვიფიქრე? - ჩემკენ იხრება. - შეიძლება, ისევ ჯარისკაცი გავხდე.^[P]_[SEP]

- გიჟი ხარ, - ვეუბნები აღელვებით.^[P]_[SEP]

- სრულებითაც არა, - მპასუხობს ძალიან სერიოზულად, - მხოლოდ თანმიმდევრული ვარ.^[P]_[SEP]

ვჩერდები.^[P]_[SEP]

- მაგრამ, ბიჭო, გეორგ...^[P]_[SEP]

გზას აგრძელებს.^[P]_[SEP]

- შენზე ცოტა ხნით უფრო ადრე ვარ სახლში დაბრუნებული, - ამბობს და სხვა რამეებზე იწყებს საუბარს.^[P]_[SEP]

როგორც კი პირველი სახლები ჩნდება, ქილას ვიღებ და წყლის ბლარბებს ისევ თხრილში ვუშვებ. თევზები სწრაფად შესრიალდნენ წყალში. ქილას ნაპირზე ვტოვებ.^[P]_[SEP]

გეორგს ვემშვიდობები. ის ნელა მიუყვება ქუჩას. ჩვენს სახლთან ვჩერდები და თვალს ვაყოლებ. მისმა სიტყვებმა საშინლად ამაღელვა. ყოველი კუთხე-კუნჭულიდან რაღაც მოუხელთებელი მოძვრება და გარს მეხვევა; როცა ვცდილობ ხელი ჩავავლო - ქრება, როდესაც

ვტყვე - იკუმშება და გარბის, შემდეგ კი კვლავ ჩემკენ მოძვრება და მისაფრდება.^[SEP]

ცა ტყვიასავით დასწოლია ლუიზიენპლატცის დაბალ ბუჩქებს, შავი ხეები უსიტყვოდ დგანან, გაღებულ ფანჯარას ქარი აბრაახუნებს და ბინდბუნდი ნოტიოდ და უიმედოდ მოსდებია ბაღს გადაბარდნილ ანწლის ბუჩქნარს.^[SEP]

შევცქერი არემარეს და მგონია, რომ ყველაფერს პირველად ვხედავ; იმდენად გაუცხოებულა, რომ თითქმის ვედარ ვცნობ. ნუთუ მართლა ამ ჭუჭყიან და ნოტიო მინდორში გავატარე ბავშვობის საუკეთესო წლები, ასე კაშკაშად და მოელვარედ რომ შერჩენია ჩემს მესხიერებას? ნუთუ ეს უდაბური მოედანია ყველაზე წყნარი კუთხე მთელ მსოფლიოში, სამშობლოს რომ ვეძახით და მხოლოდ ეს იყო ერთადერთი იმედი და გადარჩენა იმ მოზღვავებულ საშინელებათა ქარიშხალში? ნუთუ ეს რუხი ქუჩა, საზიზღარი სახლებით, არის ის, რომლის სახებაც სიკვდილსა და სიკვდილს შუა სანგრების თავზე თბილ და მწუხარე ოცნებასავით ამოიმართებოდა ხოლმე? ნუთუ ჩემს წარმოდგენაში ეს ქუჩა უფრო ნათელი და კაშკაშა არ იყო, გაცილებით ცოცხალი და ფართო? ნუთუ ყველაფერი შეიცვალა? ნუთუ ჩემი სისხლი მატყუებდა, ნუთუ მოგონებები მატყუებდა?^[SEP]

შემამცივნა. ყველაფერი სხვანაირი გახდა, ისე, რომ არაფერი შეცვლილა. ისევე მუშაობს საათი ფაბრიკის კომპურაზე და ზუსტად ისე ითვლის დროს, როგორც მაშინ, ციფერბლატს რომ შევყურებდით - იქნებ როგორმე ისრების მოძრაობა დაგვენახა; ისევ ისე მის არაბი

თაბაშირის ჩიბუხით იმ თამბაქოს დუქანში, სადაც გეორგ რაე ჩვენთვის პირველ სიგარეტებს ყიდულობდა; მოპირდაპირე საბაყლოშიც, საპნის ფხვნილის რეკლამაზე იგივე ფიგურებია ჩამწკრივებული, მზიან დღეებში მე და კარლ ფოგტი თვალებს საათის შუშით რომ ვუწვავდით. ვიტრინიდან ვამჩნევ, სურათებს კიდევ ეტყობა ამომწვარი ლაქები. მაგრამ ამ დღეებსა და ჩემ შორის ომი ჩამდგარა და კარლ ფოგტიც დიდი ხანია, რაც კემელთან დაეცა.^{[P]_[SEP]}

წარმოდგენა არ მაქვს, რატომ ვარ აქ და რატომ არ ვგრძნობ იმავეს, რაზეც სანგრებსა და ბარაკებში მიოცნებია, სად გაქრა ენით აუნერელი სისავსე, თრთოლა, სინათლე, ბრწყინვალეობა? ნუთუ მოგონებები უფრო რეალურია, ვიდრე სინამდვილე? მოგონებები სინამდვილედ იქცევა, სინამდვილე კი, ოდესღაც ფერადი დროშებით რომ იყო შემკული, უკან იხევს და იკრუნჩხება, სანამ მისგან არაფერი დარჩება, გარდა შიშველი ჩონჩხისა. ხომ არ დაშორდა მოგონება სინამდვილეს და მძიმე ღრუბელივით არ დაანვა რეალობას? ფრონტზე განვლილმა წლებმა ხომ არ დაანვა უკან დასაბრუნებელი ხიდები?^{[P]_[SEP]}

შეკითხვები, შეკითხვები - პასუხი კი არ ჩანს!^{[P]_[SEP]}

4.^{[P]_[SEP]}

განკარგულება ომის მონაწილეთა სასწავლო განრიგის შესახებ მიღებულია. ჩვენმა წარმომადგენლებმა მიაღწიეს სასურველს:

სასკოლო დროის შემცირებას, სპეციალურ კურსს ჯარისკაცებისთვის და გამოცდების გაადვილებას.<sup>[P]
[SEP]</sup>

ამის მიღწევა ადვილი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში რევოლუციაა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გადატრიალება მხოლოდ ზედაპირულია. რას ცვლის რამდენიმე მაღალჩინოსნის შეცვლა? ყველა ჯარისკაცმა იცის, რომ რაგინდ კარგი სურვილებიც უნდა ჰქონდეს ასმეთაურს, თუ უნტერ-ოფიცრებს არ უნდათ, მას არაფერი შეუძლია. სწორედ ასევე, ყველაზე პროგრესული მინისტრები კი ყოველთვის დამარცხდება, თუ მის გარშემო საიდუმლო მრჩევლების რეაქციული გარემოცვაა. საიდუმლო მრჩევლები კი გერმანიაში იმავე თანამდებობებზე დარჩნენ. ნაპოლეონის კანცელარია უძლეველია.<sup>[P]
[SEP]</sup>

პირველი გაკვეთილი. მერხებზე ვსხედვართ. ყველანი სამხედრო ფორმაში ვართ გამოწყობილნი. ჩვენ შორის სამი წვერიანია და ერთი - დაქორწინებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

მერხზე სუფთად, ჭიბის დანით ჩემი სახელია ამოჭრილი და მელნით შეღებილი. გამახსენდა, რომ ეს გმირობა ისტორიის გაკვეთილზე ჩავიდინე; მგონია, რომ ეს ასი წლის წინ იყო, იმდენად უცნაურია, ისევე აქ რომ ზიხარ. ამით ომი წარსულს ჩაჰბარდა, წრე შეიკრა, მაგრამ ჩვენ ამ წრეში არ ვართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

გერმანულის მასწავლებელი შემოდის და ყველაზე საჭირბოროტო საკითხით იწყებს - იმ ნივთებს გვირიგებს, რომლებიც სკოლაში დაგვრჩა. ეტყობა, ეს ამბავი მძიმედ აწვა მის უმნიშვნელო სულს.

კარადას ალებს და იქიდან ნივთები გამოაქვს: სახატავი და სახაზავი მონწობილობები, სქელი რვეულების შეკვრა - ჩვენი თხზულებები, კარნახები, საკლასო სამუშაოები. კათედრაზე, მისგან მარცხნივ, მთელი გროვა წამოიმართა. სახელებს კითხულობს, ჩვენ ვპასუხობთ და ისეთი გამალებით ვიღებთ რვეულებს, რომ საშრობები ცვივა.^[P]_[SEP]

- ბრაიერ!^[P]_[SEP]

- ვარ.^[P]_[SEP]

- ბრუკერ!^[P]_[SEP]

- ვარ.^[P]_[SEP]

- დეტლფეს!^[P]_[SEP]

სიჩუმე.^[P]_[SEP]

- მკვდარია! - იდახის ვილი.^[P]_[SEP]

დეტლფესი - პატარა, მოღრეცილფეხებიანი, კლასში ჩარჩენილი, ეფრეიტორი, დაეცა 1917 წელს კემელბერგთან.^[P]_[SEP]

რვეულმა კათედრის მარჯვენა მხარეს გადაინაცვლა.^[P]_[SEP]

- დირკერ!^[P]_[SEP]

- ვარ.^[P]_[SEP]

- დირკსმან!^[P]_[SEP]

- მკვდარია.^[P]_[SEP]

დირკსმანი - გლეხის შვილი, სკატის თამაშის დიდი მოყვარული, ცუდი მომღერალი, დაეცა იუპერნთან. რვეულმა მარჯვნივ გადაინაცვლა.^[P]_[SEP]

- ეგერს!^[P]_[SEP]

- ჯერ არ მოსულა! - ყვირის ვილი.^[P]_[SEP]

ლუდვიგი უხსნის.^[P]_[SEP]

- ფილტვის გრილობა, დორტმუნდის სათადარიგო ბანაკში წევს, სამი თვის შემდეგ ლიპშპრინგეში გადაიყვანენ.^[P]_[SEP]

- ფრიდრიქს!^[P]_[SEP]

- ვარ.^[P]_[SEP]

- გიზეკე!^[P]_[SEP]

- უგზო-უკვლოდ დაიკარგა.^[P]_[SEP]

- არ არის სწორი, - ამბობს ვესტერჰოლტი.^[P]_[SEP]

- ის ხომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა, - ამბობს რაინერსმანი.^[P]_[SEP]

- მართალია, - სიტყვას უბრუნებს ვესტერჰოლტი, - მაგრამ ის სამი კვირაა, რაც აქ არის, საგიჟეთში. მე თავად ვნახე.^[P]_[SEP]

- გერინგ I!^[P]_[SEP]

- მკვდარია.^[P]_[SEP]

გერინგ I - საუკეთესო მოსწავლე, ლექსებს წერდა, კერძო გაკვეთილებს ატარებდა, წიგნებს ყიდულობდა. დაეცა სოისონთან, თავის ძმასთან ერთად.^[P]_[SEP]

- გერინგ II, - ჩურჩულებს გერმანულის მასწავლებელი და რვეულს მექანიკურად სხვებთან ერთად მარჯვნივ დებს.^[P]_[SEP]

- მართლა კარგ თხზულებებს წერდა, - ამბობს ფიქრიანად და კიდევ ერთხელ ფურცლავს გერინგ I-ის რვეულს.^[P]_[SEP]

კიდევ რამდენიმე რვეული გადადო მარჯვნივ, და როდესაც ყველა

ამოიკითხა, დაურიგებელი რვეულების საკმაოდ სქელი დასტა დარჩა მაგიდაზე... გაუბედავად შეჰყურებს უფროსი მასწავლებელი ჰოლერმანი ამ რვეულებს. მისი წესრიგის მოყვარული სული აღშფოთებულია, რადგან არ იცის, რა უნდა მოიმოქმედოს. ბოლოს გამოსავალს ჰოულობს. რვეულებს ომში დაღუპულების მშობლებს გადაუგზავნის.^{[P]_[SEP]}

მაგრამ ვილი არ არის თანახმა.^{[P]_[SEP]}

- თქვენ გგონიათ, მშობლებს ეს გაახარებს, თუ რვეულებში მრავლად ნახავენ „არადამაკმაყოფილებელს“ და „დამაკმაყოფილებელს“? ჯობია, შეეშვათ!^{[P]_[SEP]}

ჰოლერმანს გაკვირვებისგან თვალები უმრგვალდება.^{[P]_[SEP]}

- კი, მაგრამ ამ რვეულებს რა ვუყო?^{[P]_[SEP]}

- კარადაში დატოვეთ, - ამბობს ალბერტი.^{[P]_[SEP]}

ჰოლერმანი განიარაღებულია.^{[P]_[SEP]}

- მაგრამ ეს ხომ არ შეიძლება, რვეულები ხომ სკოლის საკუთრება არაა, მათი აქ დატოვება არ შეიძლება.^{[P]_[SEP]}

- ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სირთულეებია, - კვნესის ვილი და თმაზე ხელს ისვამს. - მოგვეცით რვეულები, ჩვენ მოვევლით მათ.^{[P]_[SEP]}

ჰოლერმანი ყოყმანით იღებს რვეულებს.^{[P]_[SEP]}

- მაგრამ... - ამბობს შეშინებული, რადგან ეს მაინც სხვისი საკუთრებაა.^{[P]_[SEP]}

- ჰო, ჰო, - ამბობს ვილი, - ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ ინებებთ; შეკვეთილი ამანათით გავგზავნით, წარწერით, მარკებიც

საკმაო რაოდენობით იქნება დანებებული, ოღონდ დანყარდით!
ნესრიგი საჭიროა, მტკივნეულიც რომ იყოს!{P}{SEP}

თვალს გვიკრავს და შუბლზე თითს იტრიალებს.{P}{SEP}

გაკვეთილის შემდეგ ჩვენს ნამუშევრებს ვათვალისწინებთ.
უკანასკნელი თემა: „რატომ უნდა მოიგოს გერმანიამ ომი?“ ეს 1916
წლის დასაწყისია. შესავალი, ექვსპუნქტიანი დასაბუთება და დასკვნა.
მეოთხე პუნქტი - „რელიგიური საფუძვლების შესახებ“ - კარგად ვერ
დამიწერია. მინდორზე წითელი მელნით წერია, ფრაგმენტული და
არადამაჯერებელიაო. საერთოდ კი შვიდგვერდიანი თხუბულება ორი
მინუსითაა შეფასებული. შედეგი კარგია, თუ დღევანდელ ფაქტებს
მხედველობაში მივიღებთ. ვილი ხმამაღლა კითხულობს თავის
ნამუშევარს ბუნებისმეტყველებაში - „ფრინტა და ფესურა“, შემდეგ
ქირქილით იყურება ირგვლივ.{P}{SEP}

- ამით მოვრჩით, ხომ?{P}{SEP}

- ყველაფერი რიგზეა, - იდახის ვესტერჰოლტი.{P}{SEP}

დიახ, რიგზეა, მართლაც! ჩვენ ყველაფერი დაგვაგინყდა, ეს
განაჩენია... მაგრამ იმას, რაც ბეთკემ და კობოლემ გვასწავლეს, ვერ
დავიგინყებთ.{P}{SEP}

ნაშუადღევს ალბერტმა და ლუდვიგმა გამომიარეს. გიბეკეს
მონახულებას ვაპირებთ. გზაში გეორგ რაეს ვხვდებით. ისიც
მოგვყვება, გიბეკეს ისიც კარგად იცნობდა.{P}{SEP}

ნათელი დღეა. გორაკიდან, სადაც შენობა დგას, შორი მინდვრები
მოჩანს. იქ ცისფერბოლიან ხალათებში გამოწყობილი სულით

ავადმყოფები, უნიფორმიანი მცველის მეთვალყურეობით, ჭკუფებად მუშაობენ. მარჯვენა ფლიგელის ერთი ფანჯრიდან სიმღერა ისმის - „ბაალეს ნათელ ნაპირზე“. ალბათ რომელიმე ავადმყოფი მღერის. უცნაურად ჟღერს გისოსებიდან „და ღრუბლები მიქრიან - სადღაც შორს...“^[SEP]

გიბეკე სხვა ავადმყოფებთან ერთად დიდ დარბაზშია. როდესაც შევდივართ, ვიღაც გამკვივანი ხმით ყვირის: „თავშესაფარი, თავშესაფარი!“ და მაგიდის ქვეშ მიძვრება. სხვები ყურადღებას არ აქცევენ. გიბეკე ჩვენს შესახვედრად მოეშურება. გამხდარი, ყვითელი სახე აქვს. ნვეტიანი ნიკაპით და პარტყუნა ყურებით გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება, ვიდრე ადრე. მხოლოდ თვალები აქვს მოუსვენარი და დაბერებული.^[SEP]

სანამ მივესალმებოდით, ვიღაც გვერდზე გვწევს.^[SEP]

- რა არის ახალი გარეთ? - გვეკითხება.^[SEP]

- არაფერი, არაფერი ახალი არაა.^[SEP]

- ფრონტი? ვერდუნი ჩვენია, ბოლოს და ბოლოს?^[SEP]

ერთმანეთს გადავხედეთ.^[SEP]

- უკვე დიდი ხანია მშვიდობაა, - აწყნარებს ალბერტი.^[SEP]

ავადმყოფი იცინის, უსიამო, კიკინა სიცილით.^[SEP]

- ფრთხილად, თავი არ მოალორებინოთ! თავგზას გვიბნევენ, თვითონ კი დადარაჯებულნი არიან, აქედან როდის გავალთ! გავალთ თუ არა, უცებ დაგვიჭერენ და ფრონტზე გვიკრავენ თავს, - მერე საიდუმლოდ გვეუბნება: - ჩემი ფეხი არ იქნება იქ!^[SEP]

გიბეკე ხელს გვართმევს. ჩვენ შეცბუნებულები ვართ. ველოდით, რომ ის მაიმუნივით იხტუნებდა, იგიჟებდა, დაიმანჭებოდა, სულ ცოტა, კონტუზიანივით მაინც იძაგძაგებდა. ამის მაგივრად გვიღიმის მოღრეცილი, გაუბედურებული პირით და ამბობს:^[P]^[SEP]

- ვერ იფიქრებდით, არა?^[P]^[SEP]

- შენ ხომ ჯანმრთელი ხარ, - შევეპასუხე, - რა დაგემართა?^[P]^[SEP]

შუბლზე ხელს ისვამს.^[P]^[SEP]

- თავი მტკივა. თითქოს სალტე მიჭერდეს თავზე და კიდევ ფლერი...^[P]^[SEP]

ფლერში ბრძოლებისას გიბეკე ყუმბარის აფეთქებამ ჩამარხა, ხის მორის ქვეშ მოხვდა, დიდხანს იწვა ასე, სახით მეორე ჯარისკაცის გამოლადრულ მუცელზე მიკრული. იმ ჯარისკაცს თავი ზემოთ დარჩენოდა; გამუდმებით ყვიროდა და გიბეკეს მის ყოველ ყვირილზე სისხლის ტალღა ესხმებოდა სახეზე. მალე დაჭრილის შიგნეულმა გარეთ გამოვარდნა დაიწყო და გიბეკეს მოგუდვით დაემუქრა. სუნთქვა რომ არ შეკვროდა, კვლავ მუცელში უბრუნებდა ნანლავებს და ყოველ მოძრაობაზე იმ საცოდავის მოგუდული ღრიალი ესმოდა.^[P]^[SEP]

ყველაფერ ამას გიბეკე მწყობრად და თანმიმდევრულად ჰყვება.^[P]^[SEP]

- და ამის შემდეგ, ყოველდამე კვლავ სუნთქვა მეკვრის, ოთახი სლიპინა თეთრი გველებითა და სისხლით ივსება.^[P]^[SEP]

- მაგრამ თუ იცი, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ გეჩვენება, ნუთუ არ შეგიძლია, თავს მოერიო? - ეკითხება ალბერტი.^[P]^[SEP]

გიბეკე თავს იქნევს.^[P]^[SEP]

- არაფერი მშველის, მაშინაც კი, როცა არ მძინავს. მაშინვე მოდიან, როგორც კი შებნელები. - ამცივებს. - აქ მაშინ მომიყვანეს, სახლის ფანჯრიდან რომ გადმოვხტი და ფეხი მოვიტყეხე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თქვენ რას აკეთებთ? - გვეკითხება ცოტა ხნის შემდეგ, - გამოცდები ჩააბარეთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მალე ჩავაბარებთ, - ამბობს ლუდვიგი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჩემთვის აღარაფერი არსებობს, - ნაღვლიანად ასკვნის გიბეკე, - ჩემნაირებს ბავშვებთან არ უშვებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

კაცი, რომელიც „თავშესაფარიო“, ყვიროდა, ალბერტს უკნიდან ეპარება და კეფაზე ნამოარტყამს. ალბერტი ენთება, მაგრამ მალევე აბრზე მოდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კ.ვ! - ქირქილებს კაცი, -კ.ვ! - სიცილისგან ჭყვიტინებს, უცებ სერიოზულდება და ჩუმად მიდის კუთხეში.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არ შეგიძლიათ მაიორს მისწეროთ? - გვეკითხება გიბეკე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რომელ მაიორს? - ვეკითხები გაოცებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი ხელს მკრავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა უნდა მივწეროთ? - კვლავ ვეკითხები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რომ კვლავ ფლერში გამიშვას, - მპასუხობს გიბეკე აღელვებით, - ეს მიშველის, ნამდვილად მიშველის. ახლა ალბათ იქ სიჩუმეა და მხოლოდ მე მახსოვს, ეს ადგილი როგორ ავიდა ცაში. თუ იმ სიკვდილის უფსკრულს გავივლი, ცივ მიწას რომ მიუყვება, პირდაპირ ფლერს მივადგები, და თუ სროლა შეწყვეტილი იქნება, ყველაფერი გამივლის და ალბათ დავმშვიდდები. რას იტყვით?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ისედაც ყველაფერი გაგივლის, - ეუბნება ლუდვიგი და გიბეკეს მხარზე ხელს ადებს, - ეს უნდა გააცნობიერო.<sup>[P]
[SEP]</sup>

გიბეკე ნალვლიანად მისჩერებია სივრცეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მისწერეთ, რა, მაიორს, გერჰარდ გიბეკე მქვია. - თვალები უაბრო გაუხდა, თითქოს ვერაფერს ხედავსო. - არ შეგიძლიათ, ცოტა ვაშლის ხილფაფა მომიტანოთ? ძალიან მინდა კვლავ გავსინჯო ვაშლის ხილფაფა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ყველაფერს შევპირდით, რასაც გვთხოვდა, მაგრამ ის უკვე აღარ გვისმენდა, უცებ ყველაფერმა აბრი დაკარგა მისთვის. ვემშვიდობებით. დგება და ლუდვიგს მხედრულ სალამს აძლევს. შემდეგ მაგიდასთან ჯდება და უაბროდ იყურება.<sup>[P]
[SEP]</sup>

მივდივართ და მაინც გიბეკესკენ ვიყურებით. უცებ თითქოს გაიღვიძაო, დგება და ჩვენკენ მოდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნამიყვანეთ, - გვთხოვს რაღაც უცნაურად მაღალი ხმით, - ისინი ისევ მოძვრებიან ჩემკენ..<sup>[P]
[SEP]</sup>

შეშინებული გვეკვრის. არ ვიცით, რა ვქნათ. ამ დროს ეჭიმი გამოჩნდა. გვათვალიერებს და ფრთხილად ხვევს გიბეკეს მხარზე ხელს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბალში გავიდეთ, - ეუბნება და გიბეკეც მორჩილად მიჰყვება.<sup>[P]
[SEP]</sup>

საავადმყოფოდან გამოვდივართ. სალამოს მზე მინდვრებს ანათებს. გისოსებიდან კვლავ ისმის სიმღერა: „ცხიეები დაინგრა - ღრუბლები კი მიქრიან, სადღაც იქით...“<sup>[P]
[SEP]</sup>

მდუმარედ მივდივართ გვერდიგვერდ. გადახნული კვლები

ბრწყინავს. ნამგალა მთვარე ვინრო, ფერმკრთალ ბოლად მოჩანს ტოტებს შორის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მგონი... - ამბობს ლუდვიგი ცოტა ხნის შემდეგ, - ცოტათი ყველანი მაგნაირები ვართ...<sup>[P]
[SEP]</sup>

შევცქერი. მის სახეს საღამოს სინითლე დაჰკრავს, სერიოზული და ჩაფიქრებულია. მინდა ვუპასუხო, მაგრამ უცებ მაჟრჟოლებს - თავად არ ვიცი, რატომ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ამაზე აღარ უნდა ვილაპარაკოთ, - ამბობს ალბერტი. გზას ვაგრძელებთ, მენამული დაისი ფერმკრთალდება და ბნელდება. მთვარის ნამგალი უფრო აშკარად იკვეთება ცაზე. ღამისეული ქარი მინდვრებიდან უბერავს და თითქმის ყველა ფანჯარა ნათდება. ჩვენ ქალაქში შევდივართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

გეორგ რაე მთელი გზა დუმს. მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოსამშვიდობებლად შევჩერდით, ფიქრს წყვეტს და გვეკითხება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გაიგეთ, რა ისურვა? ფლერში უნდოდა დაბრუნება; უკან, ფლერში.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჯერ კიდევ არ შემიძლია სახლში წასვლა. ალბერტიც მხარს მიბამს. ქვემოთ მდინარე დუდუნებს. წისქვილთან ვჩერდებით და მოაჭირს ვეყუდებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სასაცილოა, რომ მარტოობას ვერ ვიტანთ, არა? - ამბობს ალბერტი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, - ვამბობ, - არ ვიცი, რა უნდა ვაკეთო.<sup>[P]
[SEP]</sup>

თავს მიქნევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სწორია. მაგრამ რაიმე ხომ უნდა აკეთო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რაიმე პროფესია რომ გვქონდეს, - ვამბობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მეწინააღმდეგება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ესეც არაფერს შეცვლის, მთავარია, ვიღაც გყავდეს, ერნსტ, ადამიანი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ადამიანი, - ვეპასუხები, - ეს ყველაზე უფრო უიმედო რამეა მთელ მსოფლიოში. ჩვენ უკვე საკმაოდ ვიხილეთ, რა ადვილია სიკვდილი. უნდა გყავდეს ათი, უკეთესია, ოცი ადამიანი, რამდენიმე მაინც რომ შეგრჩეს, როცა სხვებს თავს ტყვია გაუხვრეტს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ალბერტი ტაძრის სილუეტს ათვალიერებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მე ასე არ ვფიქრობ, - მეუბნება, - ადამიანს ვგულისხმობ, ადამიანს, რომელიც შენია. ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი ცოლია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ღმერთო დიდებულო, - შევძახე, რადგან მაშინვე ბეთკე გამახსენდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნუ სულელობ, - აგრძელებს ალბერტი, - ვინმე ხომ უნდა გყავდეს გვერდით, ნუთუ არ გესმის? მიხდა, რომ ვინმეს ვუყვარდე, მაშინ მე მის გვერდით ვიქნები, ის კი ჩემ გვერდით! უამისოდ შეიძლება თავი ჩამოიხრჩოს ვაცმა! - ის კანკალებს და ზურგს მაქცევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგრამ, ალბერტ, შენ ხომ ჩვენ გყავართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი, მაგრამ ეს სულ სხვა რამეა, -ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩულებს: - ბავშვები უნდა გყავდეს - ბავშვები, რომლებსაც არაფერი ახსოვთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ზუსტად ვერ გავიგე, რას გულისხმობს, მაგრამ მეტს აღარაფერს ვეკითხები.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნაწილი მეოთხე ^[P]_[SEP]

ყველაფერი სხვაგვარად წარმოგვედგინა. გვჯეროდა, რომ საბეიშო აკორდით დაიწყებოდა აქტიური ცხოვრება, ახალი, მხიარული, დაბრუნებული ცხოვრება; ასე წარმოგვედგინა. მაგრამ დღეები და კვირები ხელიდან გვისხლტებოდა, უბრალო, არაფრის მომცემ ფუსფუსში იხარჯებოდა და უკან რომ მოვიხედეთ, არაფერი შეგვრჩა. ფრონტზე შევეჩვიეთ მყესეულად გვემოქმედა და გვეფიქრა, რადგან ერთი წუთის შემდეგ შეიძლება ყველაფერი დამთავრებულიყო. ამიტომაც მიიზღაზნება ახლა ჩვენი არსებობა ნელა, ჩვენ მას ქეჩოში ვწვდებით, მაგრამ სანამ მიზანს მივალწევთ, ისევ ხელს ვუშვებთ. ძალიან დიდხანს გვყავდა სიკვდილი ამხანაგად; ის კი ყოჩალი მოთამაშე აღმოჩნდა და ყოველ წამს მალალ ფსონებს ჩამოდიოდა. ამან დაგვძაბა და აგვაფორიაქა, მხოლოდ მყესეულად ვცხოვრობდით. ახლა კი დაცარიელებულნი ვართ, რადგან აქ მყესეულად ვერ იცხოვრებ. სიცარიელე არ გვასვენებს, რადგან ვგრძნობთ, რომ ჩვენი არ ესმით და თვით სიყვარულიც ვერ გვშველის. ჯარისკაცებს და არაჯარისკაცებს შორის ხიდი ჩატეხილია. ჩვენვე უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს. ^[P]_[SEP]

და მაინც, ჩვენს შფოთიან დღეებში უცნაური სიბრაზე გვიპყრობს, როგორც შორეული იარაღის გრუხუნი, როგორც ჰორიზონტიდან მომავალი ბუნდოვანი გაფრთხილება, რომლის ახსნაც არ შეგვიძლია, რომლის გაგონებაც არ გვსურს, რომელსაც ბურგს ვაქცევთ, მუდმივი შიშით, რამე არ დაგვარგოთ, თითქოს რაღაცას ვკარგავთ. ხანდახან

მართლა ვკარგავთ რაღაცას, ზოგიერთი ჩვენგანი - თვით
სიცოცხლესაც კი.<sup>[P]
[SEP]</sup>

1.<sup>[P]
[SEP]</sup>

კარლ ბრიოგერის ბუნაგი აჭრელებულია, ყველა ნიგნის თარო
გადმონგრეული, ტომეულები მაგიდებსა და იატაკზეა მიმოხნილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

კარლი ადრე ნიგნის გიჟი იყო, ნიგნებს აგროვებდა, როგორც ჩვენ -
პეპლებს და საფოსტო მარკებს. ყველაზე მეტად აიხენდორფი
უყვარდა. მისი სამი სხვადასხვა გამოცემა აქვს. ბევრი მისი ლექსი
გეპირად იცის. ახლა კი აპირებს, ბიბლიოთეკა გაყიდოს და შნაჰსის
სავაჭრო გახსნას, სანყისი კაპიტალის დაგროვებას აპირებს.
ამტკიცებს, რომ ამით ბევრ ფულს იშოვის. აქამდე მხოლოდ
ლედერჰოზებს აგენტი იყო; ახლა უნდა საკუთარ ფეხზე დადგეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

აიხენდორფის პირველ ტომს ვფურცლავ, რომელიც რბილი,
ცისფერი ტყავითაა გადაკრული. მენამული საღამოები, ტყეები და
ოცნებები - ზაფხულის ღამეები, მონატრება და ნოსტალგია - რა დრო
იყო!<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილის მეორე ტომი უჭირავს ხელში. ჩაფიქრებული
ათვალიერებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მენაღეს უნდა შესთავაზო, - რჩევას აძლევს კარლს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რატომ? - ეკითხება ლუდვიგი ღიმილით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ტყავი, - პასუხობს ვილი, - მენაღეებს ტყავი სჭირდებათ. - ის

გოეთეს ტომს დასწვდა. - ოცი ტომი, ამისგან, სულ ცოტა, ექვსი წყვილი მშვენიერი ფეხსაცმელი გამოვა. მენაღე ამაში უფრო მეტს მოგცემს, ვიდრე ბუკინისტი. ისინი გიჟდებიან ტყავზე!^[P]_[SEP]

- გინდათ რაიმე ამ წიგნებიდან კარგ ფასში? - გვეკითხება კარლი.^[P]
ჩვენ უარს ვუბნებით.^[SEP]

- კარგად დაფიქრდი, - ეუბნება კარლს ლუდვიგი, - შემდეგ ველარ იყიდი.^[P]_[SEP]

- არა აქვს მნიშვნელობა, - იცინის კარლი, - ჭობია იცხოვრო, ეს სჭობია კითხვას. გამოცდისთვისაც მიმიფურთხებია. ეს ყველაფერი სისულელეა! ხვალ იწყება შნაჰსის დეგუსტაცია. ათი მარკა ერთი ბოთლი კონტრაბანდული კონიაკისთვის, ეს მიმზიდველია, ჩემო ძვირფასო! ფული არის ერთადერთი რამ, მერე ყველაფერი იქნება, რაც გჭირდება!^[P]_[SEP]

წიგნებს თოკით კრავს. მახსოვს, ადრე საჭმელს არ შეჭამდა, მაგრამ წიგნს არ გაყიდდა.^[P]_[SEP]

- რა გაკვირვებული სახეები გაქვთ, - დაგვცინის ის, - პრაქტიკული უნდა იყო! ძველი ტვირთი უნდა გადააგდო და ახალი ცხოვრება დაიწყო!^[P]_[SEP]

- სწორია, - ეთანხმება ვილი, - მეც გავყიდდი, რამე რომ მქონდეს.^[P]
კარლი ბეჭებზე ხელს ურტყამს.^[SEP]

- ერთი სანტიმეტრი ვაჭრობა სჭობია ერთ კილომეტრ განათლებას, ვილი. დიდი ხანი გავატარე ფრონტზე ნეხვში, ახლა მინდა, ცხოვრებისგან რაღაც მივიღო!^[P]_[SEP]

- მართალია, - ვამბობ, - ჩვენ რას ვაკეთებთ? რაღაცას ვსწავლობთ, ეს ხომ არაფერია.^{[P][SEP]}

- ძმებო, აითვისეთ, - გვიჩვენებს კარლი, - რაღა გინდათ სკოლაში?^{[P][SEP]}

- ღმერთო, - პასუხობს ვილი, - შეიძლება მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ იქ მაინც ერთად ვართ და კიდევ, გამოცდებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი, ახლა სწავლის მიტოვება უაზრობაა, ატესტატი არ გვანწყენდა, შემდეგ კი ვნახოთ...^{[P][SEP]}

კარლი შესაფუთ ქაღალდს ჭრის.^{[P][SEP]}

- ფრთხილად იყავი, ასე ყოველთვის იქნება ერთი-ორი თვე, რომლის გამოც დაგენანება რაღაცის მიტოვება და ისე დაბერდები, ვერასოდეს ვერაფერს გადაწყვეტ...^{[P][SEP]}

ვილი იცინის.^{[P][SEP]}

- დაველოდოთ, ჩაი ვსვათ, მერე ვნახოთ...^{[P][SEP]}

ლუდვიგი დგება.^{[P][SEP]}

- მამაშენი რას გეუბნება ამაზე?^{[P][SEP]}

კარლი იცინის.^{[P][SEP]}

- რასაც მშიშარა უფროსები ამბობენ, სერიოზულად არ უნდა მიიღო. მშობლებს ავინყდებათ, ჯარისკაცები რომ ვიყავით.^{[P][SEP]}

- რა გამოხვიდოდი, ჯარისკაცი რომ არ ყოფილიყავი? - ვეკითხები.^{[P][SEP]}

- ალბათ წიგნებს გავყიდდი, ისეთი სულელი ვიყავი, - მპასუხობს კარლი.^{[P][SEP]}

ვილიზე კარლის გადაწყვეტილებამ დიდი შთაბეჭდილება

მოახდინა, ჩვენც შემოგვთავაზა, უსარგებლო სისულელეებისთვის თავი დაგვენებინა და საქმისთვის მოგვევიდა ხელი, რამდენადაც შევძლებდით.^[P]_{SEP}]

ჭამა ყველაზე ხელმისაწვდომი სიამოვნებაა. ამიტომაც გადავწყვიტეთ საშოვარზე წავსულიყავით. სასურსათო ბარათებით, კვირაში ერთხელ, ერთ ადამიანზე ორას ორმოცდაათი გრამი ხორცი, ოცი გრამი კარაქი, ორმოცდაათი გრამი მარგარინი, ასი გრამი ქერის ბურღული და ცოტა პური მოდის. ამით მაძლარი ვერ იქნები.^[P]_{SEP}]

სადამოს გადამცვლელები უკვე სადგურზე არიან, დილით ადრე რომ წავიდნენ სოფლებში. ამიტომაც პირველ მატარებელს უნდა გავყვეთ, თორემ სხვები დაგვასწრებენ.^[P]_{SEP}]

კუპეში ნაცრისფერი, უღიმღამო ატმოსფეროა. ახლომდებარე სოფელი ავირჩიეთ და იქ ორ-ორად გავნანილდით, ორგანიზებულად რომ დავბვეროთ გარემო; პატრულირებას უკვე შეჩვეული ვართ.^[P]_{SEP}]

მე და ალბერტი ერთად ვართ. ერთ დიდ ეზოს მივადექით. ნაგვის გროვა ბოლავს, ძროხები ერთ დიდ რიგად ჩამწკრივებულან. ბოსლისა და რძის თბილი სუნი ცხვირში გვიღიტინებს, ქათმები კაკანებენ; ხარბი თვალით შევცქერით, მაგრამ თავს ვიკავებთ, რადგან კალო სავსეა ხალხით. ვესალმებით. ყურადღებას არავინ გვაქცევს. ვჩერდებით, ბოლოს ვიღაც ქალი გვიყვირის.^[P]_{SEP}]

- გაეთრიეთ ეზოდან, თქვე მათხოვრებო!^[P]_{SEP}]

შემდეგი ეზო. გლეხი ბუსტად ეზოს შუაში დამდგარა. მას გრძელი სამხედრო ფარაჯა აცვია, მათრახს ატკაცუნებს და ამბობს.^[P]_{SEP}]

- იცით თუ არა, რამდენი თქვენნაირი იყო უკვე აქ? ათასი! [P]
[SEP]

გვიკვირს, რადგან ჩვენ ხომ პირველ მატარებელს ჩამოგყვით. სხვა გადამცვლელები ალბათ უკვე იყვნენ აქ გუშინ საღამოს და ღამე ფარდულებში ან ღია ცის ქვეშ გაატარეს. [P]
[SEP]

- იცით, დღეში რამდენი თქვენნაირი მოდის აქ? - გვეკითხება გლეხი, - ასამდე მაინც, რა უნდა ქნა კაცმა? [P]
[SEP]

ეს ჩვენც ვნახეთ. მისი მზერა ალბერტის უნიფორმაზე ჩერდება. [P]
[SEP]

- ფლანდრია? - გვეკითხება. [P]
[SEP]

- ფლანდრია, - პასუხობს ალბერტი. [P]
[SEP]

- მეც ფლანდრიაში ვომობდი, - ამბობს. მიდის და ჩვენთვის ორი კვერცხი მოაქვს. ჩვენ საფულეებში ვიქეჩებით, ხელს იქნევს, - არ არის საჭირო. ისედაც წავა... [P]
[SEP]

- მაშ, გამადლობთ, მეგობარო. [P]
[SEP]

- არაფრის. არავის მოუყვით, თორემ ხვალ ნახევარი გერმანია მომანყდება. [P]
[SEP]

შემდეგი სახლის მოაჯირზე აბრაა გამოკრული: „პროდუქტების გადაცვლა აკრძალულია. ეზოში ავი ძაღლია“. ეს პრაქტიკულია. [P]
[SEP]

ჩვენ გზას ვაგრძელებთ. მუხების ტევრი და დიდი ეზო. სამზარეულომდე მივალნიეთ. სამზარეულოს შუაში ახალთახალი ღუმელი დგას, სასტუმროსაც რომ დაამშვენებდა, ისეთი. მარჯვნივ - პიანინო, მარცხნივ - პიანინო. ღუმლის პირდაპირ წიგნებით სავსე მშვენიერი კარადაა, დანნული ორნამენტებით, ასევე ძველებური მაგიდა და პატარა პუფი, ფეხის დასადგმელად. ყველაფერი ეს

სასაცილოდ გამოიყურება, განსაკუთრებით - ორი პიანინო.<sup>[P]
[SEP]</sup>

მეორე ოთახიდან გლახის ქალი გამოდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნამდვილი შალის ძაფი თუ გაქვთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

ერთმანეთს გადავხედეთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ძაფი? არა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ან აბრეშუმი? აბრეშუმის წინდები?<sup>[P]
[SEP]</sup>

ქალის ძლიერ ბარძაყებს ვათვალიერებ. თანდათან აზრზე მოვდივართ: მას გაცვლა უნდა და არა გაყიდვა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, აბრეშუმი არ გვაქვს, - ვამბობ, - მაგრამ კარგად გადაგიხდით.<sup>[P]
[SEP]</sup>

ის გვეწინააღმდეგება:<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ფული, რა ფასი აქვს ამ დროში მას? ყოველდღიურად უფასურდება, - და ოთახიდან მიფართხუნებს. მის ღია წითელ პერანგს უკან ორი დილი აკლია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- წყალს არ დაგვალეფინებთ? - ეძახის ალბერტი. უკმაყოფილო სახით ბრუნდება უკან და წყლით სავსე ტოლჩას გვიდგამს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გეყოთ, მორჩით, თქვენი დრო არ მაქვს, - ბუზღუნებს, - ჭობს თქვენც იმუშაოთ, ვიდრე სხვა ადამიანებს დრო წაართვათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ალბერტი ჭიქას იღებს და იატაკზე ანარცხებს. სიბრაზისგან ლაპარაკს ვერ ახერხებს. სამაგიეროდ მე ვუყვირი:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნეტავ კიბო დაგემართებოდეს, შე ბებერო კუდიანო!<sup>[P]
[SEP]</sup>

პასუხად ზურგს გვაქცევს და გახურებულ სამჭედლოსავით ჟღარუნებს. ჩვენ გავრბივართ. ჩვენი ჩიტის გული ასეთ რამეებს ვერ

უძლებს.^[P]^[SEP]

გზას ვაგრძელებთ. გზაში გადამცვლელების მთელ გუნდს ვხვდებით. როგორც ფუტკარი თაფლს, ისე დასტრიალებენ თავს გლეხების კარმიდამოს. ახლალა ვხვდებით, რატომ არიან გლეხები ასეთი გაგიჟებულები და უხიაგები. მაგრამ მაინც ვაგრძელებთ გზას. თუ რამეს ვშოულობთ, სხვა გადამცვლელების ლანძღვას მაინც ვერ ვაღწევთ თავს, თუმცა არც ჩვენ ვრჩებით ვალში.^[P]^[SEP]

ნაშუადღევს ყველანი ერთ დუქანში ვიკრიბებით. ნადავლი არც ისე დიდია. ერთი-ორი ფუთი კარტოფილი, ცოტა ფქვილი, რამდენიმე კვერცხი, ვაშლები, ორიოდე თავი კომბოსტო და ხორცი. სულ ბოლოს ვილი მოდის, მთლად გაოფლილია. იდლიაში ღორის ნახევარი თავი ამოუჩრია, ჭიბეებიც გამოტენილი აქვს. სამაგიეროდ, ფარაჯა არ აცვია. გადაცვალა, რადგან ერთი, კარლის მიცემული, კიდევ აქვს სახლში, ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც ხომ გაზაფხულიც მოვა.^[P]^[SEP]

მატარებლის გასვლამდე კიდევ ორი საათი რჩება. ამ ორ საათში მიმართლებს. ლუდხანის დარბაზში პიანინო დგას, ხმამაღლა ვუკრავ „ქალწულის ლოცვას“. მუსიკის ხმაზე მიმტანი ქალი მოდის. ერთხანს უსმენს და შემდეგ მანიშნებს, რომ გარეთ გავყვე. მივყვები და შესასვლელში გავდივართ. იქ მეუბნება, რომ მუსიკა ძალიან უყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან იშვიათად უკრავენ, ხომ არ ინებებდით ხანდახან გვეწვიოთო, თან ნახევარ კილოგრამ კარაქს მინვდის და მიხსნის, რომ მომავალშიც შემიძლია ამის იმედი მქონდეს.მე, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, პირობას ვაძლევ, რომ ყოველ მოსვლაზე ორი

საათი დაუკრავ მათ დუქანში. შემდეგ თავგამოდებით ვუკრავ „განმარტოებულ ყორღანს“ და „სასახლეს რაინზე“^[P SEP]

შემდეგ სადგურზე მივდივართ. გზაში სხვა გადამცვლელებიც გვხვდებიან, იმავე მატარებლით რომ აპირებენ უკან დაბრუნებას. ყველა უფროსის ჟანდარმებს. ერთად ვგროვდებით და პლატფორმიდან ცოტა მოშორებით, ორპირ ქარში, სიბნელეში, კუთხეს ამოფარებულნი ვდგავართ, მატარებლის მოსვლამდე რომ არავინ შეგვნიშნოს. ასე უფრო უხიფათოა. მაგრამ არ გვიმართლებს. უცებ ორი ველოსიპედიანი ჟანდარმი ჩუმად გვეპარება უკნიდან.^[P SEP]

- სდექ, ყველანი ადგილზე!^[P SEP]

საშინელი მღელვარება. ხვენწა-მუდარა.^[P SEP]

- გაგვიშვით, რა, მატარებელზე გვაგვიანდება.^[P SEP]

- მატარებელი თხუთმეტ წუთში მოვა, - გვიხსნის მსუქანა. - ყველანი აქ მოდით!^[P SEP]

ჟანდარმი ლამპიონისკენ იშვერს ხელს, იქ უკეთესად ჩანს. ერთი თვალყურს ადევნებს, რომ არავინ გაიქცეს, სანამ მეორე ამოწმებს. გადამცვლელები ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები არიან; მათი უმეტესობა ჩუმად და მორჩილად დგას - ისინი მიჩვეულნი არიან ასეთ მოპყრობას და არ სჭერათ იმ ბედნიერების, რომ ნახევარ ფუთ კარაქს მიიტანენ სახლში. მე ჟანდარმებს ვათვალისწინებ: მწვანე უნიფორმებში გამონყობილნი, წითელი სახეებით, ხმლებით და პისტოლეტებით, ისეთივე ცხვირანეულნი და თავდაჭერებულნი ჩანან, როგორც ადრე, ფრონტზე. ძალაუფლება, ვფიქრობ, ისევ და ისევ

ძალაუფლება... რა ცოტა სჭირდება ადამიანს გასამხეცებლად.

ერთ ქალს რამდენიმე კვერცხი წაართვეს. უკვე სახლში აპირებდა წასვლას, რომ მსუქანა ეძახის:

- სდექ, რა გაქვთ აქ? - და ქვედაკაბაზე უთითებს, - ახლავე ამოიღე!

ქალი ქვავდება და იკუნტება.

- დაუჩქარე!

ქალს ქვედაბოლოდან ერთი ნაჭერი ქონი ამოაქვს. ჟანდარმი გვერდზე დებს.

- გეგონა, გაგივიდოდა, არა?

ქალი ჭერ კიდევ ვერ ხვდება, რას სთხოვენ და უნდა, თავისი ქონი უკან დაიბრუნოს.

- ამაში გადავიხადე, მთელი ფული ამაში წავიდა!

ჟანდარმს კი ამ დროს სხვა ქალის უბიდან ძეხვი ამოაქვს.

- გადაცვლა აკრძალულია, თქვენ თვითონ იცით ეს.

ქალი კვერცხებს შეეღია და სთხოვს, ქონი დაუბრუნოს.

- რას ვიტყვი სახლში, ხელცარიელი რომ მივალ? ბავშვები მელოდებიან.

- მიმართეთ პროდუქტთა ბიუროს დამატებითი ბარათებისთვის, - ბურტყუნებს ჟანდარმი, - ეს ჩვენ არ გვეხება, შემდეგი.

ქალი ბორძიკობს, ეცემა და ყვირის:

- ამისთვის დაილუპა ჩემი ქმარი ფრონტზე, რომ ბავშვები შიმშილით დამეხოცონ?

ჭერი პატარა გოგონაზე მიდგა. ის კარაქს პირში იტენის, ჭამს, და რაც შეჭამა, ისევ უკან ამოაქვს. პირი ცხიმით მოსვრია, თვალებს ბრაზიანად აკვესებს, ალებინებს და ისევ ყლაპავს, ჰგონია, ასე ცოტა რამ მაინც დარჩება, სანამ წაართმევენ. სინამდვილეში, ცოტა რამ რჩება - შემდეგ ცუდად ხდება, კუჭიც ეშლება.^{[P][SEP]}

- შემდეგი!^{[P][SEP]}

არავინ ინძრევა. ჟანდარმი იმეორებს:^{[P][SEP]}

- შემდეგი! - ვილის თვალეებში უყურებს და ეკითხება: - თქვენ ხართ შემდეგი?^{[P][SEP]}

- მე არც მერამდენე არა ვარ! - პასუხობს ვილი აგდებულად.^{[P][SEP]}

- რა გაქვთ პაკეტში?^{[P][SEP]}

- ნახევარი ღორის თავი. - პასუხობს ვილი გულახდილად.^{[P][SEP]}

- უნდა ჩაგვაბაროთ.^{[P][SEP]}

ვილი არ ინძრევა. ჟანდარმი ყოყმანობს და თავის კოლეგას გადახედავს, რომელიც უცებ გვერდით ამოიშართა. ეს მძიმე შეცდომაა. ჩანს, რომ ორივე მათგანი ამგვარ რამეებში ნაკლებად გამოცდილია და წინააღმდეგობას დაჩვეულნი არ არიან; მეორე კარგა ხანია უნდა მიმხვდარიყო: მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ველაპარაკებთ, ერთად ვართ. ამიტომ გვერდზე უნდა დარჩენილიყო, თავისი იარაღით რომ დავემორჩილებინეთ. მაგრამ ესეც ვერ შეგვაშინებს - რა არის ჩვენთვის რევოლვერი! ამის ნაცვლად ის თავის კოლეგას მხარს უმაგრებს, იმ შემთხვევისთვის, თუ ვილი გაჭიუტდება, და შედეგად არ აყოვნებს. ვილი ღორის თავს აძლევს. გაკვირვებული

ჟანდარმი ღორის თავს ართმევს და ერთ ნუთში დაუცველი ხდება, ხელები ღორის თავით აქვს დაკავებული. ვილი დროს არ კარგავს და აუღელვებლად, მთელი ძალით ურტყამს სიფათში, ჟანდარმი ძირს ეცემა. სანამ მეორე განძრევას მოასწრებს, კობოლე თავს ურტყამს ნიკაპში, ვალენტინი უკნიდან ახტება და ისე უჭერს ჩიყვში, რომ ჟანდარმი პირს აფჩენს, კობოლე კი სწრაფად უტენის შიგ გაბეთს. ორივე ჟანდარმი ხრიალებს, ნერწყვს ყლაპავს და იფურთხება, მაგრამ უშედეგოდ - პირი ქალადით აქვთ სავსე. ხელები ბურგს უკან გადაუგრიხეს და საკუთარი ქამრით მაგრად შეუკრეს. ეს წამში მოხდა, მაგრამ, რა ვუყოთ ახლა ამათ?^[P SEP]

ალბერტმა იცის, რა უნდა გააკეთოს; ორმოცდაათი ნაბიჯის იქით პატარა შენობას პოულობს, რომლის კარზეც გულია ამოკვეთილი, ეს ტუალეტია.^[P SEP]

იქით მივრბივართ. ორივეს შიგ ვამწყვდევთ. კარი მუხისაა, საკეტები - ფართო და მაგარი; კარგი ერთი საათი გავა, სანამ გარეთ გამოსვლას შეძლებენ. კობოლე ძალიან წესიერია. ველოსიპედებსაც კი უდგამს კარის წინ.^[P SEP]

სხვა გადამცვლელები დამფრთხალნი შესცქერიან ამ სცენას.^[P SEP]

- აკრიფეთ თქვენი ნივთები, - უღრენს ფერდინანდი.^[P SEP]

შორიდან ისმის მატარებლის კივილი. შეშინებულნი შემოგვცქერიან და მეორეჯერ თქმა არ სჭირდებათ. ერთი მოხუცი ქალი კი ქოქოლას გვაყრის.^[P SEP]

- ო, ღმერთო, ჟანდარმებს სცემეთ! რა უბედურებაა... რა

უბედურება!..^[P]^[SEP]

ეს სასიკვდილო დანაშაულად მიაჩნია. სხვებიც ოდნავ შეცბუნებულნი არიან. უნიფორმებისა და პოლიციის შიში ძვალ-რბილში აქვთ გამჭდარი.^[P]^[SEP]

ვილი ულრენს:^[P]^[SEP]

- ნუ ყმუი, დედილო, მთელი განყოფილება რომ მოსულიყო, მაშინაც არ დავიხევდით უკან! ბებერი ჯარისკაცებისთვის საჭმლის ნართმევას აპირებდა, ესლა გვაკლდა!^[P]^[SEP]

ჩვენს ბედად, სოფლის სადგური სახლებიდან შორს მდებარეობს, არავის არაფერი შეუმჩნევია. სადგურის უფროსი თავისი ოთახიდან გამოდის, ამთქნარებს და თავს იფხანს. ჩვენ შპრეესკენ მივდივართ. ვილის ღორის თავი ილღიაში აქვს ამოჩრილი.^[P]^[SEP]

- შენ როგორ გაგიმეტებდი! - ჩურჩულებს და სიყვარულით ხელს უსვამს.^[P]^[SEP]

მატარებელი ადგილიდან იძვრის. ჩვენ ფანჯრიდან ხელს ვიქნევთ. სადგურის მოხელეს ჰგონია, რომ მას ვესალმებით, ჩვენ კი ტუალეტს ვემშვიდობებით. ვილი ფანჯრიდან იხრება და სადგურის უფროსის ნითელ ქუდს ათვალიერებს.^[P]^[SEP]

- ისევ თავის ჯიხურში ბრუნდება, - გვამცნობს გახარებული, - ჟანდარმები კიდევ კარგა ხანს ვერ შეძლებენ მუშაობას.^[P]^[SEP]

გადამცველების სახიდან დაძაბულობა ქრება, მათ მეტყველების უნარი უბრუნდებათ. ქალი, თავისი ქონი რომ დაიბრუნა, მადლიერებისგან თვალეებზე ცრემლმორეული იღიმება. მხოლოდ ის

გოგონა, კარაქი რომ შეჭამა, სანყალობლად ბღავის. ძალიან იჩქარა, თანაც უკვე ცუდად გრძნობს თავს. მაშინ კობოლე დგება და მას თავისი ძეხვის ნახევარს აძლევს, გოგონა წინდაში მალავს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ჩვენ ქალაქამდე ერთი სადგურით ადრე ჩავდივართ და მიმდვრების გავლით, ქუჩებისკენ მივემართებით. გზის ბოლო მონაკვეთი გვინდა ფეხით გავიაროთ, მაგრამ გზაზე სატვირთო მანქანა გვხდება ბიდონებით. მძლოლს ფარაჯა აცვია. თან მივყავართ. ასე მივქრევართ შეღამებისას. ვარსკვლავები ციმციმებენ. ერთმანეთს ვეხუტებით და ჩვენი ბოლჩებიდან ღორის ხორცის სასიამოვნო სუნი იფრქვევა.<sup>[P]
[SEP]</sup>

2.^{[P] [SEP]}

უბარმაზარი ქალაქი მოვერცხლისფრო ნესტიან ნისლში გახვეულა. ლამპიონებს დიდი, ყვითელი შუქის ნიშბები დასთამაშებს. ადამიანები თითქოს ბამბაზე დადიან. ქუჩის ორივე მხარეს ვიტრინები ისე ბრწყინავს, კაცს ჯადოსნური ცეცხლი ეგონება. ვოლფი ამოყვინთავს და ისევ სადღაც ქრება. ლამპიონების გვერდით შავად ბრწყინავს ხეები.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვალენტინ ლაერია ჩემთან. ის ბედს არ უჩივის, მაგრამ ვერ ივინყებს თავის გამოსვლებს პარიზსა და ბუდაპეშტში.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს დასასრულია, ერნსტ, - ამბობს, - ძვლებში მტეხავს და რევმატიზმიც მანუხებს. რამდენი ვეცადე, არაფერი გამოვიდა, აზრი

არა აქვს თავიდან დანებება.^{[P]_{SEP}}

- რის გაკეთებას აპირებ, ვალენტინ? - ვეკითხები, - სადაც სამართალია, სახელმწიფომ პენსია უნდა დაგინიშნოს, გადამდგარ ოფიცრებს ხომ უნიშნავენ.^{[P]_{SEP}}

- აჰ, სახელმწიფო, სახელმწიფო, - აგდებულად ამბობს ვალენტინი, - ის მხოლოდ იმათ ეხმარება, ვინც ბევრს ყვირის. ახლა ერთ მოცეკვავე ქალთან ერთად რამდენიმე ნომერს ვამუშავებ, ხალხის გემოვნებაზე გათვლილს. უმნიშვნელო სანახაობა იქნება, სერიოზულ არტისტს უნდა რცხვენოდეს ასეთი რამის კეთება. მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ხომ გინდა.^{[P]_{SEP}}

ვალენტინი რეპეტიციაზე აპირებდა წასვლას და მეც გადავწყვიტე წავყოლოდი. ჰამკენშტრასეს კუთხეში, თითქოს ნისლში მიცურავსო, შავი ცილინდრი და ბაიასავით ყვითელი რეზინის ლაბადა და პორტფელი შევამჩნიეთ.^{[P]_{SEP}}

- არტურ! - დავუძახე.^{[P]_{SEP}}

ლედერჰოზე ჩერდება.^{[P]_{SEP}}

- ჭანდაბა, - ამბობს ვალენტინი, - როგორ გამოპრანჭულხარ.^{[P]_{SEP}}

საქმის ცოდნით სინჯავს არტურის იისფერი ორნამენტებით მორთულ ხელოვნური აბრეშუმის ჰალსტუხს.^{[P]_{SEP}}

- გეყოფათ, გეყოფათ, - ამბობს წასიამოვნები ლედერჰოზე.^{[P]_{SEP}}

- რა ლამაზი ბერეტია, - კვლავ იკვირვებს ვალენტინი და ცილინდრს ათვალიერებს.^{[P]_{SEP}}

ლედერჰოზე წასვლას აპირებს, თავის პორტფელზე გვანიშნებს.^{[P]_{SEP}}

- ბევრი საქმე მაქვს, ბევრი...^[P]^[SEP]
- სიგარეტებით აღარ ვაჭრობ? - ვეკითხები.^[P]^[SEP]
- როგორ არა, - მძასუხობს, - მაგრამ ახლა საბითუმო ვაჭრობა დავინყე. რაიმე ფართი ხომ არ იცით ბიუროსთვის? რასაც დამიფასებენ, გადავიხდი.^[P]^[SEP]
- ბიუროს ფართებზე წარმოდგენაც არ გვაქვს, - ამბობს ვალენტინი,
- მანამდე ბევრი გვაკლია. შენი ცოლი როგორაა?^[P]^[SEP]
- რატომ მეკითხები?^[P]^[SEP]
- იქ, ფრონტზე, ძალიან ნუხდი, ჩემი ცოლი გამხდარია, მე კი პუტკუნა ქალები მიყვარსო.^[P]^[SEP]
- არტური თავს იქნევს.^[P]^[SEP]
- შეგეძლო, არ გაგეხსენებინა, - და თითქმის სირბილით გვმორდება.^[P]^[SEP]
- ვალენტინი იცინის.^[P]^[SEP]
- როგორ იცვლებიან ადამიანები, არა, ერნსტ? სანგარში ერთი საწყალი ჭიყვლა იყო, ახლა კი წარმატებული საქმოსანია. ტიპი ფრონტზე რა უხამსობებს არ კადრულობდა! ახლა კი ყველაფერი დაავინყდა.^[P]^[SEP]
- მაგრამ, მგონი, საქმეები კარგად მიუდის, - ვამბობ დაფიქრებით.^[P]^[SEP]
- ხეტიალს ვაგრძელებთ. ნისლი ცურავს. ვოლფი ნისლს ეთამაშება, სახეები ჩნდებიან და ქრებიან. უცებ სინათლის თეთრ შუქზე ლაკის ნითელ ქუდს ვხედავ, ქვემოთ კი სახეს, რომელსაც ნისლი ნაზად შემოხვევია და ამის გამო თვალები კიდევ უფრო უბრწყინავს.^[P]^[SEP]

ვჩერდები. გული ბაგაბუგს მიწყებს. ეს ადელეა. უცებ ამომიტივტივდა მოგონებები წარსულ სალამოებზე, სადაც, თექვსმეტი წლისბიჭები სიბნელეში, სავარჯიშო დარბაზის კარს მიღმა ვიმალებოდით, თეთრსვიტრებიან გოგონებს ველოდებოდით, რომ დავდევნებოდით, დაგვეჭირა, შემოვხვეოდით და ლამპიონის ქვეშ ასე ვმდგარიყავით, მდუმარედ, მიშტერებულნი, სანამ გაგვექცეოდნენ. შემდეგ ნადირობა თავიდან იწყებოდა. ნაშუადღევს, თუ საღამე შევამჩნევდით, უკან მივყვებოდით, ვერ გადაგვეწყვიტა, დავლაპარაკებოდით თუ არა, და მხოლოდ მაშინ, როცა სახლში შესვლას დააპირებდნენ, გამბედაობას ვიკრებდით, ნახვამდის-თქო, ვუყვიროდით და იქიდან გავრბოდით.^{[P]_{SEP}}

ვალენტინი გარშემო იყურება.^{[P]_{SEP}}

- უკან უნდა დავბრუნდე, - ვამბობ სწრაფად, - ვილაც უნდა ვნახო, მალე მოვალ.^{[P]_{SEP}}

უკან გავრბივარ წითელი ბერეტის საპოვნელად, წითელი ქუდისა და ახალგაზრდობის დღეების საძებნელად; იმ დღეების, სანამ უნიფორმებს ჩავიცვამდით და სანგრებში ჩავწვებოდით.^{[P]_{SEP}}

- ადელე!^{[P]_{SEP}}

შემომხედა.^{[P]_{SEP}}

- ერნსტ!.. დაბრუნდი?^{[P]_{SEP}}

გვერდიგვერდ მივდივართ. ნისლი ჩამდგარა ჩვენ შორის. ვოლფი ჩვენ გარშემო დახტის და ყფვს, ტრამვაი რეკავს, სამყარო თბილი და ნაზია. სავსე, მთრთოლარე, მოლივლივე გრძნობა მიბრუნდება...

წლები იმლება, წარსულთან რკალი იკვრება - ეს ცისარტყელაა, ნათელი ხიდი ნისლში.^[SEP]

არ ვიცი რაზე ვსაუბრობთ, ამას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ ერთმანეთის გვერდით მივდივართ და კვლავ ჟღერს ის ნაბი, გარდასული მუსიკა, ოცნებისა და წინათგრძნობის შადრევანი იღვრება, რომლის მიღმაც მინდვრების აბრეშუმისებრი სიმწვანე ლივლივებს, ალვის ხეთა ვერცხლისფერი შრიალი ისმის და სიყმანვილის რბილი ჰორიზონტი მოჩანს.^[SEP]

დიდხანს ვიარეთ? არ ვიცი. მარტო ვბრუნდები. ადელე დამემშვიდობა, სიხარული და იმედი ფერადი დროშეებით ფრიალებს ჩემს სულში. ისევ დამიბრუნდა პატარა ბიჭის ოთახი, მწვანე კომპკები და უკიდევანო სივრცე.^[SEP]

სახლში რომ ვბრუნდებოდი, ვილის შევხვდი და ვალენტინის საძებნელად გზა ერთად გავაგრძელეთ. ვხედავთ, რომ გახარებული ვალენტინი ვიღაც უცხო კაცს მისტრია და ძლიერად ურტყამს მხარზე ხელს.^[SEP]

- კაცო, კუკჰოფ, შე ბებერო, აქ რა გინდა? - ხელით მისი ხელი ჩაუბლუჭავს, - რა დამთხვევაა, არა? აი, რა პატარაა სამყარო!^[SEP]

უცხო ცოტა ხანს დაკვირვებით შესცქერის.^[SEP]

- აჰ, ლაერი, არა?^[SEP]

- რა თქმა უნდა, კაცო, შენ არ იყავი ჩემთან ერთად ზომეში?! გახსოვს, როგორ ვჭამდით იმ ჭუჭყში ბლინებს, ლილიმ რომ გამომიგზავნა? გეორგმა მოიტანა ფოსტასთან ერთად. მაშინ ეს

მისთვის საშინლად სარისკო საქმე იყო, არა?^{[P]_{SEP}}

- ცხადია, - პასუხობს კუკჭოფი.^{[P]_{SEP}}

ვალენტინი მოგონებებისგან ძალზე აღელვებულია.^{[P]_{SEP}}

- გეორგი მაინც კარგა მაგრად დაშავდა, - აგრძელებს, - შენ უკვე აღარ იყავი იქ. მარჯვენა ხელიც დაკარგა. ეს კი მეეტლისთვის არც ისე ადვილია. ალბათ რაზე სხვა საქმეს მოჰკიდებს ხელს. შენ რას აკეთებ ომის შემდეგ?^{[P]_{SEP}}

რადაცას გაურკვეველად პასუხობს, შემდეგ ამბობს:^{[P]_{SEP}}

- ძალიან სასიამოვნოა, რომ შევხვდით. თქვენ როგორ ხართ, ლაერ?^{[P]_{SEP}}

- რა?.. - ამბობს გაოცებული ვალენტინი.^{[P]_{SEP}}

- თქვენ როგორ ბრძანდებით? რას აკეთებთ?^{[P]_{SEP}}

- თქვენ?.. - ვალენტინი სულს ძლივს ითქვამს. ერთი ნუთით მიშტერებია ელევანტურ კოვერკოტის პალტოში გამონყობილს, შემდეგ თავის თავს დახედავს, წითლდება და მიახლის: - მაიმუნო!^{[P]_{SEP}}

ვალენტინის გამო გუნება დამიმძიმდა. ალბათ პირველად შეეჯახა უთანასწორობას. აქამდე ყველანი ჯარისკაცები ვიყავით, ახლა კი ამ თავდაჯერებულმა ბიჭმა, ერთადერთი სიტყვით, „თქვენ“, ვალენტინს თავისი ადგილი მიუჩინა.^{[P]_{SEP}}

- შეეშვი, ვალენტინ, - ვამბობ, - ესენი მხოლოდ თავიანთი მამების ფულით ამაყობენ.^{[P]_{SEP}}

ვილი რამდენიმე მაგარ სიტყვასაც ამატებს.^{[P]_{SEP}}

- გამომივიდა ფრონტელი ამხანაგი, - ამბობს გულდანყვებილი

ვალენტინი, მაგრამ ამით გულს ვერ იფხანს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ბედად ტიადენი გვხვდება. მტვრის ტილოსავით ტალახისფერი ადევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მისმინე, - ეუბნება ვილი, - ომი დამთავრდა, ახლა მაინც შეგიძლია პირი დაიბანო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დღეს არა, - უხსნის ტიადენი სერიოზულად, - შაბათს, შაბათს ტანსაც დავიბან.<sup>[P]
[SEP]</sup>

უკან დავიხიეთ. ტიადენი და დაბანა? ნუთუ აგვისტოში მიღებული კონტუზიიდან ჯერ არ გამოსულა? ვილის ხელი ყურთან მიაქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მგონი, კარგად ვერ გავიგე, რა უნდა გააკეთო შაბათს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვიბანაო, - ამბობს ტიადენი ამაყად, - შაბათ საღამოს ნიშნობა მაქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი ისე შესცქერის, თითქოს უცხო ფრინველი იყოს. შემდეგ თავის ტორს ადებს მხარზე და მამობრივი მზრუნველობით ეკითხება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მითხარი, ტიადენ, თავი ხომ არაფრისთვის მიგირტყამს? ყურებში რამე ხომ არ გიბზუის?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მხოლოდ მაშინ, როცა საშინლად მშია, - აღიარებს ტიადენი, - ამას გარდა, კუჭიც საშინლად მენწის. საზიზღარი შეგრძნებაა. მოდი, ისევ ჩემს დანიშნულზე ვილაპარაკოთ: ლამაზი არაა, და თან ელამია; მაგრამ კარგი ხასიათისაა და ამასთანავე, მამა ყასაბი ჰყავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ყასაბი. ყველაფერი ნათელია. ტიადენი შემდეგ ცნობებს გვანჯდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჩემზე გიჟდება; დღეს კი ხელიდან არაფერი უნდა გაუშვა. ცუდი

დროა და რაღაც დათმობაზეც გინევს ნასვლა. ყასაბი კი თავს არ დაიმშვეს და, ბოლოს და ბოლოს, ნიშნობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქორნილს.^{[P][SEP]}

ვილი სულ უფრო მეტი ინტერესითუგდება ყურს.^{[P][SEP]}

- ტიადენ, - ლაპარაკს იწყებს, - იცი, ჩვენ მუდამ მეგობრები ვიყავით...^{[P][SEP]}

- აბა, რა, ვილი, - აწყვეტინებს ტიადენი, - რამდენიმე ძეხვი და მკერდის ნაჭერი შენც შეგხვდება. მოდი ორშაბათს. მაშინ უკვე თეთრი დღეები დაგვეწყება.^{[P][SEP]}

- ეს როგორ? - ვეკითხები გაკვირვებული, - სამრეცხაოც გაქვთ?^{[P][SEP]}

- არა, ვერ გამიგე, თეთრ ფაშატს ვკლავთ.^{[P][SEP]}

ჩვენ ვპირდებით, რომ მივალთ და ხეტიალს ვაგრძელებთ.^{[P][SEP]}

ვალენტინი სასტუმრო „ძველი ქალაქის სახლის“ ებოში უხვევს. ამ სასტუმროში, ჩვეულებრივ, ჩამოსული მსახიობები ჩერდებიან. შევდივართ. ლილიპუტების ჯგუფი მაგიდას სავახშმოდ მისჯდომია. მაგიდაზე ჭარხლის წვნიანი დგას, თითოეულს ერთი ნაჭერი პური უდევს თეფშთან.^{[P][SEP]}

- იმედია, ეყოფათ თავიანთი ულუფა, მათ ხომ პატარა კუჭები აქვთ, - ბურტყუნებს ვილი.^{[P][SEP]}

კედლებზე ფოტოები და პლაკატები კიდია. ნახევრად დახეული, ჭრელი ნაგლეჯები, ათლეტების, კლოუნებისა და ლომების მომთვინიერებლების სურათები. სიძველისგან ქალაქი გაყვითლებულა, - წლების მანძილზე სანგრები უცვლიდა ათლეტებს,

ლომების მომთვიანიერებლებსა და კლოუნებს არენას; იქ კი აფიშა საჭირო არ იყო.^{[P]_{SEP}}

ვალენტინი ერთ აფიშაზე მანიშნებს:^{[P]_{SEP}}

- ეს მე ვარ.^{[P]_{SEP}}

აფიშაზე შერკულესის აღნაგობის კაცი სალტოს აკეთებს ტრაპეციაზე, რომელიც მალლა, გუმბათის ქვეშ არის დამაგრებული. როგორ არ ვცდილობ, მაგრამ ვალენტინს ვერ ვცნობ.^{[P]_{SEP}}

მოცეკვავე გოგონა, ვისთანაც ვალენტინი მუშაობის დანყებას აპირებს, უკვე ელოდება. ჩვენ რესტორნის პატარა დარბაზში შევდივართ. კუთხეში რამდენიმე თეატრალური დეკორაცია დგას ჯარისკაცური ცხოვრების ამსახველი იუმორისტული ფარსიდან: „გაფრინდი, ჩემო მტრედო“. სტროფები ამ ფარსიდან მთელი ორი წელი ძალიან პოპულარული იყო.^{[P]_{SEP}}

ვალენტინი გრამოფონს სკამზე დგამს და ფირფიტები მოაქვს. ხრინნიანი მელოდია იფრქვევა, გაცვეთილი, მაგრამ შემორჩენილი ცეცხლით, როგორც ხრინნიანი ხმა მოხუცი ქალისა, ოდესღაც ახალგაზრდა და ლამაზი რომ იყო.^{[P]_{SEP}}

- ტანგო, - მიჩურჩულებს ვილი იმ პროფესიონალის გამომეტყველებით, რომელიც არ ამხელს, რომ ახლახან ნაიკითხა ფირფიტის დასახელება.^{[P]_{SEP}}

ვალენტინს ლურჯი შარვალი და პერანგი აცვია, ქალს - ტრიკო. ისინი აპაშების ცეკვაზე და რაღაც ექსცენტრიკულ ნომერზე მუშაობენ, რომლის ბოლოსაც გოგონა ფეხებით ეკიდება ვალენტინის ზურგზე, ის

კი მთელი ძალით ატრიალებს.^[59]

ორივენი მდუმარედ ვარჯიშობენ, სერიოზული სახით, მხოლოდ ხანდახან თუ იტყვიან ერთ-ორ სიტყვას ჩუმად. ლამპაში გაცრეცილი შუქი ლაპლაპებს. ჩუმად შიშინებს გაზი. მოცეკვავეების გაზრდილი ჩრდილები „მტრედის“ დეკორაციაზე ფარფატებენ. ვილი დათვივით დააბოტებს გრამოფონის გარშემო, ცდილობს ხმას აუწიოს. ვალენტინი ჩერდება. ვილი ტაშს უკრავს. ვალენტინი უკმაყოფილოდ იქნევს ხელს. გოგონა ტანსაცმელს იცვლის, ისე, რომ ყურადღებასაც არ გვაქცევს. გაზის ლამპის ქვეშ ნელა იხსნის საცეკვაო ფეხსაცმლის თასმებს. გრაციოზულად დახრილა მისი სხეული. შემდეგ იმართება და ხელებს მალლა სწევს, კაბა რომ ჩამოიცვას. სინათლე და ჩრდილი დასთამაშებს ბეჭებზე. ლამაზი, გრძელი ფეხები აქვს.^[60]

ვილი დარბაზში დაბორიალებს. „მტრედის“ ტექსტს პოულობს. ტექსტის ბოლოს განცხადებებია დაბეჭდილი, ერთ-ერთის თანახმად, რომელიღაც კონდიტერი სანგრებში გასაგზავნად ორიგინალურად შეფუთულ შოკოლადის ბომბებსა და ჭურვებს გვთავაზობს; რომელიღაც საქსონური ფირმა კი რეკლამას უკეთებს საბრძოლო ჭურვის ნამსხვრევებისგან გაკეთებულ კონვერტების საჭრელ დანებს, ტუალეტის ქაღალდს, რომელზეც გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამები წერია ომის შესახებ და ღია ბარათების ორ სერიას: „ჭარისკაცის გამოთხოვება“ და „შუალამის ნყვდიადში ვდგავარ“.^[61]

მოცეკვავე ქალმა ჩაიცვა. პალტოსა და ქუდში სულ სხვანაირად გამოიყურება. ნელან რომელიღაც გრაციოზულ ცხოველს ჰგავდა,

ახლა კი სხვებს დამსგავსებია. ძნელია დაიჯერო, რომ ჭინჭებში გამონყობა საკმარისია ადამიანის ასე შესაცვლელად - უბრალო კაბამ როგორ შეცვალა ეს ქალი; ჯარისკაცის მამარა რაღას იზამდა! [P]_[SEP]

3. [P]_[SEP]

ვილი ყოველ საღამოს ვალდმანის რესტორანში დადის. ეს გარეუბნის რესტორანია ბალით, სადაც საღამოს ცეკვები იმართება. მეც დავდივარ იქ, რადგან კარლ ბრიოგერმა მითხრა, რომ ხანდახან ადელეც სტუმრობს ამ რესტორანს. ადელესთან შეხვედრა კი ძალიან მინდა. [P]_[SEP]

რესტორნის დარბაზის ყველა ფანჯარა განათებულია, დაშვებული ფარდებიდან მოცეკვავეების ჩრდილები მოჩანს. მე დახლთან ვდგავარ და თვალებით ვილის ვეძებ. [P]_[SEP]

ყველა მაგიდა დაკავებულია, არც ერთი სკამი არ არის თავისუფალი. ომის შემდგომ პირველ თვეებში დიდი მოთხოვნილებაა გართობაზე. [P]_[SEP]

უცებ ვიღაცის თეთრად მოელვარე მუცელს და დიდებულად მოფრიალე მერცხლის კუდს ვამჩნევ: ეს ვილია, ფრაკში გამონყობილი. აღტაცებული, თვალმოუპორებლად მივშტერებივარ. სერთუკი შავია, ჟილეტი - თეთრი, თმა - წითელი - გერმანიის ცოცხალი დროშაა. [P]_[SEP]

ვილი ჩემს აღფრთოვანებას მონყალედ იღებს. [P]_[SEP]

- ჰო, გაკვირვებული ხარ, არა? - ამბობს და ფარშავანგივით იფხორება, - ეს კოსტიუმი კაიზერ ვილჰელმის პატივსაცემად შევიკერე, მოგწონს? აი, რის გაკეთება შეიძლება ფარაჯისგან, როგორია! [P] [SEP]

მხარზე ხელს მირტყამს. [P] [SEP]

- რა კარგია, აქ რომ ხარ, დღეს ცეკვის ტურნირია, ყველა ვმონაწილეობთ, მაგარი პრიზებია! ნახევარ საათში დაიწყება! [P] [SEP]

სავარჯიშოდ ჯერ დრო გვაქვს. ვილის მენყვილე მოკრივეს ჰგავს. საკმაოდ მოსული არსებაა, კარგი საფორნეცხენივით ძლიერი. ვილი მასთან ერთად უანსტეჰზე ვარჯიშობს, ამ ცეკვაში მთავარი სისწრაფეა. კარლი კი გამყიდველ გოგონასთან ცეკვავს, რომელიც ეტლის ცხენივით ჯაჭვებითა და ბეჭდებით არის მორთული. კარლი წარმატებით ათავსებს ბიზნესს და სიამოვნებას. რაც შეეხება ალბერტს, - ალბერტი ჩვენს მაგიდასთან არ არის, ის იქით, ვილაც ქერა გოგოსთან ბის. [P] [SEP]

- მიგვატოვა, - წინასწარმეტყველურად ამბობს ვილი. [P] [SEP]

მე კი გარემოს ვათვალიერებ, რომ კარგი მოცეკვავე გოგონა გამოვიჭირო. ეს ადვილი არ არის, რადგან ზოგიერთი გოგონა მაგიდასთან შველივით ნატიფი ჩანს, სპილოსავით კი ცეკვავს. გარდა ამისა, მსუბუქად მოცეკვავე გოგონებზე დიდი მოთხოვნაა. ბოლოს მაინც ვახერხებ პატარა მკერავის დათანხმებას. [P] [SEP]

ტუშის ხმა ისმის. ვილაც გამოდის წინ, ღილაკილოში ქრიზანთემა აქვს გარჯობილი, და აცხადებს, რომ ბერლინელი მოცეკვავე ნყვილი ახალ ცეკვას წარმოგვიდგენს - ფოქსტროტს. ჩვენ ეს ცეკვა ჯერ არ

ვიცით, მხოლოდ გვსმენია მის შესახებ.^{[P]_{SEP}}

დავინტერესდით და ვუცდით, რა მოხდება. რიტმული მუსიკა დაიწყო. ორივე მოცეკვავე ბატკნებივით დახტის ერთმანეთის გარშემო; დროდადრო შორდებიან, ისევ ეკვრიან ერთმანეთს, და კოჭლობით წრეში ტრიალებენ. ვილი დგება, თვალები უფართოვდება. ეს ცეკვა თითქოს მისთვისაა შექმნილი.^{[P]_{SEP}}

გამოაქვთ მაგიდა, რომელზეც პრიზები აწყვია. იქით მივფურებით. სამი პრიზია: უანსტეპის, ბოსტონისა და ფოქსტროტისთვის. ფოქსტროტი გამოირიცხა ჩვენთვის, რადგან მისი ცეკვა არ ვიცით; მაგრამ ორ დანარჩენ ცეკვაში წინ ვერავინ დაგვიდგება.^{[P]_{SEP}}

პირველი პრიზია თოლიის ათი კვერცხი ან ერთი ბოთლი შნაპსი. ვილი არკვევს, შეიძლება თუ არა თოლიის კვერცხების ჭამა და დამშვიდებული ბრუნდება უკან. მეორე პრიზი - თოლიის ექვსი კვერცხი ან სუფთა შალის ქუდი; მესამე - თოლიის ოთხი კვერცხი ან ორი კოლოფი სიგარეტი „დოიჩლანდს ჰელდენრუმ“.^{[P]_{SEP}}

- ეს სიგარეტი საჩვენო არ არის, - ამბობს კარლი, რომელიც ასეთ რამეებში კარგად ერკვევა.^{[P]_{SEP}}

ტურნირი იწყება. ბოსტონისთვის კარლი და ალბერტი შევარჩიეთ, უანსტეპისთვის - ვილი და მე. ვილის იმედი არ გვაქვს. ის მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, თუ ჟიურის წევრებს იუმორის გრძნობა ექნებათ, მაგრამ ვის გაუგია, თუნდაც ცეკვისთვის პრიზების მიმნიჭებელ ჟიურის ეს დიდებული გრძნობა ჰქონდეს!^{[P]_{SEP}}

გადამწყვეტ ტურში, ბოსტონის საცეკვაოდ, კარლი და ალბერტი სამ

სხვა მოცეკვავე წყვილთან ერთად მოედანზე გამოდიან. კარლს უპირატესობა აქვს: სადღესასწაულო მუნდირის მაღალი საყელო, ლაკის ჩექმები და მისი მენწყვილის ჯაჭვები და ბეჭდები ისეთი გამოგნებელი ელეგანტურობის შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ბევრს შეშურდება. თავდაჭერითა და ცეკვის მანერით კარლი განუმეორებელია, თუმცა დახვეწილი მოძრაობით ალბერტი მას ტოლს არ უდებს. ჟიურის წევრები ისეთი სერიოზული სახით აკეთებენ ჩანიშვნებს, თითქოს ვალდმანის რესტორანში საშინელი სამსჯავროს წინ გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობდეს. კარლი იმარჯვებს და თოლიის ათ კვერცხს იღებს შნაპსის ნაცვლად. მან კარგად იცის შნაპსის ხარისხი: ის ხომ თვითონ შემოჰქონდა აქ. დიდსულოვნად გვჩუქნის თავის მონაპოვარს - სახლში უკეთესი რამეები აქვს. ალბერტი მეორე პრიზს იღებს, შეცბუნებული ჩვენკენ იყურება და თავისი ექვსი კვერცხი ქერათმიან გოგონასთან მიაქვს. ვილი მრავალმნიშვნელოვნად უსტვენს. უანსტეპს პატარა მკერავ გოგონასთან ერთად ცეკვავე და ბოლო ტურში გადავდივარ. ჩემდა გასაკვირად, ვილი არც განძრეულა და არც კი ჩაწერილა უანსტეპში. ბოლო ტურში საკუთარი, ორიგინალური ვარიანტით გავიბრწყინე, ჩამუხვლებითა და უკუსვლებით, რაც ადრე არ გამომიყენებია. ჩემი პარტნიორი ბუმბულივით მსუბუქია; ჩვენ მეორე პრიზი დავიმსახურეთ, რაც თანაბრად გავიყავით.^[P]_{SEP}]

ამაყად ვბრუნდები ჩვენს მაგიდასთან - მკერდს ცეკვის საიმპერიო კავშირის საპატიო ვერცხლის მედალი მიმშვენებს.^[P]_{SEP}]

- ეპ, ვილი, ბატისტვინავ, - ვეუბნები, - რას იტყვი, გეცადა მაინც. შეიძლება ბრინჯაოს მედალი მიგელო! [SEP]

- ჰო, მართლა, - მხარს მიბამს კარლი, - რატომ არ იცეკვე? [SEP]
ვილი დგება, სწორდება, ფრაკს ისწორებს, ზემოდან გვიყურებს და მხოლოდ ერთი სიტყვით გვპასუხობს: [SEP]

- იმიტომ! [SEP]
ქრიზანთემიანმა კაცმა ისევ გამოაცხადა კონკურსი ფოქსტროტში. ძალიან ცოტა წყვილი ჩაენერა. ვილი კი არ მიდის, ასე ვთქვათ, სადღესასწაულო ნაბიჯით მიემართება საცეკვაო მოედნისკენ. [SEP]

- მას ხომ წარმოდგენაც არა აქვს ამ ცეკვაზე, - ფხუკუნებს კარლი. [SEP]
დაძაბულნი ვიყურებით, რომ არაფერი გამოგვრჩეს. ლომების მომთვინიერებელი მოემართება ვილისკენ, ის ფართო ჟესტით უნვდის ხელს. მუსიკა იწყება. [SEP]

ნამში ვილი გაგიჟებულ აქლემად იქცევა. ჰაერში ხტის და ტრიალებს, კოჭლობს, ფეხებს იქნევს და თავის მენწყილეს აქეთ-იქით ატრიალებს. შემდეგ პატარა ნაბიჯებით მთელ დარბაზში ღორივით დაცუხცუხებს; ცირკის მომთვინიერებელი მის მარჯვენა მკლავზე კიდია, ამის გამო მარცხენა მხარე მთლიანად თავისუფალი აქვს და შეუძლია, რაც უნდა, ის აკეთოს, თანაც ისე, რომ თავის მენწყილეს არაფერი დაუშავოს. ერთ ადგილზე ტრიალებს, თითქოს კარუსელიაო და მისი ფრაკის ბოლოები ჰაერში ფრიალებს; შემდეგ წამს ვილი მთელ დარბაზში დაქრის, წინაკანაჭამ თხასავით გრაციოზულად ხტის, ფეხებს აბაკუნებს და ხურუშიანივით ბრუნავს. ცეკვას

შემაძრუნებელი პირუეტი ამთავრებს და თავის მენწყილეს მალლა ატრიალებს.^{[P][SEP]}

არავინ დაეგვებულა, რომ ფოქსტროტის უცნობი უგენიალურესი შემსრულებლები იხილეს. ვილი მიხვდა თავის შანსს და გამოიყენა კიდევ. ისე დამაჯერებლად გაიმარჯვა, რომ შემდეგ დიდხანს ბტობდნენ, ვისთვის მიეცათ დანარჩენი პრიზები და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიიღო ვილაცამ მეორე პრიზი. ვილის საზეიმოდ მოაქვს მოგებული შნაპსის ბოთლი. სიმართლე რომ ითქვას, გამარჯვება ტყუილუბრალოდ არ რგებია ნილად: ისე გაოფლიანდა, რომ პერანგი და ჟილეტი გაუშავდა, ფრაკი კი გაუღიავდა.^{[P][SEP]}

ტურნირი დასრულდა, მაგრამ ცეკვები გრძელდება. მაგიდას ვუსხედვართ და ვილის მონაპოვარს ვსვამთ. მხოლოდ ალბერტი გვაკლია - ქერა გოგონასგან მისი მოწყვეტა ძნელია.^{[P][SEP]}

ვილი ხელს მკრავს:^{[P][SEP]}

- შენ, ადელუა აქ.^{[P][SEP]}

- სად? - ვეკითხები სწრაფად.^{[P][SEP]}

ის დარბაზის საცეკვაო მოედანზე მითითებს. მართლაც, ის გრძელ, შავ ყმანვილთან ვალსს ცეკვავს.^{[P][SEP]}

- დიდი ხანია, აქაა? - ვარკვევ, რადგან ძალიან მინდა, რომ ჩვენი ტრიუმფი ნანახო ჰქონდეს.^{[P][SEP]}

- ხუთი წუთის წინ მოვიდა, - მპასუხობს ვილი.^{[P][SEP]}

- ამ აყლაყუდასთან ერთად?^{[P][SEP]}

- ამ აყლაყუდასთან ერთად.^{[P][SEP]}

ადელეს ცეკვისას თავი ოდნავ უკან გადაუხრია. ერთი ხელი შავი ყმანვილის მხარზე უდევს. როცა მის სახეს გვერდიდან შევცქერო, სუნთქვა მეკვრის, აბაჟურის ნათურების შუქზე იმდენად მიაგავს მისი პროფილი იმ ადელეს, ჩემს მოგონებებში რომ აღბეჭდილა. მაგრამ წინიდან ადელე უფრო სავსეა და როცა იცინის, სულ მთლად უცხოვდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

კარგა ხვავრიელად ვსვამ ვილის ბოთლიდან. პატარა მკერავიც აქვე ცეკვავს. ის უფრო გამხდარი და პატარაა, ვიდრე ადელე. ამას წინათ, ქუჩის ნისლში ეს ვერ შევამჩნიე: ადელე დაქალებულა, ახლა სავსე მკერდი და ძლიერი ფეხები აქვს. ვერ ვიხსენებ, ადრეც ასეთი იყო თუ არა; მაშინ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა მადის აღმძვრელი გამხდარა, - ამბობს ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოკეტე, - ვპასუხობ გაბრაზებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვალსი დამთავრდა. ადელე კართან დგას. ვუახლოვდები. მესალმება. თან თავის შავ ბიჭთან ლაყობას აგრძელებს. მის წინ ვჩერდები და შევცქერო. გული ისე მიბაგუნებს, როგორც მნიშვნელოვანი გადანყვეტილების წინ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რას მიყურებ? - მეკითხება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ისე, - ვეუბნები, - მოდი, ვიცეკვოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ამის შემდეგ, - მპასუხობს და თანმხლებთან ერთად საცეკვაოდ მიდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

ველოდები, და შემდეგ ბოსტონს ვცეკვავთ. თავს ძალას ვატან და ისიც მოწონების ნიშნად იღიმება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ცეკვა ბრძოლის ველზე ისწავლე, არა? [P]
[SEP]

- ბრძოლის ველზე საცეკვაოდ არ ვყოფილვარ, - ვეუბნები, - მაგრამ ცოტა ხნის წინ პრიზიცი დავიმსახურე. [P]
[SEP]

უცებ ამომხედა. [P]
[SEP]

- დასანანია, ამის ერთად გაკეთებაც შეგვეძლო. შედეგი რა იყო? [P]
[SEP]

- თოლიის ექვსი კვერცი და მედალი, - ვპასუხობ და გულში სითბო მელვრება. [P]
[SEP]

ვიოლინოები ისე ჩუმად უკრავდნენ, რომ იატაკზე ფეხების სრიალის ხმა ისმოდა. [P]
[SEP]

- ახლა ერთად ვცეკვავთ, - ვეუბნები, - გახსოვს, როგორ დავდედით ერთმანეთს საღამოობით, ტანვარჯიშის გაკვეთილიდან გამოსულები? [P]
[SEP]

თავს მიქნევს. [P]
[SEP]

- დიახ, მაშინ ბავშვები ვიყავით. გაიხედე იქით, გოგონა წითელ კაბაში - აი, ეს დაფენილი კოფთები ახლა უკანასკნელი მოდაა. მაგარია, არა? [P]
[SEP]

ვიოლინოები ჩელოს უთმობენ მელოდიას. კანკალით, როგორც შეკავებული ტირილი, თრთიან მოყავისფრო ოქროსფერ ბგერებზე. [P]
[SEP]

- პირველად რომ დაგელაპარაკე, ორივე გავიქეცი, - ვამბობ, - ეს ივნისში, ქალაქის გორაკზე იყო, გუშინდელივით მიდგას თვალწინ. [P]
[SEP]

ადეღე თავს მიქნევს, შემდეგ პირველად შემომხედა. [P]
[SEP]

- ჰო, რაღაც სულელობაა. იცი ტანგოს ცეკვა? ის ბიჭი, პირდაპირ რომ დგას, ზღაპრულად ცეკვავს ტანგოს. [P]
[SEP]

არაფერს ვპასუხობ. მუსიკა დუმს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გინდა, ჩვენს მაგიდას შემოუერთდე? - ვეკითხები.<sup>[P]
[SEP]</sup>

იქით იყურება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვინ არის ის მოხდენილი ბიჭი ლაკის ფეხსაცმლით?<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარლ ბრიოგერი, - ვპასუხობ. ის ჩვენს მაგიდას უერთდება. ვილი ჭიქას აწვდის და ხუმრობს. ადელე იცინის და კარლს უყურებს. მგერას სტყორცნის აგრეთვე მის გვერდით მჭდარ ფაშატს. ეს ის გოგონაა, მოდურ კაბაში.<sup>[P]
[SEP]</sup>

გაკვირვებული შევცქერი. შეცვლილა. მოგონებებმაც მიმტყუნა? ნუთუ ისე გაიბერა და გაიზარდა მოგონება, რომ სინამდვილე დაფარა? ამ მაგიდასთან ახლა უცხო, ხმაურიანი გოგო ზის და ძალიან ბევრს ლაყობს. მასში ხომ არ არის ის მეორე დამალული, რომელსაც უკეთ ვიცნობ?<sup>[P]
[SEP]</sup>

შეიძლება, ასე შეცვალოს წლებმა ადამიანი? ალბათ დამნაშავე დროა, უკვე სამი წელი გავიდა მას შემდეგ, მაშინ, თექვსმეტი წლის, ბავშვი იყო, ახლა ცხრამეტის - ქალიშვილია. უცებ დროის მთელი სიმძიმე მატყდება თავს, ის მიქრის და მიქრის და იცვლება, თუ უკან დაბრუნდები, ველარაფერს იპოვი. გამომშვიდობება მძიმეა, მაგრამ შეხვედრაც არ არის ხანდახან ადვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა სასაცილო სახე გაქვს, ერნსტ, მუცელი ხომ არ გტკივა? - მეკითხება ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოსაწყენი ტიპია, - ამბობს ადელე სიცილით, - ადრეც ასეთი იყო, ცოტა გამოცოცხლდი! გოგონებს მხიარულები უფრო უყვართ, რა

საფლავის ქვასავით დადუმებულხარ!^[SEP]

ყველაფერმა ჩაიარა, ისევ ჩაიარა. არა იმიტომ, რომ ადელე შავ ბიგს და ბრიოგერს ეპრანჭება; არა იმიტომ, რომ მე მოსაწყენად მთვლის, ან რომ თავად სხვა ადამიანად იქცა - არა, ახლა ვხვდები, რომ არაფერს აქვს აზრი. აქეთ-იქით ვაწყდებოდი, ყველა ჩემი ბავშვობის კარზე ვაკაკუნებდი და შესვლას ვცდილობდი, მეგონა, რომ ჩემი ბავშვობა კვლავ მიმიღებდა, რადგან ისევ ახალგაზრდა ვარ და ძალიან მინდა ყველაფერი დავივიწყო - მაგრამ ის გამირბოდა, როგორც ფატა-მორგანა

, უხმოდ იმტვრეოდა, შევეხებოდი თუ არა, ფერფლივით იშლებოდა. ვერ ვხვდებოდი, მეგონა, რომ მაინც დარჩა რაღაც და კვლავ ვაკაკუნებდი, მაგრამ საცოდავი და სასაცილო იყო ჩემი მცდელობა. ახლა კი ვიცი, რომ მოგონებების ფრონტზე ჩუმი ბრძოლაა და უაზრობა იქნება, ჩემი ბავშვობა ვეძებო. დრო პირღია უფსკრულივით განოლილა ჩემსა და ჩემს ახალგაზრდობას შორის, უკან გზა მოჭრილი მაქვს, ერთი რამ დამრჩენია: წინ, სადმე; სად, არ ვიცი, მიზანი ჭერ არ მაქვს.^[SEP]

შნაპსის ჭიქა ხელში მიჭირავს და წინ ვიყურები. ადელე მის და კარლს შევითხვებს აყრის, თუ სად შეიძლება გადამყიდველებთან აბრეშუმის წინდების ყიდვა; წყვილები კვლავ ცეკვავენ და იმავე ვალსის მუსიკა ჟღერს; და მეც ისევე ვზივარ სკამზე და ვსუნთქავ და ვცოცხლობ, როგორც ადრე - თითქოს ელვა არ დამტყდომოდეს თავს, თითქოს არ გამქრალიყოს ყველაფერი ჩემ გარშემო, თითქოს ბედმეტი

არ გავმხდარიყავი და ყველაფერი არ დამეკარგოს...^[P]_[SEP]

ადეღე დგება და კარლს ემშვიდობება.^[P]_[SEP]

- ესე იგი, მაიერთან და ნიკელთან, არა? - ამბობს კმაყოფილი. - სნორია, ისინი ყველაფრით ვაჭრობენ. ხვალ აუცილებლად ნავალ იქ ნახვამდის, ერნსტ!^[P]_[SEP]

- ცოტათი გაგაცილებ, - ვეუბნები.^[P]_[SEP]

ხელს მკიდებს.^[P]_[SEP]

- მეტს ნულარ გამაცილებ, მელოდებიან.^[P]_[SEP]

ვიცი, რომ სენტიმენტალურად და სულელურად ვიქცევი, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია: ქუდს ვიხდი და მონივნებით ვემშვიდობები, თითქოს მას კი არა, მთელ ჩემს ნარსულს ვემშვიდობებოდე. ერთი ნუთით გამომცდელად მიყურებს.^[P]_[SEP]

- ხანდახან მართლა სასაცილო ხარ, - ამბობს და სიმღერით მიდის.^[P]_[SEP]

ღრუბლები გადაიყარა და ნათელმა ღამემ ქალაქი გაანათა. დიდხანს ვყურებ. მერე უკან ვბრუნდები.^[P]_[SEP]

4.^[P]_[SEP]

მას შემდეგ, რაც ომიდან დავბრუნდით, კონერსმანის რესტორნის დიდ დარბაზში ჩვენს პოლკს პირველი დიდი შეხვედრა აქვს. ყველა დაპატიჟებულია. დიდი ზეიმი უნდა იყოს. კარლი, ალბერტი, იუპი და მე ერთი საათით ადრე მივვდივით. ძალიან ვჩქარობთ ნაცნობი სახეების

ნახვას.<sup>[P]
[SEP]</sup>

მანამდე სასტუმრო ოთახში დიდი დარბაზის გვერდით ვიცდით და ვილის და დანარჩენებს ველოდებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

კამათლის გაგორებას ვაპირებთ, რომ კარი იღება და კობოლე შემოდის. კამათელი ხელიდან გვივარდება, ისე გვეუცხოება მისი გარეგნობა. კობოლეს სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია.<sup>[P]
[SEP]</sup>

აქამდე, როგორც ჩვენ ყველას, ძველი სამხედრო ტანსაცმელი ეცვა; დღეს, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, პირველად გამოჩნდა სამოქალაქო ტანსაცმელში და ახლა ჩვენ წინ დგას; ხავერდის საყელოიანი ცისფერი პალტო აცვია, თავზე მწვანე ქუდი ახურავს და კისერზე გახამებული საყელო და ჰალსტუხი უკეთია. სულ სხვა კაცად აქცია ახალმა სამოსმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

გაკვირვება ჯერ არ გაგვწვდის, რომ ტიადენიც მოდის. ისიც პირველად სამოქალაქო ტანსაცმელში - ბოლიან ჟაკეტში, ყვითელ ფეხსაცმელში, ხელში ბუნიკიანი ტროსტი უჭირავს. თავანუელი მოიპრანჭება დარბაზში. კობოლეს ეჭახება და ჩერდება. კობოლეს შედგა. ორივე პირველად ხედავს ერთმანეთს უნიფორმის გარეშე. ცოტა ხანი ათვალიერებენ ერთმანეთს, შემდეგ სიცილი უტყდებათ; სამოქალაქო ტანსაცმელში ორივეს ერთმანეთი ძალიან სასაცილოდ ეჩვენება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კაცო, ფერდინანდ, ყოველთვის მეგონა, რომ წესიერი კაცი იყავი, - ქირქილებს ტიადენი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რას გულისხმობ? - ეკითხება კობოლე და სიცილს წყვეტს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აი, ეს, - ტიადენი კობოლეს პალტოზე ანიშნებს, - ისე გამოიყურება, თითქოს მეძველმანესთან შეგეძინოს.^{[P]_{SEP}}

- ვირო, - სისინებს გაცოფებული ფერდინანდი და ზურგს აქცევს. ვხედავ, როგორ წითლდება.^{[P]_{SEP}}

თვალებს არ ვუჭერებ: მართლა დაბნეულია. ფიქრობს, რომ არავინ უყურებს და ჩუმად ათვალიერებს დაცინვის საგანს. უნიფორმა რომ სცმოდა, თავს არ შეინუხებდა, ახლა კი სახელოთი ნმენდს რამდენიმე ლაქას და კარლ ბრიოგერს უყურებს, რომელსაც უმაღლესი ხარისხის კოსტიუმი აცვია. მან არ იცის, რომ თვალყურს ვადევნებ. ცოტა ხნის შემდეგ მეკითხება:^{[P]_{SEP}}

- მაინც ვინ არის კარლის მამა?^{[P]_{SEP}}

- მოსამართლე, - ვპასუხობ.^{[P]_{SEP}}

- აჰა, მოსამართლე, - იმეორებს ჩაფიქრებული, - და ლუდვიგის?^{[P]_{SEP}}

- გადასახადების ინსპექტორი.^{[P]_{SEP}}

ცოტა ხანს დუმს. შემდეგ ამბობს:^{[P]_{SEP}}

- ჰო, მალე ჩვენთან მეგობრობა აღარც მოგინდებათ.^{[P]_{SEP}}

- გიჟი ხარ, ფერდინანდ, - ვპასუხობ.^{[P]_{SEP}}

დაეჭვებული მხრებს იჩეჩს. უფრო და უფრო მიკვირს. ის არა მარტო შეცვლილი ჩანსამ დაწყველილ ჭინჭებში, არამედ მართლა შეცვლილია. აქამდე ასეთ სისულელეებს ყურადღებას არ აქცევდა, ახლა კი პალტოს იხდის და ფრთხილად კიდებს რესტორნის ყველაზე ბნელ კუთხეში.^{[P]_{SEP}}

- აქ ძალიან ცხელია, - ამბობს ნაწყენი, რაკი ამჩნევს, რომ

თვალყურს ვადევნებ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ცოტა ხნის შემდეგ ჯიქურ მეკითხება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მამაშენი?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნიგნების მკინძავი, - ვპასუხობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მართლა? - ხასიათზე მოდის. - ალბერტის?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მკვდარია, ზეინკალი იყო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ზეინკალი? - იმეორებს გახარებული, თითქოს ზეინკალი თავისი მდგომარეობით პაპს არ ჩამოუვარდებოდეს, - ზეინკალი, მშვენიერია. მე ხარატი ვარ. ჩვენ თითქმის კოლეგები ვიქნებოდით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ასეც არის, - ვეუბნები.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვხედავ, როგორ გადადის სამხედრო-კოზოლეს სისხლი მოქალაქე-კოზოლეში. ისევ ფერზე და ძალაზე მოდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სამუხსაროა, სანყალი ალბერტი... - ამბობს და როდესაც ტიადენი წინ ჩაგვივლის, ეჭყანება და დამჭდარი ფეხს ურტყამს. ისევ ის კოზოლეა.<sup>[P]
[SEP]</sup>

დიდი დარბაზის კარმა ჭრიალი დაიწყო. ხალხი ნელ-ნელა გროვდება. ჩვენც შევდივართ; ქაღალდის გირლანდებით მორთული ცარიელი დარბაზი და თავისუფალი მაგიდები სიმყუდროვეს ვერ ქმნის. კუთხეებში ჯგუფებად შეკრებილნი დგანან. იულიუს ვედეკამპფი აღმოვაჩინე, ბოლომდე შეკრული სამხედრო ქურთუკი რომ აცვია. სასწრაფოდ გვერდზე ვწევ რამდენიმე სკამს, მასთან მისალმება რომ შევძლო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- როგორ ხარ, იულიუს? - ვეკითხები. - გახსოვს, წითელი ხის ჯვარს

რომ შემპირდი? პიანინოს სახურავისგან აპირებდი გაკეთებას! აბა, ახლავე დამიდე წინ, ბებერო შვედო! [P SEP]

- მე თვითონ დამჭირდა, ერნსტ, - მეუბნება ნალვლიანად, - ცოლი გარდამეცვალა. [P SEP]

- ჯანდაბას, იულიუს, - ვამბობ, - რა დაემართა? [P SEP]

მხრებს იჩეჩს. [P SEP]

- ზამთარში, რიგში დგომით თავი გაინადგურა, შემდეგ კიდევ ბავშვი, ამას კი ველარ გაუძლო. [P SEP]

- რა ბავშვი? - ვეკითხები. [P SEP]

- ისიც მოკვდა, - მხრებს იჩეჩს, თითქოს იყინებაო. - ჰო, ერნსტ, შეფლერიც მოკვდა, არ იცოდი? [P SEP]

თავი გავიქნიე. [P SEP]

- ეს როგორ მოხდა? [P SEP]

ვედეკამპფი ჩიბუხს იღებს პირში. [P SEP]

- ჩვიდმეტში ხომ თავში დაიჭრა, ასე არ იყო? კარგად უმკურნალეს, ექვსი კვირის წინ კი ისეთი საშინელი თავის ტკივილები დაეწყო, რომ კედელს თავს ურტყამდა. ოთხმა კაცმა ნავიყვანეთ საავადმყოფოში. ტვინის ანთება თუ რაღაც ამდაგვარი. მეორე დღესვე გათავდა. [P SEP]

მეორეჯერ მიაქვს ასანთი ჩამქრალ ჩიბუხთან. [P SEP]

- ჰოდა, მის ცოლს ახლა პენსიასაც არ აძლევენ. [P SEP]

- გერჰარდ პოლი სად არის? - ვაგრძელებ კითხვების დასმას. [P SEP]

- გერჰარდი ვერ მოვიდა, ვერც ფასბინდერი და ფრიში. უმუშევრები არიან. საჭმლის ფულიც არა აქვთ, თორემ სიამოვნებით

ნამოვიდოდნენ ბებერი ბიჭები...^[P]_[SEP]

ამასობაში დარბაზი სანახევროდ შეივსო. ჩვენ კიდევ ბევრ ჩვენს სამხედრო ამხანაგს შევხვდით, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ხასიათი მაინც არ გამოგვიკეთდა. დიდი ხანია მოუთმენლად ველოდით ამ შეკრებას; გვიხაროდა, რომ ერთმანეთს ვნახავდით; იმედი გვქონდა, რომ ეს შეხვედრა გაგვათავისუფლებდა სხვადასხვა ზენოლის, გაურკვეველობისა და გაუგებრობისგან. შეიძლება, ეს სამოქალაქო სამოსის გამო მოხდა, რომელიც აქა-იქ შერეოდა ჩვენს სამხედრო მუნდირებს; შეიძლება, პროფესია, ოჯახი, სოციალური მდგომარეობა სოლივით ჩაერჭო ჩვენს ურთიერთობებში; ასეა თუ ისე, ადრინდელი, ჭეშმარიტი ამხანაგობა სადღაც გამქრალიყო.^[P]_[SEP]

ყველაფერი აირ-დაირია. აი, აქ არის ბოსე, ასეულის მასხარა. ფრონტზე ყველა დასცინოდა, თავს იგიჟიანებდა, ყოველთვის ჭუჭყიანი და ჩამოძონძილი იყო. მმუდამ აგდებით ვექცეოდით. ახლა კი შევიოტის კოსტიუმი და საუკეთესო გეტრები აცვია, მარგალიტის ქინძისთავი გაურჭვია ჰალსტუხში. ის უკვე შეძლებული ადამიანია, რომლის აზრსაც ანგარიშს უწევენ. მის გვერდით კი ადოლფ ბეთკე დგას, რომელსაც ფრონტზე ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ ბოსე ბედნიერი იქნებოდა, ბეთკე მასთან დალაპარაკებას თუ იკადრებდა. ახლა კი ადოლფი მხოლოდ ღარიბი მენაღვა და პატარა მეურნეობას უძღვება სოფელში. ლუდვიგ ბრაიერს ლეიტენანტის უნიფორმის ნაცვლად თავისი დავინროებული სასკოლო ფორმა აცვია, ხელით ნაქსოვი ჰალსტუხით. მისი თანაშემწე კი ახლა მონყალე

გამომეტყველებით ხელს უცაცუნებს მხარზე - ამჟამად დიდი სახელოსნოს მფლობელია, რომელიც უნიტაბებს აყენებს; მისი კანტორა ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე დგას. ვალენტინს ჯარისკაცის დახეული, გაღვლილი ქურთუკის ქვეშ ლურჯი, თეთრბოლიანი სვიტერი აცვია და ნამდვილ უსახლკაროს მიაგავს... მაგრამ რა ჯარისკაცი იყო! ლედერჰოზეს კი, ამ დაუნომრავ ძაღლს, პატარა ქუდი დაუხურავს, ჭყეტელა ყვითელი პალტო ჩაუცვამს და სერიოზული გამომეტყველებით ინგლისურ სიგარეტებს ეწევა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. მაგრამ ეს არაფერი - საუბრის ტონიც კი შეცვლილია; ეს ალბათ სამოსზეა დამოკიდებული. ადამიანებს, ადრე ხმასაც რომ ვერ იღებდნენ, ძვირფასმა ტანსაცმელმა მოწყალე ტონი შესძინა, ღარიბულად ჩაცმულები კი დადუმდნენ. გიმნაზიის მასწავლებელი, ფრონტზე უნტერ-ოფიცერი რომ გახლდათ და თანაც საკმაოდ სუსტი, კარლს და ლუდვიგს გამოცდების შესახებ ეკითხება. ლუდვიგს ამისთვის ჭიქა ლუდი უნდა ჩაესხა საყელოში. საბედნიეროდ, კარლი აგდებულადელაპარაკება გამოცდებზე და საერთოდ განათლებაზე, სამაგიეროდ, განადიდებს კომერციას და ვაჭრობას.^[56]

ეს საუბარი ცუდად მხდის, ჯობდა არ შევკრებილიყავით, კარგი მოგონებები მაინც დაგვრჩებოდა. ტყუილად ვცდილობ წარმოვიდგინო ეს ადამიანები ჭუჭყიან უნიფორმებში, კონერსმანის რესტორანი კი - ფრონტის განაპირა ბინად. ამას ვერ ვახერხებ. ფაქტები ჯაბნის ჩემს წარმოდგენებს. ყველაფერი, რაც ამ ადამიანებს აკავშირებდა, დაიკარგა; საერთო აღარაფერი არსებობს; ვინრო ინტერესებად

დაიშალა. ხანდახან გაიელვებს ხოლმე რაღაც ძველი დროიდან - იმ დროიდან, როცა ერთნაირი სამოსი გვეცვა, - მაგრამ ბუნდოვნად და არეულად. ესენი ჯერ კიდევ ჩვენი ამხანაგები არიან და აღარც არიან; ეს სამნუხაროა. ყველაფერი სხვა ომმა გაანადგურა. ჩვენ გვჭეროდა ჯარისკაცური მეგობრობის, ახლა კი ვხედავთ: რაც სიკვდილმა ვერ შეძლო, სიცოცხლემ მოახერხა - ჩვენი დაშორება.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ კი არ გვინდა ეს დავიჯეროთ, მაგიდასთან ვსხედვართ - ლუდვიგი, ალბერტი, კარლი, ვილი, ვალენტინი. დათრგუნვილები ვართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჩვენ მაინც უნდა ვიყოთ ერთად, - ამბობს ალბერტი და დიდ დარბაზს უყურებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვეთანხმებით და ერთმანეთს ხელს ვუნვდით, ამ დროს მდიდრული კოსტიუმებიც კი ერთიანდებიან. ჩვენ მათ არ ვუერთდებით. ჩვენ იმას უნდა ჩავეჭიდოთ, რასაც სხვები უგულვებელყოფენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენც დაარტყი ხელი, ადოლფ, - ვეუბნები ბეთკეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

პირველად იღიმება და თავის ტორს ჩვენს ხელებს ადებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

კიდევ ცოტა ხანს ერთად ვსხედვართ. ადოლფ ბეთკე მალე მიდის. რაღაც ცუდად გამოიყურება. გადანყვეტილებას ვიღებ, მალე მოვინახულო.<sup>[P]
[SEP]</sup>

მიმტანი მოდის და ტიადენს ეჩურჩულება. ის თავს უკრავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ქალებს აქ არაფერი ესაქმებათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

გაკვირვებული ვიყურებით, ტიადენი ნასიამოვნები იღიმება. მიმტანი ბრუნდება. მას უკან მშვენიერი გოგონა მოჰყვება. ტიადენი

შეცბუნებულია. ჩვენ ვქირქილებთ. მაგრამ ტიადენი გამოსავალს პოულობს, სადღესასწაულოდ აცხადებს: [P]
[SEP]

- ჩემი საცოლე! [P]
[SEP]

ამით საქმე მოგვარდა. ვილი ჩვენს სახელებს ეუბნება. ლუდვიგით ინყებს და თავისი თავით ამთავრებს. შემდეგ გოგონას სთვაბობს ადგილი დაიკავოს. ის ჯდება. ვილი გვერდზე უჯდება და ხელს სკამის საბურგებზე დებს. [P]
[SEP]

- მამათქვენი ხომ ცხენების ცნობილი სასაკლავოს მფლობელია ახალ არხთან? - ინყებს ის საუბარს. [P]
[SEP]

გოგონა თავს უქნევს. ვილი მისკენ იხრება. ტიადენი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სიამოვნებით წრუპავს თავის ლუდს. გოგონას თავბრუს ახვევს ვილის ამადლებული და გულში ჩამწვდომი საუბარი. [P]
[SEP]

- ისე მინდოდა, ბატონებო, თქვენი გაცნობა, - ამბობს ის, - სულიკო ხშირად მიყვებოდა თქვენზე, მაგრამ როცა ვეუბნებოდი, რომ მოვეყვანეთ, სიტყვას ბანზე მიგდებდა. [P]
[SEP]

- რა? - ვილი გამგმირავ მზერას ესვრის ტიადენს, - მოვეყვანეთ? ჩვენ დიდი სიამოვნებით მოვიდოდით. მართლაც, განსაკუთრებული სიამოვნებით. ერთი სიტყვაც არ უთქვამს მაგ ნაძირალას ჩვენთვის. [P]
[SEP]

ტიადენი ცოტა ნერვიულობს. [P]
[SEP]

ახლა კომოლე იხრება გოგონასკენ. [P]
[SEP]

- ასე რომ, ხშირად გიყვებოდათ ჩვენზე თქვენი სულიკო? მაინც რას ჰყვებოდა? [P]
[SEP]

- უნდა ნავიდეთ, მარიხენ, - მიმართავს ტიადენი გოგონას და დგება.

[P]
[SEP]

კობოლე ხელით ისევ ადგილზე აბრუნებს. [P]
[SEP]

- იჯექი, სულიკო. მაინც რას ჰყვებოდა, ფროილაინ? [P]
[SEP]

მარიხენი მთლიანად გვენდობა. ვილის კვკლუცად მიაპყრობს მზერას: [P]
[SEP]

- თქვენ ხართ ბატონი ჰომეიერი? - ვილი თავს უხრის. - მან ხომ თქვენ გადაგარჩინათ, - აგრძელებს ლაყბობას, ამ დროს კი ტიადენი სკამზე ვერ ჩერდება, თითქოს ჭიანჭველების ბუდეს აჯდეს ზედ. - აღარ გახსოვთ? [P]
[SEP]

ვილი თავში ირტყამს ხელს. [P]
[SEP]

- ამის შემდეგ კონტუზია მივიღე, ეს კი ძალიან მოქმედებს მესხიერებაზე. სამწუხაროდ, ბევრი რამ ამომივარდა თავიდან. [P]
[SEP]

- გადაარჩინა? - ეკითხება კობოლე სუნთქვაშეკრული. [P]
[SEP]

- მარიხენ, მე მივდივარ, მოდიხარ თუ არა? - ეუბნება ტიადენი გოგონას. [P]
[SEP]

კობოლე ხელს არ უშვებს. [P]
[SEP]

- ისეთი მორიდებულია, - იცინის მარიხენი და სახე უბრწყინავს, - თან სამი ზანგიც მოკლა, ბატონ ჰომეიერს ნაჯახით რომ ემუქრებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი მუშტით... [P]
[SEP]

- მუშტით, - იმეორებს კობოლე. [P]
[SEP]

- დანარჩენი ორი თავ-თავიანთი ნაჯახებით. შემდეგ კი ბატონი ჰომეიერი უკან მოიყვანა. - მარიხენი ახედ-დახედავს ვილის ას

ოთხმოცდაათსანტიმეტრიან ტორსს და თავის საქმროს ენერგიულად მიმართავს: - თავისუფლად შეგიძლია მოჰყვე, სულიკო, რა გმირობა ჩაიდინე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჭეშმარიტად, - ეთანხმება კობოლეს, - შეიძლება ასეც ვთქვათ.<sup>[P]
[SEP]</sup> ვილი ერთი ნუთით დაბნეული უყურებს მარიხენს თვალებში.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, ის დიდებული ადამიანია, - ეუბნება; შემდეგ ტიადენს ანიშნებს, ერთი ნუთით გარეთ გამომყევით.<sup>[P]
[SEP]</sup>

ტიადენი დაეჭვებული დგება; მაგრამ ვილის ცუდი განზრახვა არა აქვს. ერთი ნუთის შემდეგ ორივე ხელისელჩაკიდებული ბრუნდება უკან. ვილი მარიხენისკენ იხრება:<sup>[P]
[SEP]</sup>

- შევთანხმდით, ხვალ საღამოს გესტუმრებით. მადლობა ხომ უნდა გადაგიხადოთ, რომ ბანგებისგან გადამარჩინეთ. მეც მყავს თქვენი საქმრო გადარჩენილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰოო? - ეკითხება მარიხენიგაკვირვებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ალბათ შემდეგ მოგიყვებათ, - ქირქილებს ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

გულიდან ტვირთმოსხნილი ტიადენი თავის საცოლესთან ერთად გადის დარბაზიდან.<sup>[P]
[SEP]</sup>

საქმე ის არის, რომ ხვალ კლავენ საქონელს, - ამბობს ვილი.<sup>[P]
[SEP]</sup>

მაგრამ აღარავინ უსმენს. დიდხანს ვიკავებდით თავს და ახლა მშიერი ცხენებივით ვჭიხვინებთ. კობოლეს კინალამ გული აერია, ისე ხითხითებს. ვილი ცოტა ხნის შემდეგ გვიმხელს, რა მოგებიანი შეთანხმება დადო ტიადენთან, ცხენის ხორცის თაობაზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბიჭი ჩემს ხელშია, - იცინის.<sup>[P]
[SEP]</sup>

მთელი დღე სახლში ვიჯექი, ვცდილობდი რამე გამეკეთებინა. არაფერი გამომივიდა და აი, უკვე ერთი საათია, ქუჩებში უმიზნოდ დავხეტიალებ; პოლანდიურ პოლსაც ჩავუარე; ეს რესტორანია, სადაც სპირტიანი სასმელები აქვთ, და უკვე მესამეა, რომელიც ბოლო სამი კვირის მანძილზე გაიხსნა. ყველგან სოკოებივით იზრდება ამგვარი დანესებულებები, პოლანდიური პოლი მათ შორის ყველაზე დიდი და დახვეწილია. [P]
[SEP]

განათებულ კართან პორტიე დგას, რომელიც ერთდროულად პუსარების მეთაურსაც მიაგავს და ეპისკოპოსსაც. მოსული ახმახი, მოლოქრული ტროსტით ხელში. პირდაპირ თვალებში ვუყურებ. პორტიე მოთმინებას კარგავს, მასთან ერთად ეპისკოპოსის იერსაც და თავის კეტს მუცელში მატაკებს, თან იცინის: [P]
[SEP]

- სალუტ, ერნსტ, ბებერო საფრთხობელავ! „კომან სა ვა“, როგორც ფრანგები იტყვიან. [P]
[SEP]

ეს უნტერ-ოფიცერი ანტონ დემუთია, ჩვენი მზარეული. მის წინ ვიჭიმები, რადგან ყაზარმებში თავში ჩაგვიჭედეს, რომ ესალმებიან მუნდირს და არა იმას, ვინც მას ატარებს. დემუთის ფანტასტიკური ჩაცმულობა კი ძალიან მაღალი ხარისხისაა და იმად ღირს, რომ მის წინაშე მთელი შენი სიმაღლით გამოიჭიმო. [P]
[SEP]

- ჭამის დროა, ანტონ! - ვიცინი, - მითხარი, გაქვს რამე საჭმელი? [P]
[SEP]

- პატარავ, - მპასუხობს თბილად, - ფრანც ელსტერმანიც აქ

მუშაობს, მზარეულად! ^{[P]_{SEP}}

- როდის გამოგიაროთ? - ვეკითხები; რადგან ის ფაქტი, რომ ელსტერმანი და დემუთი აქ მუშაობენ, საკმარისია იმისთვის, რომ აქ მოსვლა ღირდეს - ისინი ხომ საუკეთესო მომმარაგებლები იყვნენ მთელ საფრანგეთის ფრონტზე. ^{[P]_{SEP}}

- პირველი საათის შემდეგ, ამ საღამოს, - თვალს მიკრავს ანტონი, - სურსათით მომარაგების ერთი ინსპექტორისგან ათამდე ბატი ჩავიგდეთ ხელში, მოპარული საქონელია; ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ ელსტერმან ფრანცი მათ წინასწარ კარგ ოპერაციას ჩაუტარებს! ვინ იტყვის, რომ ბატები არ ომობენ და ფეხებს არ კარგავენ? ^{[P]_{SEP}}

- ვერავინ, - ვამბობ და ვეკითხები: - საქმე როგორ მიდის? ^{[P]_{SEP}}

- ყოველ საღამოს გადაჭედულია. გინდა შეიხედო? ^{[P]_{SEP}}

ფარდას ოდნავ გვერდზე სწევს. მე ფარდის ნაპრალიდან ოთახში ვიყურები. მაგიდებს რბილი, თბილი შუქი ანათებს, სიგარეტის მოცისფრო კვამლი შუქს შერევია, ნოხები კრიალებს, ფაიფური ბრწყინავს, ვერცხლი ანათებს. მაგიდასთან ქალები სხედან, მიმტანები გარს ეხვევიან, ქალებს გვერდს მამაკაცები უმშვენებენ, ისინი თამამად და ელეგანტურად აძლევენ მიმტანებს მითითებებს. ^{[P]_{SEP}}

- ჰა, ბიჭო, კარგია ამისთანა ფისუნიებთან დროს ტარება, არა? - მეუბნება და თან ორაზროვნად მხარში ხელს მირტყამს. ^{[P]_{SEP}}

არ ვპასუხობ, რადგან ამ ფერადოვანმა, კვამლის მსუბუქ ნისლში გახვეულმა ცხოვრების ნაგლეჯმა უჩვეულოდ ამაღელვა. რაღაც არარეალური და სიზმრისეულია იმაში, რომ აქ, თოვლ-ჭყაპში

ვდგავარ და ფარდის ჭრილიდან ამ სურათს შევცქერა. მოჭადოებულები ვარ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ აქ მხოლოდ გადამყიდველებს შეუძლიათ დახარჯონ ფული. ჩვენ იმდენ ხანს ვინეჩით სანგრების ჭუჭყსა და ნაგავში, რომ ფუფუნებისა და ელეგანტურობის გიჟური მოთხოვნილება მოგვეძალა, - რადგან ფუფუნება დაცულობას და სიმშვიდის გრძნობას გიჩენს, - რაც არასდროს გვექონია.^[SEP]

- როგორია, ბიჭო? - მეკითხება ანტონი ისევ, - როგორი პუტკუნა ფისუნიებია, არა? რა კარგები იქნებიან სანოლში!^[SEP]

ძალიან სულელურად გამომივიდა, მაგრამ არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ლაპარაკის ის მანერა, რაც წლების განმავლობაში ჩვენი ურთიერთობის ფორმა იყო, ამ წამს უხეში და საზიზღარი მეჩვენება. ბედზე, რესტორანთან მანქანა ჩერდება. ანტონი იჭიმება და ღირსეულ პოზას იღებს. იქიდან ტანკენარი არსება გადმოდის და რესტორანში შედის. ოდნავ წინ გადახრილს, ერთ ხელში ქურქი უჭირავს, მეორე მკერდთან მიუდვია, მბრწყინავ თმას ოქროს თავსაბურავი უმშვენებს, თხელი ფეხები და სახე აქვს. მსუბუქი, ელეგანტური მოძრაობით ჩაივლის ჩემ წინ, მოტკბო-მომწარო სურნელს მაფრქვევს და უცებ ცხოველი სურვილი მიპყრობს - ამ ნახევრად ბავშვს მბრუნავ კარში შევყვე, შუქ-ფერების ალერსიან, ნატიფ და დახვეწილ გარემოში აღმოვჩნდე და უდარდელად ვიტრიალო ამ სამყაროში - მიმტანებით, ლაქიებითა და ფულის მყარი ფენით დაცულ სამყაროში, შორს გაჭირვებისა და ჭუჭყისგან, რომელიც წლების განმავლობაში ფეხდაფეხ მდევდა. ალბათ სკოლის მოსწავლეს ვგავარ, რადგან

ანტონ დემუთი ულვაშებში იცინის და თვალს მიკრავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აბრეშუმსა და ხავერდში გახვეულებიც სანოლში არაფრით განსხვავდებიან სხვებისგან.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა თქმა უნდა, - ვეუბნები და რაღაც უხამს ხუმრობასაც ვაყოლებ, რომ არ შემამჩნიოს, როგორვღელავ. - პირველამდე, ანტონ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- პატარავ, - ამბობს დინჯად, - ან „ბონსუარ“, როგორც ფრანგები იტყვიან.<sup>[P]
[SEP]</sup>

გზას ვაგრძელებ, ხელები ჭიბეებში მაქვს ჩანყობილი. ფეხქვეშ თოვლი მიჭრიალებს. უხალისოდ მივიწევ ნინ. რას ვიზამდი, მაგიდასთან რომ ამგვარ ქალთან მოვხვედრილიყავი? მხოლოდ მივაშტერდებოდი, სხვას ვერაფერს. რა ძნელი უნდა იყოს ამგვარ არსებასთან მთელი დღის გატარება. სულ დაძაბული უნდა იყო, სულ დაძაბული. ღამით კი... საერთოდ დავიბნეოდი, მართლა არ ვიცი, რა უნდა მექნა. მართალია, უკვე მქონია ქალებთან რაღაცები, იუპმა და ვალენტინმა მასწავლეს, მაგრამ ამგვარ ქალბატონებთან ეს ალბათ არ გამოვა.<sup>[P]
[SEP]</sup>

1917 წლის ივნისში პირველად ვიყავი ქალთან. ჩვენი ასეული მაშინ ბარაკებში იყო განლაგებული, შუადღე იდგა და ჩვენ მინდორში ორ პატარა ლეკვთან ერთად ვკოტრიალობდით. პარტყუნა ყურებით და მბრწყინავი ბენვით დარბოდნენ ლეკვები მაღალ ბალახში, ცა ცისფერი იყო, ომი კი - სადღაც შორს.<sup>[P]
[SEP]</sup>

იუპი კანცელარიიდან მოვიდა. ლეკვები ხტუნვა-ხტუნვით გაცვივდნენ მის შესახვედრად. იუპმა ისინი მოიშორა და დაგვიძახა:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბრძანება მოვიდა, ამ საღამოს მივდივართ! [P]
[SEP]

ჩვენ ვიცოდით, რას ნიშნავდა ეს. დასავლეთით, ჰორიზონტთან, ყოველდღე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ყოველდღე ვხედავდით, როგორ ბრუნდებოდნენ უკან დამარცხებული ნაწილები და თუ რომელიმე ჯარისკაცს ვკითხავდით, რა ამბებია ბრძოლის ველზე-თქო, ხელს ჩაიქნევდა, ისე, რომ არც კი შემოგვხედავდა, კუშტად წინ იყურებოდა. ყოველდღე ბრუნდებოდნენ დაჭრილებით სავსე ოთხთვალეები, ყოველდღე ვთხრიდით საერთო საფლავს... [P]
[SEP]

ავდექით. ბეთკე და ვაისლინგი სანერი ქალაქის ასაღებად წავიდნენ, ვილი და ტიადენი სავლეთ სამხარეულოსკენ გაემართნენ, ფრანც ვაგნერი და იუპი კი ბორდელში წასვლას მთავაზობენ. [P]
[SEP]

- ბიჭო, ერნსტ, - მითხრა ვაგნერმა, - ბოლოს და ბოლოს, შენც ხომ უნდა გქონდეს წარმოდგენა, რა არის ქალი! ვინ იცის, ხვალ იქნებ ყველამ წერილი წავიღოთ, იმათ ალბათ ახალი შეიარაღება მიიღეს. რა სისულელე იქნება, უმანკო ქალწულივით თუ წახვალ საიქიოს. [P]
[SEP]

სავლეთ ბორდელი პატარა ქალაქში მდებარეობდა, დაახლოებით ერთი საათის სავალი იყო იქამდე. საშვებები ავიღეთ. საკმაო ხანს მოგვიწია ლოდინმა, რადგან სხვა ნაწილების ჯარისკაცებს უკვე დაეკავებინათ რიგი, ყველას სურდა სასწრაფოდ აეღო ცხოვრებიდან ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. პატარა, ვინრო ოთახში საშვებები ჩავაბარეთ. ფერშალმა გაგვსინჯა, შემდეგ რამდენიმე წვეთი პროტარგოლის ინიექცია გაგვიკეთა და მორიგე ფელდფებელმა გვაცნობა, რომ ეს სიამოვნება სამი მარკა ღირდა და მსურველების

მოზღვავების გამო ვიზიტი მხოლოდ ათი წუთი უნდა გაგრძელებულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ დავდექით კიბეზე რიგში. [P]
[SEP]

რიგი ნელა მიიწევდა წინ. ზევით კარი ჭრიალებდა. როგორც კი ვიღაც გამოვიდოდა, გაისმოდა ძახილი: „შემდეგი!“ [P]
[SEP]

- რამდენი ძუკნაა შიგნით? - შეეკითხა ფრანც ვაგნერი იქვე მდგომ მესანგრეს. [P]
[SEP]

- სამი, - უპასუხა მან, - მაგრამ არჩევის უფლება არ გვაქვს. ლატარიაა - თუ ბედი არ გწყალობს, ბებია შეგხვდება. [P]
[SEP]

მშვიდი ჭარისკაცების ოფლის სუნითა და სიცხით გაჭვრებულ დახუთულ კიბეზე ცუდად გავხდი. სიამოვნებით დავბრუნდებოდი უკან, რადგან ყოველგვარი ცნობისმოყვარეობა გამიქრა, მაგრამ მეშინოდა, რომ დამცინებდნენ, ამიტომაც ლოდინი გავაგრძელე. [P]
[SEP]

ბოლოს ჩემი რიგიც მოვიდა და ოთახში შევედი. დაბალჭერიანი, ბნელი ოთახი იყო, კარბოლმუჟავასა და ოფლის სუნით აქოთებული. ყველაფერი ისე გაცვეთილიყო, თვალებს არ ვუჭვრებდი, ფანჯრების წინ ცაცხვის ტოტები რომ ირხეოდა, რომლის მწვანე ფოთლებში ქარი და მზე არეულიყო. სკამზე ვარდის ნყლიანი ტაშტი იდგა, კუთხეში კი რალაც საველე საწოლის მაგვარი გაეშალათ. ქალი მსუქანი იყო და გამჭვირვალე მოკლე პერანგი ეცვა. არც შემოუხედავს, ისე დანვა. როცა მივუახლოვდი, მოუთმენლად შემომხედა; შემდეგ დაჟინებით დამიწყა ცქერა. შეამჩნია, რომ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი, შიშმა და გულის ამრევმა ზიზღმა ამიტანა. ქალმა რამდენიმე გამამხნეველელი მოძრაობა გააკეთა,

მოშვებული, საზიზღარი მოძრაობები; უნდოდა მივგზიდე, იღიმებოდა, შესაბრალისი შესახედავი იყო - ის ხომ მხოლოდ საცოდავი საველე ლეიბი იყო, რომელზედაც ყოველდღე ოცი, ოცდაათი კაცი იწვა. ფული მაგიდაზე დავდე და ჩქარა გამოვედი იქიდან, კიბეზე სირბილით დავეშვი. [P SEP]

იუპმა თვალი ჩამიკრა. [P SEP]

- როგორი იყო? [P SEP]

- მაგარი, - გამოცდილ მექალთანესავით ვუპასუხე და წასვლა დავაპირეთ. მაგრამ ისევ ფერშალთან მოგვიხდა შესვლა და ინიექციის გაკეთება. [P SEP]

ეს არის სიყვარული? - ვფიქრობდი სასონარკვეთილი და დაუძლურებული, თან ბურგჩანთას ვალაგებდი; ეს არის სიყვარული, რაზეც წიგნებში ასე ლამაზად წერია და რომლისგანაც ასე ბევრს მოველოდი, ბიჭურ ოცნებებში? ფარაჯა და საველე ლაბადა შევკარი, შეიარაღება მივიღე და მარშით გავაგრძელეთ გზა. სევდამორეული, ვდუმდი და ვფიქრობდი, რომ ამალღებული ოცნებებიდან და სიყვარულისგან არაფერი დარჩა, გარდა შაშხანის, ქონიანი მეძავისა და ჰორიზონტთან ყრუ გრუხუნისა. წყვდიადი ჩამოწვა, საფლავეები და სიკვდილი გვეწვია, იმ ღამეს ფრანც ვაგნერიდაეცა, და მის გარდა კიდევ ოცდაათორმეტი კაცი. [P SEP]

ხეებიდან წვიმა წვეთავს, საყელოს ვინევ. ხშირად მენატრება სინაზე, თბილი სიტყვები, მთრთოლარე, ღრმა გრძნობა; მინდა თავი დავაღწიო ბოლო წლების საშინელ ერთფეროვნებას. მაგრამ არ ვიცი,

როგორ მოვიქცევი, ყველაფერი რომ ამიხდეს, ყველაფერი, რაზეც ადრე ვოცნებობდი - მართლა შემიყვარებდეს ლამაზი, ნაზი ქალი, იმ ქალის მსგავსი, ოქროს თავსაბურავი და რბილი სხეული რომ ჰქონდა; რა მოხდება, თუ მოცისფრო-მოვერცხლისფრო საღამოს შრიალში საზღვარს გადავლახავ და თავდავინწყებას მივეცემი? ბოლო ნამს მსუქანი მეძავის სურათი ხომ არ შემომეპარება, ყაზარმის ოფიცრების უხამსი ხმები ხომ არ ჩადგება ჩვენ შორის, ხომ არ დაგლეჯს და გაანადგურებს ნმინდა გრძნობას ეს მოგონებები და ჭარისკაცური კვიმატი ხუმრობები? ჭერ კიდევ უბინონი ვიყავით, ჩვენი ნარმოსახვა რომ გაიხრნა, თანაც ისე, რომ ვერც კი შევამჩნიეთ, და სანამ სიყვარულზე რამეს გავიგებდით, რიგში ჩამდგართ ვენერულ დაავადებებზე გვამონმებდნენ. სუნთქვის შეგუბება, უზარმაზარი გრძნობა, თავისუფლების ქარი, შემოღამება, პასუხგაუცემელი შეკითხვები - ყველაფერი, რაც ჩემში იყო, როცა თექვსმეტი წლისა, ქარში მოლაპლაპე ლამპიონის შუქზე ადელეს მივდევდი, არასოდეს დაბრუნდება; არასდროს დაბრუნდება, სულერთია, მეძავთანაც რომ არ ვყოფილიყავი და მგონებოდა, რომ სიყვარული სულ სხვა რამეა, კახპაც რომ არ ჩამჭიდებოდა და ნდომისგან არ ავკანკალებულიყავი. ამის შემდეგ არ გამიღიმა.^{[P]_{SEP}}

უნებურად ნაბიჯს ვუჩქარებ და ძლიერად ვსუნთქავ. მინდა დამიბრუნდეს ეს გრძნობა - უნდა დამიბრუნდეს. უნდა მოვიდეს, თორემ სიცოცხლეს არავითარი აზრი არ ექნება!^{[P]_{SEP}}

გმას ლუდვიგ ბრაიერის სახლისკენ ვაგრძელებ. მის ოთახში ჭერ

კიდევ ანთია შუეი. ფანჯარას კენჭს ვესვრი. ლუდვიგი ჩამოდის და კარს მიღებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მალლა ოთახში გეორგ რაე დგას და ლუდვიგის ქვების კოლექციას ათვალიერებს. დიდი მთის ბროლი უჭირავს და მის ბრწყინვას შესცქერის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგია, რომ შეგხვდი, ერნსტ, - ილიმის, - შენთანაც ვიყავი სახლში. ხვალ მივემგზავრები.<sup>[P]
[SEP]</sup>

მას უნიფორმა აცვია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გეორგ? - ვეუბნები, - შენ ხომ არ აპირებ...<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ! - თავს მიქნევს, - ისევ ჯარისკაცი გავხდი. სწორია. ყველაფერი უკვე მოვავარე. ხვალ მივდივარ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გესმის, რას აკეთებს? - ვეკითხები ლუდვიგს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, - მპასუხობს ლუდვიგი, - მესმის, მაგრამ მისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. - შემდეგ რაეს უბრუნდება: - იმედგაცრუებული ხარ, გეორგ, მაგრამ აბა, დაფიქრდი და მიხვდები, რომ ეს ბუნებრივია. ფრონტზე ნერვები დაგლეჯაზე გვექონდა, რადგან საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. ახლა, უქარო ამინდში, უაფრო ნავებივით დაფვარფატებთ; ასე მხოლოდ პატარა ნაბიჯებით თუ ნახვალ წინ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მართალი ხარ, - ჩაურთო რაემ, - ზუსტად ეს წვრილმანი კინკლაობა საჭმლის, კარიერისა და რამდენიმე შეკონინებული იდეალისთვის მირევს გულს და ამას მინდა სადმე შორს გავექცე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენ თუ მალალი იდეალებისთვის გინდა რაიმე გააკეთო, რატომ არ უერთდები რევოლუციას? - ვეუბნები, - შეიძლება, უცებ სამხედრო

მინისტრიც გახდე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ეს რევოლუცია, - მჰასუხობს გეორგი აგდებულად, - მას ჭიბეებში ხელჩანყობილი პარტიის მდივნები ედგნენ სათავეში, საკუთარმა სიმამაცემ რომ დააფრთხო. ნახე, როგორ სწვდნენ ერთმანეთს თმებში, სოციალ-დემოკრატები, დამოუკიდებლები, სპარტაკელები, კომუნისტები; ამასობაში კი ვილაცამ, ძალიან მშვიდად, ჭეშმარიტად ღირსეულ ადამიანებს, მათ რიგებში რომ იყვნენ, თავები დააყრვეინა, მათ კი ყურიც არ გაუბარტყუნებიათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, გეორგ, - ამბობს ლუდვიგი, - ასე არ არის. ჩვენ სიძულვილი გვაკლდა, როცა რევოლუციას ვაკეთებდით; ეს ასეა. თავიდანვე ვცდილობდით, სამართლიანი ვყოფილიყავით, ამიტომაც მოვიკოჭლეთ. რევოლუცია ტყის ხანძარივით მოულოდნელად უნდა ატყდეს, მაშინ შეიძლება, მოგვიანებით თესვაც დავინყოთ; მაგრამ ჩვენ არაფრის დანგრევა არ გვინდოდა და ისე გვინდოდა შეგვეცვალა ყველაფერი. ძალა არ გვეყო სიძულვილისთვის, ისე დაგვალა და გაგვანადგურა ომმა. თვით ტყვიების ქარცეცხლშიც შეიძლება ადამიანს ჩაეძინოს, ეს შენ კარგად იცი; მაგრამ შეიძლება, ახლაც არ იყოს გვიან, რომ საქმით მივალნიოთ იმას, რაც ბრძოლაში გამოგვრჩა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- საქმე, - ჰასუხობს გეორგი აგდებულად და ბროლის კრისტალს სინათლეზე ატრიალებს. - ჩვენ ბრძოლა შეგვიძლია და არა საქმის კეთება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თავიდან უნდა ვისწავლოთ, - ეუბნება ლუდვიგი წყნარად, დივნის კუთხეში მიკუნტული.<sup>[P]
[SEP]</sup>

- საამისოდ საკმაოდ დაბინძურებული ვართ, - ეპასუხება გეორგი.

[P]
[SEP]

ცოტა ხნით სიჩუმე ისადგურებს. ფანჯრების წინ ქარი ზუზუნებს. რაე გრძელი ნაბიჯებით გარს უვლის ლუდვიგის ოთახს, და ამ წიგნების კედლებს, სიმშვიდესა და საქმეებს შორის თითქოს მართლა არ არის მისი ადგილი; თითქოს მისი მკვეთრნაკვეთებიანი სახისა და რუხი უნიფორმის წარმოდგენა მხოლოდ სანგრებში, ბრძოლასა და ომში არის შესაძლებელი. ხელებით ეყრდნობა მაგიდას და ლუდვიგისკენ იხრება. ლამპის შუქი მის მხრებს ეცემა, მის უკან კი, ქვების კოლექციაში, კვარციბრწყინავს.[SEP]

- ლუდვიგ, - ამბობს ფრთხილად, - რას ვაკეთებთ ჩვენ აქ? გაიხედე ირგვლივ: როგორი გაუბედურებული და უიმედოა ყველაფერი! საკუთარი თავისა და სხვის ტვირთად ვიქეციო. ჩვენი იდეალები გაცამტვერდა, ჩვენი ოცნებები დაინგრა და მიზანდასახული ადამიანების უცხო სამყაროში დონ კიხოტივით დავეხეტებით.[SEP]

ლუდვიგი დიდხანს უყურებს.[SEP]

- მგონი, ავად ვართ, გეორგ. ჯერ კიდევ ძვალ-რბილში გვაქვს ომი გამტდარი.[SEP]

რაე კვერს უკრავს:[SEP]

- ამისგან ვერასოდეს გავთავისუფლდებით.[SEP]

- უნდა შევძლოთ, - პასუხობს ლუდვიგი, - რადგან მაშინ ყველაფერი აბრს დაკარგავს.[SEP]

რაე წამოხტა და მუშტს ურტყამს მაგიდაზე.[SEP]

- ჰო, ყველაფერი უაზრობა ყოფილა, ლუდვიგ, ეს არის სწორედ, რომ მაგიჟებს! როგორ მოხდა, რომ ამ ალტაცების ქარიშხალს შევეურთდით! გვეჩვენებოდა, რომ ახალი დრო მოვიდა, რომ ყველაფერი ძველი, დახავსებული, პარტიული, სანაგვეზე მოვისროლეთ; ჩვენ ისეთი ახალგაზრდობა ვიყავით, როგორც ჩვენამდე არასდროს ყოფილა!..^[P SEP]

მან მთის ბროლის ნატეხი ხელყუმბარასავით აიღო. ხელები უკანკალებდა.^[P SEP]

- ლუდვიგ, - აგრძელებს, - ბევრ სანგარში ვნოლილვარ და ყველანი, ვინც დაძაბული მოლოდინით ვუსხედით მბჟუტავ ნაღვერდალს, მაშინ, როცა ბევით ცეცხლი ბობოქრობდა, ყველანი ახალგაზრდები ვიყავით; მაგრამ ახალწვეულები არ ვყოფილვართ და კარგად ვიცოდით, რაც გველოდა. მაგრამ, ლუდვიგ, ამ სახეებში თავდაჭერასა და ვაჟკაცობაზე მეტი რამ იყო - მეტი, ვიდრე სიკვდილისთვის მზადყოფნა. გაქვავებულ სახეებზე ახალი მომავლის რწმენა აღბეჭდილიყო. ეს რწმენა მაშინაც ცოცხალი იყო, როცა შეტევაზე მივდიოდით და მაშინაც, როცა ვკვდებოდით! ყოველ წელს უფრო და უფრო ვითრგუნებოდით, ბევრს ვკარგავდით, მაგრამ რწმენა გვრჩებოდა. ახლა კი, ლუდვიგ, სად გაქრა ჩვენი რწმენა? ნუთუ ვერ ხედავ, რომ ის წესრიგის, ვალდებულების, ქალებისა და კეთილდღეობის მორევში ჩაიკარგა, აქ რომ ცხოვრებას ეძახიან? არა, მაშინ ვცოცხლობდით, რადგან ერთად ვიყავით, რადგან ჩვენში ერთს ის, რაც უფრო მეტია, ვიდრე მთელი ეს ნაგავი!^[P SEP]

ღრმად სუნთქავს. [P]
[SEP]

- ლუდვიგ, ხომ არსებობდა რაღაც, რისთვისაც ღირდა ეს ყველაფერი! როდესაც რევოლუციამ გვიხმო, ვიფიქრე: ახლა მოდის თავისუფლება, ნიაღვარი წალეკავს ყველაფერს და ახალ ნაპირებს შექმნის-მეთქი, - და, ვფიცავ, მეც იქ ვიდგებოდი! მაგრამ დინება სხვადასხვა შენაკადად დაიშალა, რევოლუცია თანამდებობებისა და ამ თანამდებობებისთვის მებრძოლთა განხეთქილების ვაშლად იქცა; მაღალმა პოსტებმა, ინტრიგებმა, პარტიულმა და ოჯახურმა ინტერესებმა ის მთლიანად დანრიტეს, ნაშალეს, გამოწურეს... იქ მივდივარ, სადაც მეგობრული გარემო მეგულება. [P]
[SEP]

ლუდვიგი დგება, შუბლი გასწითლებია, თვალები უელავს. რაეს პირდაპირ სახეში ჩასცქერის: [P]
[SEP]

- და რატომ, გეორგ, რატომ? იმიტომ, რომ მოგვატყუეს, მოგვატყუეს! ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვართ ბოლომდე! იმიტომ, რომ საზარლად გამოგვიყენეს! ჩვენ გვეუბნებოდნენ: სამშობლო - და უძღვები სამხედრო ინდუსტრიის საოკუპაციო გეგმები ჰქონდათ მხედველობაში; გვეუბნებოდნენ - ღირსება - და პატივმოყვარე დიპლომატებისა და ძლევამოსილთა ძალაუფლებისაკენ სწრაფვას გულისხმობდნენ; ამბობდნენ - ერი - და მოცლილი გენერლების მოქმედების სურვილს გამოხატავდნენ. - რაეს მხრებით ანჭღრევს, - ნუთუ არ გესმის? სიტყვა „პატრიოტიზმში“ დიდების წყურვილს, ძალაუფლებისადმი სწრაფვას, ყალბ რომანტიკას, სისულელეს, მოგების სურვილს დებდნენ და ამაღლებულ იდეალად

ნარმოგვიდგენდნენ! ჩვენც დავიჭურეთ, რომ ეს იყო მონოდება ახალი, ძლიერი, ყოვლისმომცველი არსებობისკენ! ნუთუ არ გესმის? ჩვენ საკუთარი თავის წინააღმდეგ ვიბრძოდით, ისე, რომ წარმოდგენაც არ გვქონდა! და ყოველი გასროლა თითოეულ ჩვენგანს ხვდებოდა გულში! მისმინე, ამას ჩუმად გეტყვი: მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა გაანადგურეს, ახალგაზრდები ყველა ქვეყანაში მოატყუეს და თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენეს. ისინი ინტერესებს შეეწირნენ და არა იდეალებს. ყველგან გაანადგურეს და მოსპეს ახალგაზრდობა! ნუთუ არ გესმის? ერთადერთი ბრძოლა არსებობს: ტყუილის, კომპრომისების, გადმონაშთების წინააღმდეგ! ჩვენ კი თავი ფრაზებით გავაბრიყვებინეთ, იმის ნაცვლად, რომ მათ წინააღმდეგ გვებრძოლა. ჩვენ გვეგონა, რომ მომავლისთვის ვიბრძოდით! მაგრამ მომავლის წინააღმდეგ ვიბრძოლეთ. ჩვენი მომავალი მკვდარია, რადგან ახალგაზრდობაა მკვდარი, რომელიც მისი გარანტიაა. ჩვენ ზედმეტნი ვართ, ჩვენ მხოლოდ ახალგაზრდობის ჯერ კიდევ ცოცხალი ნარჩენი ვართ! მაგრამ, სამაგიეროდ, ცოცხლობენ უფრო მაძღარნი, უფრო კმაყოფილნი, და ისინი ახლა უფრო მაძღრები და კმაყოფილები არიან, ვიდრე ოდესმე, რადგან უკმაყოფილონი, შემტევნი, იდეალებისთვის დაეცნენ! დდაფიქრდი ამაზე! მთელი თაობაა განადგურებული! მთელი თაობის იმედი, რწმენა, ნება, ძალა, ტალანტი მონუსხეს და ერთმანეთი გაანადგურებინეს, მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში ახალგაზრდობას ერთი მიზანი ჰქონდა!

ლუდვიგს ხმა უწყდება, თვალები ცრემლებით ვესება და ველურად უკვესავს. ყველანი ფეხზე ვდგებით.^[P SEP]

- ლუდვიგ, - ვამბობ და ხელს თავზე ვადებ.^[P SEP]

რაე ქუდს იღებს და ქვას ისევ ყუთში აგდებს.^[P SEP]

- ნახვამდის, ლუდვიგ, ბებერო მეგობარო!^[P SEP]

ლუდვიგი მის პირისპირ ბაგემოკუმული დგას.^[P SEP]

- შენ მიდიხარ, გეორგ, მე კი ვრჩები, ჯერ დანებებას არვაპირებ!^[P SEP]

რაე დიდხანს შესცქერის, შემდეგ წყნარად ამბობს:^[P SEP]

- უაზრობაა, არაფერი გამოვა, - და აბგას ისწორებს.^[P SEP]

გეორგს კიბეზე ვაცილებ. დილა ტყვიისფრად შემოდის კარიდან. ქვის საფეხურები ექოს გამოსცემს. გარეთ ისე გავდივართ, როგორც თავშესაფრიდან. დაცარიელებული, ნაცრისფერი ქუჩა გრძლად გადაჭიმულა. რაე წინ იშვერს ხელს და რაღაცას მიჩვენებს.^[P SEP]

- ყველგან სანგრებია, ერნსტ, - სახლებზე მანიშნებს, - ნამდვილი ბლინდაჟები, ომი გრძელდება, ყოველდღიური ომი, ერთიმეორის წინააღმდეგ...^[P SEP]

ერთმანეთს ხელს ვართმევთ. ლაპარაკი არ შემოძლია, რაე იღიმება:^[P SEP]

- რა დაგემართა, ერნსტ? იქ, აღმოსავლეთში, ხომ ნამდვილი ომიც არაა! თავი მალლა, ჩვენ ხომ ჯარისკაცები ვართ! პირველად ხომ არ ვემშვიდობებით ერთმანეთს.^[P SEP]

- ჰო, გეორგ, - ვამბობ სწრაფად, - მგონი, ნამდვილად პირველად ვემშვიდობებით ერთმანეთს.^[P SEP]

ერთი ნუთი ჩემ წინ დგას, შემდეგ უკან მოუხედავად ქუჩას ქვემოთ მიუყვება, წელგამართული, მშვიდი. თვალს ეფარება, მაგრამ მე კიდევ კარგა ხანს მესმის მისი ნაბიჯების ხმა.^[P]_[SEP]

ნაწილი მეხუთე^[P]_[SEP]

1.^[P]_[SEP]

გამოსაშვები გამოცდებისთვის ახალი განკარგულება მოვიდა - ომის მონაწილეებისთვის ყველა შესაძლო შეღავათის დაშვების თაობაზე. ასეც მოხდა. შედეგად, ყველამ ჩავაბარეთ. შემდეგ კურსს, სადაც ალბერტი და ლუდვიგი მოხვდნენ, გამოცდები სამი თვის შემდეგ დაუნიშნეს. ორივე იძულებული იყო, კიდევ სამი თვე მოეცადა, თუმცა ოთხ ჩვენგანს მათ დაგვინერეს თხზულებები.^[P]_[SEP]

კურსის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე დღეში, მეზობელ სოფელში მასწავლებლების დროებით შემცვლელის ადგილზე მიწვევენ. კმაყოფილი ვარ, რადგან უსაქმოდ ხეტიალი აღარ შემიძლია. მოცალეობა მხოლოდ უშედეგო ფიქრებს, ნალველს და უაზრო, ხმაურიან თავაშვებულობას იწვევს. ახლა კი მუშაობა მინდა.^[P]_[SEP]

ჩემოდანს ვალაგებ და ვილისთან ერთად მივემგზავრები. გაგვიმართლა, მეზობელ სოფლებში გაგვანაწილეს. ჩვენი სოფლები სულ რაღაც ერთი საათის სავალზე თუა ერთმანეთისგან დაშორებული.

გლეხის სახლში მოვხვდი. ფანჯრების ნინ უზარმაზარი მუხებია, გომურიდან ცხვრების ჩუმი პეტელი ისმის. დიასახლისი მაღალბურგიან სკამს მთავაზობს და, უპირველეს ყოვლისა, სუფრის გაშლას იწყებს. დარწმუნებულია, რომ ყველა ქალაქელი ნახევრად მშიერია, რაც, ნაწილობრივ, სიმართლეს შეესაბამება. გრძობამორეული შევცქერი მაგიდაზე მდგარ თითქმის დავინწყებულ კერძებს: ლორის კარგად მოზრდილ ნაჭერს, მკლავის სიგრძე ძეხვებს, თოვლივით თეთრ პურს და ტიადენის უსაყვარლეს წინიბურის ბლინებს, ცხიმის მოზრდილი ნაჭრით შუაში. მთელი ასეული კარგა გვარიანად გამოძლებოდა ამგვარ სუფრაზე.^[P SEP]

საქმეს შევუდექი. გლეხის ქალი კი დგას და გულხელდაკრეფილი კმაყოფილი იღიმება. ერთი საათის შემდეგ კვნესით ვწყვეტ ჭამას, მიუხედავად იმისა, რომ დედილო შომაკერი კიდევ მთავაზობს.^[P SEP]

ბუსტად ამ დროს ვილი მოდის, სანახავად შემომიარა.^[P SEP]

- მიაქციეთ ყურადღება, ქალბატონო, - ვეუბნები გლეხის ქალს, - ახლა იწყება სანახაობა, მასთან შედარებით ცხვირმოუხოცავი ღლაპი ვარ.^[P SEP]

ვილიმ იცის, როგორ უნდა მოიქცეს ჯარისკაცი. დიდხანს არ ფიქრობს, მაშინვე მოქმედებაზე გადადის. დედილო შომაკერის მოკრძალებული მიწვევის შემდეგ ბლინების დაყუმბარებას იწყებს. ყველისკენ რომ სწევს ხელს, გლეხის ქალს გაკვირვებისგან თვალები უფართოვდება, თითქოს სამყაროს მერვე საოცრებას უყურებდეს.

აღტაცებულ ფრაუ შომაკერს კიდევ ერთი დიდი ქვაბი პუდინგი შემოაქვს და ვილი მასაც ბოლოს უღებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ასე, - ამბობს ხენეშით და კოვზს გვერდით დებს. - ახლა კი მართლა მომშივდა. რამე წესიერი საჭმელი ხომ არ გაქვთ კიდევ?<sup>[P]
[SEP]</sup>

ამ ფრაბით ის საბოლოოდ იგებს დედილო შომაკერის გულს.<sup>[P]
[SEP]</sup>

აღელვებული, ოდნავ გაუბედავად ავდივარ კათედრაზე. ჩემ წინ ორმოცი ბავშვია. ესენი ყველაზე პატარები არიან. სახაზავით გასწორებულებივით სხედან რიგებად, პატარა ფაფუკი ხელები საკალმესა და მერხზე დაუწყვიათ, დაფები და რვეულები წინ უღევთ. ყველაზე პატარები შვიდი წლისანი არიან, უფროსები - ათის. სკოლაში მხოლოდ სამი საკლასო ოთახია და ამის გამო სხვადასხვა ასაკის რამდენიმე კლასია გაერთიანებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

ხის ფეხსაცმელები ბაკუნობს. ღუმელში ტორფი ინვის. ბევრი მოსწავლე სკოლიდან ორი საათის სავალზე ცხოვრობს, ამიტომ სკოლაში შალის თავსაფარში გახვეულები და შავი სასკოლო ბურგჩანთებით მოდიან. ორ საათს ანდომებენ სკოლამდე მოსვლას. მათ სველ ტანსაცმელს და შავ ჩანთებს სიცხისგან ორთქლი ასდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

ყველაზე პატარები ვაშლივით მრგვალი სახეებით შემომცქერიან. რამდენიმე გოგონა ჩუმად იცინის. ერთი, ქერათმიანი, დიდი მონდომებით იჩიჩქნება ცხვირში. მეორე წინ მჭდომ თანაკლასელს ამოფარებია და კარაქიან პურს გემრიელად შეეჭყევა. ყველანი ყურადღებით აკვირდებიან ჩემს მოძრაობებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მოუთმენლად ვწრიალებ სკამზე. ერთი კვირის წინ მეც მათსავით

ვიჯეი მერხზე და თვალს ვაყოლებდი ჰოლერმანის გაცვეთილ ჟესტებს, განმათავისუფლებელი ომის ეპოქის პოეტებზე რომ გვესაუბრებოდა. ახლა თვითონ გავხდი ჰოლერმანი. იმათთვის მაინც, ჩემ წინ რომ სხედან. [P]
[SEP]

- ბავშვებო, ახლა ჩვენ დიდ ლათინურ „ლ“-ს დავწერთ, - ვამბობ და დაფასთან მივდივარ, - ათი ხაზი „ლ“, შემდეგ ერთი ხაზი „ლინა“ და ხუთი ხაზი „ლომი“ [P]
[SEP]

ცარცით ნელა ვწერ სიტყვებს. რაღაც შრიალებს და ხმაურობს ჩემ უკან. მგონია, რომ რაღაცას მიმზადებენ და უკან ვიხედები. ბავშვები რვეულებს შლიან და გრიფელის დაფებს ასწორებენ: ყურადღებით დაუხრიათ თავები თავიანთ ნაშრომზე. გაცეხებული ვარ [P]
[SEP]

გრიფელები ჭრიალებს, ფრთები წრიპინებს, მერხებს შორის წინ და უკან დავდივარ. [P]
[SEP]

კედელზე ჭვარცმა კიდია, მის გვერდით - ბუს დაკემსილი ფიტული და გერმანიის რუკაა. გარეთ კი გამალეებით მიცურავენ ღრუბლები. [P]
[SEP]

გერმანიის რუკა მწვანე და ყავისფერ ფერებშია გადანყვებილი. მის წინ ვჩერდები. საზღვრები წითლადაა დაშტრიხული - უცნაური ზიგზაგისებრი ხაზები ბევრიდან ქვევით ჩამორბიან. კიოლნი-აახენი, აი, რკინიგზის წვრილი შავი ხაზები... შერბესტალი, ლუტიხი, ბრიუსელი, ლილე; თითის წვერებზე ვდგები - როუბაიქსი, არასი, ოსტენდე; კემელბერგი სად არის? - ის სულაც არ არის რუკაზე, სამაგიეროდ, ლანგემარკი, იპერნი, ბიქსშოტე, შტადენი... რა პატარებია აქ, რუკაზე, მხოლოდ ერთი ციციქნა წერტილები; წყნარი, პატარა წერტილები - და

ამ პატარა ნერთილებზე 31 ივლისს, დიდი გარღვევის მცდელობისას, შეტევის დროს, მიწა ირყეოდა. იმ დღეს, დაღამებამდე, ყველა ოფიცერი დაგვარგეთ...^[P]_[SEP]

უკან ვიხედები და ქერა და ნაბლისფერ თავებს ვხედავ, რომლებიც გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებენ სიტყვებს: ლომი და ლინა.^[P]_[SEP]

უცნაურია, მათთვის ეს პანანინა ნერთილები რუკაზე მხოლოდ სასწავლო მასალაა და მეტი არაფერი, ახალი ადგილების სახელები და ისტორიის გაკვეთილზე დასაბუთი თარიღები - ისეთივე, როგორც შვიდწლიანი ომის ან ტევტობურგის ტყეში ბრძოლის თარიღები.^[P]_[SEP]

მეორე რიგში ერთი ბიჭუნა ფეხზე დგება და რვეულს მალლა სწევს. მან უკვე დაწერა ოცი ხაზი. მასთან მივდივარ და ვაჩვენებ, რომ ასო „ლ“-ს ქვედა ხაზი ძალიან სქელი გამოუვიდა. ის კი თავისი ნამიანი, ცისფერი თვალებით ისეთი გაბრწყინებული მიყურებს, რომ თვალების დახრა მიწევს. სწრაფად მივდივარ დაფასთან და ახალნასწავლი ასოებით ორ სიტყვას ვწერ: „კარლი“, - ერთი ნუთით შევჩერდი, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, თითქოს უხილავი ხელი წერდეს ჩემ მაგივრად, - „კემელბერგი“.^[P]_[SEP]

- რა არის „კარლი“? - ვეკითხები ბავშვებს.^[P]_[SEP]

ერთი ხელს იწევს.^[P]_[SEP]

- კაცი, - ამბობს ბიჭუნა.^[P]_[SEP]

- და „კემელბერგი“? - გულდამძიმებული ვაგრძელებ შეკითხვებს მცირე პაუზის შემდეგ.^[P]_[SEP]

დუმილი. ბოლოს გოგონა იწევს ხელს.^[P]_[SEP]

- რაღაც ბიბლიიდან, - ამბობს დაეჭვებით. [P]
[SEP]

ცოტა ხანს შევცქერი. [P]
[SEP]

- არა, - ვპასუხობ შემდეგ, - არ არის სწორი. გეთისხილის მთა იგულისხმე ლიბანში, არა? [P]
[SEP]

შეცბუნებული გოგონა თავს მიქნევს. თავზე ხელს ვუსვამ: [P]
[SEP]

- ამ სიტყვას შემდეგ დავწერთ. ლიბანი ძალიან კარგი სიტყვაა. [P]
[SEP]

დაფიქრებული დავდივარ მერხებს შორის. დროგამოშვებით რვეულებს გემოდან გამომცდელ მზერას ვაწყდები. ღუმელთან ვდგები და ბავშვურ სახეებს შევცქერი. უმრავლესობა წესიერი და უშუალოა, ბოგი - ცელქი, ბოგი - სულელი; მაგრამ მხვდება სახეები, რომელთაც რაღაც ნათელი დაჰკრავს - მათთვის ცხოვრება ადვილი და უეკლო არ იქნება. [P]
[SEP]

უცებ სულიერი დაძაბუნება ვიგრძენი. ხვალ ნაცვალსახელებს გავივლით, ვფიქრობ, გეგ კარნახს დავწერთ, ერთი წლის შემდეგ კატეხიზმოდან ორმოცდაათი საკითხი გეპირად გეცოდინებათ, ოთხი წლის შემდეგ გამრავლების ტაბულის სწავლას დაინწყებთ; გაიზრდებით და ცხოვრებაც თავის მარყუჯებს მოგიჭერთ; ზოგიერთის ცხოვრება უფრო ბობოქარი იქნება, ზოგისა - უფრო მშვიდი, ერთფეროვანი. ყველას საკუთარი ბედისწერა გელით, ამას ვერ აიცილებთ; მე კი რას გიშველით, ჩემი ბრუნებებით ან გერმანიის მდინარეების სახელებით? თქვენ ორმოცნი ხართ - ორმოცი სხვადასხვა სიცოცხლე დგას თქვენს ზურგს უკან და თქვენ გელოდებათ. ნეტავ შემეძლოს თქვენი დახმარება, რა სიამოვნებით გავაკეთებდი ამას! მაგრამ ვის შეუძლია,

სხვას დაეხმაროს? შევძლებ კი, თუნდაც ადოლფ ბეთკეს დავეხმარო?

[P]
[SEP]

ზარი რეკავს. პირველი გაკვეთილი მთავრდება.[P]

მეორე დღეს მე და ვილი ქურთუკებს ვიცვამთ - საბედნიეროდ, ჩემი ქურთუკი უკვე მზადაა, - და პასტორთან სტუმრად მივდივართ. ეს ჩვენი მოვალეობაა.[P]

თავაზიანად, მაგრამ ძალზე თავშეკავებულად მიგვიღეს, რადგან სემინარიაში ჩვენი ამბოხების შემდეგ სოლიდურ წრეებში ცუდი სახელი გაგვივარდა. საღამოს სოფლის მამასახლისსაც უნდა შევხვდეთ, ესეც ჩვენს მოვალეობებში შედის. მას ვხვდებით დუქანში, რომელიც ამავე დროს ფოსტის ფუნქციასაც ასრულებს.[P]

მამასახლისი გაქნილი გლეხია, დაღარული სახით. პირველ ყოვლისა, ლუდს გვთავაზობს. შემოთავაზებას ვიღებთ. რამდენიმე გლეხი უერთდება ჩვენს სუფრას. თვალს გვიკრავენ, გვესალმებიან და თითოეული, თავის მხრივ, კიდევ გვთავაზობს ლუდს. ბრდილობიანად ვუჭახუნებთ ჭიქებს. გვაკვირდებიან და ერთმანეთს იდაყვს ურტყამენ, - სანყალი ქათმები, - ფიქრობენ ჩვენზე. მაშინვე ვამჩნევთ, რომ დათრობას გვიპირებენ. ალბათ ასე ხშირად იქცევიან; რადგან ქირქილით გვიყვებიან სხვა ახალგაზრდა მასწავლებლებზე, ჩვენამდე რომ იყვნენ აქ. ჰგონიათ, რომ სამი მიზეზის გამო, მალე მოგვტყდება კისერი: პირველი - მათი აზრით, ქალაქელები მათზე უფრო სუსტები არიან; მეორე - სკოლის მასწავლებლები განათლებული ხალხია და სმის საკითხში მოიკოჭლებენ; და მესამე - ახალგაზრდა ყმანვილებს

არც ისე დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეთ. ეს შეიძლება ადრინდელი სემინარისტებისთვის ზედგამოჭრილია, მაგრამ რაც შეგვეხება ჩვენ, ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს: რომ წლების განმავლობაში ჯარისკაცები ვიყავით და შნაპსს სამზარეულოს ქვაბებით ვხვრეპდით. გამონვევა მიღებულია. გლახებს მხოლოდ ჩვენთან ხუმრობა უნდათ, ჩვენ კი სამმაგად ვიცავთ საკუთარ ღირსებას, რაც შეტევისთვის ძალას გვმატებს.^[P SEP]

ჩვენ წინ მამასახლისი, სოფლის მწერალი და რამდენიმე ზორბა გლახი მის. როგორც ეტყობა, აქაურ მსმელებს შორის ყველაზე მაგრები არიან. ცბიერი გლახური ღიმილით გვიჭახუნებენ ჭიქებს. ვილი თავს ისე აჩვენებს, თითქოს უკვე შეჭიკტიკებულია. გარშემო ქირქილი მატულობს.^[P SEP]

ჩვენ თვითონ ვატარებთ წრეში ლუდში გარეულ არაყს, შემდეგ შვიდჯერ ვიმეორებთ. გლახებს ჰგონიათ, რომ ეს კისერს მოგვწყვეტს. ძალიან უკვირთ, ბუბს რომ არ ვიფრენთ და ჭიქას ჭიქაზე ვუჭახუნებთ. აღიარება გამოკრთა მათ გამომცდელ მზერაში. ვილი წარბშეუხრელად კიდევ ერთ წრეს უკვეთს: ^[P SEP]

- ლუდი აღარ გვინდა, რაიმეუფრო მაგარი მოგვიტანე! - გასძახის მიმტანს.^[P SEP]

- ეშმაკმა დალახვროს! ცარიელი შნაპსი? - ეკითხება მამასახლისი.^[P SEP]

- რა თქმა უნდა, თორემ ხვალ დილაზე მოგვინევს აქ ჯდომა, - ამბობს ვილი მშვიდად, - ლუდი გვაფხიზლებს!^[P SEP]

მამასახლისის თვალეში გაკვირვება კრთება. ერთ-ერთი გლეხი ენას ძლივს აბრუნებს და გვარნმუნებს, რომ მაგრად ვსვამთ! ორი დანარჩენი გვტოვებს. რამდენიმე ჩვენი მოწინააღმდეგე კი ჩუმადასხამს მაგიდის ქვეშ სასმელს.^[P SEP]

ვილი თვალყურს ადევნებს, რომ ვინმემ თავი არ აარიდოს სმას. აიძულებს, ხელები მაგიდაზე დააწყონ და ჭიქები ისე დაცალონ. ქირქილი წყდება. ჩვენ ვიმარჯვებით.^[P SEP]

კიდევ ერთი საათი გაფითრებულები დარბაზში და დარბაზს გარეთ დაბანცალებენ. მაგიდაზე ხალხის რაოდენობა იკლებს, მხოლოდ მამასახლისი და სოფლის მწერალი რჩებიან. იწყება დუელი ამ ორსა და ჩვენ შორის. უკვე თვალში გვიორდება, მაგრამ ის ორი რაღაც გაურკვეველს ჩიფჩიფებს, ეს ძალას გვმატებს.^[P SEP]

ნახევარი საათის შემდეგ, უკვე ყველანი რომ წამოვჭარხალდით, ვილი მთავარ დარტყმას აკეთებს.^[P SEP]

- ოთხი ჩაის ჭიქა კონიაკი, - ღრიალებს.^[P SEP]

მამასახლისი ბანცალებს. ჭიქები მოაქვთ. ვილი ჭიქებს აჩეჩებს.^[P SEP]

- პროსტ!^[P SEP]

მოგვმტერებიან.^[P SEP]

- ბოლომდე გამოწრუპეთ! - ამბობს ვილი და თმა ალისფრად უელავს, - აბა, ერთი მოსმით!^[P SEP]

სოფლის მწერალი თავს იცავს, მაგრამ ვილი არ ეშვება.^[P SEP]

- ოთხ ყლუპად, - სთხოვს მამასახლისი ძალიან ჩუმადა.^[P SEP]

- ერთ ყლუპად! - იჟინებს ვილი, დგება და ჭიქას უჭახუნებს, მეც

ვდგები.^[P]_[SEP]

- გაუმარტოს! პროსტ! თქვენო ბრწყინვალეზავ! თქვენთვის სპეციალურად!!! - ვუკიჟინებთ გაოგნებულ გლეხებს.^[P]_[SEP]

დასაკლავად გადენილი ხბორებივით შემოგვცქერიან და ერთ ყლუპს სვამენ.^[P]_[SEP]

- ბოლომდე, ნუ ცულლუტობთ! - ბრდღვინავს ვილი, - ადექით!^[P]_[SEP]

ისინი დგებიან, ადგილზე ქანაობენ და სვამენ; ყოველნაირად ცდილობენ, ბოლომდე არ დალიონ, ჩვენ ყაყანით ვუჩვენებთ ჩვენს დაცლილ ჭიქებს.^[P]_[SEP]

- პროსტ! ბოლომდე!^[P]_[SEP]

ისინი ჭიქებს აცარიელებენ. შემდეგ გაყინული თვალებით ნელა ეცემიან ძირს. ჩვენ გავიმარტვეთ; ნელ-ნელა წრუპვაში გვაჭობებდნენ, მაგრამ ჩქარ-ჩქარა სასმლის პირში ჩაპირქვავებას მიჩვეულნი ვართ. სმის ტემპის შეთავაზება ჩვენი შანსი იყო.^[P]_[SEP]

ბანცალით და ამაყად გადავხედეთ ბრძოლის ველს, ჩვენ გარდა ფეხზე არავინ დარჩენილა.^[P]_[SEP]

ფოსტალიონს, რომელიც ამავე დროს დუქნის მეპატრონეა, თავი დახლზე დაუდევს და თავის ცოლს დასტირის, რომელიც მშობიარობას გადაჰყოლია, როცა თვითონ ფრონტზე იყო. უჩვეულოდ ხმამაღლა სლუკუნებს:^[P]_[SEP]

- მართა, მართა...^[P]_[SEP]

მიმტანი გოგონა გვეუბნება, რომ ასეთ დროს სულ ასე მოთქვამს ხოლმე. ტირილი ყურს გვიხვრეტს, დროა წავიდეთ.^[P]_[SEP]

ვილი მამასახლისს მიათრევს სახლში, მე - უფრო მსუბუქ სოფლის მწერალს. ეს ჩვენი ტრიუმფის დაგვირგვინებაა. სოფლის მწერალს კარის წინ ვაწვენთ, ვაკაკუნებთ და ველოდებით, სანამ სინათლეს აანთებენ. მამასახლისს კი ელოდნენ, მისი ცოლი კარში დგას.^[P]_[SEP]

- უფალო იესო! - კივის, - ახალი მასწავლებელი! ასე ახალგაზრდა და ასეთი ლოთი! ეს ასე არ დამთავრდება!^[P]_[SEP]

ვილი ცდილობს აუხსნას, რომ ღირსების საქმე იყო, მაგრამ ენა ებმის.^[P]_[SEP]

- სად უნდა შევიყვანოთ? - ვეკითხები ბოლოს.^[P]_[SEP]

- აქ დატოვეთ, ეს ლოთბაზარა, - მტკიცედ ამბობს ქალი.^[P]_[SEP]

ჩვენ დივანზე ვაწვენთ. შემდეგ ვილი, ბავშვური ღიმილით, ქალს ყავას სთხოვს. ქალი ისე შესცქერის, თითქოს მის წინ პოტენტოტი იდგეს.^[P]_[SEP]

- ჩვენ ხომ ქმარი დაგიბრუნეთ, - უხსნის გაბრწყინებული ვილი.^[P]_[SEP]

ასეთი დაუჭერებელი თავხედობის წინაშე ეს მკაცრი დედაბერიც კი უკან იხევს. ის თავის ქნევით გვისხამს ყავას დიდ ჭიქებში და თან ჭკუას გვარიგებს. ჩვენ ყველაფერს ვეთანხმებით, ამ მომენტისთვის ასე ჭობს.^[P]_[SEP]

ამ დღიდან მოყოლებული, მაგარი კაცების რეპუტაციით ვსარგებლობთ სოფელში და დიდი პატივისცემით გვესალმებიან.^[P]_[SEP]

2.^[P]_[SEP]

დღეები უფერულად და თანაბრად მიედინება. დილით ოთხი საათი სკოლაში, ნაშუადღევს - ორი, მათ შორის კი უსასრულოდ

გაჭიანურებული დრო, უაზროდ აქვეთ-იქით ხეტიალი, მარტო დარჩენა საკუთარ თავთან და ფიქრებთან.<sup>[P]
[SEP]</sup>

ყველაზე ცუდი დღეები კი კვირადღეებია; თუ დუქანში არ ნახვალ, სულ მთლად აუტანელი ხდება. მთავარი მასწავლებელი, რომელიც ამ სკოლაში ასწავლის ჩემთან ერთად, ოცდაათი წელია აქ ცხოვრობს, ამ ხნის განმავლობაში შესანიშნავი მელორე დამდგარა და ბევრი ჭილდოც მიუღია. სხვა რამეზე მასთან საუბარი შეუძლებელია. მას რომ ვუყურებ, მინდება ყველაფერი მივატოვო და აქედან გავემგზავრო; ისე მაშინებს იმისი გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება, ოდესმე მას დავემსგავსო.<sup>[P]
[SEP]</sup>

აქ კიდევ ერთი მასწავლებელი ქალია, ხანში შესული, კეთილშობილი არსება, რომელიც იშმუშნება, თუ მისი თანდასწრებით „ემშაკმა წაიღოს“ წამოგცდება. არც ეს არის მაინცდამაინც იმედის მომცემი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვილი აქ უკეთ გრძნობს თავს. ის საპატიო სტუმარია ყველა ქორწილში და ნათლობაზე. როცა ცხენებს მუცელი წამოსტკივდებათ ანკვიცის გაჩენა უჭირთ, გლეხებს ეხმარება საქმით და რჩევებით, საღამოობით კი გლეხებთან ერთად დუქანში ზის და სკატს თამაშობს, თან კარგა მაგრადაც ატყავებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მე კი აღარ მინდა ლუდხანებში ყურყუტი, მირჩვენია, ჩემს ოთახში დავრჩე. საათები უსაშველოდ ჭიანურდება და კუთხეებიდან უცნაური ფიქრები მოძვრებიან, ფერმკრთალი, უსიცოცხლო ხელებივით გიხმობენ და გემუქრებიან. უცნაურად გარდასახული წარსულის

აჩრდილებივით კვლავ გეხვევიან მოგონებები, ნაცრისფერი, უსხეულო სახეები, ჩივილები და ბრალდებები...^[P]_[SEP]

ერთ ღრუბლიან კვირადღეს ადრე ვდგები, ვიცვამ და სადგურზე მივდივარ - მინდა, ადოლფ ბეთკე მოვინახულო. ეს კარგი გადანყვეტილებაა - ახლობელ ადამიანთან გავატარებ თავისუფალ დღეს და რომ დავბრუნდები, მოსაწყენი კვირადღეც უკვე ჩავლილი იქნება.^[P]_[SEP]

ნაშუადღევს ჩავდივარ. ჭიშკარი ჭრიალებს, ძალღი ყვეს. მე ჩქარი ნაბიჯით მივუყვები ხეხილის ხეივანს. ადოლფი სახლშია. მისი ცოლიც აქაა. როცა შევდივარ და ადოლფს ხელს ვართმევ, ქალი გადის. ვჭდები. ცოტა ხნის შემდეგ ადოლფი მეუბნება: ^[P]_[SEP]

- გიკვირს, არა, ერნსტ?^[P]_[SEP]

- რა, ადოლფ?^[P]_[SEP]

- ის რომ კვლავ სახლშია.^[P]_[SEP]

- არა, შენი საქმეა.^[P]_[SEP]

ხილით სავსე თასს მთავაბობს. ^[P]_[SEP]

- გინდა ვაშლი?^[P]_[SEP]

ერთს ვიღებ და სიგარას ვუნვდი. ადოლფი სიგარას ბოლოს აკვნეტს და აგრძელებს: ^[P]_[SEP]

- აი, ასეა საქმე, ერნსტ, აქ ვიჭექი და ვიჭექი, კინალამ გავგიჟდი. როცა მარტო ხარ, ასეთი სახლი საშინელებაა. ოთახებში დადიხარ, აქ მისი კოფთა გდია, იქ - მისი საკერავი, აქ არის სკამი, რომელზეც იჭდა, როცა კერავდა; ღამით კი, აქვე, გვერდით, თეთრი საწოლი დგას,

ცარიელი. ყოველ წუთს იქითკენ იხედები, ტრიალებ, ბორგავ და ვერ იძინებ. ამ დროს ბევრ რამეზე სხვანაირად იწყებ ფიქრს, ერნსტ.^[P SEP]

- დამიჯერე, ადოლფ...^[P SEP]

- მერე გარბიხარ გარეთ, ლოთობ და სისულელეებს სჩადიხარ.^[P SEP]

ვეთანხმები. საათი ნიკნიკებს. ღუმელი ტკაცუნობს. ქალი უხმოდ შემოდის ოთახში და მაგიდაზე კარაქსა და პურს დებს, შემდეგ ისევ გადის. ბეთკე მაგიდას ხელს უსვამს.^[P SEP]

- ჰო, ერნსტ, ასე მოხდა ყველაფერი, ისიც იტანჯებოდა, იჭდა და იჭდა მთელი ეს წლები... დასაძინებლად რომ მიდიოდა, სულ რაღაცის ეშინოდა, ვერ მიმხვდარიყო, ყველაფერს ყურს უგდებდა და ფიქრობდა და ფიქრობდა, ბოლოს კი ასე მოხდა. დარწმუნებული ვარ, რომ თავიდან ნამდვილად არ უნდოდა ეს, მაგრამ როცა უკვე მოხდა, თავს ვედარაფერი მოუხერხა. ასე იყო ყველაფერი.^[P SEP]

ქალი შემოდის და ყავა მოაქვს. მინდა მივესალმო, მაგრამ არ მიყურებს.^[P SEP]

- შენთვისაც ხომ არ მოიტანდი ჭიქას? ^[P SEP]

- ჯერ საქმე მაქვს სამზარეულოში, - ამბობს. ჩუმი, ღრმა ხმა აქვს.^[P SEP]

- ვიჭექი და ჩემს თავს ვეუბნებოდი: შენ შენი ღირსება დაიცავი, ის გააგდე. მაგრამ რა არის ღირსება, უბრალოდ სალაპარაკო მასალაა; ღირსებით თუ უღირსებოდ, მაინც მართო ხარ, საშველი არ არის. მერე ჩემს თავს ვუთხარი, დაე, დარჩეს, დაღლილი ხარ და სიცოცხლე სამუდამოდ არ გრძელდება, სიმართლე რომ არ გცოდნოდა, ხომ არაფერი შეიცვლებოდა-მეთქი; ყველამ რომ ყველაფერი იცოდეს, ვინ

იცის, რა მოხდებოდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ადოლფი ნერვიულად აკაკუნებს სკამის საბურგებე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დალიე ყავა, ერნსტ, კარაქიც ჭამე.<sup>[P]
[SEP]</sup>

მე ვასხამ და ჩვენ ვსვამთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ხომ გესმის, ერნსტ, - ამბობს ჩუმად, - თქვენთვის ადვილია, თქვენ წიგნები გაქვთ და განათლება და ბევრი სხვა რამ. მე კი - ამქვეყნად არავინ და არაფერი გამაჩნია, გარდა ცოლისა.<sup>[P]
[SEP]</sup>

არაფერს ვამბობ, ვერაფრით ავუხსნი, რას ვგრძნობ; ის ის აღარაა, რაც ფრონტზე იყო, მეც შევიცვალე. ცოტა ხნის შემდეგ ვეუბნები:<sup>[P]
[SEP]</sup>

- თავად რას ამბობს?<sup>[P]
[SEP]</sup>

ადოლფი ხელს იქნევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არაფერსაც არ ამბობს, ძნელია რამე ამოქაჩო, მის და გიყურებს, ხანდახან ტირის, ცოტას ლაპარაკობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჭიქას გვერდით სწევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ხანდახან ამბობს, ეს იმიტომ მოხდა, რომ მინდოდა, ვინმე მყოლოდა გვერდითო, შემდეგ კი გონება ამერია, არ ვიცოდი, ამით თუ რამეს დაგიშავებდი, მეგონა, ეს შენ იყავი ჩემთანო. მაგრამ ამის გაგება ხომ შეუძლებელია, უნდა მოახერხო, რომ ასე აურ-დაურიო ყველაფერი, ისე კი თითქოს გონიერია.<sup>[P]
[SEP]</sup>

მისმა ნათქვამმა დამაფიქრა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შეიძლება იმისი თქმა უნდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თავის თავს არ ეკუთვნოდა, თითქოს სიზმარში ცხოვრობდა, ადოლფ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შეიძლება, - მპასუხობს, - მაგრამ მე ამის გაგება არ შემეძლია. მათი ურთიერთობა ალბათ დიდხანს არ გაგრძელდება.^{[P][SEP]}

- ის ხომ უკვე დაივინცა? მასზე ხომ არაფრის გაგონება არ უნდა?^{[P][SEP]}

- ამბობს, აქ არის ჩემი სახლიო.^{[P][SEP]}

ამან დამაფიქრა. რაღა უნდა მეკითხა? ^{[P][SEP]}

- ასე უფრო კარგად ხარ, ადოლფ?^{[P][SEP]}

მიყურებს. ^{[P][SEP]}

- არცთუ მთლად, ერნსტ, არ იფიქრო, ჯერ არა. მაგრამ ალბათ ყველაფერიკარგად იქნება, ხომ ასეა?^{[P][SEP]}

ისეთი სახე აქვს, თითქოს თვითონაც არ სჯეროდეს თავისი სიტყვების.^{[P][SEP]}

- ნამდვილად ყველაფერი კარგად იქნება, ადოლფ, - ვეუბნები და ჩემი დანაზოგიდან რამდენიმე სიგარას მაგიდაზე ვდებ. ცოტას კიდევ ვლაპარაკობთ, შემდეგ მივდივარ. წინკარში ქალი მხვდება, რომელიც ცდილობს, გვერდით უჩუმრად ჩამიაროს. ^{[P][SEP]}

- ნახვამდის, ფრაუ ბეთკე, - ვეუბნები და ხელს ვუნვდი. ^{[P][SEP]}

- ნახვამდის, - მპასუხობს და ხელს მინვდის, ისე, რომ სახეში არ მიყურებს.^{[P][SEP]}

ადოლფი სადგურამდე მაცილებს. ქარი ქრის. მე გვერდიდან ვუყურებ და ვიხსენებ, როგორ იღიმებოდა სანგარში, როცა მშვიდობაზე ვლაპარაკობდით. მაინც რა მოგვივიდა!^{[P][SEP]}

მატარებელი გადის. ^{[P][SEP]}

- ადოლფ, - ვეუბნები ფანჯრიდან, - მე შენი ძალიან კარგად მესმის;

ვერც კი წარმოიდგენ, რა კარგად ^[P]_[SEP]

მარტო ბრუნდება უკან, მინდვრის გავლით ^[P]_[SEP]

ათი საათისთვის დიდი დასვენების ზარი დაირეკა. ახლახან დავამთავრე გაკვეთილი უფროს კლასში. თოთხმეტი წლის ბიჭებმა წინ ჩამიქროლეს. ფანჯრიდან ვადევნებ თვალს. ერთ წუთში მთლიანად იცვლებიან, სკოლის მოვალეობებს იხსნიან და კვლავ იბრუნებენ თავიანთი ასაკის სიჩაუქესა და უშუალობას ^[P]_[SEP]

ჩემ წინაშე, მერხებზე მსხდომნი, ნამდვილ სახეს მალავენ და თვალთმაქცობის, ქედმაღლობის, მლიქვნელობის ან მეამბოხეობის ნიღბებს ირგებენ. შვიდი წელი სკოლაში ყოფნამ ასწავლა მათ ეს. აქ თავიანთი მინდვრებიდან, თამაშებიდან, ოცნებებიდან მოვიდნენ, ახალგაზრდა მხეცებივით, ჯერ კიდევ გულწრფელნი, გაურყვნელნი; მათში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ამქვეყნად არსებული ყველა სულიერის საერთო კანონი - ყველაზე ძლიერი და ყველაზე ცოცხალი ხდება წინამძღოლი, დანარჩენები მას მიჰყვებიან. მაგრამ ყოველკვირეული ულუფებით მიღებულმა განათლებამ მათაც ღირებულებების ახალი, ხელოვნური კანონი დაუნესა: ვინც თავის ულუფას ყველაზე ყოჩაღად ამოხვრეპდა, დააჭილდოებდნენ და პირველი მოსწავლის სახელსაც მიანიჭებდნენ, სხვები მას უნდა მიჰყოლოდნენ. გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე ცოცხალი ბავშვები ამას ეწინააღმდეგებოდნენ; მაგრამ იძულებული ხდებოდნენ, ახალ კანონს დამორჩილებოდნენ, რადგან პირველი მოსწავლე - ეს სკოლის იდეალია. მაგრამ რა საცოდავი იდეალი! რა ემართებათ ამ პირველ მოსწავლეებს სკოლის გარეთა

სამყაროში მოხვედრისას! სკოლის სათბურში, წარმავალ, მოჩვენებით სამყაროში, თავიანთი უპირატესობით ტკბებიან, სკოლის შემდეგ კი უფერულობასა და მონურ უსახურობაში იძირებიან. სამყარო მხოლოდ ცუდ მოსწავლეებს მიჰყავთ წინ.^[56]

თვალყურს ვადევნებ მოთამაშეებს. ძლიერი, მოქნილი მოძრაობებით ხელმძღვანელობს მათ ხუჭუტმიანი დამპოლტი, თავისი ენერგიით მთელ მოედანს იპყრობს. თვალები უბრწყინავს შეტევის სურვილისა და სიამოვნებისგან, კუნთები დასჭიმვია და გამარჯვებისკენ სწრაფვას შეუპყრია, ბავშვებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან. ათ წუთში კი ეს ბიჭი ისევ იმ ბიჭად გადაიქცევა, წინ რომ მიზის -უხეშ, თავნება არსებად, რომელმაც არასოდეს იცის გაკვეთილი და ალბათ გაბაფხულზე კლასში დატოვებენ. ის უცოდველად შემომცქერის, როცა ვუყურებ, და თვალს მოვაშორებ თუ არა, მაშინვე მეტყვანება. თუ შევეკითხები, დავალება ხომ არ გადაგინერია-მეთქი, თვალის დაუხამხაბელად მატყუებს და, როგორც კი შემთხვევას იპოვის, შარვალზე მაფურთხებს ან სკამზე ქინძისთავს მიდებს. პირველი მოსწავლე, ახლა ებოში საწყალობელი გამომეტყველებით რომ დგას, საკლასო ოთახში უცებ იბრდება; დამპოლტი რომ ვერ პასუხობს და გაბოროტებული, კბილების კრაჭუნით ელოდება ხოლმე თავის ჩვეულ ორიანს, პირველი მოსწავლე თავდაჯერებით ინევს ხელს. საუკეთესო მოსწავლემ ყველაფერი იცის, ისიც იცის, რაც ახლახან გაკვეთილზე შევეკითხე. მაგრამ დამპოლტი, რომელიც ალბათ უნდა დამესაჯა, ათასჯერ

მირჩევნია იმ პირველ მოსწავლეს.^[55]

მხრებს ვიჩეჩ. ზუსტად იგივე არ იყო კონერსმანის რესტორანში შეხვედრაზე? იქაც ხომ ადამიანმა დაკარგა მნიშვნელობა და პროფესია გახდა ყველაზე ღირებული, მაშინ, როცა ადრე პირიქით იყო? რა სამყაროა ასეთი, სადაც დაბრუნებამ მოგვინია!^[56]

დამპოლტის ხმა მთელ მოედანს ფარავს. ვფიქრობ, ხომ არ აჯობებდა, მასწავლებლებს მოსწავლეებთან უფრო ამხანაგური დამოკიდებულება რომ ჰქონოდათ? აარ ვიცი, არ ვიცი... შეიძლება, ამით დისციპლინა გაუმჯობესებულიყო და ბევრი რამ თავიდან აგვეცილებინა, მაგრამ, საბოლოოდ, ეს მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა. საკუთარი გამოცდილებით ვიცი: ახალგაზრდობა გამჭრიახი და უანგაროა, ისინი ერთ მუჭად არიან შეკრული და მოზრდილების წინააღმდეგ დაუნდობლად იბრძვიან. ახალგაზრდობა სენტიმენტალური არ არის; მათ შეიძლება მიუახლოვდე, მაგრამ ახლოს არასოდეს მიგიშვებენ. ვინც ერთხელ გამოაძევეს სამოთხიდან, უკან ვეღარ დაბრუნდება. დამპოლტი, თავისი გამჭოლი მზერით, მასწავლებლის მეგობრულ დამოკიდებულებას აუცილებლად ცივად მიიღებდა და თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა; შეიძლება, თავისებური კეთილგანწყობა გასჩენოდა აღმზრდელის მიმართ, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლიდა, თავისი უპირატესობა გამოეყენებინა. ის აღმზრდელები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ახალგაზრდების ესმით, მეოცნებენი არიან. ახალგაზრდობა სრულებითაც არ მიისწრაფვის, რომ მათი ესმოდეთ; მათ სურთ, ისეთები იყვნენ, როგორებიც არიან.

მომზრდილი, რომელიც ენერგიულად ცდილობს მათთან დაახლოებას, ისეთივე სასაცილოა, როგორც ის ზრდასრული ადამიანი, ბავშვის ტანსაცმლის მორგებას რომ ცდილობს. ჩვენ შეგვიძლია ახალგაზრდებს გავუგოთ, მაგრამ ისინი ვერასოდეს გაგვიგებენ. ეს არის მათი ხსნა. [P]
[SEP]

ზარი ირეკება. შესვენებამთავრდება. დამპოლტი ვილაცასთან ერთად უხალისოდ დგება საკლასო ოთახის კართან, რიგში. [P]
[SEP]

სოფლის გავლით მინდვრისკენ მივდივარ. ვოლფი წინ მირბის. უცებ ერთ-ერთი გლეხის ეზოდან დოგი გამორბის და პირდაპირ ვოლფს ეცემა. ვოლფი მას ვერ ამჩნევს, ამიტომ დოგი პირველივე ნახტომით ძირს ანარცხებს. თვალის დახამხამებაში კი მიწაზე ავარდნილ მტვრის კორიანტელში ერთმანეთში გადახლართული სხეულების გორგალი ბრუნავს და ყრუ ღრენა გაისმის. ეზოდან გლეხი გამორბის, ხელში კეტი უჭირავს და შორიდან მეძახის: [P]
[SEP]

- ღვთის გულისთვის, მასწავლებელო, დაუძახეთ თქვენს ძაღლს! პლუტონი მას ნაფლეთებად აქცევს! [P]
[SEP]

მე ხელს ვიქნევ უარყოფის ნიშნად. [P]
[SEP]

- პლუტო! პლუტო! წყეულო, უკან! - ღრიალებს აღელვებული და სუნთქვაშეკრული ძაღლებს უახლოვდება გასაშვებლად; მაგრამ მტვრის გორგალი ასი მეტრით ინაცვლებს და იქ აგრძელებს ბრძოლას. [P]
[SEP]

- დალუპულია თქვენი ძაღლი, - ხვნეშის გლეხი და კეტს ძირს აგდებს, - მაგრამ ახლავე გაფრთხილებთ, არაფერს გადაგიხდით!

რატომ არ დაუძახეთ? [P]
[SEP]

- ვინ არის დალუპული? - ვეკითხები. [P]
[SEP]

- თქვენი ძაღლი, - იმეორებს გლეხი, - ამ წყეულ დოგს უკვე ათამდე ძაღლი ჰყავს მოყუჩებული. [P]
[SEP]

- ჰო, ვოლფი სხვებს არ ჰგავს, ცოტაც დავიცადოთ, - ვამბობ, - ეს ჩვეულებრივი ნაგაბი არაა, ჩემო ძვირფასო. ეს ომის ძაღლია, ბებერი ჯარისკაცი, გაიგეთ! [P]
[SEP]

მტვერი იფანტება, ახლა ძაღლები მინდორზე გავარდნენ. ვხედავ, როგორ ცდილობს დოგი, ვოლფი ძირს დაანარცხოს და ბურგზე უკბინოს. თუ ეს მოახერხა, ჩემი ძაღლი დალუპულია - დოგი ნეკნებს ჩაუმტვრევს. მაგრამ ნაგაბი გველივით მოქნილია, ორიოდ სანტიმეტრის მანძილზე უსხლტება მონინაალმდეგეს, შემდეგ ბრუნდება და უხმოდ თავს ესხმის. დოგი ღრინავს და წკავწკავებს. [P]
[SEP]

- დალახვროს ეშმაკმა! - ბურტყუნებს გლეხი. [P]
[SEP]

დოგი იფერთხება, ხტება, ჰაერს ისუნთქავს, გაცოფებული ტრიალდება და კვლავ ახტება - ისევ ააცილა, და გეჩვენება, თითქოს დოგი მარტოა, იმდენად შეუმჩნეველია ნაგაბი. კატასავით მიწასთან ახლოს აკეთებს ნახტომს, დოგს ფეხებში უძვრება, ქვემოდან კბენს, გარს უვლის, მისდევს, უცებ მუცელში ეცემა კბილებით და ძლიერად იჭერს. [P]
[SEP]

დოგი გაცოფებული ყმუილით ვარდება მიწაზე, ცდილობს, ისეთივე ილეთით დაიჭიროს ვოლფი; მაგრამ ნაგაბი ამით სარგებლობს, პირს უშვებს დოგს, ჩრდილივით გაიელვებს და სწრაფად სწვდება ყელში.

მხოლოდ ახლა, როცა ვოლფს მაგრად უჭირავს დოგი, რომელიც თავგანწირვით იბრძვის და მინაზე გორავს, პირველად მესმის ჩემი ძაღლის ბრაზიანი ღრენა. [P] [SEP]

- ღვთის გულისთვის, მასწავლებლო, - ყვირის გლეხი, - დაუძახეთ თქვენს ძაღლს! გაგლეჭს პლუტონს! [P] [SEP]

- რამდენიც უნდა ვეძახო, ახლა მაინც არ მოვა, - ვუბნები, - და ძალიან სწორადაც მოიქცევა; ჯერ კარგად გაუსწორდეს ამ საძაგელ პლუტონს. [P] [SEP]

დოგი წკავნკავებს და ყმუის. გლეხი კეტს იღერებს, ვოლფი რომ გააგდოს. მე მას კეტს ვართმევ და ვუყვირი: [P] [SEP]

- არ გაბედო, თქვენმა ნაბიჭვარმა პირველმა დაინყო! [P] [SEP]

მზად ვარ, ვცემო. [P] [SEP]

საბედნიეროდ, ვხედავ, რომ ვოლფმა პირი გაუშვა დოგს და ჩვენკენ მორბის - ეჩვენება, რომ მე დამესხნენ თავს. შევძელი მისი დაჭერა, თორემ, სულ ცოტა, გლეხი ქურთუკის გარეშე დარჩებოდა. [P] [SEP]

ამასობაში პლუტონი გაურკვეველი მიმართულებით ქრება. მე ვოლფს კისერზე ვეფერები, ვამშვიდებ. [P] [SEP]

- ოჰ, ეს ხორცშესხმული ეშმაკი ყოფილა! - ბურტყუნებს გლეხი. [P] [SEP]

- სწორია, - ამაყად ვამბობ, - ეს ბებერი ჯარისკაცია. ასეთთან საქმე არ უნდა დაიჭირო. [P] [SEP]

გზას ვაგრძელებთ, სოფლის უკან მინდვრებია, შემდეგ კი უკვე უკიდევანო დაბლობია, ეკალბარდებითა და ყორღანებით. არყნარის განაპირას ცხვრის ფარა გაშლილა. მისი დატალღული ზურგი

თქროსფრად ბრწყინავს ჩამავალი მზის სხივებში.<sup>[P]
[SEP]</sup>

უცებ ვხედავ, როგორ შერბის ვოლფი ცხვრის ფარაში. დოგთან მომხდარმა შემთხვევამ ხომ არ გააცოფა-მეთქი, ვფიქრობ და უკან მივდევ, ცხვარი რომ სისხლიანი სასაკლაოსგან ვიხსნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ფრთხილად! ყურადღებით, ძაღლია! - ვეძახი მეცხვარეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მეცხვარე იცინის:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს ხომ ნაგაზია, ცხვარს არაფერს დაუშავებს!<sup>[P]
[SEP]</sup>

- როგორ არა, - ვყვირი, - ძაღლს ცხვარი არ უნახავს! ეს ომის ძაღლია!<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს, - ამბობს მეცხვარე, - ომის ძაღლია თუ არა, არაფერს დაუშავებს, თქვენ თვითონ ნახავთ! ყოჩაღ, ძაღლო, მიდი! მოიყვანე!<sup>[P]
[SEP]</sup>

საკუთარ თვალებს არ ვუჭერებ. ვოლფი, ვოლფი - რომელსაც აქამდე ცხვარი არც კი დაენახა, ისე აგროვებს მათ, თითქოს თავის სიცოცხლეში სხვა არაფერი უკეთებიაო. ფართო ნახტომებით, ყფით მისდევს ორ გაქცეულ ბატკანს და უკან აბრუნებს. როგორც კი რომელიმე გაქცევას დააპირებს ან გაჩერდება, ყფით გზას უღობავს და უკან, ფარაში აბრუნებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყოჩაღ, - ამბობს მეცხვარე, - მხოლოდ პირს ავლებს ცხვარს, უშეცდომოდ აკეთებს ყველაფერს!<sup>[P]
[SEP]</sup>

ძაღლი შეიცვალა. თვალები უბრწყინავს, გაგლეჯილი ყური უფრიალებს, ფხიზლად გარს უვლის ფარას და ვხედავ, რომძალიან აღელვებულია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლავე ვიყიდი, - მეუბნება მეცხვარე, - ჩემს ძაღლებზე ნაკლები არ არის. შეხედეთ, როგორ მიერეკება ფარას სოფლისკენ! სწავლაც არ სჭირდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

არ ვიცი, რა მემართება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვოლფ, - ვეძახი, - ვოლფ, - და ვგრძნობ, ტირილი ამივარდება, ასეთს რომ ვხედავ. ის ხელყუმბარებისა და ჭურვების გრიალში გაიზარდა, არავის არაფერი უსწავლებია, და მაინც რა კარგად იცის, როგორ მოიქცეს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ასი მარკა და ერთი დაკლული ცხვარი, - ამბობს მეცხვარე.<sup>[P]
[SEP]</sup>

მე თავს ვიქნევ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მილიონ მარკადაც ვერ დავთმობ, გაიგე? - ვპასუხობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ახლა უკვე მეცხვარე იქნევს თავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მინდვრის ბალახის უხეში თავთავები სახეზე მცემს. გვერდზე ვწევ და თავს ხელებზე ვიდებ. ძაღლი ჩემ გვერდით მშვიდად სუნთქავს, შორიდან ცხვრის ფარის ფუნების სუსტი წკარუნი ისმის. სიმშვიდეა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ღრუბლები ტაატიტ მიცურავენ საღამოს ცაზე. მზე ჩადის, ღვიის ბუჩქების ბნელი სიმწვანე მუქ ყავისფერში გადადის და ვგრძნობ, როგორ უბერავს ღამის ქარი შორეული ტყეებიდან. ერთ საათში ქარი არყნარსაც შეუტევს. ჯარისკაცისთვის ბუნება ისეთივე ახლობელია, როგორც გლეხისა და მეტყვევისთვის - ისინი ხომ ოთახებში არ არიან გამოკეტილი; მათ იციან, როდის დაბერავს ქარი, ცნობენ დაბინდული საღამოების დარიჩინისებრ სურნელს, ცნობენ ჩრდილებს, მთვარის შუქსა და გზებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ფლანდრიაში, შეტევის ქარცეცხლმა რომ გაიარა, ერთ-ერთი დაჭრილისთვის დახმარებამ დაიგვიანა. სახვევები აღარ გვქონდა, მას კი კვლავ სისხლი სდიოდა, სისხლისგან იცლებოდა. ამ დროს ლამის ცას უზარმაზარი ღრუბელი შერჩენოდა, ერთადერთი ღრუბელი, მაგრამ მთასავით უზარმაზარი, თეთრად, ოქროსფრად და ნითლად შეღებილი; დიდებული და მშვენიერი, დაჰყურებდა დაცხრილულ ყავისფერ მიწას. მდუმარედ ანათებდა გარემოს. მომაკვდავი კი მდუმარედ იწვა და სისხლისგან იცლებოდა, თითქოს ბუნების მშვენიერებას შერწყმოდა. ვერ გამეგო, როგორ შეიძლებოდა, ღრუბელი ასეთი გულგრილი და მშვენიერი ყოფილიყო, როცა ადამიანი კვდებოდა. მზის უკანასკნელი სხივი დაბლობს პირქუშ, ნითელ ელფერს აძლევს. პრანნიები სანყალობელი ყაყანით ამოფრინდნენ. ტბებზე წყლის ბულის ყვირილი ისმის. მივშტერებივარ ფართო, მენამულ დაბლობს. ჰოტჰოულთან, მინდორში, უამრავი ყაყაჩო ამოვარვარებულიყო და მთლიანად გაენითლებინა იქაურობა. ჩვენ მას სისხლიანი ველი შევარქვით, რადგან ავდარში ამნუთას დაღვრილი, ჯერ კიდევ ახალი სისხლის ფერი ედო. როცა ჩვენ, დატანჯულებმა და დაღლილებმა, ამ მინდორს გვერდი ჩავუარეთ, კელერი ჭკუიდან გადავიდა. მთვარის მაცდურ შუქზე ეს მინდვრები სისხლის ტბებად მოეჩვენა და შიგ ჩასახტომად ინევდა...^[56]

ვიყინები და ზევით ვიყურები, რას უნდა ნიშნავდეს ეს? რატომ ვიგონებ ასე ხშირად ამ ყველაფერს? რატომაა ეს მოგონებები ასე უჩვეულო, სხვანაირი, ვიდრე იქ, ფრონტზე, რეალობაში? ხშირად ხომ

არ ვარ მარტო?<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩემ გვერდით ვოლფი ინძრევა და ძილში ჩუმად ყფფს. თავისი ფარა ხომ არ ესიზმრება? დიდხანს შევცქერი. შემდეგ ვალვიძებ და უკან ვბრუნდებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

შაბათია. ვილისთან მივდივარ და ვეკითხები, შაბათს ჩემთან ერთად ხომ არ წამოხვალ ქალაქში-მეთქი. მაგრამ ვილი ჩემს შეკითხვას თავს არიდებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ხვალ დატენილი ბატი გვექნება, მაგას ვერ გავაცდენ. რა გინდა ქალაქში?<sup>[P]
[SEP]</sup>

- შაბათობით აქ ველარ ვძლებ, - ვპასუხობ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენი არ მესმის, როცა აქ ასეთი კვებაა.<sup>[P]
[SEP]</sup>

მარტო მივემგზავრები, ვილის გარეშე. საღამოს, თავად არ ვიცი რატომ, ვალდმანის რესტორანში მივდივარ. იქ დიდი გამოცოცხლებაა. ცოტა ხანს დავბორიალებ და ხალხს ვათვალიერებ. აქ ბევრი ახალგაზრდაა, რომელთაც ომმა გვერდით ჩაუარა. ისინი უაზროდ დაეხეტებიან დარბაზში. თავდაჭერებულნი არიან, იციან, რა უნდათ. ყველაფერი ცხადია მათთვის, და ერთი მიზანი აქვთ: წარმატება. ჩვენზე გაცილებით უმცროსები და უფრო პრაქტიკულები არიან. მოცეკვავეთა შორის პატარა მკერავი ქალის გრაციოზულ ფიგურას ვხედავ, ვისთან ერთადაც ერთხელ უანსტეპში გავიმარჯვე. ვალსის საცეკვაოდ დავპატიჟე და შემდეგ არ დავმორებულვართ. ხელფასი ახალი აღებული მქონდა და რამდენიმე ბოთლი ტკბილი ნითელი ღვინო შევუკვეთე. ნელ-ნელა ვწრუპავთ. რაც უფრო მეტს

ვსვამ, მით უფრო უცნაური ნაღველი მიპყრობს. რა თქვა ალბერტმა მაშინ? ადამიანი გყავდეს, ახლობელი ადამიანი უნდა გყავდესო.^[P SEP]

ჩაფიქრებული ვუსმენ გოგონას ტიკტიკს, რომელიც მერცხალივით ჭიკჭიკებს თავის კოლეგებზე, იმაზე, რას უხდიან თეთრეულის შეკერვაში, ახალ ცეკვებსა და ათას უაზრო რამეზე. თუ საცალო ანაზღაურება ოც პფენინგამდე გაიზრდება, შეეძლება შუადღით რესტორანში ისადილოს, ეს მისთვის სრულიად საკმარისი იქნება. მშურს მისი ნათელი, მარტივი არსებობის და ათას კითხვას ვუსვამ. ასევე სურვილი მიჩნდება ყველა აქ მყოფს, ვინც იცინის და დროს ატარებს, ვკითხო, როგორ ახერხებს ასეთ ცხოვრებას... იქნებ რომელიმე მათგანმა მოახერხოს და ისეთი რამ მითხრას, ცხოვრებაში რომ დამეხმაროს.^[P SEP]

ჩიტუნია სახლამდე მივაცილე. ნაცრისფერი, მრავალბინიანი სახლის სხვენში ცხოვრობს, დაქირავებულ ოთახში. კართან ვჩერდებით. ხელში მისი ხელის სითბოს ვგრძნობ. სიბნელეში სახე თითქმის არუჩანს - სითბოთი და სიცოცხლით სავსე ადამიანის სახე.^[P SEP]

- შემომიშვი, - ვუბნები მხურვალედ, - შემომიშვი.^[P SEP]

ფრთხილად ავდივართ ჭრიალა კიბეზე. ასანთს ვანთებ. მაგიდა, ყავისფერი დივანი, სანოლი, რამდენიმე სურათი კედელზე, კუთხეში საკერავი მანქანა, მანეკენი და კალათა თეთრეულით.^[P SEP]

პატარას მკვირცხლად გამოაქვს სპირტქურა და ვაშლის ქერქისა და ძველი ნაყენისგან ახალ ჩაის ხარშავს. ორი ფინჯანი, მოცინარი, ოდნავ ეშმაკური სახე, გულის ამაჩუყებელი ცისფერი კაბა, ოთახის

გულითადი სიღარიბე, ჩიტუნია, რომლის მთელი სიმდიდრე მისი ახალგაზრდობაა. დივანზე ვჯდები. ნუთუ ასე იწყება სიყვარული? ასე ადვილად და თამაშ-თამაშით? ალბათ ამ დროს საკუთარ თავს უნდა გადაახტე.^[P SEP]

ჩიტუნია ძალიან საყვარელია. ეს ალბათ მისი პატარა ცხოვრების ნანილია: ვიღაც მოდის, ეფერება და ისევ მიდის; საკერავი მანქანა ბუზუნებს, სხვა მოდის, ჩიტუნია იცინის, ჩიტუნია ტირის და კერავს და კერავს. გოგონა პატარა, ჭრელ გადასაფარებელს აფარებს საკერავ მანქანას, რომელიც ნიკელისა და რკინის მუშა ცხოველიდან ლურჯ-ნითელ აბრეშუმის ბორცვად იქცევა. არ უნდა, რომ რაიმემ განვლილი დღე გაახსენოს. ჩემს მკლავებში მოკალათებულა და ენას არ აჩერებს, ბუზუნებს, ჩურჩულებს და მღერის მსუბუქ კაბაში გამონწყობილი, ისეთი გამხდარია და ფერმკრთალი, ცოტა მშიერი და ისეთი მსუბუქი, რომ თავისუფლად შეიძლება სანოლზე გადაიყვანო. ნაზი გამომეტყველებით მნებდება, ყელზე მეკიდება, კვნესის და დახუჭული თვალებით ბავშვივით იღიმება, ხვნეშის და თრთის და რალაცას ჩურჩულებს, ღრმად სუნთქავს; თვალს არ ვაშორებ, მეც მინდა ასეთი ვიყო და საკუთარ თავს ვეკითხები: - ეს ის არის? არის კი ეს ის? - შემდეგ ჩიტუნია ათასნაირ საალერსო სიტყვას მეუბნება, რცხვენია და ნაზად მეკვრის. წასვლისას ვეკითხები: „ბედნიერი ხარ, ჩიტუნია?“ - პასუხად ბევრს მკოცნის, მეჭყანება და თავს მიქნევს და მიქნევს.^[P SEP]

კიბებზე ჩავრბივარ, გაოცებული ვარ. ის ბედნიერია - ვერ გამიგია, რა უცებ მოხდა ყველაფერი... ის ხომ სხვა ადამიანია, საკუთარი

ცხოვრებით, რომელშიც ვერასოდეს შევალწევ? ასეთივე არ იქნებოდა, თავდავიწყებით რომ შემყვარებოდა? სიყვარული - ეს ის ლამაზარია, უფსკრულში რომ ვარდება და მის სიღრმეს ააშკარავებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

სადგურისკენ მივდივარ. არა, ეს ის არ არის. ახლა უფრო მეტად მარტოსულად ვგრძნობ თავს...<sup>[P]
[SEP]</sup>

[P]
[SEP]

მაგიდას ნათურა ანათებს, ჩემ წინ ცისფერი რვეულების გროვაა, გვერდით კი - ბოთლი წითელი მელნით. რვეულებს ვამონმებ, შეცდომებს ვხაზავ, საშრობს ვადებ და რვეულს ვხურავ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვდგები. ეს არის ცხოვრება? ეს მონოტონური, ერთფეროვანი დღეები და საათები, ჩემს ტვინს რომ ვერაფრით ავსებს? ძალიან ბევრი დრო მრჩება ფიქრისთვის. მეგონა, რომ ერთფეროვნება დამამშვიდებდა, მაგრამ ამან უფრო ამაფორიაქა. რა უსასრულოდ ჭიანურდება აქ ღამეები!<sup>[P]
[SEP]</sup>

გარეთ გავდივარ. სიბნელეში ძროხები ქმენენ და ფეხებს აბაკუნებენ, მათ გვერდით, ჯორკოზე, მოსამსახურე გოგონები სხედან და ძროხებს წველიან. ყოველი მათგანი თითქოს ამ მოშავო-მოყავისფრო პირუტყვის სხეულებისგან შექმნილ გალიაში ზის. მათ ზემოთ, ბოსლის თბილ ორთქლში შუქი ბჟუტავს, სათლებიდან რძე გადმოდის, ცისფერკაბიანი გოგონების სხეულები წველის ტაქტზე ირწევა. მწველავი ქალები მიყურებენ, იღიმიან, ჯანმრთელი კბილები

უელავთ, ბინდ-ბუნდში თვალები უბრწყინავთ. თივისა და პირუტყვის სუნი დგას.^[SEP]

ცოტა ხანს კართან ვდგავარ, შემდეგ ისევ ჩემს ოთახში ვბრუნდები. ნათურის ქვეშ ცისფერი რვეულები აწყვია - სულ ასე იქნება, მეც ასე ვიჭდები ყოველთვის, სანამ თანდათან არ დავბერდები და ბოლოს არ მოვკვდები! დაძინებას ვაპირებ.^[SEP]

წითელი მთვარე ნელა მიცურავს ბოსლის თავზე და იატაკზე ფანჯრის რაფების ჩრდილს აფენს, შუაში ირიბი ჭვრით; მთვარე მალლა ინევს და ჭვარიც ადგილს იცვლის; ერთი საათის შემდეგ ჭვარი საწოლზე მოძვრება და მისი ჩრდილი მკერდზე მეფინება. დიდ, ლურჯ-წითელ კუბოკრულ გლეხურ ლოგინში ვწევარ და ვერ ვიძინებ. ხანდახან თვალები მეხუჭება და თანდათან უკიდევანო უფსკრულში ვეშვები, მაგრამ უკანასკნელ წუთს უცებ მოვარდნილი შიში მაფხიზლებს და კვლავ მესმის ეკლესიის საათის რეკვა. ვუსმენ, ვიცდი და ლოგინში ვტრიალებ.^[SEP]

ბოლოს ვდგები, ვიცვამ, ფანჯრიდან მივძვრები, ძაღლს თან მივათრევ და მინდვრისკენ გავრბივარ. მთვარე ანათებს, ჰაერი ლივლივებს, ყურებში ქარი მიწივის, წინ ფართოდ გაშლილი ველია. ველზე მუქად მოჩანს რკინიგზის რელსები.^[SEP]

ღვიის ბუჩქის ქვეშ ვჭდები. ცოტა ხნის შემდეგ ვხედავ, როგორ ანათებს სასიგნალო შუქი ლიანდაგს. ღამის მატარებელი მოდის. რელსებს ლითონის ჩუმი გუგუნი გაუდის. ჰორიზონტთან ორთქლმავლის ფარები ელავს და გარემოს ანათებს. მატარებელში

ყველა ფანჯარა განათებულია. ერთი ნუთით მატარებელი თავისი კუპეებით, ჩემოდნებითა და იქ მყოფი ადამიანების ბედისწერით ძალიან ახლოსაა ჩემთან, შემდეგ კი კვლავ იკარგება და ბოლო ნათურა შორიდან გიზგიზა თვალივით მუქარით შემომცქერის. [P] [SEP]

ვხედავ, როგორ ემატება მთვარეს სინათლე. არყის ხეების ლურჯ ბინდბუნდში მივრბივარ, წვიმის წვეთები ტოტებიდან თავზე მესხმება, ფესვებსადა ტოტებზე ვბორძიკობ. ვბრუნდები. დილა უკვე ტყვისფრად შეღებილა. ნათურა კვლავ ანათებს. სასონარკვეთილი ვათვალიერებ ოთახს - არა, ამას ვეღარ გავუძლებ; ასე უბრალოდ რომ შეძლო ცხოვრება, ოცი წლით უფროსი მაინც უნდა იყო. [P] [SEP]

დაღლილი და ქანცგანწყვეტილი ვცდილობ, ტანთ გავიხადო, მაგრამ არ გამომდის. იმას კი ვახერხებ, რომ ჩაძინებისას მუშტები შევკრა - არ მინდა დავნებდე - არა, ჯერ არ დავნებდები. [P] [SEP]

შემდეგ ისევ უკიდევანო უფსკრულში ვეშვები... [P] [SEP]

...და ნელ-ნელა წინ მივინევი. ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. მგეს ცეცხლი უკიდია, ყვითელ ფერდობებზე კურდღლისცეცხლა ყვავის. ჰაერი ცხელი და ჩუმია, ჰორიზონტის ფონზე აეროსტატები და ბამბის თეთრი ქულები კიდია. ჩემი რკინის ჩაფხუტის წინ წითელი ყაყაჩოები ირხევა. [P] [SEP]

ბუჩქებიდან სუსტი, ძლივსგასაგონი ფაჩუნი მოისმის. შემდეგ კვლავ დუმდება ყველაფერი, კვლავ ვიცდი. ჩემ წინ, გვირილის ღეროზე, მომწვანო-მოოქროსფრო ხოჭო მიძვრება და საცეცებით ნაზად დაკბილულ ფოთლებს ეხება. შუადღის სიჩუმეში ისევ გაისმის

ძლივსგასაგონი ძრიალი. უცებ ბუჩქებიდან ჩაჩქნის კიდე გამოჩნდა, ჩაფხუტიდან - შუბლი, ღია თვალები და მკაფიოდ მოხაზული პირი. თვალები ყურადღებით ათვალიერებენ გარემოს და კვლავ ბლოკნოტის თეთრ ფურცლებს უბრუნდებიან. კაცი ხატავს, ვერ ამჩნევს საშიშროებას და წინ მდებარე სივრცის მონახაზს აკეთებს.^[SEP]

ხელყუმბარა ამომაქვს, ნელა, ძალიან ნელა. უკვე ახლოს მაქვს. მარცხენა ხელით ვგლეჯ თავს და უხმოდ ვითვლი. შემდეგ რკალისებურად ვისვრი მაყვლის ბუჩქებში და სასწრაფოდ ჩემს ხერელში ვძვრები. სხეულით მიწას ვეკვრი, სახეს ბალახებში ვრგავ და პირს ვაღებ. აფეთქების ხმა ჰაერს არღვევს, ნამსხვრევები ცვივა; გაბმული, საშინელი, გიჟური ყვირილი ისმის. ხელში მეორე ხელყუმბარა მაქვს და საფრიდან თვალებს ვაცეცებ. ინგლისელი მიწაზე გამხლართულა, ორივე ნვივი გაგლეჯილი აქვს, სისხლი მოჩქეფს. გამაშების ნაგლეჯები შეხსნილი სახვევებივით გრძლად დაჰკიდებია, მუცელზე წევს, ხელებს ბალახზე აფხაჭუნებს, პირი გაუხსნია და ყვირის.^[P]^[SEP]

აქეთ-იქით აწყდება და უცებ მამჩნევს, ხელებით მიწას ეყრდნობა, სელაპივით გაბნეილი რალაცას მიყვირის და იცლება, სისხლისგან იცლება... შემდეგ განითლებული სახე უფითრდება და უშემდება, თვალებში მზერა უქრება, პირი მხოლოდ შავ ღრმულად აჩნევია მომაკვდავ სახეს, რომელიც თანდათან მიწისკენ იხრება და გვირილებში იმალება. გათავდა.^[SEP]

წინ მივცოცავ და ჩვენს სანგარში დაბრუნებას ვცდილობ, მაგრამ

როცა კიდევ ერთხელ ვიხედები უკან, ვხედავ, მკვდარი ცოცხლდება, ფეხზე დგება, თითქოს უნდა დამედევნოსო... მეორე ხელყუმბარა ამომაქვს და ვესვრი... ერთი მეტრით ვაშორებ... ხელყუმბარა მიგორავს, ვითვლი, ვითვლი - რატომ არ ფეთქდება? მკვდარი დგას, კბილები დაუკრეჭია, კიდევ ერთ ხელყუმბარას ვესვრი - ისიც ვერ აღწევს მიზანს... ახლა უკვე რამდენიმე ნაბიჯს დგამს ჩემკენ, მოგლექილი ფეხებით მომდევს, იჭყანება, ხელებს ჩემკენ ინვდის... ბოლო ხელყუმბარას ვესვრი - მკერდში ხვდება, იჭერს და გვერდით ისვრის... ახლა კი ვხტები, რომ გავიქცე, მაგრამ მუხლები მღალატობს - კარაქივით მაქვს დარბილებული, ძალიან ნელა მივდივარ, მინაზე მაგრად ვარ მიწებებული, ძლივს მივათრევ ფეხებს, ვცდილობ, წინ წავიდე, უკვე მდევრის ქშენა მესმის, ხელებით უსიცოცხლო ფეხები მიჭირავს... მაგრამ ორი ხელი უკნიდან ყელში მწვდება და ძირს მანარცხებს, მკვდარი მუხლს მამბუნს მკერდზე, თავისი გამაშების ნაგლეჯებს იღებს და ყელზე მახვევს. თავს აქეთ-იქით ვიქნევ, ყველა კუნთი მეძაბება, მარჯვნივ ვინევი, მინდა, ყულფისგან ყელი გავითავისუფლო... უცებ ბიძგი, საშინელი ტკივილი ყელში... მკვდარი წინ მიმათრევს, კირის ორმოში, ქვევით მექაჩება, წონასწორობას ვკარგავ და ვცდილობ, თავი შევიმაგრო, ვსრიალებ, ვეცემი, ვყვირი, უსასრულოდ ვვარდები, ვყვირი, ვვარდები, ვყვირი...^[P. 58]

სიბნელე ნაწილ-ნაწილ იხსნება ჩემ ხელქვეშ, გვერდით რალაც ტკაცუნით ვარდება, ვეჭახები ქვებს, შვერილებს, რკინას. გულიდან ყვირილი მსკდება, ველური, გამყინავი, შეჩერებას ვერ ვახერხებ...

ჩემი ყვირილი რაღაც ხმებს ერთვის, ვიღაც ხელებს მიბორკავს, ვიღაცას ხელს ვკრავ, ვიღაც მანვება, შაშხანის აღებას ვახერხებ, თავშესაფარს ვეძებ, მტერს მხრებში ვწვდები, მიწისკენ ვწევი და ვყვირი, ვყვირი, ვყვირი... შემდეგ - თითქოს ბასრი დანა ჭრის კვანძს: ბირკპოლცი! და ისევ: ბირკპოლცი!... ფეხზე ვხტები; დახმარებამ მომისწრო, უნდა გავაღწიო, რაღაც უნდა დამიჭდეს, ვთავისუფლდები, გავრბივარ, ვიღაც მუხლებში მირტყამს, რბილ ორმოში ვვარდები, სინათლეზე... კაშკაშა, რბილი შუქი... ბირკპოლცი! ბირკპოლცი! - მაგრამ ჩემი ყვირილი ექოსავით ისმის სივრცეში... და აი, ისიც წყდება...^[P]_[SEP]

ჩემს საწოლთან სახლის პატრონი და მისი ცოლი დგანან. საწოლზე გარდიგარდმო ვწევარ, ფეხები იატაკზე მაქვს ჩამოყრილი, კნებტს მაგრად ვყავარ ჩაბლუჭული; გაშმაგებით ვებლაუჭები ტროსტს, თითქოს შაშხანა იყოს; ალბათ საიდანღაც სისხლი მდის, მაგრამ არა, - ძალი მილოკავს ხელს.^[P]_[SEP]

- მასწავლებელო, რა დაგემართათ? - მეკითხება გლეხის ქალი აკანკალებული ხმით.^[P]_[SEP]

- ვერაფერს ვხვდები. აქ როგორ მოვხვდი? - ვკითხულობ უხეშად.^[P]_[SEP]

- მასწავლებელო, გაიღვიძეთ, რაღაც გესიზმრათ.^[P]_[SEP]

- მესიზმრა, - ვამბობ, - ეს ნიშნავს, რომ სიზმარს ვხედავდი? - და უცებ ვიციანი, ვიციანი, ისე, რომ მხრები მტკივდება...^[P]_[SEP]

უცებ სიცილს ვწყვეტ.^[P]_[SEP]

- ინგლისელი კაპიტანი იყო, - ვჩურჩულებ, - ის, ძველი დროიდან...^[P]_[SEP]

კნესტი დაზიანებულ ხელს მიზღვს. [P]
[SEP]

- სიზმარი ნახეთ, მასწავლებელო, და სანოლიდან გადმოვარდით, -
ამბობს, - ვერაფერი გაგაგებინეთ, კინალამ მომკალით. [P]
[SEP]

მისი არ მესმის, მთლიანად ძალაგამოცლილი და გაუბედურებული
ვარ. უცებ ვამჩნევ, რომ ჭოხი მიჭირავს. ვაგდებ და სანოლზე ვჯდები.
ძალლი მუხლზე მელამუნება. [P]
[SEP]

- ერთი ჭიქა წყალი მომიტანეთ, დედილო შომაკერ, - ვამბობ, - და
დაიძინეთ. [P]
[SEP]

არ ვწვები. საბანში გახვეული მაგიდასთან ვჯდები. სინათლეს არ
ვაქრობ. [P]
[SEP]

ასე ვზივარ დიდხანს, წყნარად, გაშტერებული, ისე, როგორც
მხოლოდ ჭარისკაცებს შეუძლიათ ჯდომა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ
მოუსვენრობა მიპყრობს, თითქოს კიდევ ვიღაც არის ოთახში.
ვგრძნობ, როგორ ნელა მიბრუნდება მხედველობა. როცა თვალს
ოდნავ ვახელ, ვამჩნევ, რომ პირდაპირ სარკის წინ ვზივარ, რომელიც
პატარა პირსაბანს ზემოთ კიდია. მისი უსწორმასწორო ზედაპირიდან
შავთვალეებიანი, ჩრდილჩანოლილი სახე მიყურებს... ჩემი სახე. [P]
[SEP]

ვდგები, კედლიდან სარკეს ვხსნი და კუთხეში ვაყუდებ, პირით
კედლისკენ. [P]
[SEP]

თენდება. კლასში შევდივარ. პატარები ხელდანყობილნი სხედან და
მელოდებიან. მათ გაფართოებულ თვალებში ბავშვური შიშნარევი
გაკვირვება ასახულა. ისეთი ნდობითა და რწმენით შემომცქერიან,
რომ გულში ტკივილს ვგრძნობ... [P]
[SEP]

თქვენ წინაშე ვდგავარ, ასი ათასჯერ გაკოტრებული, ის, ვისაც ომმა ყველანაირი რწმენა და ძალა გამოაცალა; თქვენ წინაშე ვდგავარ და ვგრძნობ, ჩემთან შედარებით რამდენად ცოცხლები და ცხოვრებაზე მიჯაჭვულნი ხართ. აქ ვდგავარ, თქვენი მასწავლებელი და გზის გამკვალავი უნდა ვიყო. რა შემოიძლია გასწავლოთ? გითხრათ, რომ ოცი წლის ასაკში გამოიფიტებით და დამახინჯდებით? რომ თქვენს თავისუფალ მისწრაფებებს ბოლო მოეღება და ბოლოს ყველანი ერთგვაროვან, უფერულ მასად იქცევით? გითხრათ, რომ მთელი ეს განათლება, კულტურა და მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა ბოროტი დაცინვა, სანამ ადამიანები გაზით, რკინითა და ცეცხლით მოიპოვებენ მათ ღმერთისა და კაცობრიობის სახელით? რა უნდა გასწავლოთ მე თქვენ, პატარა არსებებო - თქვენ ხომ ერთადერთნი ხართ, ვინც ამ საშინელ წლებში სინმიხედ და სისუფთავე შეინარჩუნა?^[SEP]

რა შემოიძლია გასწავლოთ? გასწავლოთ, როგორ უნდა მოგლიჯოთ თავი ხელყუმბარებს და როგორ ესროლოთ ადამიანებს? გასწავლოთ, როგორ უნდა ხიშტის ჩხვლეტა, კონდახით მოგუდვა, საბრძოლო ნიჩბებით აჩეხა? გაჩვენოთ, როგორ უნდა მიაბჭინოთ თოფის ლულა ისეთ წარმოუდგენელ სასწაულს, როგორიცაა მსუნთქავი მკერდი, მფეთქავი ფილტვი, ცოცხალი გული? აგისხნათ, რა არის ტეტანუსი, გაგლეჯილი ხერხემალი, მოგლეჯილი თავის ქალის ნაწილი? აგინეროთ, როგორ გამოიყურება გადმოღვრილი ტვინი, დანაკუნებული ძვლები, გადმოყრილი ნაწლავები? წარმოგიდგინოთ,

როგორ კვნესიან მუცელში ტყვიამოხვედრილები, როგორ ხიხინებენ ფილტვებში დაჭრილები, როგორ უსტვენენ თავში დაჭრილები? სხვა რამ მე არ ვიცი! სხვა რამე არ მისწავლია! [P]
[SEP]

მიგიყვანოთ ამ მწვანე რუკასთან და თითოთ გაჩვენოთ, რომ აქ მოკლეს სიყვარული? აგიხსნათ, რომ წიგნები, ხელში რომ გიჭირავთ, მხოლოდ ბადეა, რომელიც თქვენს უბოროტო სულებს ყალბი სიტყვებისა და ცნებების მავთულხლართებში ახვევს? [P]
[SEP]

აქ ვდგავარ, თქვენ წინაშე, ჭკუციანი, დამნაშავე და გთხოვთ: დარჩით ისეთნი, როგორიც ხართ და არავის დაანებოთ, თქვენი ბავშვობის თბილი მუქი სიძულვილის ალად გადააქციოს! თქვენ, უცოდველებს, მე როგორ უნდა გასწავლოთ! მე კვლავ მდევნიან წარსულის სისხლიანი აჩრდილები - როგორ ვბედავ თქვენ შორის ყოფნას? ჯერ თავად ხომ არ უნდა ვიქცე ადამიანად? [P]
[SEP]

ვგრძნობ, როგორ ვიკრუნჩხები, თითქოს ვქვავდები და ვიმსხვრევი. ნელა ვეშვები სკამზე და ვაცნობიერებ, რომ აქ ვეღარ დავრჩები. ვცდილობ, აზრები მოვიკრიბო და ვერ ვახერხებ. მხოლოდ რალაც დროის შემდეგ, უსასრულოდ რომ მეჩვენება, ვდუნდები. ვდგები. [P]
[SEP]

- ბავშვებო, - ძლივს ვამბობ, - შეგიძლიათ ნახვიდეთ. დღეს თავისუფალი ხართ. [P]
[SEP]

პატარები მაკვირდებიან. უნდათ გაიგონ, ვხუმრობ თუ არა. თავს ვუქნევ. [P]
[SEP]

- მართლა გეუბნებით, წადით, ითამაშეთ, მთელი დღე შეგიძლიათ ითამაშოთ... ტყეში გაიქეცით, ან კიდევ სახლში კატას ან ძაღლს

ეთამაშეთ, ხვალ კი მოდით. [P]
[SEP]

ამის გაგონებაზე ხმაურით იღებენ აბგებს, საკალმეებს აბგებში ყრიან და ჭიკჭიკით, სულმოუთქმელად გარბიან გარეთ. [P]
[SEP]

მეც ვიღებ ჩემს ნივთებს და მემობელ სოფელში მივდივარ, ვილის რომ გამოვემშვიდობო. ის ფანჯარას მიყრდნობია და ვიოლინოზე უკრავს პიესას: „ყველა სიახლის მიზგზი საოცარი მაისია“. მაგიდაზე ხვავრიელად აწყვია საჭმელი. [P]
[SEP]

- უკვე მესამედ ვჭამ, - მიხსნის, - ვამჩნევ, რომ მარაგის დასაგროვებლად აქლემივით ვჭამ. [P]
[SEP]

ვეუბნები, რომ ამ საღამოს გამგზავრებას ვაპირებ. ვილი ის კაცი არ არის, ბევრი შეკითხვა რომ დასვას. [P]
[SEP]

- ერთ რამეს გეტყვი, ერნსტ, - მეუბნება დაფიქრებით, - აქ, მართალია, მონყენილობაა, მაგრამ სანამ ასეთი საჭმელი მექნება, - მაგიდაზე მითითებს, - პესტალოცის ათი ცხენიც ვერგამომმათრევს აქედან. [P]
[SEP]

ამ სიტყვებით დივნის ქვეშ მიძვრება და ყუთით ლუდი გამოაქვს - „ძლიერი დინება“. იცინის და ბოთლის ეტიკეტი სინათლესთან მიაქვს. [P]
[SEP]

დიდხანს ვუყურებ და ბოლოს ვეუბნები: [P]
[SEP]

- ბიჭო, ვილი, მინდა შენნაირი ვიყო! [P]
[SEP]

- მჭერა, - იცინის და ბოთლს ხსნის. [P]
[SEP]

სადგურზე მივდივარ. მემობელი სახლიდან თვალეზდათხაპნილი გოგონები გამორბიან, ნაწნავებში ჩაწნილი ბაფთები უფრიალებთ.

ახლახან დაუმარხავთ ბაღში მკვდარი თხუნელა და მისთვის ულოციათ. ახლა კნიკსენით

მემშვიდობებიან: [P]
[SEP]

- ნახვამდის, ბატონო მასწავლებელო [P]
[SEP]

ნაწილი მეექვსე [P] [SEP]

1. [P]
[SEP]

- ერნსტ, უნდა გელაპარაკო, - მეუბნება მამა [P]
[SEP]

წარმოვიდგინე, რა მელოდა; უკვე ექვსი დღეა, რაც შეშფოთებული სახით მივლის გარშემო და რაღაცას გადაკრულად ლაპარაკობს. მასთან საუბარს აქამდე თავს ვარიდებდი, რადგან იშვიათად ვარ სახლში [P]
[SEP]

ჩემს ოთახში შევდივართ. დივანზე ჯდება და შეწუხებული პირდაპირ იმბირება [P]
[SEP]

- შენი მომავალი გვაფიქრებს, ერნსტ [P]
[SEP]

წიგნის თაროდან სიგარეტის კოლოფს ვიღებ და ვთავაზობ. სახე ოდნავ უნათდება, რადგან კარგი სიგარეტია - კარლმა მომცა, და კარლი არყის ხის ქერქს არ ეწევა [P]
[SEP]

- მართლა მიატოვე მასწავლებლის ადგილი? - მეკითხება [P]
[SEP]

თავს ვუქნევ [P]
[SEP]

- რატომ გააკეთე ეს? ^[P]_[SEP]

მხრებს ვიჩეხ. არ ვიცი, როგორ ავუხსნა. ჩვენ ორი განსხვავებული ადამიანი ვართ და აქამდე მხოლოდ იმიტომ გვექონდა ასეთი კარგი ურთიერთობა, რომ არავითარი ურთიერთობა არ გვექონია. ^[P]_[SEP]

- კი, მაგრამ რა უნდა ქნა? - აგრძელებს შევითხვებს. ^[P]_[SEP]

- რაღაცას ვიზამ, - ვამბობ, - სულერთია. ^[P]_[SEP]

ის კიდევ უფრო შემინებული შემომცქერის, და ლაპარაკს იწყებს კარგ, პატივსაცემ პროფესიაზე, წინსვლასა და ცხოვრებაში ადგილის მოპოვებაზე. აღელვებული და მონყენილი ვუსმენ და ვფიქრობ, რა უცნაურია, რომ ეს კაცი, დივანზე რომ ბის, მამაჩემია, რომელიც ადრე ჩემს არსებობას განაგებდა. მაგრამ მან ვერ დამიცვა ომის საშინელებისგან, ყაზარმაშიც კი ვერ დამეხმარა; იქ ყოველი უნტერ-ოფიცერი მასზე ძლიერი იყო. ყველაფერი მარტო უნდა მომეგვარებინა, და სულერთი იყო, არსებობდა თუ არა მამა. ^[P]_[SEP]

ლაპარაკი რომ დაამთავრა, კონიაკი დავუხსი. ^[P]_[SEP]

- მისმინე, მამა, - ვეუბნები და გვერდით ვუჭდები, - შეიძლება მართალი ხარ, მაგრამ მე უკვე გამოვცადე მინათხრილში ცხოვრება, პურის ყუითა და წყალწყალა სუპით დაკმაყოფილება; და თუ სროლა არ იქნება, ეს ჩემთვის საკმარისია. დანგრეული ბარაკი სასახლედ მეჩვენებოდა, თივის ტომარა დასასვენებელ ქოხში - სამოთხედ. უნდა გაიგო: ის ფაქტი, რომ სროლა აღარ არის და მე ცოცხალი ვარ, სრულიად მაკმაყოფილებს. ცოტა სასმელს და საჭმელს, რაც მჭირდება, ვიშოვი, რაც შეეხება სხვა დანარჩენს - მთელი ცხოვრება

ნინ მაქვს. [P]
[SEP]

- კი, მაგრამ, - მეპასუხება მამა, - ეს ხომ ცხოვრება არაა, ასე გაურკვეველად... [P]
[SEP]

- და კიდევ, - ვამბობ, - მგონია, არც ის არის ცხოვრება, რომ მთელი სიცოცხლე ერთსა და იმავე საკლასო ოთახში ან ბიუროში გაატარო. [P]
[SEP]

გაკვირვებული მპასუხობს: [P]
[SEP]

- მე უკვე ოცი წელია ქალაქის ფაბრიკაში ვმუშაობ და იმას მივალნივ, რომ დამოუკიდებელი ოსტატი გავხდი. [P]
[SEP]

- მე არაფრის მიღწევა არ მინდა, მინდა უბრალოდ ვიცხოვრო. [P]
[SEP]

- მეც ყოველთვის პატიოსნად ვცხოვრობდი, - ამბობს და თვალები სიამაყით ევსება, - ტყუილად კი არ ამირჩიეს ხელოსანთა კავშირის მმართველობაში. [P]
[SEP]

- ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი ასე ადვილად გამოგივიდა, - ვეუბნები. [P]
[SEP]

- მაგრამ რაიმე პროფესია ხომ უნდა გქონდეს, - აგრძელებს ნუნუნს. [P]
[SEP]

- ახლა ერთ ჩემს ფრონტელ ამხანაგთან ვინყებ მუშაობას, მან შემომთავაზა, - ვეუბნები დასაწყნარებლად, - აუცილებელი ფული მექნება. [P]
[SEP]

საყვედურით იქნევს თავს: [P]
[SEP]

- და ამისთვის ამბობ უარს მშვენიერ სახელმწიფო სამსახურზე? [P]
[SEP]

- მე არაერთხელ მომიხდა რაღაც-რაღაცებზე უარის თქმა, მამა. [P]
[SEP]

დადარდიანებული მაგარ ნაფაზს აკეთებს: [P]
[SEP]

- სიბერეში პენსიაც გექნებოდა.^[P]_[SEP]

- კაი რა, - ვამბობ, - რომელ ჯარისკაცს მიუღწევია სამოცი
წლისთვის? იმდენი რამე გადავიტანე, მალე მიხვდები, რომ უფრო
ადრე დავბერდები.^[P]_[SEP]

რაც უნდა ვეცადო, თავი სამოცი წლისა ვერ წარმომიდგენია.
ძალიან ხშირად მინახავს, როგორ კვდებოდნენ ოცი წლის ბიჭები.
ვენევი და ფიქრებში ვიძირები.^[P]_[SEP]

ჩაფიქრებული ვუყურებ მამას. ვიცი, რომ მამაა ჩემი, მაგრამ
ამნუთას ჩემ წინ მხოლოდ კეთილი, ხანშიშესული კაცი ბის, ფრთხილი
და პედანტური, და მისი შეხედულებები ჩემთვის არაფერს ნიშნავს.
ადვილად წარმოვიდგენ მას ფრონტზე: მუდამ თვალი უნდა გჭეროდა
და, რა თქმა უნდა, ვერასდროს გახდებოდა უნტერ-ოფიცერი.^[P]_[SEP]

ნაშუადღევს ლუდვიგთან მივდივარ, წიგნებში და ბროშურებში
ჩაფლულა. ბევრ რამეზე მინდა ვესაუბრო, გული გადავუშალო; მგონია,
რომ მას შეუძლია გზა მიჩვენოს. მაგრამ დღეს ის თავად არის
აღელვებული და აფორიაქებული. კარგა ხანს უმნიშვნელი რამეებზე
ვლაყბობთ, შემდეგ ამბობს:^[P]_[SEP]

- ახლა ექიმთან უნდა წავიდე.^[P]_[SEP]

- ისევ ფალარათი გაქვს? - ვეკითხები.^[P]_[SEP]

- არა... რალაც სხვა...^[P]_[SEP]

- კი, მაგრამ რა, ლუდვიგ? - ვეკითხები გაკვირვებული.^[P]_[SEP]

ის დუმს, ტუჩები უკანკალებს. შემდეგ ამბობს:^[P]_[SEP]

- არ ვიცი.^[P]_[SEP]

- ნამოგყვები, საქმე მაინც არა მაქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ქუდს ეძებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, ნამოდი.<sup>[P]
[SEP]</sup>

გზაში ჩუმად გვერდზე იყურება. საოცრად დათრგუნვილი და მდუმარეა. ლინდენშტრასეზე ვუხვევთ და ერთ სახლში შევდივართ, რომელსაც პატარა ბალი აკრავს წინ, რამდენიმე გაუბედურებული ბუჩქით. მინანქრის თეთრ აბრაზენარწერაა: „ექიმი ფრიდრიხ შულზი - კანის, თმისა და ვენერული დაავადებების სპეციალისტი“. ადგილზე ვქვავდები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა მოხდა, ლუდვიგ?<sup>[P]
[SEP]</sup>

მიყურებს და თითქოს ვერ მამჩნევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არაფერი, ერნსტ. რაღაც პატარა მუნუკი მქონდა. ახლა ისევ ნამოყო თავი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თუ სხვა არაფერია, ლუდვიგ, - ვპასუხობ იმედმოცემული, - როგორი ფურუნკული არ მქონია! ეს ცუდმა კვებამ იცის.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვრეკავთ. თეთრებში ჩაცმული მონყალების და გვიღებს კარს. ძალიან დაბნეულები ვართ. ანთლებულები შევდივართ მოსაცდელ ოთახში. იქ, მადლობა ღმერთს, მარტონი ვართ. „დი ვოხეს“ მთელი დასტა დევს მაგიდაზე, ვფურცლავთ. საკმაოდ ძველი გამოცემებია, ბრესტ-ლიტოვსკის მშვიდობის პაქტის დროინდელი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ექიმი შემოდის. სათვალე უელავს. კარს ნახევრად გაღებულს ტოვებს. იქიდან ტყავგადაკრული ნიკელის სკამი მოჩანს, დამთრგუნველად პრაქტიკული და უსიამო.<sup>[P]
[SEP]</sup>

სასაცილოა, რომ ექიმები პაციენტებს პატარა ბავშვებივით ექცევიან. კბილის ექიმები დახელოვნებულნი არიან ამაში, მაგრამ როგორც ჩანს, ეს აქაც ჩვევაში აქვთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აბა, ჰერ ბრაიერ, - ანგლობს სათვალისანი გველი, - შემდგომში უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი მოჩვენებასავით დგას, სუნთქვაშეკრული.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს ხომ...<sup>[P]
[SEP]</sup>

ექიმი გამამხნეველად უკრავს თავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, სისხლის ანალიზი მივიღეთ. დადებითია. ახლა მაგრად უნდა მოვკიდოთ ხელი არამზადას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დადებითი, - ლულულებს ლუდვიგი, - ესე იგი, ეს ნიშნავს...<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, პატარა მკურნალობა უნდა ჩავიტაროთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს ნიშნავს, რომ სიფილისი მაქვს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო.<sup>[P]
[SEP]</sup>

უზარმაზარი ბუზი ოთახში დაბზუის და კედელს ეჭახება. დრო იყინება. ამ კედლებს შორის ჰაერი საოცრად ნებოვანი ხდება. სამყარო იცვლება. საშინელი წინათგრძნობა საშინელ სინამდვილედ იქცა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ხომ შეიძლება, შეცდომა იყოს? - ეკითხება ლუდვიგი, - არ შეიძლება, სისხლის ანალიზი გავიმეოროთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

ექიმი თავს იქნევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჯობს მალე დავინწყოთ მკურნალობა. მეორე სტადია გაქვთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი ნერწყვს ყლაპავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- იკურნება? ^[P]_[SEP]

ექიმი ცოცხლდება. სახე უბრწყინავს, რომ ამხელა ნდობა გამოიჩინეს მის მიმართ. ^[P]_[SEP]

- სავსებით. ნახევარ წელს ეს ამბულა უნდა შევიშხაპუნოთ. შემდეგ ვნახოთ. შეიძლება არაფერიც აღარ დაგვჭირდეს. ლუესი დღეს იკურნება. ^[P]_[SEP]

ლუესი - საზიზღარი სიტყვაა, ისე ჟღერს, თითქოს პატა, შავი გველი იყოს. ^[P]_[SEP]

- ფრონტზე აიკიდეთ? - ეკითხება ექიმი. ^[P]_[SEP]

ლუდვიგი თავს უქნევს. ^[P]_[SEP]

- რატომ მაშინვე არ იმკურნალეთ? ^[P]_[SEP]

- ვერ მივხვდი, რა იყო. ადრე არაფერი გამეგო ამგვარ რამეებზე. პირველად თავი რომ წამოყო, მაშინვე შევნიშნე; ძალიან უცოდველად გამოიყურებოდა. შემდეგ თავისით გაქრა. ^[P]_[SEP]

ექიმი თავს იქნევს. ^[P]_[SEP]

- დიახ, ეს მედლის მეორე მხარეა, - ამბობს სხვათა შორის. ^[P]_[SEP]

სიამოვნებით გავუხეთქავდი თავს აქვე მდგარი სკამით. ამ ესკულაპს წარმოდგენაც არა აქვს, რას ნიშნავს, როცა ომიდან სამი დღით ბრიუსელში მიდიხარ, სანგრებს, ნაგავს და სისხლს უკან მოიტოვებ და საღამოს მატარებლით ნათურებით, შუქით, მაღაზიებითა და ქალებით სავსე ქალაქში ჩადიხარ, სადაც ბრწყინვალე სასტუმროები და თეთრი აბაზანებია, სადაც შეგიძლია იტყუმპალაო და ჭუჭყი მოიშორო; ქალაქში, სადაც ტერასებზე წყნარი მუსიკა ჟღერს,

კაფეებში კი საუკეთესო მაგარ ღვინოებს გთავაზობენ. რა იცის მან იმ ცისფერი შემოღამების ჯადოქრობაზე, საშინელებასა და საშინელებას შორის რომ ჩამონოლილა; ღრუბლების ნაპრალში დანახული ლაჟვარდივითაა ეს ყველაფერი, ველური ყვირილივით, სიკვდილსა და სიკვდილს შორის. არავინ არის დარწმუნებული, რომ ცოტა ხანში დამტვრეული ძვლებით მავთულხლართებში არ გაეჩხირება და არ აღრიალდება, მომაკვდავი და წყურვილისგან გაგიჟებული. კიდევ ერთი ყლუპი მაგარი ღვინისა, ამ ზღაპრულ, არარეალურ სამყაროში ერთი თვალის შევლება ფერებისა, ოცნებებისა, ქალებისა, თრობა სულის ამაფორიაქებელი ჩურჩულით და იდუმალი, ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვებით, გაბოროტებისა და უიმედობის ჭუჭყიანი წლები რომ დადნეს და ტკბილ მოგონებებად და იმედებად იქცეს... ხვალ სიკვდილი კვლავ შემოიჭრება, სანგრებით, ხელყუმბარებით, ცეცხლის ალებით, სისხლით და განადგურებით - დღეს კი, თუნდაც ერთხელ, კიდევ შეგიძლია შეეხო სურნელოვან ნაზ კანს, რომელიც სიცოცხლესავით გიხმობს; გიზიდავს გულწამტანი ჩრდილები კეფაზე და რბილი ხელები. ცა იწვის, შრიალებს, ელავს და თავს გატყდება. ვინ იფიქრებს ამ დროს იმაზე, რომ ამ ჩურჩულსა და ძახილში, ამ სურნელში, ამ კანში შეიძლება ჩასაფრებული იყოს ლუესი; ვინ იცის ეს და ვის სურს, რომ იცოდეს, ვინ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე - ხვალ ყველაფერი შეიძლება დამთავრდეს... დაწყველილმა ომმა გვასწავლა მხოლოდ არსებული ნამით ცხოვრება.^{[P]_{SEP}}

- ახლა რა ვქნა? - კითხულობს ლუდვიგი.^{[P]_{SEP}}

- რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაინყოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაშინ ახლავე, - ამბობს ლუდვიგი მშვიდად.<sup>[P]
[SEP]</sup>

ის ექიმთან ერთად მისაღებ ოთახში შედის.<sup>[P]
[SEP]</sup>

მე მოსაცდელ ოთახში ვრჩები და „დი ვოხეს“ რამდენიმე ნომერს ვხევ, რომლებიც აღლუმებით, გამარჯვებებითა და ომით აღტაცებული პასტორის გამორჩეული სიტყვითაა აჭრელებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი ბრუნდება. ვეჩურჩულები:<sup>[P]
[SEP]</sup>

- სხვა ექიმს მიმართე, ამან არაფერი იცის, წარმოდგენაც არა აქვს.

<sup>[P]
[SEP]</sup>

არაქათგამოცლილი ხელს იქნევს. მდუმარედ ჩავდივართ კიბებზე. უცებ შეცვლილი სახით მეუბნება:<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, მაშინ ნახვამდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

ვუყურებ. დგას, მოაჭირს მიყრდნობია, მომუშტული ხელები ჭიბებში ჩაუნყვია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაინც რა მოხდა? - ვეკითხები შეშინებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლა მინდა ნავიდე, - მპასუხობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაშინ ტორი მაინც მომეცი, - ვეუბნები გაკვირვებული.<sup>[P]
[SEP]</sup>

აკანკალებული მპასუხობს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ალბათ უკვე გეზიზღება ჩემთან მოკარება, ახლა...<sup>[P]
[SEP]</sup>

დაბნეული, სანყალი, გამხდარი დგას მოაჭირთან ისე, როგორც სანგარში იდგა, სახეც ისეთივე ნაღვლიანი აქვს და დახრილი თვალებიც.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ლუდვიგ, ლუდვიგ, რა დაგემართა, მე შენთან მოკარება

მეზიზღება?! აჰ, მე ჩერჩეტო, შე სულელი არამზადა, აი, გესები და კიდევ ათასჯერ შეგეხები! - უცებ რალაც მემართება, ახლა უკვე ვლრიალებ, - ჯანდაბას, რა ვირი ვარ! - მხრებზე ვეხვევი, გულში ვიკრავ და ვგრძნობ როგორ კანკალებს. - აჰ, ლუდვიგ, ეს ყველაფერი სისულელია, შეიძლება მეც იგივე მჭირს, დანყნარდი, სათვალთან გველი ყველაფერზე პასუხს აგებს! [P][SEP]

ის კანკალებს და კანკალებს. მე კვლავ ჩაკრული მყავს... [P][SEP]

2. [P][SEP]

ნაშუადღევს ქალაქში დემონსტრაციებია გამოცხადებული. უკვე ერთი თვეა, რაც ფასები მატულობს, ომიანობის შემდეგ გაჭირვებაც გაიზარდა. ხელფასები საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს და ფულიც რომ გქონდეს, ვერაფერს იყიდი. სამაგიეროდ, სულ ახალ-ახალი რესტორნები და გასართობი დანესებულებები გაჩნდა და გადამყიდველები და თაღლითები მომრავლდნენ. [P][SEP]

ქუჩებში გაფიცული მუშების ჯგუფები დააბიჯებენ და აქა-იქ ჯგუფდებიან. ამბობენ, რომ სამხედროები ყაზარმებში მზადყოფნაში არიანო, მაგრამ ამის ნიშანი ჯერჯერობით არ არის. ისმის შეძახილები: „ძირს!“ და „გაუმარტოს!“ ქუჩის კუთხეში ვიდაცა ხალხს მოუწოდებს. უცებ ყველაფერი დუმდება. ნელა მოაბიჯებენ ოთხ-ოთხად დანყობილი, გახუნებულ სამხედრო უნიფორმაში გამონყობილი ადამიანები. ხელში პლაკატები უჭირავთ: „როგორ გვიხდის სამშობლო

მადლობას?"; „ომის ინვალიდები შიმშილობენ!“^[P]_[SEP]

პლაკატები ცალხელა ჯარისკაცებს მოაქვთ, უკან იყურებიან, ამონმებენ, სხვებს ხომ არ გაასწრეს. ისინი ხომ ყველაზე სწრაფები არიან.^[P]_[SEP]

მათ მოჰყვებიან უსინათლოები ნაგაბებით, ტყავის მოკლე ღვედებით. ძაღლებს ყელსაბამზე უსინათლოთა წითელი ჯვრები აქვთ გამოსახული. ყურადღებით მიუძღვებიან თავიანთ პატრონებს. როდესაც მწკრივი სიარულს წყვეტს, მაშინვე ცუცქდებიან და უსინათლოებიც ჩერდებიან. ხანდახან ქუჩის ძაღლები კუდის ქიცინითა და ყფით მირბიან ნაგაბებთან, სათამაშოდ და საკოტრილოდ. მაგრამ ბრმების ძაღლები თავს აბრუნებენ და ყურადღებას არ აქცევენ. ნაგაბები ყურებდაცქვეტილი მიდიან და ცოცხლად იყურებიან აქეთ-იქით, მაგრამ ისე დადიან, თითქოს სამუდამოდ უარი აქვთ ნათქვამი სირბილსა და ცელქობაზე, თითქოს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მოწოდებაო. უსინათლოების მეგზური ძაღლები ისე განსხვავდებიან თავიანთი თანამოძმეებისგან, როგორც მონყალების დები მხიარული გამყიდველი გოგონებისგან. შემოხეტებული ძაღლები დიდხანს არ ეთამაშებიან ბრმების ძაღლებს; რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ სასწრაფოდ გარბიან, თითქოს თავს შველიანო. მხოლოდ ყასბის უზარმაზარი ძაღლი არ ინძრევა, თათები შორიშორს დაუნყვია და სანამ მსვლელობა თვალს არ მიეფარება, დაჟინებით და საცოდავად ყმუის...^[P]_[SEP]

უცნაურია, ის უსინათლოები, ვინც მხედველობა ფრონტზე დაკარგა,

სხვანაირად მოძრაობენ, ვიდრე ბრმად დაბადებულები - უფრო სწრაფად და, ამავე დროს, უფრო ფრთხილად; მათ უამრავი წყვდიადით მოსილი წლის დამაჭერებლობა აკლიათ. მათში კვლავ ცოცხალია ფერების, ცის, შეღამების მოგონება. ისე იქცევიან, თითქოს ისევ თვალხილულნი იყვნენ, უნებურად მალლა ან გვერდზე იხედებიან, როცა ვინმეს ელაპარაკებიან, ვითომდა მოსაუბრეს ვხედავთ. უმრავლესობა შავ სახვევს არ ატარებს, თითქოს უიმისოდ უფრო კარგად შეიგრძნობენ სინათლეს და ფერებს. ბრმების დახრილ თავებს ზემოთ ფერმგამკრთალი მზე ჩადის. მაღაზიის ვიტრინებში პირველი შუქი ინთება. ეს ადამიანები კი თითქმის ვერ გრძნობენ რბილ და ნაზ სიოს შუბლზე - თავიანთი უხეში ფეხსაცმლით დააბიჯებენ მუდმივ წყვდიადში, ღრუბელივით რომ შემოხვევიათ და მათი ფიქრები საცოდავ ციფრებს დასტრიალებს, რომელიც მათთვის პურს, ჭერს და ცხოვრებას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ციფრები ციფრებადვე რჩებიან. ნელ-ნელა მათ დაბინდულ გონებაში შიმშილისა და გაჭირვების აჩრდილი იჩენს თავს. უსუსური, ყრუ შიშით მოსილნი, გრძნობენ მათ მოახლოებას, მაგრამ ვერ ხედავენ და არ შეუძლიათ რამე გააკეთონ, გარდა იმისა, რომ ერთად დადგნენ და ნელა იარონ ქუჩებში, სიბნელიდან შუქისკენ მიმართული სახეებით, უხმო ვედრებით თვალხილულთა მიმართ: თქვენ, თქვენ მაინც დაინახეთ.^[P SEP]

ბრმების უკან ცალთვალები მოდიან, თავში დაჭრილების დაგლეჯილი სახეები, მოღრეცილი, დასიებული პირები, უცხვირო და უნიკაპო თავები, ერთ დიდ, წითელ იარად ქცეული სახეები, ცხვირისა

და პირის ნაცვლად ბნელი ნახვრეტები რომ გასჩენიათ. ამ ჭრილობებს ბევრით კი ადამიანთა ნალვლიანი, კითხვით სავსე თვალები.^[P SEP]

მათ ინვალიდთა გრძელი რიგი მოჰყვება, მოკვეთილი ფეხებით. ბევრს ხელოვნური კიდური აქვს, მორაკუნებენ, ნკარუნებენ მათი ნაბიჯები ქვაფენილზე, თითქოს მთელი ადამიანი ხელოვნური, რკინისგან აწყობილიდა ჭანჭიკებით შეკრული იყოს.^[P SEP]

მათ კონტუზიანები მოჰყვებიან. ხელები, თავი, ტანსაცმელი, მთელი სხეული უთრთით, თითქოს შიშისგან კანკალებენო. ვერ მორევიან ამ კანკალს, მათი ნება დათრგუნვილია, კუნთები და ნერვები ტვინს არ ემორჩილება. თვალები გაყინული და უაზრო გახდომიათ. ცალთვალები და ცალხელები პატარა, დაწულთავსახურიანი ურიკებით მოაგორებენ მძიმედ დაჭრილებს, რომელთაც ახლა მხოლოდ ბორბლებიან სავარძელში შეუძლიათ ცხოვრება. მათ შორის არის ერთი ბრტყელი ურიკა, დურგლები საწოლებისა და კუბოების გადასატანად რომ იყენებენ. მასზე კუნძი დევს. ფეხები არა აქვს. ეს არის ძლიერი მამაკაცის ტორსი, მეტი არაფერი. მსუქანი კეფა და ფართო, დიდულვაშიანი, კეთილი სახე. ასეთი სახე ავეჯის გადამზიდველებს აქვთ. მის გვერდით აბრა მოჩანს, მიღრეცილ-მოღრეცილი ასოებით, რომელიც ალბათ თვითონ დაწერა. „მეც მინდა, დავდიოდე, ძმებო!“ სერიოზული სახით ზის, მხოლოდ ხანდახან ხელებს ეყრდნობა და ცოტათი იცვლის ადგილს, უფრო მოხერხებულად რომ დაჯდეს.^[P SEP]

კოლონა ნელა მიიწევს წინ. სადაც გაივლის, მაშინვე სიჩუმე

ისადგურებს. ჰაკენშტრასეს კუთხეში კი დიდხანს დგომა მოუწიათ, იქ ახალ რესტორანს აშენებენ საცეკვაო დარბაზით და ამის გამო ქუჩა გადაუკეტავთ ქვიშით, ცემენტის საზიდრებითა და ხარაჩოებით. ხარაჩოებს შორის, შესასვლელი კარის ზევით, მანათობელი აბრა ციმციმებს: „ასტორია, საცეკვაო დარბაზი და ბარი“. ურიკა, რომელზეც უფხებო ჯარისკაცი წევს, ზუსტად მის პირდაპირ ჩერდება. ელოდება, როდის აიღებენ რამდენიმე რკინის ძელს. ბნელ, მენამულ შუქს ავის მომასწავებლად შეუღებია მალლა ანეული სახე - აღაჟღაჟებული, თითქოს საშინელი ვნებისგან გასიებული, საშინელი ყვირილისთვის გამზადებული.^[56]

კოლონა სწრაფად აგრძელებს გზას და კვლავ - ავეჯის გადამზიდველის სახე ურიკაზე - ლაზარეთის გაფითრებული სახე, გაცრეცილი საღამოს ფონზე. ეს სახე მადლიერად იღიმება, როცა ამხანაგი პირში სიგარეტს უდებს. ჩუმად მიდიან ჯგუფები ქუჩაში, შეძახილების, პროტესტის გარეშე, მშვიდად, მხოლოდ ჩივილი და არავითარი ბრალდება - მათ იციან, ვისაც სროლა არ შეუძლია, დახმარებას არ უნდა ელოდეს. ისინი რატუმასთან დგანან და კარგა ხანს იქ იდგებიან, სანამ რომელიმე ჩინოსანი მათ სიტყვით არ მიმართავს, შემდეგ თავისუფლად წავლენ თავ-თავიანთ ოთახებში, თავიანთ პატარა ბინებში, თავიანთ ფერმკრთალ ბავშვებთან და ნაცრისფერ სიდუხჭირესთან, იმედგადაწურულნი, სხვების მიერ განსაზღვრული ბედის ტუსაღნი.^[57]

რაც მეტად ღამდება, ქალაქს მეტი მოუსვენრობა ეტყობა.

ალბერტთან ერთად ქუჩებს მივუყვები. ყოველ კუთხეში ადამიანები შევკრებილან. ქალაქში ჭორები დადის, მალე დემონსტრანტებს ჯარის ნაწილები შეეჯახებიანო. მარიენკირხეს შემოგარენიდან უკვე სროლის ხმა ისმის. ჯერ აქა-იქ, შემდეგ უფრო ძლიერად. მე და ალბერტი ერთმანეთს ვუყურებთ; შემდეგ უსიტყვოდ მივდივართ სროლის ხმის მიმართულებით.^[P SEP]

მეტი და მეტი ხალხი მორბის ჩვენკენ. „იარალი აიღეთ, ნეხვის გროვა ისვრის!“ - ყვირიან. ფეხს ვუჩქარებთ. ხალხის გროვაში გზას ვიკვლევთ, ახლა უკვე გავრბივართ - ძლიერი, საშიში მღელვარება წინ გვიბიძგებს. ვქმინავთ. ტკაცატკუცი ძლიერდება.^[P SEP]

- ლუდვიგ!^[P SEP]

ისიც ჩვენ გვერდით მორბის. ტუჩებმოკუმული, ყვრიმალეები წამოსწვია, თვალები ცივი და დაძაბული აქვს - ეს კვლავ მისი სანგრის სახეა. ალბერტისაც. ჩემიც. ჩვენ სროლა გვიბიდავს, როგორც შემზარავი, საგანგაშო სიგნალი.^[P SEP]

ბრბო ყვირილით უკან იხევს. ჩვენ გზას ვიკაფავთ. ქალები წინსაფრებით იფარავენ სახეს და გარბიან. საშინელი ღრიალი. დაჭრილები გაჰყავთ.^[P SEP]

ბაზრის მოედნისკენ მივდივართ. იქ უკვე რაიხსვერის ჯარები დაუყენებიათ. მქრქალად ანათებენ რკინის ჩაფხუტები. სადარბაზოსთან ქვემეხი დგას. ის საბრძოლო მზადყოფნაშია. მოედანი ცარიელია, მიმდებარე ქუჩებში ხალხი შეჭგუფებულია. წინ წასვლა სიგიჟეა. ქვემეხი მეფობს მოედანზე.^[P SEP]

და აი, ხალხიდან ერთი კაცი გამოდის. სრულიად მარტო. მის უკან, ქუჩაში, დულს, ბობოქრობს, სახლებთან გროვდება ბრბო.^[P SEP]

კაცი უკვე შორსაა. ეკლესიის ჩრდილიდან მოედნის შუაგულში, მთვარის შუქზე გადის. მკაფიო, მჭახე ხმა აფრთხილებს: ^[P SEP]

- უკან!^[P SEP]

კაცი ხელებს სწევს. მთვარე ისე ანათებს, რომ, როცა ლაპარაკს იწყებს, პირის ბნელ ღრუში თეთრად დაკრეჭილი კბილები მოუჩანს.^[P SEP]

- ამხანაგებო!^[P SEP]

მხოლოდ მისი ხმა არსებობს ეკლესიასა და რატუმის მასიურ შენობას შორის, მარტოა მოედანზე, მოფარფატე მტრედი. ^[P SEP]

- ამხანაგებო, დაყარეთ იარაღი! ძმებს არ ესროლოთ! დაყარეთ იარაღი და შემოგვიერთდით!^[P SEP]

არასდროს ყოფილა მთვარე ასე ნათელი. ცარცისფერი უნიფორმები რატუმის კიბეზე. ფანჯრები ციმციმებს. ეკლესიის კოშკურის განათებული ნახევარი მწვანე აბრეშუმის სარკვეს ჰგავს... ჭიშკრის ქვის რაინდები აალებული ჩაჩქანებით, ნიღაბახდილნი გამოდიან ჩრდილის კედლიდან.^[P SEP]

- უკან, თორემ გესვრით! - გაისმა ცივი ბრძანება. ^[P SEP]

მე ლუდვიგს და ალბერტს ავხედე. ეს ჩვენი ასმეთაურია! ეს ჰველის ხმაა! დაძაბულობა მახრჩობს, თითქოს სიკვდილით დასჯას ვესწრებოდე. ვიცი, ჰველი სროლის ბრძანებას გასცემს.^[P SEP]

სახლებთან ხალხის ბნელი ბრბო შეინძრა, ირყევა და დრტვინავს. დრო უსასრულოდ ჭიანურდება. კიბიდან ორი თოფიანი ჭარისკაცი

გამოდის და პირდაპირ მოედანზე მარტო მდგომისკენ მიემართება. თითქოს საუკუნე გადის, სანამ მასთან მივლენ, თითქოს მწვანე ჭაობში ადგილს ტკეპნიანო, მბრწყინავი მანეკენები შემართული თოფებით. კაცი მათ მშვიდად ელოდება. მიუახლოვდნენ, ის უმეორებს: [P]
[SEP]

- ამხანაგებო... [P]
[SEP]

მკლავებით წინ მიათრევენ. კაცი თავს არ იცავს. ისე სწრაფად მიათრევენ, რომ კინალამ იქცევა. ამ დროს უკნიდან ყვირილი გაისმა, ბრბო ამოძრავდა, ქუჩა ნელა, უნესრიგოდ წინ მიიწევს... [P]
[SEP]

მკაფიო ხმა ბრძანებას იძლევა: [P]
[SEP]

- სწრაფად წაიყვანეთ! ცეცხლს ვხსნი! [P]
[SEP]

დასაშინებელი ბათქი ჰაერში. [P]
[SEP]

მოულოდნელად კაცი ხელიდან უსხლტებათ, მაგრამ თავის გადასარჩენად კი არ გარბის, პირდაპირ ქვემეხთან მიდის. [P]
[SEP]

- არ ისროლოთ, ამხანაგებო! [P]
[SEP]

ჯერ არაფერი ხდება, მაგრამ როდესაც ბრბო ხედავს, რომ უიარალო კაცი გარბის, თვითონაც მას მიჰყვება, ეკლესიის სიახლოვეს, ვიწრო გასასვლელში ბობოქრობს. მოედანს იმწამსვე მრავალჯერად ექოდ გადაურბენს ბრძანება, ქვემეხის „ტაკ-ტაკ-ტაკ“ სახლებთან გრუხუნებს, სტვენით სკდებიან ტყვიები ქვაფენილზე. [P]
[SEP]

ელვის სისწრაფით ვეფარებით პირველივე სახლს. შემბორკავი, სამარცხვინო შიში მიჰყრობს, ეს შიში სულ სხვანაირია, ფრონტისას არ ჰგავს. შემდეგ გაცოფებაში გადადის. მარტოსულ კაცს ვხედავ, როგორ ბრუნდება და ეცემა, ფრთხილად ვიყურები კუთხიდან. ახლა კვლავ

ცდილობს ნამოდგეს, მაგრამ ვერ ახერხებს. ნელა უდუნდება ხელები, თავი უვარდება და, უსაზღვროდ დაღლილი, მთელი სხეულით მინაზე იმოტება. [P]
[SEP]

თითქოს ბრაზის გორგალი გამისკდა ყელში: [P]
[SEP]

- არააა! - ვყვირი, - არააა! [P]
[SEP]

სახლის კედლები გაარღვია ჩემმა ყვირილმა. [P]
[SEP]

ვგრძნობ, ვილაც გვერდით მიმათრევს. ლუდვიგ ბრაიერი მოედანზე გადის და სიკვდილის ბნელ ლოდთან მიდის. [P]
[SEP]

- ლუდვიგ! - ვეძახი. [P]
[SEP]

მაგრამ ის მიდის - მიდის. [P]
[SEP]

სასონარკვეთილი შევეყურებ. [P]
[SEP]

- უკან! - კვლავ გაისმის ბრძანება რატუმის კიბიდან. [P]
[SEP]

ლუდვიგი ერთი ნუთით ჩერდება. [P]
[SEP]

- გაეცით სროლის ბრძანება, ობერ-ლეიტენანტო ჰეელ! - ყვირის რატუმის მიმართულებით. წინ მიიწევს და მინაზე დაცემული კაცისკენ იხრება. [P]
[SEP]

ვხედავთ, რომ ერთი ოფიცერი კიბეზე ჩამოდის. არც კი ვიცით, როგორ აღმოვჩნდით ლუდვიგის გვერდით და ველით ადამიანს, რომელიც მხოლოდ ტროსტიტაა შეიარაღებული. კაცი ერთი ნუთითაც არ ყოყმანობს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამნი ვართ და, თუ მოვინდომებთ, ადვილად შეგვიძლია დავიჭიროთ, - ჭარისკაცები, იმის შიშით, რომ მას არ მოახვედრონ, ცეცხლს ვერ გახსნიან. [P]
[SEP]

ლუდვიგი სწორდება: [P]
[SEP]

- გილოცავთ, ობერ-ლეიტენანტო პეელ, ეს კაცი უკვე მკვდარია.^[P]
სისხლი მოჩქევს მოკლეულის ჯარისკაცური ქურთუკიდან და ქუჩაზე მიედინება. მარჯვენა სახელოსთან, წვრილ და ყვითელ ხელთან, სისხლი გუბდება და მთვარის შუქზე შავად ბრწყინავს.^[P]

- ბრაიერ, - ამბობს პეელი.^[P]
- იცით, ვინ არის? - ეკითხება ლუდვიგი.^[P]
პეელი მკვდარს ათვალიერებს და თავს იქნევს.^[P]
- მაქს ვაილი.^[P]
- მინდოდა გაქცეულიყო, - ამბობს პეელი ცოტა ხნის შემდეგ, თითქმის ჩაფიქრებული.^[P]

- ის მკვდარია, - პასუხობს ლუდვიგი.^[P]
პეელი მხრებს იჩეჩს.^[P]
- ის ჩვენი ამხანაგი იყო, - აგრძელებს ლუდვიგი.^[P]
პეელი არ პასუხობს.^[P]
ლუდვიგი ცივად ათვალიერებს.^[P]

- სუფთა ნამუშევარია!^[P]
მაშინ პეელი შეინძრა.^[P]
- მთავარი ეს არ არის, - ამბობს მშვიდად, - მთავარია მიზანი, სიმშვიდე და წესრიგი.^[P]

- მიზანი, - ეპასუხება ლუდვიგი ზიზღით, - როდის შემდეგ იხდით ბოდიშს? მიზანი! თქვენ საქმე გჭირდებათ - ეს არის ყველაფერი. ნაიყვანეთ თქვენი ხალხი უკან, რომ სროლა შეწყდეს!^[P]

პეელს მოთმინების ფიალა ევსება.^[P]

- ჩემი ხალხი დარჩება. უკან რომ დაიხიონ, ხვალ ათჯერ უფრო მეტი დაგვესხმება თავს, ეს თქვენც კარგად იცით. ხუთ წუთში ავიღებ ყველა გზაჯვარედინს. მანამდე დრო გაქვთ, თქვენი მიცვალებული რომ წაიყვანოთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- წაიყვანეთ, - გვეუბნება ლუდვიგი. შემდეგ კვლავ ჰეელს მიმართავს: - თუ ახლა წახვალთ, არავინ დაგესხმებათ თავს. თუ დარჩებით, თქვენი მიზეზით ახალი მკვდრები გაჩნდებიან. გესმით ეს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვიცი. - პასუხობს ჰეელი ცივად.<sup>[P]
[SEP]</sup>

ერთი წუთით ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ. ჰეელი სათითაოდ გვათვალიერებს. უცნაური წუთებია. რაღაც ტყდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

შემდეგ მაქს ვაილის სხეულს ვიღებთ და მიგვაქვს. ქუჩები კვლავ სავსეა ხალხით. რომ ვუახლოვდებით, ხალხი იწევა და გზას გვითმობს. გაისმის შეძახილი:<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნოსკეს ძაღლები! სისხლიანი პოლიცია! მკვლელები!<sup>[P]
[SEP]</sup>

მაქს ვაილის ზურგიდან სისხლი წვეთავს.<sup>[P]
[SEP]</sup>

უახლოვს სახლში შეგვყავს, ეს პოლანდიური პოლია. რამდენიმე სანიტარი უკვე აქ არის და საცეკვაო მოედანზე დანოლილ ორ დაჭრილს იარებს უხვევს. ქალი, წინსაფარი მთლად რომ დასისხლიანებია, კვნესის და სახლში წაყვანას ითხოვს. სანამ საკაცეს მოიტანენ და ექიმი მოვა, ძლივს იჭერენ - ქალი მუცელშია დაჭრილი. მის გვერდით კაცი წევს, რომელსაც ჯერ კიდევ სამხედრო ქურთუკი აცვია. ორივე მუხლი დაცხრილული აქვს. მისი ცოლი ჩაცუცქულა და

მოთქვამს: [P]
[SEP]

- მას ხომ არაფერი დაუშავებია! მხოლოდ ქუჩაში მიდიოდა! მე მას საჭმელი მოვუტანე! - ნაცრისფერმოძინანქრებულ ქვაბზე უთითებს. -
აი, მისი საჭმელი. [P]
[SEP]

ჰოლანდიური ჰოლის მოცეკვავეები კუთხეში მიყუჟულან. საქმეთა მმართველი აღელვებული დარბის აქეთ-იქით და კითხულობს, დაჭრილებს სადმე სხვაგან ხომ ვერ გადაიყვანთო. თუ ჭორები გავრცელდება ქალაქში, მის რესტორანს კარგი დღე არ ელის - აღარავინ მოვა აქ საცეკვაოდ. პორტიეს ოქროსფერ მუნდირში გამონყობილ ანტონ დემუთს საიდანღაც ერთი ბოთლი კონიაკი უშოვია და დაჭრილებს ასმევს. სასონარკვეთილი საქმეთა მმართველი მას რაღაცას ანიშნებს. ანტონი ყურადღებასაც არ აქცევს. [P]
[SEP]

- რას ფიქრობ, ფეხებს შევინარჩუნებ? - ეკითხება დაჭრილი, - მე მძღოლი ვარ! [P]
[SEP]

საკაცეები მოიტანეს. გარეთ კვლავ გაისმა სროლის ხმა. ჩვენ გარეთ გავრბივართ. [P]
[SEP]

- აყარეთ ქვაფენილი! - ყვირის ვიღაც და ნერაქვს ქვაფენილს ურტყამს. [P]
[SEP]

ფანჯრებიდან მოფრინავს ლეიბები, სკამები და საბავშვო ეტლები. მოედნიდან ისვრიან. ახლა უკვე სახურავებიდანაც პასუხობენ. [P]
[SEP]

- ლამპიონები ჩააქრეთ! [P]
[SEP]

ხალხიდან ვიღაც გამოდის და ნათურას რიყის ქვას ესვრის. მაშინვე ბნელდება. [P]
[SEP]

- კობოლე! - ყვირის ალბერტი. [P]
[SEP]

ის არის. ვალენტინიც თან ახლავს. სროლის ხმა ყველას მორევივით ითრევს. [P]
[SEP]

- წინ! ერნსტ, ლუდვიგ, ალბერტ! - ღრიალებს კობოლე, - ღორები, ქალებსაც ესვრიან! [P]
[SEP]

ჩვენ სახლის კარში ვწევართ, სროლა არ წყდება. ადამიანები ყვირიან, ხალხის მორევი გვითრევს. განადგურებულნი, სიძულვილისგან გაგიჟებულები ვართ. ქუჩებში სისხლი იღვრება, კვლავ ჭარისკაცები ვართ, წარსული დაგვეწია, ომი გრუხუნით და ცოფის ყრით გრიალებს ჩვენ ზევით, ჩვენ შორის, ჩვენში. ყველაფერმა ტყუილუბრალოდ ჩაიარა - ამხანაგობა ქვემეხმა დაცხრილა, ჭარისკაცები ჭარისკაცებს ესვრიან, ამხანაგი - ამხანაგს, ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა... [P]
[SEP]

3. [P] [SEP]

ადოლფ ბეთკემ თავისი სახლი გაყიდა და ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. [P]
[SEP]

ცოლთან შერიგების შემდეგ ერთხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ადოლფი თავის საქმეს აკეთებდა, ცოლი - თავისას და, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე იყო. [P]
[SEP]

მაგრამ სოფელში მითქმა-მოთქმა არ წყდებოდა. გავიდოდა თუ არა ქალი ქუჩაში, ზურგს უკან ბოროტი ხმები აედევნებოდა; შემხვედრი

ბიჭები თავხედურად პირში დასცინოდნენ; ქალები გვერდით ჩავლისას მრავლისმეტყველად წამოინფედნენ ქვედაკაბებს. ცოლი არაფერს ეუბნებოდა ადოლფს. მაგრამ ყველაფერ ამას ძლიერ განიცდიდა და სულ უფრო მეტად კარგავდა ფერს.^[P SEP]

ადოლფიც იმავე დღეში იყო. შევიდოდა თუ არა დუქანში, უცებ საუბარს წყვეტდნენ, ესტუმრებოდა ვინმეს - შემცბარი დუმილით იღებდნენ. ბოლოს ორაზროვანი კითხვების დასმაც გაბედეს, სმისას კი უკვე გადაკრული სიტყვებისგანაც არ იკავებდნენ თავს და აქა-იქ დამცინავი სიცილიც გაისმოდა. ადოლფმა არ იცოდა, რა უნდა ექნა; რატომ უნდა აეხსნა მთელი სოფლისთვის ის, რაც მხოლოდ მისი საქმე იყო. პასტორიც კი, დაინახავდა თუ არა, ოქროს სათვალისგან პირქუშად ახედ-დახედავდა. ეს ყველაფერი ტანჯავდა; მაგრამ არც ადოლფს უთქვამს რამე ცოლისთვის. კარგა ხანს ასე ცხოვრობდნენ, სანამ ერთ კვირადღეს თანასოფლელები ისე არ გათამამდნენ, რომ მის ცოლს, როცა ის ადოლფთან ერთად მოდიოდა, რაღაც მიაძახეს. ადოლფი წამოიხტა, მაგრამ ცოლმა ხელი მკლავზე დაადო:^[P SEP]

- შეეშვი, ამას ისე ხშირად აკეთებენ, რომ აღარც კი მესმის.^[P SEP]

- ხშირად? - უცებ მიხვდა, ყოველთვის რატომ დუმდა ცოლი. გაცოფებული გავარდა, დამძახებელს ყელში რომ სწვდომოდა, მაგრამ ის ამხანაგების ზურგს ამოეფარა.^[P SEP]

სახლში დაბრუნდნენ და ისე დანვნენ, რომ ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ. ადოლფი იწვა და მდუმარედ წინ იყურებოდა. უცებ გვერდიდან მოგუდული სლუკუნი შემოესმა. ცოლი საბნის ქვეშ

ტიროდა. ალბათ ხშირად უტირია ასე, როცა ადოლფს ეძინა. [P]
[SEP]

- დანყნარდი, მარი, - უთხრა ჩუმად, - ილაპარაკონ, რაც უნდათ. [P]
[SEP]

მაგრამ ქალი ვერ ჩერდებოდა. ადოლფი უსუსურად და მარტოსულად გრძნობდა თავს. სიბნელე მშვიდად ჩამონოლილიყო ფანჯრებს იქით, ხეები ბებერი ჭორიკანა ქალებივით შრიალებდნენ. ფრთხილად შეახო ცოლს მხარზე ხელი. ქალმა ცრემლიანი თვალებით შეხედა. [P]
[SEP]

- ადოლფ, გამიშვი, მაშინ შემეშვებიან... [P]
[SEP]

ადგა, სანთელი ჯერ კიდევ ენთო. ქალის ჩრდილი, კედელზე რომ დაფარუბატებდა, უჩვეულად გაბრდილიყო; ქალი კი, მკრთალ სინათლეში, დაპატარავებული და უსუსური ჩანდა. სანოლის კიდებზე იჭდა და წინდების ჩასაცმელად ხელი გაიწვდინა. საოცარია, უზარმაზარმა ჩრდილმაც იგივე გაიმეორა, როგორც მუნჯმა ბედისწერამ, ბნელი ფანჯრებიდან რომ შემოპარულიყო - და, დამცინავად მოქირქილემ, გროტესკულად, გადაჭარბებით ქალის ყველა მოძრაობის გამეორება დაიწყო, თითქოს თავის მსხვერპლს სადაცაა, სწვდება და მოზუზუნე სიბნელეში ჩაითრევსო. ადოლფი ადგა, თეთრი ფარდები ჩამოაფარა. უნდოდა, ღამის შემოჭრისგან დაეცვა დაბალჭერიანი ოთახი, ხარბთვალთან ბუსავით შავი, ოთხკუთხა ხვრელებიდან რომ შემოპარულიყო. [P]
[SEP]

ქალმა წინდები უკვე ჩაიცვა და ახლა ლიფის მორგება დააპირა. ამ დროს ადოლფი მასთან მივიდა. [P]
[SEP]

- მაგრამ, მარი... [P]
[SEP]

ქალმა შეხედა და ხელები დაუშვა. ლიფი ძირს დაუვარდა. ადოლფმა კვილი დაინახა ქალის თვალებში, ცოცხალი არსების კვილი, დაჭრილი მხეცის კვილი, უიმედო კვილი იმისა, ვისაც თავის დაცვა არ შეეძლო.^[P SEP]

ქალს მხრებზე მოხვია ხელი. რა თბილი და რბილი იყო, როგორ შეიძლებოდა მისთვის ქვების სროლა, ისინი ხომ თავიანთი ნებით შერიგდნენ? რატომ დევნიდნენ და ავიწროებდნენ ასე უმონყალოდ? ადოლფმა ცოლი თავისკენ მიიზიდა და ქალიც დაჰყვა, ხელები ყელზე შემოაჭდო და თავი მკერდზე დაადო. ასე იდგნენ გარინდულნი, ღამის პერანგებით. ერთმანეთს გრძნობდნენ და ერთმანეთის სითბოთი ცდილობდნენ გათბობას. სანოლის კიდებზე ჩამოსხდნენ. ცოტას ლაპარაკობდნენ, მათი ჩრდილები კედელზე თრთოდა, პატრუქი გვერდზე გადახრილიყო და სანთელიც ქრებოდა. ადოლფმა ცოლი კვლავ სანოლში ჩააწვინა, ეს ნიშნავდა: ჩვენ ერთად ვრჩებით, ჩვენ კიდევ უნდა ვცადოთ, - და უთხრა: ^[P SEP]

- აქედან წავალთ, მარი. ^[P SEP]

ეს გამოსავალი იყო ^[P SEP]

- კარგი, ადოლფ, წავიდეთ! ^[P SEP]

გულში ჩაეკრა და პირველად ატირდა ხმამაღლა. კაციც გულში იკრავდა ცოლს და უმეორებდა: ^[P SEP]

- ხვალ მყიდველი ვიშოვოთ, ხვალვე. ^[P SEP]

...და იმედის, სიბრაზისა და მწუხარების მორევში დაეუფლა ცოლს. სასონარკვეთა ვნებად იქცა. ქალი დანყნარდა და ტირილსაც უკლო,

როგორც ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე, ბოლოს კი ვნება ღონემიხდილობასა და მშვიდ სუნთქვაში გადაიზარდა. სანთელი ჩაქრა, ჩრდილები გაქრა, ქალს ჩაეძინა, მაგრამ ადოლფი კიდევ დიდხანს ფხიზლობდა ლოგინში და ფიქრობდა... ქალმა გვიან ღამით გაიღვიძა და იგრძნო, რომ წინდები არ გაუხდია. გაიხადა, გაასწორა და სკამზე დაანყო.^[P]_[SEP]

ორი დღის შემდეგ ადოლფ ბეთკემ თავისი სახლი და სახელოსნო გაყიდა. მალე იპოვა ბინა ქალაქში. ავეჯი გადაიტანეს. ძაღლის დატოვება მოუხდათ. ყველაზე მძიმე კი თავის ბაღთან დამშვიდობება იყო. ადვილი არ იყო ყველაფრის მიტოვება. ადოლფმა არ იცოდა, წინ რა ელოდა. ცოლი კი ყველაფერზე თანახმა იყო.^[P]_[SEP]

სახლი ქალაქში ბნელი და ნესტიანია, კიბის საფეხურები - ჭუჭყიანი, მთელ სახლში სამრეცხაოს სუნი დგას. ჰაერი მეზობლების სიძულვილისა და გაუნიავებელი ოთახებისგან არის დამძიმებული. სამუშაო არ პქონდათ, სამაგიეროდ ბევრი დრო რჩებოდათ ფიქრისთვის. ორივე უკმაყოფილო იყო. თითქოს, რასაც გამოეცნენ, იმისთვის თავი მაინც ვერ დაეღწიათ.^[P]_[SEP]

ადოლფი საათობით ზის სამზარეულოში, ბევრს ფიქრობს და ვერ გაუგია, რატომ არ შეუძლით ახლებურად ცხოვრება. როცა საღამოობით ერთმანეთის პირისპირ სხედან, როცა უკვე წაკითხული აქვთ გაზეთები და საჭმელი მაგიდიდან ალაგებულება, კვლავ თავს ატყდებათ დამთრგუნველი სიცარიელე. ადოლფი გრძნობს, რომ სული ეხუთება მუდმივი მიყურადებით, უსასრულო ფიქრით. ცოლი რაღაც

საქმეს ჰკიდებს ხელს, მონდომებით წმენდს ღუმელს. როცა ადოლფი ეუბნება: „მოდით აქ, მარი“, ქალი იატაკის ტილოს გვერდით დებს და უახლოვდება. ადოლფი თავისკენ იზიდავს ქალს და ეჩურჩულება, საბრალო და მარტოსული: „როგორღაც მოვერევით ამას, მარი“; ქალი ისევ ისევ, მდუმარედ თავს უქნევს; მას კი უნდა, რომ ცოლი მხიარული იყოს. ვერ გაუგია, რომ ეს მარტო ქალზე არ არის დამოკიდებული, არამედ მასზეც, რომ ოთხნლიანმა განშორებამ ერთმანეთს გადააჩვია და ახლა ერთმანეთზე დამთრგუნველად მოქმედებენ. „კარგი, რა, რამე მაინც მითხარი!“ - ღიზიანდება ადოლფი. ქალი შეშინებულია და მორჩილად რაღაცას ამბობს, რა ხდება სახლში ან სამზარეულოში, მაგრამ რაზე უნდა ილაპარაკოს? რა ხდება ისეთი განსაკუთრებული აქ, ამ სახლში ან სამზარეულოში? და თუ ორი უახლოესი ადამიანი იძულებულია, რომ აუცილებლად ილაპარაკონ რაღაცაზე, მაშინ, რამდენიც უნდა ილაპარაკონ, ვერაფერს ეტყვიან ერთმანეთს... ლაპარაკი კარგია, თუ სიტყვების მიღმა ბედნიერება იმალება, როცა სიტყვები თავისუფლად და ლაღად მოედინება, მაგრამ როცა ადამიანი უბედურია, დაეხმარება კი მას ისეთი ყალბი, არამდგრადი რაღაც, როგორიც სიტყვებია? მათგან უფრო მძიმდება ადამიანი.<sup>[P]
[SEP]</sup>

ადოლფი თვალს ადევნებს ქალის მოძრაობებს და მის მიღმა სხვა ქალს ხედავს, ახალგაზრდას, მხიარულს, ქალს თავისი მოგონებებიდან, რომლის დავინწყებაც არ შეუძლია. ეჭვი იპყრობს და გაღიზიანებული სახეში მიახლის:<sup>[P]
[SEP]</sup>

- კიდევ იმ ვაჟბატონზე ფიქრობ? <sup>[P]
[SEP]</sup>

და როდესაც ქალი ფართოდ გახელილი თვალებით შესცქერის, ის თავის დანაშაულს გრძნობს და ამიტომ აგრძელებს: ^[P]_[SEP]

- ასე თუ არ არის, რატომ შეიცვალე? ადრე ხომ სხვანაირი იყავი! მაშინ რატომ დაბრუნდი? შეგეძლო, იმასთან დარჩენილიყავი! ^[P]_[SEP]

ყოველი სიტყვა მასვე ტანჯავს, მაგრამ ვინ გაჩუმებულა ამის გამო! ის აგრძელებს ლაპარაკს, ქალი კი კუთხეში დგას, ონკანთან, სადაც სინათლე არ აღწევს და დაკარგული ბავშვივით ისევ ტირის. ^[P]_[SEP]

ჩვენ ყველანი ბავშვები ვართ, დაკარგული, სულელი ბავშვები და ჩვენს სახლში უსასრულო ღამეა ჩამონოლილი. ^[P]_[SEP]

ადოლფი ამას ვერ უძლებს, მიდის და უაზროდ დაეხეტება ქუჩებში, ვიტრინების წინ დგება და ვერაფერს ხედავს, იქით მიიწევს, სადაც სინათლეა. მატარებლები გუგუნებენ, მანქანები მიქრიან, ადამიანები ერთმანეთს ეჭახებიან, ლამპიონების ყვითელი სინათლეების ქვეშ კი ბოზები დგანან, თეძოებს იქნევენ, იცინიან და ერთმანეთს ეკინკლავენ. ^[P]_[SEP]

- მხიარული ხარ? - ეკითხება ერთ-ერთ მათგანს ადოლფი და მას მიჰყვება, კმაყოფილი იმით, რომ რაღაც სხვას ნახავს და მოისმენს. შემდეგ კი კვლავ დაბოროტდება. სახლში წასვლას არ აპირებს, მაგრამ სახლი მაინც იზიდავს, ლუდხანებში შედის და ბევრს სვამს. ^[P]_[SEP]

ასე ვპოულობ მას, ვუსმენ და ვუყურებ, როგორ ზის აქ, ამღვრეული თვალებით, სიტყვებს ისვრის და სვამს: ადოლფ ბეთკე, ყველაზე წინდახედული, საუკეთესო ჭარისკაცი, ერთგული მეგობარი, ბევრს რომ დახმარებია და ბევრიც გადაურჩენია. ფრონტზე, მანათობელი

ტყვიების ზუზუნში, გამუდმებული შეტევისა და ამდენი სიკვდილის ხილვისგან ნერვები დანყვეტაზე რომ მქონდა, ჩემი საუკეთესო დამცველი და იმედი იყო, დედა და ძმა. გვერდიგვერდ გვეძინა სველ სანგრებში, მივლიდა, ავად რომ ვიყავი. ყველაფერი შეეძლო, ყველაფერი იცოდა, ყოველთვის რჩევას მაძლევდა, ახლა კი მავთულხლართში თავად გახლართულა, ხელებიდან და სახიდან სისხლი სდის და თვალები ამღვრევია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბიჭო, ერნსტ, - მეუბნება უიმედო ხმით, - ნეტავ ფრონტზე დავრჩენილიყავით, ერთად მაინც ვიქნებოდით.<sup>[P]
[SEP]</sup>

არაფერს ვპასუხობ - მხოლოდ ჩემს სახელოებს შევცქერი, მასზე წითლად გადღაბნილ სისხლის ლაქებს; ეს ვვილის სისხლია, რომელიც ჰეელის ბრძანებით დახვრიტეს. ასეთები ვართ ახლა. ომი გრძელდება; მაგრამ ამხანაგობა მოკვდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

4.^{[P] [SEP]}

ტიადენი და მისი ცხენის საყასბო ქორწილს იხდიან. ცხენის ხორცით ვაჭრობა ნამდვილი ქერის ორმო აღმოჩნდა ტიადენისთვის და მისი სიყვარულიც მარიხენისადმი ამის პირდაპირპროპორციულად გაიზარდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ხვალ დილით სიძე-პატარძალი მერიაში და შემდეგ - ეკლესიაში, ჭვრის დასაწერად, შავად გალაქული, შიგნიდან თეთრაბრემუმგამოკრული ეტლით მიემგზავრება, რომელშიც ოთხი

ცხენი იქნება შებმული. ეს, რა თქმა უნდა, სავსებით შეეფერება საქმოსანს, რომელიც ცხენის ხორციით ვაჭრობს. ვილი და კობოლე მეჭვარეები არიან. ვილიმ, ამ საზეიმო ვითარებასთან დაკავშირებით, ნაღდი ტილოს თეთრი ხელთათმანი იყიდა, რაც დიდ ძალისხმევად დაუჭდა. კარლმა მისთვის ხუთი-ექვსი ორდერი იშოვა, მაგრამ მაინც ორი დღე მოანდომა ხელთათმანის ძებნას - ვილის ზომა არსად აღმოჩნდა. ბოლოს კი მათი მცდელობა წარმატებით დასრულდა. თოვლივით თეთრი ტომრები, რომელიც ვილიმ, როგორც იქნა, ხელში ჩაიგდო, ძალიან უხდება მის ახალშეღებილ სავიზიტო ქურთუკს. ტიადენს ფრაკი აცვია, მარიხენი შლეიფიან საპატარძლო კაბაშია გამოწყობილი და საპატარძლო გვირგვინი უჭირავს.^[P SEP]

თუმცა მერიაში გამგზავრებამდე რაღაც ხდება. კობოლე მოდის, ხედავს ტიადენს ფრაკში და საშინელი ხარხარი უტყდება. ცოტა ხნით მშვიდდება, შემდეგ კიდევ იხედება იქით, სადაც მაღალი საყელოს ზემოთ ტიადენის პარტყუნა ყურები ელავს, და ისევ თავიდან იწყებს, არაფერი შველის. საქმე რთულდება: კობოლემ ეკლესიაშიც რომ ასე იხითხითოს, ჯვრისწერას ჩაშლის; ამიტომ, ეს რომ არ მოხდეს, უკანასკნელ მომენტში მე მნიშნავენ ხელისმომკიდედ. მთელი საცხენოსნო საყასბო საზეიმოდ არის მორთული: შესასვლელში ქოთნის ყვავილები და ნორჩი არყის ხეებია, და თვით სასაკლაოც კი ნაძვის ტოტების გირლანდებით არის მორთული; იქ ვილი, დამსწრეთა გამამხნევებელი შეძახილების თანხლებით, კიდებს აბრას, რომელზეც წერია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“^[P SEP]

რა თქმა უნდა, სუფრაზე ცხენის ხორცი არ მოუტანიათ; ლანგრებზე საუკეთესო ღორის ხორცს ასდის ორთქლი, ცენტრში კი, უზარმაზარ ლანგარზე, შემწვარი ხბოს ხორცია, წვრილად დაჭრილი. [P]
[SEP]

მას შემდეგ, რაც ხბოს ხორცს ბოლო მოუღო, ტიადენი ფრაკს იხდის და საყელოსაც იხსნის. ეს უადვილებს კოზოლეს, ბოლოს და ბოლოს, საქმეს მიხედოს, რადგან აქამდე იძულებული იყო, გვერდზე არ გაეხედა, სიცილით რომ არ მომკვდარიყო. ჩვენც ტიადენის მაგალითს მივბაძეთ და უკეთ ვიგრძენით თავი. [P]
[SEP]

ნაშუადღევს ტიადენის სიმამრი რაღაც დოკუმენტს გვიკითხავს, რომლის მიხედვითაც დღეიდან ის საყასბოს თანამფლობელია. ჩვენ ვულოცავთ; თეთრხელთათმანიან ვილის ფრთხილად შემოაქვს ჩვენი საქორწილო საჩუქარი: სპილენძის ლანგარი, არყის თორმეტი თლილი ჭიქით; ამასთანავე, სამი ბოთლი კონიაკი კარლის მარაგიდან. [P]
[SEP]

ლუდვიგმა ცოტა ხნით შემოირბინა. ჩაცმულობით ყველასგან განსხვავდება, ტიადენის დაჟინებული თხოვნით უნიფორმა აცვია - ტიადენს სურს ხალხს დაანახოს, რომ ნამდვილ უნტერ-ოფიცერთან მეგობრობს. მალევე მიდის. ჩვენ მანამდე არ მივდივართ, სანამ სუფრაზე მარტო ძვლები და ცარიელი ჭიქები რჩება. [P]
[SEP]

როცა, ბოლოს და ბოლოს, ქუჩაში გავდივართ, უკვე შუაღამეა. ალბერტი გვთავაზობს, გრეგერის რესტორანში შევიაროთ. [P]
[SEP]

- ახლა ყველაფერი დაკეტილია, - ამბობს ვილი. [P]
[SEP]

- უკანა კარიდან შევალთ, - თავისას არ იშლის ალბერტი, - კარლმა

ყველა შესასვლელ-გასასვლელი იცის.^[P]_[SEP]

ფეხს ვითრევთ, მაგრამ ალბერტი ისე იჟინებს, რომ ბოლოს ვნებდებით. მისი ეს საქციელი მაკვირვებს, ის ხომ ყოველთვის ყველაზე ადრე მიდიოდა სახლში.^[P]_[SEP]

მიუხედავად იმისა, რომ გარედან გრეგერის დანესებულება ჩაბნელებულია და ჩქამიც არ ისმის, ეზოდან შიგ რომ შევდივართ, დიდი გამოცოცხლება გვხვდება. გრეგერი გადამყიდველების რესტორანია; აქ ყოველდღე, საღამოდან დილამდე ბევრი ხალხი ირევა.^[P]_[SEP]

დარბაზის ერთი ნაწილი წითელი ხავერდისფარდებიან კუპებს უკავია. ეს ღვინის განყოფილებაა. ფარდების უმეტესობადახურულია და იქიდან ჭრიალი და სიცილი მოისმის. ვილი ქირქილებს: ^[P]_[SEP]

- გრეგერის პერსონალური ბორდელი.^[P]_[SEP]

რესტორნის სიღრმეში ვსხდებით. კაფე სავსეა ხალხით. მარჯვნივ ბოგების მაგიდებია. სადაც საქმე ყვავის, იქვე ხარობს სიცოცხლის სიყვარულიც. ამიტომ ის თორმეტი ქალი, მაგიდებს რომ უზის, სულაც არაა ბევრი. ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს კონკურენციას მაინც გაუნევენ. კარლი ფრაუ ნიკელზე გვითითებს, ფუმფუმა შავთმიან არსებაზე. მისი ქმარი მენვრილმანეა და ცოლი რომ არ შეშველებოდა, შიმშილით მოკვდებოდა. ქალის დახმარება იმაში გამოიხატება, რომ ქმრის კლიენტებთან, საკუთარ სახლში, ერთი-ორი საათი, მონშეების გარეშე აწარმოებს მოლაპარაკებას. ^[P]_[SEP]

ყველა მაგიდასთან გამოცოცხლებაა. ჩურჩული, მითქმა-მოთქმა,

რია-რია, ღრიანცელი. ინგლისურ კოსტიუმებში გამონყოფილი კაცები ქურთუკიანებს გვერდით გაჰყავთ და ჭიბეებიდან ფარულად ამოაქვთ საქონლის ნიმუშები; ინგლისურ კოსტიუმებში გამონყოფილები ხელით სინჯავენ ნიმუშებს, ამონებენ და უკან უბრუნებენ ქურთუკიანებს; შემდეგ ისინი თავიდან სთავაზობენ სხვებს; მაგიდაზე უბის წიგნაკები ჩნდება, რომლებშიც მათი პატრონები რაღაცას სწრაფად ინერენ ფანქრებით. სისტემატურად ვიღაც ტელეფონთან მირბის ან გარეთ გადის და გაისმის: ვაგონები, კილოგრამები, კარაქი, ქარიყლაპიები, ამპულები, ქონი, დოლარები, გულდენები, აქციები და ციფრები, ციფრები, ციფრები... [SEP]

ჩვენ გვერდით განსაკუთრებით ცხარედ საუბრობენ ერთ ვაგონ ქვანახშირზე. კარლი აგდებულად აქნევს ხელს. [SEP]

- ეს მხოლოდ ჰაერში გამოკიდული საქმეებია. ერთმა რაღაც საიდანღაც გაიგო, მეორემ გაავრცელა, მესამემ მეოთხე დააინტერესა, სერიოზული გამომეტყველებით აქეთ-იქით დარბიან, მაგრამ ამის იქით არაფერია. შუამავლები არიან, რომლებიც ცდილობენ, ვინმეს რამე გამოსტყუონ. ნამდვილი გადამყიდველების ბოსები თავიანთ საქმეებს მხოლოდ ერთი ან ორი შუამავლით აგვარებენ, რომელთაც კარგად იცნობენ. აი, იმან, პირდაპირ რომ ზის, მსუქანამ, გუშინ ორი ვაგონი კვერცხი იყიდა პოლონეთში. ალბათ ახლა პოლანდიაში გაგზავნიან, გზაში სხვაგან გადაამისამართებენ და უკან დააბრუნებენ, როგორც ახალ პოლანდიურ კვერცხს, ბოლოს კი მსუქანა მას სამჯერ ძვირად გაყიდის. აი, ისინი კი, ჩვენ წინ რომ სხედან, კოკაინით ვაჭრობენ.

კოლოსალური მოგება აქვთ. მარცხნივ დიდერიქსია. ის მხოლოდ ღორის ქონით ვაჭრობს. ესეც მომგებიანი საქმეა.^[P]_[SEP]

- ამ ღორების გამო შიმშილით უნდა მოვკვდეთ, - კბილებს აკრაჭუნებს ვილი.^[P]_[SEP]

- ამას შენ მათ გარეშეც მოახერხებ, - პასუხობს კარლი. - გასულ კვირას კიდევ ათი კასრი კარაქი გაყიდეს სახელმწიფო სანყოფიდან, რომელიც დიდი ხნის დებისგან უკვე გაფუჭებული იყო. მარცვლეულიც ამ დღეშია. ბარტშერიმა ამას წინათ პფენინგებად იყიდა კიდევ რამდენიმე ვაგონი სახელმწიფო ხორბლის მარცვალი, რომელიც დანგრეულ ფარდულში მთლიანად დასველებულიყო და სოკო მოჰკიდებოდა.^[P]_[SEP]

- რა ჰქვია? - ეკითხება ალბერტი.^[P]_[SEP]

- ბარტშერი. იულიუს ბარტშერი.^[P]_[SEP]

- ხშირად დადის აქ?^[P]_[SEP]

- კი, მგონი, ხშირად, - ამბობს კარლი, - გინდა, მასთან საქმე წამოიწყო?^[P]_[SEP]

ალბერტი თავს აქნევს.^[P]_[SEP]

- ფული აქვს?^[P]_[SEP]

- თავზე საყრელად, - პასუხობს კარლი რაღაც მონიწებით.^[P]_[SEP]

- შეხედეთ, არტურიც მოვიდა! - ამბობს ვილი სიცილით.^[P]_[SEP]

ჭყეტელა ყვითელი სანვიმარი უკანა კარიდან შემოდის. რამდენიმე ადამიანი დგება და მისკენ მიემართება. ლედერჰოზე მათ გვერდზე სწევს, ამპარტავნულად არიგებს სალამს აქეთ-იქით და მაგიდებს

შორის გენერალიზით აგრძელებს გზას. გაოცებული ვამჩნევ, როგორი უსიამოვნოდ უხეში სახის გამომეტყველება აქვს; გამომეტყველება, რომელსაც ღიმილის დროსაც კი ვერ იშორებს.^[P]_[SEP]

ის ქედმაღლურად, ზემოდან გვესალმება. ^[P]_[SEP]

- დაჯექი, არტურ, - იღმიჭება ვილი. ^[P]_[SEP]

ლედერჰობე ყოყმანობს, მაგრამ ცდუნებას ვერ უძლებს, რომ არ გვაჩვენოს, აქ, თავის გარემოში როგორი მაგარი ბიჭია.^[P]_[SEP]

- მხოლოდ ერთი ნუთით, - ამბობს და ალბერტის სკამს იღებს, რომელიც ამ დროს დარბაზში დადის, თითქოს ვიღაცას ეძებდეს. დავაპირე გავყოლოდი, მაგრამ აღარ გავყევი, რადგან ვიფიქრე, ტუალეტში გასვლა სურდა. ლედერჰობემ შნაპსი ჩამოასხა და მოლაპარაკებას იწყებს: ათი ათასი წყვილი სამხედრო ჩექმა, ოცი ვაგონი ნედლეული. მის თანამოსაუბრეს თითებზე ბრილიანტები უბრწყინავს. ლედერჰობე დროდადრო გადმოგვხედავს: აინტერესებს, ყურს ვუგდებთ თუ - არა.^[P]_[SEP]

ალბერტი კუპეებს უახლოვდება. მას რაღაც უთხრეს, რის დაჯერებაც არ შეუძლია და რაც დღეს მთელი დღე მოსვენებას არ აძლევს. ბოლო კუპეს ჭუჭრუტანაში შეხედვისას ჩერდება: თითქოს წყალი გადაასხესო. ბარბაცებს და ფარდას გვერდზე სწევს.^[P]_[SEP]

მაგიდაზე შამპანურის ბოკალებია, იქვე ვარდების თაიგული დგას. სუფრა გადმონეულია და თითქმის იატაკზეა დაცურებული. მაგიდასთან ვიღაც ქერა ქალი სავარძელში ჩამჭდარა, ტანსაცმელი არეული აქვს, თმა - განწილი, მკერდი - მოშიშვლებული. გოგონა ალბერტთან

ზურგით ზის, პოპულარული სიმღერის მელოდიას ღიღინებს და პატარა სარკესთან თმას ივარცხნის. [P]
[SEP]

- ლუსი, - ამბობს ალბერტი ჩახრინნული ხმით. [P]
[SEP]

ქალი ტრიალდება და ისე შესცქერის, თითქოს მის წინ აჩრდილი იდგეს. დაძაბული ცდილობს გაიღიმოს, მაგრამ ღიმილი სახეზევე ეყინება, როცა ხედავს, როგორ მიშტერებია ალბერტი მის შიშველმკერდს. ტყუილი გამორიცხულია. შეშინებული სკამის ზურგს ეყრდნობა. [P]
[SEP]

- ალბერტ, დამნაშავე არ ვარ, - ბუტბუტებს, - ის... ის არის... - და უცებ ძალიან ჩქარა აყრის: - მან დამათრო, ალბერტ! არ მინდოდა, ის მისხამდა და მისხამდა, აღარაფერი მახსოვდა, გეფიცები... [P]
[SEP]

- რაშია საქმე? - კითხულობს ვიღაც, ალბერტის ზურგს უკან. [P]
[SEP]

ბარტმერი ტუალეტიდან დაბრუნდა და ბანცალებს. სიგარეტის კვამლს ალბერტს პირდაპირ სახეში აბოლვებს. [P]
[SEP]

- კარგია სხვის ხარჭზე ცხოვრება, არა? გასწი აქედან! [P]
[SEP]

ალბერტი ცოტა ხანს გაოგნებული დგას და განსაკუთრებული სიცხადით ებეჭდება გონებაში მრგვალი ღიპი, ყავისფერი კუბოკრული პიჯაკი, საათის ოქროს ძეწკვი და ფართო, ნითელი სახე. [P]
[SEP]

ამ მომენტში ვილი ჩვენი მაგიდიდან შემთხვევით იქით იხედება. წამოვარდება, რამდენიმე ადამიანს გადათელავს და დარბაზს ჭრის. მაგრამ უკვე გვიანაა. სანამ მივა, ალბერტს უკვე რევოლვერი ხელში აქვს და ისვრის. იქით მივრბივართ. ბარტმერი ცდილობს, სკამით დაიცვას თავი, მაგრამ მხოლოდ თვალების სიმაღლეზე მის აწევას

ასწრებს. ალბერტი პირდაპირ შუბლში ესვრის. არც დაუმიზნებია - ყოველთვის საუკეთესო მსროლელი იყო ჩვენს ასეულში და ერთხელაც არ აუცდენია.^[P]_[SEP]

ბარტშერი იატაკზე ვარდება. ფეხებს აფართხალებს. სასიკვდილო გასროლა იყო. გოგონა კივის.^[P]_[SEP]

- გაეთრიეთ! - ყვირის ვილი და მომწყდარ ხალხს აჩერებს. ჩვენ ალბერტს ჩავაფრინდით, რომელიც გაუნძრევლად დგას და გოგონას თვალს არ ამორებს. ხელით მივათრევთ და ეზოს გავლით გავრბივართ. კუთხეში ვუხვევთ, ისევ ვუხვევთ და ჩაბნელებულ მოედანზე გავდივართ, სადაც ავეჯის ორი ფურგონი დგას. ვილი ფეხდაფეხ მოგვყვება.^[P]_[SEP]

- ახლავე უნდა გაქრე. ამაღამვე, - გულამომჭდარი ეუბნება.^[P]_[SEP]

ალბერტი უყურებს, თითქოს ახლახან გაიღვიძაო. შემდეგ ხელიდან გვისხლტება.^[P]_[SEP]

- გამიშვი, ვილი, - პასუხობს ის მძიმედ, - ვიცი, რაც უნდა გავაკეთო.^[P]_[SEP]

- გაგიჟდი? - უყვირის კობოლე.^[P]_[SEP]

ალბერტი რაღაცას ბურტყუნებს. ჩვენ ვაჩერებთ. ის თავიდან გვიცილებს.^[P]_[SEP]

- არა, ფერდინანდ, - ამბობს ჩუმად, თითქოს ძალიან დაღლილი იყოს, - ვინც ერთი ნაბიჯი გადადგა, მეორეც უნდა გადადგას.^[P]_[SEP]

ალბერტი ნელა მიუყვება ქუჩას.^[P]_[SEP]

ვილი მისდევს, ცდილობს, შეაჩეროს. ალბერტი მხოლოდ თავს

იქნევს და მულენშტრასეს მიუყვება. ვილი უკან მისდევს.^[P]_[SEP]

- ძალით უნდა დავაბრუნოთ, - ყვირის კობოლე, - თორემ შეასრულებს, რაც თქვა, პოლიციაში წავა!^[P]_[SEP]

- მგონი, არ ღირს, ფერდინანდ, - ამბობს დაბნეული კარლი, - კარგად ვიცნობ ალბერტს.^[P]_[SEP]

- მაგრამ ამით იმ კაცს ხომ ვერ გააცოცხლებს! - ყვირის ფერდინანდი. - რა საჭიროა? ალბერტი აქედან უნდა წავიდეს!^[P]_[SEP]

მდუმარედ ვსხედვართ და ვილის ველოდებით.^[P]_[SEP]

- როგორ გამიკეთა ეს? - კითხულობს კობოლე ცოტა ხნის შემდეგ.^[P]_[SEP]

- ძალიან იყო ჩაბლაუჭებული იმ გოგოს, - ვამბობ.^[P]_[SEP]

ვილი მარტო ბრუნდება, კობოლე ფეხზე დგება.^[P]_[SEP]

- წავიდა?^[P]_[SEP]

ვილი იქით იხედება.^[P]_[SEP]

- პოლიციაში წავიდა. ვერაფერს გავხდი. კინალამ მესროლა, როცა წამოთრევა დავუპირე.^[P]_[SEP]

- ჭანდაბა! - კობოლე თავს ფურგონის ხელნაზე დებს. ვილი ბალახში ეცემა. კარლი და მე ავეჯის ფურგონს მივყრდნობივართ.^[P]_[SEP]

კობოლე, ფერდინანდ კობოლე ბავშვივით სლუკუნებს.^[P]_[SEP]

5.^[P]_[SEP]

გასროლა გაისმა, ქვა ჩამოვარდა, ვილაცის ბნელი ხელი ჩადგა ჩვენ შორის. ვილაცის უხილავი ჩრდილი ფეხდაფეხ მოგვდევდა.

გავრბოდით, მაგრამ ერთ ადგილას ვტრიალებდით, და ჩრდილი დაგვენია.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ ვხმაურობდით და ვეძებდით, გავბოროტდით და მსხვერპლად ვწირებოდით, ჩვენ ვიმალებოდით და თავს გვესხმოდნენ. ჩვენ ვიკარგებოდით და მაინც წინ მივდიოდით, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდით უკან დადევნებულ ჩრდილს, რომლისგან თავის დაღწევასაც ვცდილობდით. გვეგონა, მოგვდევდა და არ ვიცოდით, რომ თავად მოვათრევედით მას; რომ სადაც ვიყავით, ყოველთვის თან გვახლდა; რომ ის ჩვენ უკან კი არ იყო, არამედ - ჩვენ შიგნით, ჩვენში.<sup>[P]
[SEP]</sup>

სახლების აშენებას ვაპირებდით. ბაღები და ტერასები გვენატრებოდა, გვინდოდა, ზღვა გვენახა და შუბლზე ნიავის შეხება გვეგრძნო; მაგრამ იმაზე არ გვიფიქრია, რომ სახლს საძირკველი სჭირდება. საფრანგეთში მიტოვებულ სანგრებს ვგავდით - ისინი ისეთივე მდუმარენი არიან, როგორიც გადახნული მინდვრები, მაგრამ სანგრებში ჯერ კიდევ აუფეთქებელი საბრძოლო ნაღმებია ჩამარხული - და მანამდე იქნება მათი მოხვნა საშიში და სახიფათო, სანამ არ ამოთხრიან და იქაურობას არ მოაშორებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩვენ ჯერ კიდევ ჯარისკაცები ვართ, ისე, რომ არც კი ვიცით. ალბერტის ახალგაზრდობა მშვიდი და გაუბზარავი რომ ყოფილიყო, ბევრი რამე იქნებოდა მისთვის ღირებული, რაც გაამაგრებდა და დაიცავდა, უფრო თბილს და მიმნდობს გახდიდა. ასე კი ყველაფერი დაენგრა, დაბრუნებულმა ვერაფერი იპოვა: ყველაფერი

განადგურებულიყო, აღარაფერი შერჩენოდა, და მთელი მისი გაცამტვერებული ახალგაზრდობა, ყველა დათრგუნვილი სურვილი, ალერსის მოთხოვნილება და სამშობლოს მონატრება - ყველაფერი ამ ერთ არსებაში გაერთიანდა, რომელიც, ასე ეგონა, უყვარდა. დაროდესაც ყველაფერი დაინგრა, მან მხოლოდ ერთი რამ შეძლო - ესროლა; სხვა არაფერი მან არ იცოდა. ამდენი ხანი ჯარისკაცი რომ არ ყოფილიყო, ბევრ სხვა გზას გამონახავდა. ახლა კი, ხელიც არ აუკანკალდა, მიჩვეული იყო მიზანში გარტყმას. ალბერტში, ამ მეოცნებე ყმანვილში, ამ მორიდებულ შეყვარებულში, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ალბერტი-ჯარისკაცი.^[P SEP]

დარდით განადგურებული, ხანშიშესული ქალი ვერ აცნობიერებს, რა მოხდა.^[P SEP]

- ეს როგორ ჩაიდინა? ყოველთვის ისეთი მშვიდი ბავშვი იყო!^[P SEP]

ქალის ქუდის თასმები კანკალებს, შავი მანტილიაც თრთის - ქალი მთლიანად მხოლოდ მთრთოლვარე ტკივილია.^[P SEP]

- შეიძლება იმისი ბრალია, მამა რომ აღარ ჰყავს. ოთხი წლის იყო, როცა მამა დაკარგა. ის ხომ ყოველთვის კარგი, მშვიდი ბავშვი იყო...^[P SEP]

- ახლაც ასეთია, ფრაუ ტროსკე, - ვამბობ.^[P SEP]

ქალი ჩემს სიტყვებს ეჭიდება და ალბერტის ბავშვობის გახსენებას იწყებს. უნდა ილაპარაკოს, მეტის მოთმენა აღარ შეუძლია.^[P SEP]

- მეზობლები იყვნენ მოსული, ნაცნობები, ორი მასწავლებელიც იყო, ვერავინ გამიგო...^[P SEP]

- მათ ენას კბილი უნდა დააჭირონ, - ვეუბნები, - ყველა დამნაშავეა.

მიყურებს და არაფერი ესმის. მაგრამ შემდეგ აგრძელებს მოყოლას, როგორ ისწავლა ალბერტმა სიარული, რომ არასდროს ჭირვეულობდა ზოგიერთი ბავშვივით, რომ ის სხვა ბიჭებს არ ჰგავდა, ძალიან მშვიდი იყო - და უცებ ასეთი რამ. როგორ შეეძლო ასეთი რამ ჩაედინა?^[P]_[SEP]

გაკვირვებული შევცქერი. მან არაფერი იცის ალბერტის შესახებ. შეიძლება დედაჩემმაც ასევე არაფერი იცის ჩემზე. დედებს მხოლოდ სიყვარული შეუძლიათ, მათთვის ეს არის საკუთარი შვილის გაგება.^[P]_[SEP]

- აბა დაფიქრდით, ფრაუ ტროსკე, - ვეუბნები მზრუნველობით, - ალბერტი ხომ ომში იყო.^[P]_[SEP]

- ჰო, - მპასუხობს ის, - ჰო... ჰო...^[P]_[SEP]

მაგრამ ამ ორ რამეს ვერ აკავშირებს.^[P]_[SEP]

- ეს ბარტშერი ალბათ ცუდი კაცი იყო? - მეკითხება შემდეგ ჩუმად.^[P]_[SEP]

- ნაგავი იყო, - ვეთანხმები, ძალიან მარტივად.^[P]_[SEP]

ის, ცრემლიანი, თავს მიკრავს, თანხმობის ნიშნად.^[P]_[SEP]

- სხვანაირად ვერც ვიფიქრებ. ბუმსაც არაფერს დაუშავებდა. ჰანსი მათ ფრთებს აგლეჯდა, მაგრამ ალბერტი - არასოდეს. რას უბამენ?^[P]_[SEP]

- არაფერს, - ვამშვიდებ, - ის ძალიან აღელვებული იყო და ეს თავდაცვის ტოლფასია.^[P]_[SEP]

- მადლობა ღმერთს, - სლუკუნებს ქალი, - მკერავმა, ჩვენ ზემოთ რომ ცხოვრობს, თქვა, რომ სიკვდილით დასჯიან.^[P]_[SEP]

- მკერავი გიჟია, - ვამბობ.^[P]_[SEP]

- ჰო, ისიც კი თქვა, რომ ალბერტი მკვლელია, - ხმა უწყდება, - მაგრამ ის არასდროს ყოფილა და არც იქნება მკვლელი, არასდროს!

- ერთხელაც იქნება, მაგ მკერავს გავუსწორდები, - ვეუბნები გაცოფებული.

- სახლიდან გასვლასაც ვერ ვბედავ, მუდამ იქ დგას, - სლუკუნებს.

- გაგაცილებთ, დეიდა ტროსკე.

მის სახლთან მივდივართ.

- აი, ისევ აქ დგას, - შეშინებული მეჩურჩულება მოხუცი ქალი, თან სადარბაზოსკენ მახედებს.

ვსწორდები. ხმას თუ ამოიღებს, ათი წელიც რომ მომიწიოს ციხეში ჭდომა, სულერთია, გავაბრტყელებ! მაგრამ ის თავის თანამოსაუბრეებთან ერთად გზიდან გვეცლება.

სახლში ავდივართ. ალბერტის დედა ჰანსის ბავშვობის სურათსაც მიჩვენებს. თავიდან ინყებს ტირილს, მაგრამ მალევე წყვეტს, დარცხვენილი. მოხუცი ქალები ბავშვებივით არიან - ცრემლებს ვერ იკავებენ, მაგრამ მალევე წყვეტენ ტირილს. დერეფანში მეკითხება:

- იქ საჭმელი თუ აქვს სამყოფად?

- რა თქმა უნდა, - ვპასუხობ, - კარლ ბრიოგერი ამას ყურადღებას მიაქცევს. არაფერს მოაკლებს.

- მისი საყვარელი ნამცხვარი კიდევ მაქვს, შეიძლება მივუტანო?

- სცადეთ, - ვეუბნები, - და თუ ნახავთ, უთხარით: ალბერტ, ვიცი რომ დამნაშავე არა ხარ. სხვა არაფერი.

თავს მიკრავს. [P]
[SEP]

- შეიძლება, მზრუნველობა მოაკლდა, მაგრამ პანსს ხომ ფეხები არა აქვს... [P]
[SEP]

მე ვაიმედებ. [P]
[SEP]

- სანყალი ბიჭი, - ამბობს, - სულ მარტოა... [P]
[SEP]

ხელს ვუნვდი. [P]
[SEP]

- ახლა მკერავს დაველაპარაკები. ხმასაც ვერ გაგცემთ. [P]
[SEP]

მკერავი ისევ სახლის კართან დგას. ბრტყელი, სულელი, ბურჟუის სახე. გამომწვევად მიყურებს წარბებს ქვემოდან, სიფათზე ეტყობა, ნავალ თუ არა, ჭორაობას გააგრძელებს. ქურთუკში ვკიდებ ხელს: [P]
[SEP]

- წყეულო ღორო, თუ გაბედავ და ერთ სიტყვას მაინც ეტყვი მოხუც ქალს, ნაკუნ-ნაკუნ აგქნი, კარგად დაიმახსოვრე, ტაკიმახსარავ, ქალაჩუნავ! - ხელს ვკრავ და ძონძის ტომარასავით კარის სახელურს ეჭახება. - კიდევ მოვალ და ძვლებს დაგიმტვრევ, ტილიანო ნაძირალავ, წყეულო პირუტყვო! - და დამაჭერებლობისთვის, მარცხნივ და მარჯვნივ, ერთ-ორ ალიყურს ვთავაზობ. [P]
[SEP]

უკვე კარგა შორს ვარ წასული, ყვირილს რომ იწყებს: [P]
[SEP]

- გიჩივლებ! სულ ცოტა ასი მარკა დაგიჭდება! [P]
[SEP]

ვტრიალდები და ისევ მისკენ მივდივარ, მკერავი მირბის. [P]
[SEP]

გეორგ რაე, ჭუჭყიანი და უძინარი, ლუდვიგის ოთახში მის. გაბეთებში წაუკითხავს ცნობა ალბერტის შესახებ და მაშინვე აქ გაჩნდა. [P]
[SEP]

- უნდა გამოვიყვანოთ, - ამბობს. [P]
[SEP]

ლუდვიგი ამოხედავს. [P]
[SEP]

რაე აგრძელებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნახევარი დუჟინი გამოცდილი ბიჭები რომ გვყავდეს და ავტომობილი, შევძლებდით; საუკეთესო მომენტი იქნება, როცა სასამართლო დარბაზში გადაიყვანენ. ჩვენ შევვარდებით, არეულობას მოვანყობთ, ორნი კი ალბერტთან ერთად მანქანისკენ გაიქცევიან.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი უსმენს. შემდეგ თავს იქნევს:<sup>[P]
[SEP]</sup>

- არ გამოვა, გეორგ, თუ ვერ შევძლებთ, ალბერტს მხოლოდ ზიანს მივაყენებთ. ასე იმედი მაინც აქვს, რომ რალაცნაირად თავს დააღწევს. თანაც საქმე მართო ეს არ არის. ერთი ნუთითაც არ დავფიქრდებოდი, ისე მივიღებდი მონანღილებას, მაგრამ ალბერტი თავად არ ისურვებს გაქცევას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაშინ ძალით უნდა მოვიტაცოთ, - ამბობს რაე დუმილის შემდეგ, - უნდა გავათავისუფლოთ, რადაც არ უნდა დაგვიჭდეს...<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი დუმს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მეც ვფიქრობ, რომ არაფერი გამოგვივა, - ვამბობ მე, - მაინც უკან დაბრუნდება. კინალამ არ ესროლა ვილის, მისი ნაყვანა რომ დააპირა.<sup>[P]
[SEP]</sup>

რაე ხელებში რგავს თავს. ლუდვიგს ნაცრისფერი დაჰკრავს და ქანცგანყვეტილი მეჩვენება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ასე მგონია, ჩვენ ყველას გზა აგვებნა, - ამბობს იმედგადაწურული.<sup>[P]
[SEP]</sup>

არავინ პასუხობს. ოთახში მძიმედ ჩამონოლილა სიჩუმე და შეშფოთება.<sup>[P]
[SEP]</sup>

დიდხანს ვზივარ მარტო ლუდვიგთან ერთად. მას თავი ხელეში აქვს ჩარგული.^[P SEP]

- ყველაფერი ამაოა, ერნსტ. ჩვენ განადგურებულნი ვართ, მაგრამ სამყარო წინ მიდის, თითქოს ომი არც კი ყოფილიყოს, დიდხანს არ ემახსოვრებათ; ჩვენი მომავალი თაობა სკოლაში გაფართოებული თვალებით მოისმენს ომის შესახებ გაკვეთილებს და მონყენილობისგან ბიჭები სკოლიდან ომში წასვლას მოინდომებენ, იქ ყოფნის სურვილი გაუჩნდებათ. უკვე ახლა მირბიან მოხალისეთა კორპუსში; ჯერ ჩვიდმეტი წლისაც არ გამხდარან, უკვე პოლიტიკურ მკვლელობას სჩადიან. ისე დავიღალე, ერნსტ...^[P SEP]

- ლუდვიგ... - გვერდით ვუჯდები და ხელს გამხდარ მხრებზე ვადებ.^[P SEP]

უნუგემოდ იცინის. შემდეგ ჩუმად ამბობს: ^[P SEP]

- ადრე, ომამდე, სკოლაში გოგონა მიყვარდა. რამდენიმე კვირის წინ იმ გოგონას კვლავ შევხვდი. კიდევ უფრო გალამაზებული მეჩვენა. თითქოს წარსული დრო გამიცოცხლდა. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და უცებ ვიგრძენი... - თავი მაგიდაზე ჩამოდო. რომ ამოიხედა, თვალები ტანჯვისგან ჩამქრალი ჰქონდა. - ეს ყველაფერი ჩემთვის აღარ არსებობს, ერნსტ, მე ავად ვარ.^[P SEP]

დგება და ფანჯარას აღებს. გარეთ ვარსკვლავებით მოჭედილი, თბილი ღამეა.^[P SEP]

დამძიმებული ვიყურები წინ. ლუდვიგიც დიდხანს დუმს. შემდეგ ბრუნდება.^[P SEP]

- გახსოვს, როგორ ვხეტილებდით ტყეში აიხენდორფის ტომით ხელში?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, ლუდვიგ, - სწრაფად ვპასუხობ, გახარებული, რომ თემა შეცვალა, - გვიანი ზაფხული იყო. ერთხელ ზღარბიც კი დავიჭირეთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

სახიდან დაძაბულობა უქრება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გვჯეროდა, რომ ცხოვრება თავგადასავალია, საფოსტო ეტლებით, საყვირებით და ვარსკვლავებით სავსე; გახსოვს, როგორ ვაპირებდით იტალიაში გამგზავრებას?<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი, მაგრამ საფოსტო ეტლი არა და არ მოვიდა, იტალიაში რომ წავეყვანეთ; მატარებლისთვის კი ფული არ გვქონდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგს სახე უნათდება, თითქოს რაღაც საიდუმლოს ფარავსო, ისეთი მხიარულია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- და „ვერთერს“ ვკითხულობდით, - ამბობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- და ლეინოს ვსვამდით, - ვახსენებ.<sup>[P]
[SEP]</sup>

იღიმება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- „მწვანე ჰაინრიხსაც“ ვკითხულობდით და იუდითზე ვჭორაობდით.<sup>[P]
[SEP]</sup>

თავს ვუქნევ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მერე კი ჰელდერლინი ყველას გვერჩინა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ლუდვიგი უჩვეულო სიმშვიდემ შეიპყრო. ჩუმად და რბილად ლაპარაკობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა კეთილშობილური გეგმები გვქონდა. ახლა კი საცოდავ ძაღლებად ვიქეცით, ერნსტ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, - ვპასუხობ ჩაფიქრებული, - სად გაქრა ყველაფერი?! [P]
[SEP]

ერთმანეთს მიყრდნობილნი ფანჯარასთან ვსხედვართ. ქარი ალუბლის ხეებს ამრიალებს. პირველი ვარსკვლავი ვარდება. თორმეტი საათია. [P]
[SEP]

- ძილის დროა, - ლუდვიგი ხელს მინვდის. - ღამე მშვიდობისა, ერნსტ. [P]
[SEP]

- ძილი ნებისა, ლუდვიგ. [P]
[SEP]

გვიან ღამით ჩემს კარზე ვიღაც აბრახუნებს. დაბნეული ვკითხულობ:

[P]
[SEP]

- ვინ არის? [P]
[SEP]

- მე ვარ, კარლი, გააღე! [P]
[SEP]

სანოლიდან ვხტები. [P]
[SEP]

ოთახში იჭრება. [P]
[SEP]

- ლუდვიგი... [P]
[SEP]

- რა დაემართა ლუდვიგს? [P]
[SEP]

- მკვდარია... [P]
[SEP]

უცებ ოთახი დატრიალდა. სანოლზე ვვარდები. [P]
[SEP]

- ექიმი მივუყვანოთ! [P]
[SEP]

კარლი სკამს ისეთი ძალით ანარცხებს იატაკზე, რომ იმსხვრევა. [P]
[SEP]

- მკვდარია, ერნსტ, ვენები გადაიჭრა. [P]
[SEP]

არ მახსოვს, როგორ ჩავიცვი. არ ვიცი, როგორ მივედი ლუდვიგის სახლამდე. ჩემ წინ ოთახია, მკვეთრი შუქი, კვარცისა და ქვის აუტანელი ბზინვარება და ციმციმი, სავარძელში კი - უსაშველოდ

დაღლილი, გამხდარი, ჩავარდნილი, შემადრწუნებლად გაფითრებული, წანვეტებული სახე, ნახევრად დახუჭული, ჩამქრალი თვალებით...^[P SEP]

არ მესმის, რა ხდება. დედამისი აქაა, კარლიც აქაა, ხმაურია, ვიღაცა მე მომმართავს. დიახ, დიახ, გავიგე, აქ უნდა დავრჩე, ვიღაც უნდა მოიყვანონ. თავს ვუკრავ, დივანზე ვეშვები, კარი ჭახუნობს. განძრევა არ შემიძლია, ხმის ამოდება არ შემიძლია, უცებ ლუდვიგთან პირისპირვრჩები და ვუყურებ...^[P SEP]

კარლი უკანასკნელი იყო, ვინც ლუდვიგი მოინახულა. მშვიდი და თითქმის გახარებული ჩანდა. კარლი ნავიდა. ლუდვიგმა ოთახი მიალაგ-მოალაგა და კარგა ხანს წერდა... შემდეგ სკამი ფანჯარასთან მისწია და თბილი წყლით სავსე ტაშტი დადგა მაგიდაზე. კარი ჩაკეტა. სავარძელში ჩაჯდა და წყალში ვენები გადაიჭრა. ტკივილი თითქმის არ უგრძნია. ხედავდა, როგორ მიედინებოდა სისხლი. ამაზე ხშირად უფიქრია - ამ საძულველი, მონამლული სისხლის სხეულიდან გამოშვებაზე.^[P SEP]

უფრო მკვეთრად ხედავდა თავის ოთახს. ყოველ წიგნს ამჩნევდა, ყველა ლურსმანს. კოლეექციის ყველა ქვას, მათ სიჭრელეს, ფერებს, ის თავის ოთახს შეიგრძნობდა. ოთახი მასში შედიოდა, სუნთქვაში იჭრებოდა, თავადაც ოთახს შეზრდოდა. შემდეგ ყველაფერი სადღაც შორს ნავიდა, გაურკვეველი გახდა. ახალგაზრდობა სურათებად დაუდგა თვალწინ - აიხენდორფი, ტყეები, ნოსტალგია. ბედთან შერიგება ტკივილის გარეშე. ტყეებს იქით მავთულხლართები იყო,

ძრაპნელების

თეთრი ღრუბელი, მძიმე ჭურვების აფეთქება. ახლა აღარ ეშინოდა მათი, ისინი ისეთივე უვნებელი გახდნენ, როგორც ბარები. ბარები უფრო ძლიერად ახმიანდნენ, თუმცა ტყეები არ გამქრალა. ისინი მის თავში ისე ძალუმად რეკდნენ, თითქოს უნდა გაუსკდესო. უფრო მეტადაც ჩამობნელდა. შემდეგ უფრო დასუსტდა. ფანჯრიდან საღამო შემოცურდა, ღრუბლები ნელა განვნენ მის ფეხქვეშ. უნდოდა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც ენახა ფლამინგოები. ახლა მიხვდა, ესენი ფლამინგოები იყვნენ, ფართო მოვარდისფრო-მონაცრისფრო ფრთებით, ბევრი, მთელი გუნდი... მაშინაც ასე არ მიფრინავდნენ ველური ბატები, დამწკრივებულნი, მთვარის წითელ სფეროზე - ფლანდრიული ყაყაჩოებივით წითელზე?.. პეიზაჟი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა, ტყეები სულ უფრო ქვევით ჩადიოდა, მდინარეები და კუნძულები ვერცხლისფრად ელავდა, მოვარდისფრო-მონაცრისფრო ფრთები კი სულ მალლა და მალლა მიიწვედა; ნათდებოდა და ფართოვდებოდა ჰორიზონტი. და აი, ზღვაც... მაგრამ უცებ რაღაც გაეჩხირა ყელში, შავი ყვირილი ამოიჭრა ხორხიდან, უკანასკნელმა აბრმა გაუელვა დაბინდულ ცნობიერებაში - შიში... გადარჩენის სურვილი, ხელები უნდა გადაიხვიოს! შეეცადა ამდგარიყო, ხელი აენია... სისუსტე. თვალეებში რაღაც უტრიალებდა და უტრიალებდა, შემდეგ გაქრა და უშველებელი ჩიტი ძალიან ნელა, ფრთების ნელი ქნევით ქვევით დაეშვა და ბოლოს თავის ფრთებში მოაქცია მომაკვდავი.^[P. 56]

ვილაცის ხელმა გამნია. ვილაცები მოდიან, ლუდვიგს ხელს ავლებენ, ერთ-ერთი მათგანი გავაგდე, არავის აქვს უფლება ხელი მოჰკიდოს. მაგრამ უცებ მის სახეს ვხედავ - ცივი და ნათელი, შეცვლილი, მკაცრი, უცხო სახე. ველარ ვცნობ, გარეთ მივბარბაცებ. [P]
[SEP]

არ ვიცი, ჩემს ოთახში როგორ აღმოვჩნდი. თავი ცარიელი მაქვს, ხელები უღონოდ აწყვია სკამის საბურგებზე. [P]
[SEP]

ლუდვიგ, აღარ მინდა. მეც აღარ მინდა. რას ვაკეთებ აქ? აქაურობას აღარ ვეკუთვნი. ფესვებდათხრილი, დამწვარი, დაღლილი ვარ - რატომ ნახვედი მარტო? [P]
[SEP]

ვდგები. ხელები მიხურს, თვალები მენვის, ვგრძნობ, რომ სიცხე მაქვს. აზრები მერევა. აღარ ვიცი, რას ვაკეთებ. [P]
[SEP]

- ნამიყვანე, - ვჩურჩულებ, - მეც ნამიყვანე! [P]
[SEP]

კბილები სიცივისგან მიკანკალებს. ხელები ნესტიანი მაქვს. წინ მივბორიალებ. თვალებში დიდი შავი წრეები მიტრიალებს. [P]
[SEP]

უცებ ერთ ადგილზე ვშემდები. კარი ხომ არ გაიღო? ფანჯარამ ხომ არ გაიჭახუნა? მაკანკალებს. ოთახის ღია კარიდან ვხედავ, როგორ ეცემა მისაღებში მთვარის შუქი ვიოლინოს გვერდით დაკიდებულ ძველ, ნაცრისფერ სამხედრო ქურთუკს. ფრთხილად, ფეხაკრეფით ვუახლოვდები, რომ ვერაფერი შეამჩნიოს, ვეპარები ამ ძველ ქურთუკს, რომელმაც ყველაფერი დაამსხვრია, ჩვენი ახალგაზრდობა და ჩვენი ცხოვრება - ვგლეჯ კედლიდან, მინდა გადავაგდო, მაგრამ მოულოდნელად ვიცვამ, ვგრძნობ, როგორ ჩამიგდო ხელში, ვიყინები, გული საშინლად მიცემს... უცებ რაღაც ჟღერიალით არღვევს სიჩუმეს,

ვკრთები, ვტრიალდები და შეძრწუნებული ვედელს ვეკვრი...<sup>[P]
[SEP]</sup>

კარში მრუმედ მოჩანს ჩრდილი. დგას, ირხევა და იფოფრება, მიახლოვდება და თავს მიქნევს, ადამიანის ფორმებს იღებს; სახე, თვალების შავი ღრმულებითა და ფართო პირის ნაპრალით, უხმოდ ჩურჩულებს რაღაცას... მოიცა, ის არ არის?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვალტერ, - ვჩურჩულებ, - ვალტერ ვილენბროკ, დაეცა ჩვიდმეტი წლის აგვისტიოში პაშენდაელესთან... - ხომ არ გავგიჟდი? მესიზმრება? ავად ვარ?<sup>[P]
[SEP]</sup>

მაგრამ მის ზურგს უკან კიდევ ერთი მოდის, გაფითრებული, დაღრეცილი, მოხრილი; ფრიდრიხ ტომბერგე, რომელსაც თავშესაფრის კიბეზე ყუმბარის ნამსხვრევმა ზურგი გაუგლიჯა... და აი, შემოდიან, უსიცოცხლოთვალეებიანი რუხი აჩრდილები შემოდიან; აჩრდილების მთელი გუნდი, ისინი დაბრუნდნენ და ოთახს ავსებენ: ფრანც კემერიხი, თვრამეტი წლისას კიდურის ამპუტაცია რომ გაუკეთეს და სამ დღეში მოკვდა; სტანისლავ კაჩინსკი, ფეხებს რომ ითრევს და თავი ჩამოვარდნია, იქიდან კი სისხლის წვრილი ნაკადი ჩამოსდის; გერჰარდ ფელდკამში, რომელიც იპრთან ნაღმზე აფეთქდა; პაულ ბოიმერი, ათას ცხრაას თვრამეტ წელს რომ მოკვდა; ჰენრიხ ვესლინგი, ანტონ ჰაინცმანი, ჰაიე ვესტუსი, ოტო მატესი, ფრანც ვაგნერი... ჩრდილები, ჩრდილები, უსასრულო რიგები... ისინი იჭრებიან, თანჯრის რაფაზე აღიან, წიგნებზე სხდებიან, მთელ ოთახს ავსებენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მაგრამ უეცრად შიში და გაქვავება, მთლიანად რომ მომიცვა,

სადღაც ქრება; ჩემ წინ ნელა იზრდება დიდი ჩრდილი. ღია კარში შემოდის, ხელებზე დაყრდნობილი ცოცხლდება, ძვალსა და ხორცს ისხამს, ადამიანის სახეს იღებს, შავ სახეზე თეთრად უელავს კბილები, თვალის ბნელ ფოსოებში შუქი უციმციმებს - სელაპივით აფოფრილი, ჩემკენ მოცოცავს... ის არის, ინგლისელი კაპიტანი. უკან სახვევები დასთრევს. ნელა ხტება და დაღვარჯნილთითებიან ხელებს ჩემკენ იშვერს...^[P SEP]

- ლუდვიგ, ლუდვიგ! - ვყვირი. - დამეხმარე, ლუდვიგ!^[P SEP]

წიგნებს ხელს ვტაცებ და განვდილ ხელებში ვესვრი...^[P SEP]

- ხელყუმბარა, ლუდვიგ! - ვყვირი და აკვარიუმს ვტყორცნი კარს, ის წკრიალით იმსხვრევა, მაგრამ ჩრდილი მხოლოდ კბილებს კრეჭს და სულ უფრო და უფრო ახლოს მოდის; აკვარიუმს პეპლების კოლექცია მიჰყვება, ვიოლინო... სკამს ვიღებ და ვიქნევ, მინდა, ამ დაკრეჭილ პირში დავარტყა და ვყვირი და ვყვირი: - ლუდვიგ, ლუდვიგ! - ვეძგერები ამ დანყველილ კარს და გავრბივარ, უკან შემინებული შეძახილები მომდევს; სულ უფრო ცხადი ხდება, სულ უფრო ახლოსაა მძიმე სუნთქვა. ჩრდილი მომდევს, თავპირისმტვრევით ჩავრბივარ კიბეზე. ჩრდილი მომყვება. ქუჩაში გავრბივარ, კეფაში მის წყვეტილ სუნთქვას ვგრძნობ, მივქრი, სახლები ბანცალებენ. - მიშველეთ! მიშველეთ! - მოედნები, ხეები; ვიღაცის კლანჭები მხარში მესობა, ჩრდილი მენწვა. ვღრიალებ, ვყმუი, ვფორხილობ; მუნდირები, მუშტები, ბაკუნი, ელვა; შემდეგ ყრუ გრუხუნი რბილი ნაჭახებისა, თავში რომ მიბრახუნებენ, სანამ ძირს ვეცემი...^[P SEP]

ნაწილი მეშვიდე^[P]_[SEP]

1.^[P]_[SEP]

წლები გავიდა? თუ მხოლოდ კვირები? როგორც წილი, როგორც შორეული ავდარი, ისე დაჰკიდებია ჰორიზონტს წარსული. დიდი ხანი ვიყავი ავად და ყოველთვის, როცა სიცხე დამინევდა, თავთან დედის მზრუნველობით სავსე სახეს ვხედავდი. შემდეგ კი დიდი დაღლილობის დრო დადგა, ფხიზელი ძილის, რომელშიც ძალა გერთმევა, აზრები გეფანტება და სისხლის ჩუმ სიმღერას და მზეს მინებებიხარ.^[P]_[SEP]

მინდვრები გვიანი შემოდგომის ბრწყინვალეობაში ელვარებს. კარგია მინდორში წოლა - ბალახი მაღლიდან დაგყურებს, მისი რხევა - მთელი სამყაროა... ქარის რიტმს აყოლილი ყვავილების შრიალის გარდა, ყველაფერი გამქრალა. იმ ადგილებში, სადაც მხოლოდ ბალახი იზრდება, ქარი ისე დარბის ბალახებზე, ისე აწკრიალებს მათ, თითქოს შორიდან ცელის ხმა მოდიოდეს. თუ ახლომახლო მჯუნა იზრდება, ბგერები უფრო დაბალი და ღრმაა. დიდხანს უჩუმრად უნდა იჯდე და ყური უგდო, მთელი ეს ხმოვანება რომ აღიქვა. შემდეგ კი სიჩუმე ცოცხლდება, პატარა მწერები შავად და წითლად დანინკლული ფრთებით მჯუნის ფოთლებზე ერთმანეთს მიჰკვრიან და ღეროებთან ერთად, აქეთ-იქით ირხევიან. კრაზანები პატარა

აეროპლანებივით დაბუზუნებენ ბალახში, ჭიამაია კი მარტო, ჭიქურ მიიწვეს მაღალი ბალახის ღეროს კენწერომდე.^[P SEP]

ჭიანჭველა მაჭაბე მიხობავს და გვირაბში, ჩემი ქურთუკის სახელოში იმალება; გამხმარ ბალახს მიათრევს, რომელიც მასზე გაცილებით დიდია. ღიტიწს ვგრძნობ კანზე და არ ვიცი: ჭიანჭველაა თუ პატარა მწერი, სიცოცხლის ნაბ ზოლებს რომ ავლებს ჩემს ხელზე და მცირე თრთოლას იწვევს? ნიავი მხრებზე მიბერავს და ვგრძნობ, რომ სიყვარულის ყველა სინაზე უფრო უხეშია, ვიდრე ეს სიო, კანზე რომ მელამუნება.^[SEP]

პეკლები, ნაბი ჰაერის თეთრი და ოქროსფერი აფრები, ფარფატით, ისე მინდობიან ნიავეს, თითქოს მასში ცურავენო. ცოტა ხნით ისვენებენ ყვავილებზე და სანამ შეხედვას მოვასწრებ, ორი მათგანი უკვე ჩემს მკერდზე ზის - ერთი, ყვითელი ფოთოლივით, წითელწინკლებიანი, მეორეს კი ფარშავანგის იისფერი თვალები მუქ ყავისფერ ხავერდის ფონზე გაუშლია. ეს ბაფხულის ორდენია! ძალიან ჩუმადა და ნელა ვსუნთქავ, მაინც სწვდება სუნთქვა მათ ფრთებს - ისინი კვლავ ჩემთან რჩებიან. ნათელი ცა ლივლივებს ბალახებში და ნემსიყლაპია ბუზუნით დასტრიალებს ჩემს ფეხსაცმელს. თეთრი ძაფები - მოციმციმე ობობას ქსელები, ჰაერში ქანაობენ, ღეროებსა და ფოთლებს ეკიდებიან. მათ ქარი არხევს და სახეზე მაყრის, თვალებზე, ტანსაცმელზე... სულ მთლად ვიფარები. ჩემი სხეული, ჯერ კიდევ ჩემი სხეული, მინდორს მიუყვება, რომელიც ისეთი უსაბღვრო და სინათლისგან კიდევებნაშლილია, რომ აღარც კი ჩანს, სად აქვს ბოლო.^[P SEP]

ფესსაცმლის ტყავში ბალახის სუნთქვა იჭრება, ტანსაცმლის ქსოვილის ფორებში - მინის სუნთქვა. თმას მოძრავი ცა, ქარი ელამუნება; და დაუპატიჟებელი სტუმრების შესახვედრად სისხლი ეხეთქება კანს, ნერვების ბოლოები იძაბება და თრთის. უკვე ვგრძნობ პეპლების ფეხებს ჩემს მკერდზე, ჭიანჭველების სვლა ექოსავით გაისმის ძარღვების ღრმულებში - შემდეგ ტალღა ძლიერდება, ბოლო წინააღმდეგობა ქრება... ჯერ კიდევ უსახელო გორაკი ვარ, მინდორი, მინა.^[56]

მინის უჩუმი დინებები აღმადღმა ტრიალებს და ჩემი სისხლიც მათ თან დაჰყვება, მათ მიერ არის ნართაცებული და ყველაფერში წილს იღებს. ჩემი სისხლი მინის თბილ სიბნელედ მოედინება კრისტალებისა და კვარცის წვრიალში; ის იმ მძიმე წვეთების საიდუმლოებით მოცულ ხმებშია, ყვავილებისა და ბალახის ფესვებთან რომ ჩაედინება; წვეთები წყაროებისკენ იკვალავს გზას. ჩემი სისხლი მათთან ერთად ამოხეთქავს მიწიდან, ის წყაროებსა და მდინარეებშია, ნაპირების ბრწყინვაში, ზღვის უკიდევანობასა და ნესტიან ვერცხლში, რომელსაც მზე უკიდევანო სივრციდან ისრუტავს; ის ტრიალებს და ტრიალებს, ნართაცებს ჩემს სხეულს, მინას და მინისქვეშა ნაკადებს უერთებს. ნელა, უმტკივნეულოდ ქრება ჩემი სხეული - ის უკვე აღარ არსებობს, მხოლოდ მატერია დარჩა და გარსი; ის მინისქვეშა წყაროების ჩუხჩუხად, ბალახის საუბრად, ქარის ქროლად, მოშრიალე ფოთლებად და უხმოდ მჟღერ ცად გადაიქცა. მინდორი ჩემშია, ყვავილები შემეზარდნენ, მათი გვირგვინები ჩემ ზევით ქანაობენ.

ჩათრეული ვარ, დავიწყებული, დინება მიმაქროლებს ყაყაჩოებისა და ყვითელი დუმფარების ქვეშ, მათ ზემოთ კი პეპლები და ნემსიყლაპიები ფართატებენ...^[P SEP]

ძლივსშესამჩნევი მოძრაობა, სუნთქვის შემკვრელი ჟრუანტელი... რა არის ეს? სიკვდილისწინა უკანასკნელი თრთოლა? თუ ეს ყაყაჩოებისა და ბალახების რხევაა მხოლოდ? თუ ნაკადულები ჩხრიალებენ ხეების ფესვებს შორის?^[P SEP]

მოძრაობა ძლიერდება. უფრო თანაზომიერი ხდება, სუნთქვასა და პულსის ცემაში გადადის, ტალღებად მოედინება, მოღელავს და ისევ უკან ბრუნდება მდინარეებიდან, ხეებიდან, ფოთლებიდან და მიწიდან... წრებრუნვა თავიდან იწყება, არაფერი მიაქვს, მხოლოდ მოაქვს და რჩება, ჟრჟოლად იქცევა - გარსი აღარ არის ცარიელი; ლალად, მსუბუქად და სიხარულით მელამუნება დედამინა - თვალებს ვახელ.^[P SEP]

სად ვარ? სად ვიყავი? მეძინა? ბუნებასთან ერთიანობის გრძნობა არ მშორდება, ვაყურადებ და განძრევას ვერ ვბედავ.^[P SEP]

არ ქრება, პირიქით, უფრო ძლიერდებაბედნიერებისა და სიმსუბუქის შეგრძნება. მოფართატე, შუქით მოსილ მინდორზე ვწევარ, პეპლები შორს გაფრენილან, მჟაუნა ირწევა, ჭიამაია თავის მწვერვალს აღწევს, ობობას ქსელები ტანსაცმელზე შემომხვევია, აღტაცება არ მშორდება; ის გულშია, თვალებში. ხელებს ვანძრევ... რა ბედნიერი ვარ! ვჯდები, სახე სველი მაქვს და მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რომ გულამოსკვნით ვტირი, რალაც დავკარგე, სამუდამოდ...^[P SEP]

ცოტა ხანს ვისვენებ. შემდეგ ვდგები და სასაფლაოსკენ მივდივარ. რაც ლუდვიგი მოკვდა, იქ არ ვყოფილვარ. ლუდვიგის სიკვდილის შემდეგ პირველად შევძელი გარეთ გასვლა.<sup>[P]
[SEP]</sup>

მოხუცი ქალი მიჩვენებს ლუდვიგის საფლავს. საფლავი ნიფლის ხეებითაა შემოვლებული და მარადმწვანე სუროთი მორთული. მინა ჯერ კიდევ ფხვიერია და პატარა ბორცვს ქმნის, რომელზეც რამდენიმე დამტკნარი გვირგვინი დევს. გვირგვინების ბაფთებზე ოქროს ნარნერები გახუნებულა, მათი ნაკითხვა ჭირს.<sup>[P]
[SEP]</sup>

აქ მოსვლის მეშინოდა. მაგრამ ეს სიჩუმე შიშს არ მგვრის. ქარი ქრის საფლავებზე. ჯვრების უკან ოქროსფრად ანათებს სექტემბრის ცა და ჭადრების სიმწვანეში შავი შაშვი გალობს.<sup>[P]
[SEP]</sup>

აჰ, ლუდვიგ, დღეს პირველად შევიგრძენი სამშობლო და მშვიდობა, შენ კი აღარ ხარ ჩემ გვერდით. ჯერ კიდევ ვერ ვიჭერებ ამას, ჯერ კიდევ სისუსტესა და დაღლილობას ვაბრალებ, მაგრამ მალე შეიძლება, ეს დაღლილობა თავგანწირვაში გადაიზარდოს. შეიძლება, მდუმარედ უნდა ველოდოთ და შემდეგ თავად მოვა ჩვენთან. ალბათ მხოლოდ ჩვენმა სხეულმა და მინამ არ გვიღალატა და მხოლოდ მათ უნდა ვუსმინოთ და მივყვეთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

აჰ, ლუდვიგ, ჩვენ ვეძებდით და ვეძებდით, გზას ვცდებოდით და ვეცემოდით, მიზნისკენ მივისწრაფოდით და ჩვენსავე თავს ვეჭახებოდით, მიზანი ვერ ვიპოვეთ და შენ დაიღუპე - და ნუთუ ახლა მხოლოდ ბალახებში მონაბერ ნიავს და შაშვის სტვენას შეუძლია, სახლში დაგვაბრუნოს? ნუთუ ღრუბელს ცაში, ხეს ზაფხულის

მცხუნვარებაში უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე მთელ ჩვენს მისწრაფებებს?^[P]_[SEP]

არ ვიცი, ლუდვიგ. ჯერ არ შემიძლია დავიჯერო, რადგან იმედებისგან დავიცალე. მაგრამ ჩვენ ისიც არ ვიცით, რა არის თავგანწირვა, არ ვიცით მისი ძალა. ჩვენ მხოლოდ ძალმომრეობა ვიცით.^[P]_[SEP]

ეს გადარჩენის გზაც რომ იყოს, რად მინდა უშენოდ...^[P]_[SEP]

ხეებიდან ნელ-ნელა შემოდის საღამო. კვლავ შიში და მწუხარება მოაქვს. საფლავს შევყურებ, ვილაცის ნაბიჯები ჭრიალებს ხრემზე. გავხედე, გეორგ რაეა. შეფიქრიანებული ჩანს და მირჩევს, სახლში წავიდე.^[P]_[SEP]

- დიდი ხანია, არ მინახავხარ, გეორგ, - ვეუბნები, - სად იყავი?^[P]_[SEP]

გაურკვეველ ჟესტს აკეთებს:^[P]_[SEP]

- უამრავი პროფესია გამოვცადე...^[P]_[SEP]

- ჯარისკაცი აღარ ხარ? - ვეკითხები.^[P]_[SEP]

- არა, - მპასუხობს მოკლედ.^[P]_[SEP]

სამგლოვიარო სამოსში გამონყობილი ორი ქალი გზას მოუყვება ჯადრებს შორის. პატარა, მწვანე სარწყავი უჭირავთ და ძველ საფლავეზე ყვავილებს რწყავენ. ტკბილად იღვრება რემედის სურნელი.^[P]_[SEP]

რაე მიყურებს:^[P]_[SEP]

- მეგონა, მეგობრობის მსგავსს მაინც ვნახავდი იქ, ერნსტ. მაგრამ იქ მხოლოდ გადაგვარებული ერთიანობის გრძნობა და ომის

კარიკატურა დამხვდა. იმ ადამიანებმა წარმოიდგინეს, რომ თუ რამდენიმე ათეულ შაშხანას გადამალავდნენ, სამშობლოს გადაარჩენდნენ; უნიფხვო ოფიცრები, რომლებსაც სხვა საქმე არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ყველა არეულობის შუაგულში ყოფილიყვნენ; მუდმივი ლანდსკნებები

, რომელთაც ყველა კავშირი დაკარგეს და ახლა ბიურგერულ ცხოვრებაში დაბრუნების ეშინიათ - ომის ყველაზე უარესი ლექი. მათ შორის რამდენიმე წყვილი იდეალისტიც იყო და მთელი ჯგრო ცნობისმოყვარეების, ავანტიურისტების... პატარა ბიჭები, აგზნებულნი, გამწარებულნი, სასონარკვეთილნი და გაბოროტებულნი და კიდევ...<sup>[P]
SEP</sup>

ცოტა ხანს დუმს და წინ იხედება. გვერდიდან მის სახეს ვათვალიერებ. განერვიულებული და განადგურებულია, ამოღამებულ თვალებს ჩრდილები დასწოლია. შემდეგ გამომიტყდა:<sup>[P]
SEP</sup>

- ბოლოს და ბოლოს, რატომ არ უნდა გითხრა, ერნსტ?.. დიდხანს ვფიქრობდი. ერთხელ შეტაკება მოგვიხდა კომუნისტებთან. მაგრამ როცა მიცვალებულებს დავაკვირდი, დავინახე - მუშები, სამხედრო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, ძველი ამხანაგები, - მაშინ რაღაც ჩამწყდა გულში. ჩემი თვითმფრინავით ბევრი ინგლისელი გამოვასალმე სიცოცხლეს - ვითომ არაფერი, ომი იყო. მაგრამ აქ, გერმანიაში, მკვდარი ამხანაგები, რომლებიც ყოფილმა ამხანაგებმა დახოცეს!.. ეს აღსასრულია, ერნსტ!<sup>[P]
SEP</sup>

ვაილი და ჰეელი გამახსენდნენ და თავს ვუქნევ, თანხმობის ნიშნად.

ჩვენ თავს ბევით ნიბლია აჭიკჭიკდა. ჩამავალი მზე მენამულად ენთო, ცას ოქროსფერი დაედო. [P SEP]

რაე სიგარეტს ღეჭავს. [P SEP]

- ჰოდა, შემდეგ: მოგვიანებით ორი ადამიანი დაგვაკლდა. ალბათ უნდოდათ გაეთქვათ, სად იმყოფებოდა იარაღის მარაგი. ამხანაგებმა ისინი ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ღამით, ტყეში, კონდახებით მოკლეს. ამას ფემეს

ვეძახდით. ერთ-ერთი მოკლული ჩემი უნტერ-ოფიცერი იყო, გულიანი ბიჭი. მაშინ ავდექი და დავტოვე იქაურობა. - მიმოიხედა. - აი, რა მივიღეთ ამ ყველაფრისგან, ერნსტ. მაშინ კი, მაშინ, როცა ომში მივდიოდით, რა ამალღებული გრძნობა გვქონდა, რა შემართება! - სიგარეტი გადააგდო. - ჭანდაბას, სად გაქრა ეს ყველაფერი?! - ცოტა ხნის შემდეგ კი ჩუმად ამბობს: - მინდა გავიგო, ერნსტ, რატომ მოხდა ეს ყველაფერი. [P SEP]

ვდგებით და ჭადრების ხეივანს გასასვლელისკენ მივუყვებით. მზე ფოთლებს ეთამაშება და სახეზე გველამუნება. ყველაფერი არარეალურია - ჩვენი საუბარი და გვიანი ზაფხულის რბილი, თბილი ჰაერი, შაშვები და მოგონებების უხეში ქროლა. [P SEP]

- ახლა რას აკეთებ, გეორგ? - ვეკითხები. [P SEP]

მიდის და ტროსტით ნარშავებს თავებს აცლის. [P SEP]

- ყველაფერი გამოვცადე, ერნსტ, - პროფესიები, იდეალები, პოლიტიკა, - მაგრამ ვერაფერს მოვერგე. ყველგან მოტყუება, უნდობლობა, გულგრილობა და უსაზღვრო ეგოიზმია. [P SEP]

ცოტა დავიღალე სიარულით და ჩამოვსხედით. ქალაქის კომპიუტრები მწვანედ ციმციმებენ, სახურავები ბოლავენ და ვერცხლისფერი კვამლი საკვამურებიდან ცას უერთდება. გეორგი ქვემოთ მანიშნებს: [SEP]

- თავ-თავიანთ ბიუროებში ობობებივით ირევიან, მნიშვნელობა არა აქვს, რა საქმით იქნებიან დაკავებული და მზად არიან, ერთმანეთს სისხლი გამოსწოვონ. მათ ზევით კი დგას - ოჯახები, გაერთიანებები, დანესებულებები, კანონები, სახელმწიფო! ობობას ქსელშია ყველაფერი გახვეული! რა თქმა უნდა, შეიძლება, ამას ცხოვრება დავარქვათ და ვიამაყოთ, რომ ორმოცი წელი ამ ქსელში გახვეული ერთ ადგილზე ვტრიალებთ. ფრონტზე ვისწავლე, რომ დრო ცხოვრებისთვის საზომი არ არის. რატომ უნდა ჩამოვიდე ნაბიჯ-ნაბიჯ ქვემოთ ორმოცი წლის განმავლობაში? წლების მანძილზე სასწორზე ვდებდი ყველაფერს - მთელ ცხოვრებას. ახლა უკვე აღარ შემიძლია, პატარა ნარმატებებს ველოდო. [SEP]

- ბოლო წლებში სანგრებში არ ყოფილხარ, გეორგ, - ვეუბნები, - მფრინავებთან შეიძლება, ყველაფერი სხვანაირად იყო. ჩვენ კი თვეების განმავლობაში მტერი თვალითაც არ გვინახავს, ჩვენ მხოლოდ საბარბაზნე ხორცი ვიყავით. ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო - უნდა დავლოდებოდით, როდის მივიღებდით ტყვიას შუბლში. [SEP]

- მე ომზე არ ვლაპარაკობ, ერნსტ, მე ჩვენს ახალგაზრდობასა და მეგობრობაზე ვსაუბრობ. [SEP]

- ჰო, ყველაფერმა ჩაიარა, - ვამბობ. [SEP]

- ჩვენ თითქოს სათბურში ვცხოვრობდით, - ამბობს გეორგი დაფიქრებით, - დღეს უკვე დავბერდით. მაგრამ კარგია, თუ ყველაფერი ნათელია შენთვის. მე არაფერს ვნანობ. უბრალოდ მოვრჩი. ყველა გზა დახურულია. წინ უბადრუკი ცხოვრებაა. ეს კი არ მინდა. თავისუფლება მინდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, გეორგ, - წამოვიძახე, - რასაც ამბობ, ეს დასასრულია! მაგრამ ჩვენთვისაც ხომ უნდა იყოს დასაწყისი! მე დღეს ეს ვიგრძენი. ლუდვიგმაც იცოდა, მაგრამ ის ძალიან ავად იყო.<sup>[P]
[SEP]</sup>

მხრებზე ხელი დამადო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, ჰო, ეცადე, სასარგებლო იყო..<sup>[P]
[SEP]</sup>

გადავეხვიე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რასაც შენ ახსენებ, საზიზღრობა და უხამსობაა, მაგრამ სადმე ალბათ არის ჭეშმარიტი ამხანაგობა, რომლის შესახებაც ჭერჭერობით არ ვიცით.<sup>[P]
[SEP]</sup>

მინდოდა, ყველაფერი მომეყოლა, რაც მინდორზე განვიცადე, მაგრამ სიტყვები არ მეყო.<sup>[P]
[SEP]</sup>

ერთმანეთის გვერდით მდუმარედ ვსხედვართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მართლა, რის გაკეთებას აპირებ, გეორგ? - ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ვეკითხები.<sup>[P]
[SEP]</sup>

ჩაფიქრებული იღიმება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მე, ერნსტ? მე რაღაც გაუგებრობის გამო კინალამ მოვკვდი. ეს სასაცილოც კია.<sup>[P]
[SEP]</sup>

ხელს გვერდზე ვუწევ და შეშინებული შევცქერი. მაგრამ ის

მამშვიდებს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- პირველ ყოვლისა, მინდა, ცოტა ვიმოგზაურო.<sup>[P]
[SEP]</sup>

გეორგი ტროსტს ათამაშებს და დიდხანს იყურება შორეთში.<sup>[P]
[SEP]</sup>

- გახსოვს, რა თქვა ერთხელ გიბეკემ იქ, საავადმყოფოში? ფლერში უნდოდა წასვლა... ისევ ფლერში, გესმის? მას ეგონა, რომ ეს განკურნავდა...<sup>[P]
[SEP]</sup>

თავს ვუქნევ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ისევ იქ არის, მაღლა. ახლახან კარლი იყო მის სანახავად.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნელი ქარი უბერავს. შევცქერით ქალაქს და ალვის ხეების რიგს, რომელთა ქვეშაც ადრე კარვებს ვაშენებდით და ინდიელობანას ვთამაშობდით. გეორგი ყოველთვის წინამძღოლი იყო. მე ის მიყვარდა, როგორც ბიჭებს შეუძლიათ სიყვარული, ისე, რომ წარმოდგენაც არ აქვთ სიყვარულზე.<sup>[P]
[SEP]</sup>

თვალს თვალში ვუყრით ერთმანეთს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჩემი ძმა „მოტეხილი ხელი“, - ამბობს გეორგი ჩუმად და იღიმება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- „გამარჯვებული“, - ვპასუხობ ასევე ჩუმად.<sup>[P]
[SEP]</sup>

2.<sup>[P]
[SEP]</sup>

რაც უფრო ახლოვდება სასამართლოს დღე, უფრო ხშირად ვფიქრობ ალბერტზე. და ერთ მშვენიერ დღეს, უცებ ნათლად და ცხადად დამიდგა თვალწინ თიხით ალესილი კედელი, ტყვიების

ქარცეცხლი, შაშხანა ოპტიკური სამიზნით და მასზე ჩახუტებული ცივი, დაძაბული სახე: ბრუნო მუკენჰაუთი, ბატალიონის საუკეთესო სნაიპერი, რომელიც არასდროს აცილებდა მიზანს.^{[P]_{SEP}}

ავდექი და მასთან გავემართე. მინდოდა გამეგო, რას აკეთებს, რა დაემართა.^{[P]_{SEP}}

მაღალი სახლი, უამრავი ბინით. კიბეზე წყალი ჩამოდის. შაბათია და ყველგან ვედროები, იატაკის სახეხი ჭოხები და კაბააკაპინებული ქალებია.^{[P]_{SEP}}

გამყინავი ზარის ხმა, მეტისმეტად გამკვივანი, ჩვეულებრივი ბინისთვის. აღებენ. ბრუნოს ვკითხულობ. ქალი შინ მეპატიჟება და წინ მიმიძღვის. მუკენჰაუთი პერანგით მის იატაკზე და ქალიშვილს ეთამაშება - ასე, ხუთიოდე წლის გოგონას; ჩალისფერ თმას დიდი ცისფერი ბაფთა უმშვენებს. ბრუნოს ვერცხლისფერი ქალაღდით ხალიჩაზე მდინარე გაუკეთებია და შიგ ქალაღდის გემები ჩაუსვამს; ამ გემებით პატარათოჭინები მგზავრობენ. ბრუნო სიამოვნებით აბოლებს საშუალო სიდიდის ჩიბუხს. ჩიბუხის ფაიფურის თავზე ჩამუხლული მსროლელი ჯარისკაცია გამოსახული, თავზე კი წარწერაა: „ყველაფერი სამშობლოსთვის!“^{[P]_{SEP}}

- ოო, ერნსტ! - ამბობს ბრუნო, გოგონას წამოუთაქებს და სათამაშოდ უშვებს.^{[P]_{SEP}}

ოთახში შევდივართ. დივანი და სკამები წითელი პლუშითაა გადაკრული, საზურგეზე ნაქსოვი ხელსახოცები აწყვია და იატაკი ისეა გაპრიალებული, კინაღამ გავსრიალდი. ყველაფერი სუფთაა და თავის

ადგილზეა; კამოდი ნიჟარებით, პატარა სტატუეტებითა და ფოტოებითაა მორთულია, მათ შორის კი, წითელ ხავერდზე, შუშის საფარში ბრუნოს ორდენი დევს.^{[P]_{SEP}}

ძველი ამბები გავიხსენეთ.^{[P]_{SEP}}

- შენი ზუსტი მოხვედრების სია თუ გაქვს? ^{[P]_{SEP}}

- რა საკითხავია! - სწყინს ბრუნოს. - შენახული მაქვს ყველაზე საპატიო ადგილზე.^{[P]_{SEP}}

მუკენჰაუთი კამოდიდან რვეულს იღებს და კმაყოფილი ფურცლავს.^{[P]_{SEP}}

- გაფხული ჩემთვის საუკეთესო დრო იყო, რადგან საღამოს დიდხანს არ ბნელდებოდა. აი, აქ, მოიცადე, 18 ივნისი - ოთხი თავში მოხვედრა, 19 - სამი, 20 - ერთი, 21 - ორი, 22 - ერთი, 23 - არც ერთი, ავაცდინე. ძაღლისშვილებმა რაღაც შენიშნეს და უფრო ფრთხილობდნენ. მაგრამ აი, აქ, მიაქციე ყურადღება, 26; ამ დღეს მონინაალმდევის რიგებში ახალი ცვლა მოვიდა, რომელმაც ბრუნოს არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, და - 9 მოხვედრა თავში! ა?.. როგორია, რას იტყვი?! - გაბრწყინებული თვალებით მიყურებს. - ორი საათის განმავლობაში! სასაცილო იყო პირდაპირ; თხებივით გამოდიოდნენ სანგრებიდან - და პირდაპირ თავში! არ ვიცი, რატომ ხდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ მათგან ქვევით ვიყავი და პირდაპირ ნიკაპში ვესროდი. ახლა აქეთ გამოიხედე. ხედავ, მონმეებიც მყავდა. აი, ასეც წერია: „ვადასტურებ, ვიცე-ფელდფებელი შლიე“, საღამოს 10 საათი - თითქმის სიბნელეში. მაგარია, არა? ეჰ, ძმაო, რა დრო იყო!^{[P]_{SEP}}

- მითხარი, ბრუნო, - ვეუბნები, - მართლა მაგარი მიღწევებია, მაგრამ ახლა მაინც არ გეცოდება ის ბიჭები?^[P]^[SEP]

- რა? - მპასუხობს დაბნეული.^[P]^[SEP]

ვეუმეორებ, რაც ვკითხე.^[P]^[SEP]

- მაშინ იმ ორომტრიალში ვიყავით - დღეს ხომ ყველაფერი შეიცვალა.^[P]^[SEP]

მან თავისი სკამი უკან გასწია.^[P]^[SEP]

- კაცო, ბოლშევიკი ხომ არ ხარ? ეს ხომ მოვალეობა იყო! ბრძანება! აი, ასე!^[P]^[SEP]

ამბობს და ნანყენი, აბრეშუმის ქალაქში ხვევს თავის ძვირფას რვეულს. კარგი სიგარეტით ვამშვიდებ. შერიგების ნიშნად ნაფაბს ურტყამს და თავის მსროლელთა კლუბზე მიყვება, რომლის წევრებიც ყოველ შაბათს იკრიბებიან.^[P]^[SEP]

- ახლახან ზემი გვქონდა. მაგარი იყო! შემდეგ კვირას კი კეგლის კონკურსი გვექნება. უნდა მოხვიდე, ერნსტ, კარგი ლუდიც იქნება. იშვიათად თუ დალევ სადმე ასეთს. და ათი პფენინგით უფრო იაფია, ვიდრე სხვაგან. კარგია სალამობით იქ ჯდომა და ისეთი სიმყუდროვია! აი, - მოოქრულ ჯაჭვს მიჩვენებს, - საუკეთესო მსროლელი ვარ! ბრუნო პირველი! მაგარია, არა?^[P]^[SEP]

ბავშვი შემოდის. პატარას გემი გასტყდომია. ბრუნო მზრუნველობით არემონტებს და ბავშვს თავზე ხელს უსვამს. ცისფერი ბაფთა შრიალებს.^[P]^[SEP]

შემდეგ ბუფეტთან მივყავარ, რომელიც სხვადასხვა ნივთითაა

გამოტენილი. ესენი ბაზრობაზე, ტირში აქვს მოგებული. სამი სროლა სულ რამდენიმე პფენინგი ღირს და თუ გარკვეული რაოდენობის რგოლებს გაართყამ, გათამაშებაში მონაწილეობას შეძლებ. ტირიდან ბრუნოს მოგლეჯა ძნელია. მას უამრავი პლუშის დათუნია, ბროლის ლარნაკი, ბოკალი, ლუდის კათხა, ყავის მადუღარა, საფერფლე, ბურთი და ორი დანხული სავარძელიც კი აქვს მოგებული.^[P SEP]

- საბოლოოდ, არსად აღარ მიშვებდნენ, - კმაყოფილი იცინის, - ყველა ტირი დავაცარიელე. რაც იცი, იცი!^[P SEP]

ბნელ ქუჩას მივუყვები. სახლის კარიდან სინათლე გამოდის და წყალი ისხმება. ბრუნო ალბათ ისევ ეთამაშება თავის გოგონას. შემდეგ ცოლი ვახშამს მიუტანს. მერე ლუდის დასალევად წავა. კვირადღეს თავის ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ პიკნიკს მოაწყობს. საიმედო კაცია, კარგი მამა, პატივდებული მოქალაქე. ვერაფერს იტყვი.^[P SEP]

ალბერტი? ჩვენ?^[P SEP]

ალბერტის სასამართლომდე ერთი საათით ადრე სასამართლოს შენობის წინ ვდგავართ. ბოლოს და ბოლოს, მონშეების გამოძახება დაიწყეს. გულის ფანცქალით შევდივართ შიგნით. ალბერტი ბრალდებულის სკამზე ბის, სკამის ზურგს მიყრდნობია და წინ იყურება. გვინდა, თვალეებით გავამხნევოთ: გამაგრდი, ალბერტი! გასაჭირში არ მიგატოვებთ! - მაგრამ ის არ გვიყურებს.^[P SEP]

მას შემდეგ, რაც ჩვენი სახელები ამოიკითხეს, დარბაზი ისევ უნდა დავტოვოთ. გარეთ გასვლისას, დამსწრეთა პირველ რიგში ტიადენსა და ვალენტინს ვხედავთ. ისინიც თვალს გვაყოლებენ.^[P SEP]

მონმეებს ერთიმეორის შემდეგ უშვებენ. ვილის დაკითხვა განსაკუთრებით დიდხანს გრძელდება. შემდეგ ჩემი ჯერია. სწრაფად ვუყურებ ვალენტინს - შეუმჩნევლად თავს მიქნევს უარყოფის ნიშნად. ესე იგი, ალბერტი ჯერ კიდევ უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე. ასეც ვიცოდი. დაბნეული ზის თავისი დამცველის გვერდით. ვილი მთლად წამონითლებულია. მეძებარი ძალღივით ფხიზლად ადევნებს თვალს პროკურორს. ეტყობა, ისინი უკვე დაეჭახნენ ერთმანეთს.^{[P]_{SEP}}

ფიცი დამადებინეს. შემდეგ თავმჯდომარე შეკითხვებს მისვამს. მას აინტერესებს, ადრე უთქვამს თუ არა ალბერტს ჩემთვის, რომ ბარტშერისთვის შუბლის გახვრეტა სურდა. როდესაც უარყოფითად ვპასუხობ, მეუბნება, რომ სხვადასხვა მონმე ადასტურებს, რომ ალბერტი უჩვეულოდ მშვიდი და განონასწორებული იყო იმ მომენტში.^{[P]_{SEP}}

- ის ყოველთვის ასეთია, - ვპასუხობ.^{[P]_{SEP}}

- განონასწორებული? - მხრებს იჩეჩს პროკურორი.^{[P]_{SEP}}

- მშვიდი, - ვპასუხობ.^{[P]_{SEP}}

თავმჯდომარე წინ იხრება.^{[P]_{SEP}}

- ამგვარ სიტუაციებშიც?^{[P]_{SEP}}

- რა თქმა უნდა, - ვამბობ, - გაცილებით უარეს სიტუაციებშიც ინარჩუნებდა სიმშვიდეს.^{[P]_{SEP}}

- რომელ უარეს სიტუაციებში? - მეკითხება პროკურორი და თან თითს მაღლა სწევს.^{[P]_{SEP}}

- ტყვიების ქარცეცხლში.^{[P]_{SEP}}

თითს ისევ დაბლა სწევს. ვილი კმაყოფილი ჭიხვინებს. პროკურორი ბრაზიან მზერას ესვრის.^[P]_[SEP]

- ესე იგი, მშვიდად იყო? - კიდევ ერთხელ მეკითხება თავმჯდომარე.^[P]_[SEP]

- ისევე მშვიდად, როგორც ახლა, - ვპასუხობ აღშფოთებული, - ვერ ხედავთ, რომ მშვიდად დგას აქ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი უდულს? ის ჭარისკაცი იყო! ფრონტზე აქვს ნასწავლი, რომ კრიტიკულ სიტუაციებში თავი არ უნდა დაეკარგა და სასონარკვეთილს, ცისკენ ხელები არ აღემაართა, თორემ აღარც ერთი არ შერჩებოდა.^[P]_[SEP]

დამცველი რაღაცას ინიშნავს. თავმჯდომარე ერთი ნუთით მზერას ჩემზე აჩერებს.^[P]_[SEP]

- აბა, რატომ ისროლა დაუფიქრებლად? - მეკითხება. - რა მოხდა მერე, თუ გოგონა ვილაცასთან კაფეში იჭდა.^[P]_[SEP]

- ეს მისთვის უარესი იყო, ვიდრე ტყვია მუცელში, - ვამბობ.^[P]_[SEP]

- რატომ?^[P]_[SEP]

- რადგან გოგონა ერთადერთი იყო, რაც გააჩნდა.^[P]_[SEP]

- მას ხომ დედაც ჰყავს, - ნამოიძახა პროკურორმა.^[P]_[SEP]

- მასზე ხომ ვერ იქორწინებდა, - ვპასუხობ.^[P]_[SEP]

- რატომ იყო მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ქორწინება? - იკითხა თავმჯდომარემ. - ძალიან ახალგაზრდა ხომ არ არის ამისთვის?^[P]_[SEP]

- ჭარისკაცობისთვის არ იყო ძალიან ახალგაზრდა? - ვამბობ. - ქორწინება კი იმიტომ სჭირდებოდა, რომ ომის შემდეგ თავგზა აებნა, საკუთარი თავისა და მოგონებების ეშინოდა და ერთადერთი საყრდენი

მისთვის ის გოგონა იყო.^[P]_[SEP]

თავმჯდომარე ალბერტს მიუბრუნდა.^[P]_[SEP]

- ბრალდებულო, ბოლოს და ბოლოს, მიპასუხებთ? სიმართლეა, რასაც მონმე ამბობს?^[P]_[SEP]

ალბერტი არ ჩქარობს, ვილი და მე მივჩერებივართ.^[P]_[SEP]

- ჰო, - ამბობს უხალისოდ.^[P]_[SEP]

- არ გინდათ გვითხრათ, რატომ გქონდათ თან რევოლვერი?^[P]_[SEP]

ალბერტი დუმს.^[P]_[SEP]

- ის ყოველთვის თან აქვს, - ვამბობ.^[P]_[SEP]

- ყოველთვის? - მეკითხება თავმჯდომარე.^[P]_[SEP]

- რა თქმა უნდა, - ვპასუხობ, - ისევე, როგორც ცხვირსახოცი და საათი.^[P]_[SEP]

თავმჯდომარე გაკვირვებული შემომცქერის.^[P]_[SEP]

- რევოლვერი ხომ ცოტა სხვა რამ არის, ვიდრე ცხვირსახოცი.^[P]_[SEP]

- მართალია, - ვამბობ, - ცხვირსახოცი ისე არ სჭირდებოდა. ხანდახან ჭიბეში არც ედო.^[P]_[SEP]

- რევოლვერი?^[P]_[SEP]

- რევოლვერმა რამდენჯერმე სიკვდილს გადაარჩინა. სამი წელია, რაც თან დააქვს. ეს ჩვევა ფრონტიდან მოდის.^[P]_[SEP]

- მაგრამ ახლა ხომ არ სჭირდება, ახლა ხომ მშვიდობაა.^[P]_[SEP]

მხრებს ვიჩეჩ: ^[P]_[SEP]

- არ ვარ დარწმუნებული.^[P]_[SEP]

თავმჯდომარე ისევ ალბერტს მიუბრუნდა: ^[P]_[SEP]

- ბრალდებულო, არ გინდათ, სინდისი ცოტათი შეიმსუბუქოთ? არ ინანიებთ? [P] [SEP]

- არა, - ყრუდ ამბობს ალბერტი. [P] [SEP]

სიჩუმე ჩამონვა. ნაფიცი მსაჯულები სმენად იქცნენ. პროკურორი წინ გადმოიხარა. ვილი ისეთ სახეს იღებს, თითქოს ალბერტს უნდა ეცესო. მე სასონარკვეთილი შევცქერი. [P] [SEP]

- მაგრამ თქვენ ხომ ადამიანი მოკალით? - ამბობს თავმჯდომარე შთამბეჭდავად. [P] [SEP]

- მე ბევრი ადამიანი მყავს მოკლული, - პასუხობს ალბერტი. [P] [SEP]

თავმჯდომარე წამოხტა. ნაფიცი მსაჯულები კართან ფრჩხილებს იკვნეტენ. [P] [SEP]

- რას ამბობთ? - ეკითხება სუნთქვაშეკრული თავმჯდომარე. [P] [SEP]

- ომში, - სწრაფად ვამბობ. [P] [SEP]

- ეს ხომ სულ სხვა რამეა, - ამბობს იმედგაცრუებული პროკურორი.

[P] [SEP]

მაშინ ალბერტი თავს სწევს: [P] [SEP]

- როგორ თუ სხვა რამეა? [P] [SEP]

პროკურორი დგება. [P] [SEP]

- გინდათ, რომ სამშობლოსთვის ბრძოლა ამ შემთხვევას გაუთანაბროთ? [P] [SEP]

- არა, - პასუხობს ალბერტი, - ადამიანებს, რომლებიც ომში დავხოცე, ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ. [P] [SEP]

- გაუგონარია, - ამბობს პროკურორი და თავმჯდომარეს

მიმართავს, - ძალიან გთხოვთ...^[P]_[SEP]

მაგრამ თავმჯდომარე უფრო თავშეკავებულია.^[P]_[SEP]

- სადამდე მივალთ, ყველა ჯარისკაცმა ასე რომ იფიქროს, როგორც ბრალდებული ფიქრობს! - ამბობს.^[P]_[SEP]

- მართალია, - ვპასუხობ, - მაგრამ ამაზე ჩვენ პასუხს არ ვაგებთ. ეს ადამიანი - და ალბერტზე ვაჩვენებ, - ომში რომ არ გაენვიათ და კაცის კვლა არ ესწავლებინათ, ამას არ ჩაიდენდა!^[P]_[SEP]

პროკურორი ნამოჯარხლდა:^[P]_[SEP]

- შეუძლებელია, რომ მონემ დამოუკიდებლად, როცა ვინმე არ ეკითხება...^[P]_[SEP]

თავმჯდომარე ამშვიდებს.^[P]_[SEP]

- მგონია, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება გადავუხვიოთ კანონს.^[P]_[SEP]

დროებით თავისუფალი ვარ. ჩემ შემდეგ გოგონას იძახებენ. ალბერტი იშმუშნება და ტუჩებს იკვნეტს. გოგონასშავი აბრეშუმის კაბა აცვია, თმა ახალი დახვეული აქვს. თავდაჯერებული გამოდის წინ. ეტყობა, რომ თავი ძალიან მნიშვნელოვანი ვინმე ჰგონია.^[P]_[SEP]

მოსამართლე ეკითხება, რა ურთიერთობა ჰქონდა ალბერტთან და ბარტშერთან. ის ალბერტს აუტანელ ადამიანად ახასიათებს, ბარტშერს კი, პირიქით, ღირსეულად. მას ალბერტთან ქორწინებაზე არასდროს უფიქრია, ხოლო ბარტშერზე თითქმის დანიშნული იყო.^[P]_[SEP]

- ჰერ ტროსკე ძალიან ახალგაზრდა იყო ქორწინებისთვის, - ამბობს თედოების რხევით.^[P]_[SEP]

ალბერტს შუბლზე ოფლმა დაასხა, მაგრამ არც განძრეულა. ვილი

ხელებს მუშტავს. ჩვენ თავს ძლივს ვიკავებთ.

თავმჯდომარე ეკითხება, რა სახის ურთიერთობა ჰქონდა ალბერტთან?

- სრულიად უცოდველი, - ამბობს გოგონა, - ჩვენ მხოლოდ ნაცნობები ვიყავით.

- ბრალდებული მაშინ აღელვებული იყო?

- რა თქმა უნდა, - პასუხობს ის მკვირცხლად: ქათინაურად იღებს.

- როგორ მოხდა ყველაფერი?

- ო, ასე, - იღიმება და ოდნავ ბრუნდება, - ის ძალიან შეყვარებული იყო.

ვილი ყრუდ კვნესის. პროკურორი ამას თავისი პენსნეთი აფიქსირებს.

კახპა! - ექოსავით გაისმის დარბაზში.

ხალხში აურზაურია.

- ვინ დაიძახა? - კითხულობს თავმჯდომარე.

ტიადენი ამაყად დგება.

ორმოცდაათი მარკით დააჯარიმეს დისციპლინის დარღვევისთვის.

- ცოტაა, - და საფულეს იღებს, - ახლავე უნდა გადაგიხადოთ?

კიდევ ორმოცდაათი მარკით აჯარიმებენ და დარბაზიდან აძევებენ.

გოგონა შესამჩნევად თავშეკავებული ხდება.

- რა მოხდა თქვენსა და ბარტმერს შორის იმ საღამოს? -

აგრძელებს დაკითხვას თავმჯდომარე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არაფერი, - პასუხობს გოგონა ყოყმანით, - უბრალოდ ერთად ვისხედით.<sup>[P]
[SEP]</sup>

მოსამართლე ალბერტს მიმართავს: <sup>[P]
[SEP]</sup>

- გაქვთ რაიმე შენიშვნა?<sup>[P]
[SEP]</sup>

თვალეებით ვბურღავ. მაგრამ ის ნელა ამბობს: <sup>[P]
[SEP]</sup>

- არა. <sup>[P]
[SEP]</sup>

- ესე იგი, მონმის ჩვენებები მართალია?<sup>[P]
[SEP]</sup>

ალბერტი მწარედ იცინის, სახეზე ნაცრისფერი ადევს. გოგონა ჭვარცმას შესცქერის, თავმჯდომარის თავთან კედელზე რომ კიდია. <sup>[P]
[SEP]</sup>

- შესაძლებელია, სწორი იყოს, - ამბობს ალბერტი, - მაგრამ დღეს პირველად მოვისმინე ასეთი რამ. თუ ასეა, შევმცდარვარ.<sup>[P]
[SEP]</sup>

გოგონამ ამოისუნთქა. მაგრამ ეს ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან ვილი დგება: <sup>[P]
[SEP]</sup>

- ტყუილია! - ყვირის. - ეს ძუკნა ტყუის. ამ ვაჟბატონთან ბოზობდა, ნახევრად შიშველი იყო, ოთახიდან რომ გამოვარდა! <sup>[P]
[SEP]</sup>

ხმაური, აურზაური, პროკურორი აღშფოთებულია. თავმჯდომარე ვილის საყვედურს უცხადებს. <sup>[P]
[SEP]</sup>

რაგინდ სასონარკვეთილი გამომეტყველება ჰქონდეს ალბერტს, ვილის მაინც ვერაფერი შეაკავებს. <sup>[P]
[SEP]</sup>

- კიდევაც რომ დამიჩოქო, მაინც ვიტყვი, ბარტშერმა გოგონა დაათრო, ალბერტი ამან გააგიჟა და იმიტომ ესროლა! <sup>[P]
[SEP]</sup>

დამცველი საჩქაროდ ინიშნავს. გოგონა აღელვებული კივის: <sup>[P]
[SEP]</sup>

- სწორია, დამათრო, სწორია! [P]
[SEP]

პროკურორი ხელებს იქნევს. [P]
[SEP]

- სასამართლოს ღირსება მოითხოვს... [P]
[SEP]

ვილი გაცოფებული ხარავით იწევს მისკენ. [P]
[SEP]

- თავში ნუ აგვივარდებათ, სასამართლოს ჭიავ! თუ გგონიათ, რომ თქვენი მაიმუნის მოსასხამის გამო მოვკვეტავთ? აბა, ერთი სცადეთ, გარეთ გაგვაგდოთ! რა იცით ჩვენ შესახებ? ეს ახალგაზრდა, თქვენ წინ რომ დგას, წესიერი და მორიდებული ბიჭი იყო - აბა, ჰკითხეთ დედამისს! მაგრამ ახლა ისე ისვრის ტყვიებს, როგორც ადრე რიყის ქვებს ისროდა. მონანიება! მონანიება! როგორ უნდა მოინანიოს, რომ, მოკლა ის, ვინც ყველაფერი ნამსხვრევებად უქცია?! ერთადერთი შეცდომა, რაც მან დაუშვა, ისაა, რომ სხვას ესროლა: ქალი უნდა მოეკლა! გგონიათ, ოთხი წლის სისხლისღვრის ჩამორეცხვა ტვინიდან სიტყვა „მშვიდობით“ ისე ადვილად შეიძლება, როგორც სველი ღრუბელათი? განა არ ვიცით, რომ როცა მოგვესურვება, ჩვენი პირადი მტრები არ უნდა გამოვასალმოთ სიცოცხლეს? მაგრამ როცა სიბრაზე აგვიტანს, ყველაფერი აირევა და საშინელება დაგვატყდება თავს... აბა, დაფიქრდით, საიდან მოდის ეს ყველაფერი? [P]
[SEP]

საშინელი აყალმაყალი იწყება. ტყუილად ცდილობს თავმჯდომარე სიმშვიდის დამყარებას. [P]
[SEP]

ერთად შემჭიდროებულნი ვდგავართ. კობოლეს მუშტები შეუკრავს. ამ მომენტისთვის მათ არავითარი საშუალება არ აქვთ ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ ძალიან საშიშები ვართ. ვერც ერთი პოლიციელი

ვერ შეძლებს ჩვენს გაყვანას. ნაფიც მსაჯულებთან მივდივარ. ^[P]_[SEP]

- საქმე ეხება ჩვენს ამხანაგს! - ვყვირი. - ნუ განსჯით მას! მას არ უნდოდა სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართ ასეთი გულგრილი ყოფილიყო. არც ჩვენ გვინდა ეს, მაგრამ ჩვენ ყველა განზომილება დაგვერღვა, იქ, ფრონტზე, და არავინ გვიშველა! პატრიოტიზმი, მოვალეობა, სამშობლო - ამას ხომ ჩვენც ვიმეორებდით, ომისთვის რომ გაგვეძლო და ყველაფრისთვის თავისი ადგილი მიგვეჩინა! მაგრამ ეს მხოლოდ ცნებები ყოფილა; ძალიან ბევრი სისხლი იყო ფრონტზე, რამაც ყველაფერი წალეკა! ^[P]_[SEP]

უეცრად ვილი გვერდით ამომიდგა. ^[P]_[SEP]

- სულ ახლახან, ერთი წლის წინ ეს ბიჭი, - ხელით ალბერტზე უთითებს, - ორ ამხანაგთან ერთად ტყვიამფრქვევის ბუდეში ჩასაფრებული რომ იწვა - ეს ტყვიამფრქვევი ერთადერთი იყო მთელ ნანილში, რომელიც, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ ვარგოდა, - უეცრად ჩვენ წინააღმდეგმეტევაზე გადმოვიდნენ. ესენი, სამივენი, მშვიდად იწვნენ, უმიზნებდნენ და ელოდნენ, არ ისროდნენ; და როდესაც მოწინააღმდეგემ უკვე იფიქრა, რომ ყველაფერი განმნდილი ჰქონდა და დაიძრა, სამეული მაშინ ამოქმედდა; სროლა არ შეუწყვეტიათ, მხოლოდ მოგვიანებით მოვიდა დახმარება. შეტევა მოგერიებული იქნა. შემდეგ ჩვენ ვნახეთ, რამდენი ზუსტი გარტყმა ჰქონდათ - ოცდაშვიდი გარტყმა პირდაპირ მუცელში, ერთიმეორეზე უფრო ზუსტი, ესე იგი, სასიკვდილო, სხვა შემთხვევებზე რომ აღარაფერი ვთქვათ - ფეხებში, კუჭში, ფილტვებში, თავში. აი, ამან, აქ რომ ზის, - კვლავ

ალბერტზე უთითებს, - მარტომ, მთელი ლაზარეთი მოამარაგა, ბევრს კი ლაზარეთი აღარც დასჭირებია. ალბერტი პირველი ხარისხის რკინის ჯვრით დააჭილდოეს და უფროსების მადლობაც დაიმსახურა. ახლა შეგიძლიათ გაიგოთ, რატომ ვერ დასჯით ამ ადამიანს, თქვენი პარაგრაფებითა და თქვენი სამოქალაქო სამართლით? ის ჯარისკაცია, ის ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენ მას ვათავისუფლებთ!^{[P]_{SEP}}

ბოლოს და ბოლოს, პროკურორის სიტყვის ჩაკვეთების საშუალება მიეცა.^{[P]_{SEP}}

- ეს საშინელი გაველურებაა... - ძლივს ითქვამს სულს და პოლიციელს უყვირის, რომ ვილი დააკავოს.^{[P]_{SEP}}

აყალმაყალი განახლდა. ვილის დარბაზი ხელში უჭირავს. მე თავზე ხელს ვიღებ:^{[P]_{SEP}}

- გაველურება? ვინ არის ამაში დამნაშავე? თქვენ! თქვენ ყველას ჩვენი სამსჯავრო გელით! ეს თქვენ შეგვექმენით ასეთები, თქვენი ომით! ჯობს, ჩვენც მასთან ერთად დაგვაპატიმროთ. რა გააკეთეთ ჩვენთვის, როდესაც ომიდან დავბრუნდით? არაფერი! არაფერი! თქვენ ერთმანეთს გამარჯვებას ეცილებოდით, უცნობ ჯარისკაცებს ძეგლები დაუდგით, გმირობაზე საუბრობდით და პასუხისმგებლობა აიცილეთ! თქვენ უნდა დაგვხმარებოდით! მაგრამ თქვენ, ყველაზე მძიმე დროს, მარტო დაგვტოვეთ, მაშინ, როცა ცხოვრებას უნდა დავბრუნებოდით! ყველა ტრიბუნიდან უნდა გექადაგათ, ისევ და ისევ უნდა გემეორებინათ ჩვენთვის: ყველანი საშინლად შევცდით! ერთად უნდა ვიპოვოთ გამოსავალი! იპოვეთ ძალა საკუთარ თავში! თქვენ ყველაზე

მეტად გიჭირთ, რადგან ომში რომ მიდიოდით, არაფერი დაგიტოვებიათ უკან, რასაც დაუბრუნდებოდით! აღიჭურვეთ მოთმინებით!.. ცხოვრება უნდა გესწავლებინათ! სიცოცხლე უნდა გესწავლებინათ! მაგრამ თქვენ ჯანდაბამდე გზა დაგვილოცეთ! თქვენ უნდა გეჩვენებინათ, როგორ უნდა გვექონოდა სიკეთის, წესრიგის, აღმშენებლობისა და სიყვარულის რწმენა! ამის ნაცვლად კვლავ დაიწყეთ ყველაფრის გაყალბება, დევნა და თქვენი სახელგანთქმული პარაგრაფების სისრულეში მოყვანა. ერთ-ერთი ჩვენგანი უკვე დაიღუპა ამის გამო! აქ ახლა მეორე დგას!^{[P]_[SEP]}

თავი დაგვარგეთ, მთელი სიბრაზე, მთელი სიმწარე, ყველა იმედგაცრუება ამოვანთხიეთ. ველური არეულობა გამეფდა დარბაზში. კარგა ხანი გავიდა, სანამ შედარებით სიმშვიდე ჩამოწვებოდა. სასამართლოშივე, კანონის დარღვევისთვის, ერთი დღით დაგვაპატიმრეს და მაშინვე გარეთ გაგვიყვანეს. შეგვეძლო, პოლიციას იოლად გავმკლავებოდით, მაგრამ ეს არ ვისურვებ. ალბერტთან ერთად გვინდოდა ციხეში მოხვედრა. ძალიან ახლოს ჩავუარეთ, გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ მის გვერდით ვიყავით.^{[P]_[SEP]}

შემდეგ გავიგეთ, რომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სასჯელი უსიტყვოდ მიიღო.^{[P]_[SEP]}

3.^{[P]_[SEP]}

გადაკვეთა. ერთი ამრი მყარად ჩასჭედოდა თავში. გადანყვიტა, თავისი წარსულისთვის თვალი თვალში გაეყარა. გაიარა სოფლები და ქალაქები, დიდი და პატარა სადგურები და ბოლოს იქ მივიდა, სადაც უნდოდა.^[P SEP]

დაუბრკოლებლად გაიარა ქუჩები, გავიდა ქალაქიდან, საიდანაც გზა მთებისკენ მიდიოდა. გზაში შინისკენ მიმავალი მუშები ხვდებოდნენ. ბავშვები თამაშობდნენ ლამპიონების შუქზე. რამდენიმე მანქანამ ჩაუქროლა. შემდეგ ყველაფერი სიჩუმემ მოიცვა.^[P SEP]

ახალმოსაღამოებულზე საკმარისი სინათლეა, რომ გარშემო ყველაფერი კარგად გაარჩიო. გარდა ამისა, რაეს თვალები შეჩვეული აქვს სიბნელეს. გზიდან გადადის და მინდორს კვეტს. რალაცას ეჭახება. დაჟანგული მავთული გამოსდებია შარვალზე და გაუხევია. დაიხარა, ფეხი რომ გაეთავისუფლებინა. მავთულხლართი ყოფილა, რომელიც თხრილის გარშემო შემოუვლიათ. რაე წელში სწორდება. შიშველი ბრძოლის ველი გადაშლილა მის წინ.^[P SEP]

მინდორი საღამოს ბინდში აღელვებულ, გაქვავებულ ზღვას, გაყიბულ ქარიშხალს მოგაგონებს. რაე გრძნობს სისხლის, ტყვია-წამლისა და მინის გულისამრევ სუნს, რომელიც ჯერ კიდევ მეფობს ამ მიდამოში.^[P SEP]

უნებლიეთ თავს მხრებში რგავს, ხელები ჩამოშვებია, სახსრები მოსდუნებია; სიარულის ეს მანერა უკვე აღარ ეკუთვნის ქალაქში მცხოვრებს, ეს მხეცის შემპარავი, ფრთხილი ნაბიჯებია, მიყურადებული ჯარისკაცის ალლოთი ნაკარნახევი.^[P SEP]

ჩერდება და გარემოს ათვალერებს. ერთი საათის წინ აქაურობა ეუცხოებოდა, მაგრამ ახლა უკვე ცნობს ყოველ ბორცვს, ყოველ ღრმულს, ყოველ დაბლობს. ისევ აქ არის, არსად წასულა. მოგონებების ალში თვეები ქალაქდივით იწვის, იჭმუჭნება და ბოლივით იფანტება - ახლა აქ ისევ ლეიტენანტი გეორგ რაე დგას, ფრთხილად მიდის ღამით დაბვერვაზე და აღარაფერი ამორებს გუშინდელ დღეს - დღევანდელთან. გარშემო ღამის მდუმარებაა, ხანდახან ბალახში ქარი თუ გაიშრიალებს; რაეს კი მხოლოდ ბრძოლის ყიჟინა ესმის - ცოფებს ყრიან ქვემეხები, მანათობელი რაკეტები უზარმაზარ რკალებად გადანოლილან გაუდაბურებულ მიწაზე, დულს შავი, გავარვარებული ზეცა, მიწა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე შადრევანივით იფრქვევა და გოგირდის კრატერებივით გრიალებს.^[59]

რაე კბილებსაკრაჭუნებს. ფანტაზიას აყოლილი როდია, მაგრამ თავის დაცვა არ შეუძლია, მოგონებებმა ქარბუქივით წალეკა. აქ, ამ მიწაზე, მშვიდობა ჯერ არ დამდგარა, ყალბი მშვიდობაა - როგორც ყველგან. აქ ჯერ კიდევ ბრძოლაა, ომია... აქ კვლავ ტრიალებს ქარბორბალა და მისი მბრუნავი სვეტები ცაში იკარგებიან...^[60]

მიწა იჭერს რაეს - თითქოს ხელები ჩაუჭიდავსო, მოყვითალო, სქელი თიხა მიკვრია მის ფეხსაცმელს და ნაბიჯს უმძიმებს. ალბათ მკვდრებს განუზრახავთ, მოგუდული, უკმაყოფილო ხმებით თავისთან ჩაითრიონ გადარჩენილები.^[61]

სანგრებით სავსე მინდორზე გადარბის. ქარი ძლიერდება,

ღრუბლები მიქრიან და ხანდახან მთვარე მკრთალი შუქით ანათებს მინდორს. მთვარის ყოველ გამოჩენაზე გულაძგერებული ეცემა ძირს და უძრავად ეკვრის მიწას. იცის, რომ საშიშროება არ ემუქრება, მაგრამ ისევ და ისევ ხტება ყოველ ახალ სანგარში. გაცნობიერებულად ასრულებს ამ მინის კანონს, მინისა, რომელზეც შეუძლებელია, გამართულმა იარო.^[P SEP]

მთვარე უზარმაზარ ეკრანად ქცეულა. ყვითელ შუქში შავად მოჩანს ტყის პატარა ნარჩენი. ნანგრევებს იქით უფსკრული განოლილა, რომელიც არასდროს გადმოულახავს მტრის ჭარს. რაე თხრილში ჩამჭდარა. ღვედების ნაგლეჯები, ქვაბები, კოვზი, გაფუჭებული ჭურვები, პატრონტაჟები; გვერდით კი მომწვანო-მონაცრისფრო, უკვე თითქმის მინად ქცეული სველი ტილო დევს - ის, რაც ჭარისკაცისგან დარჩა.^[P SEP]

დიდხანს წევს მიწაზე, სახე მიწაში ჩაურგავს და მდუმარება უცებ საუბარს იწყებს. მინიდან ყრუ, ბობოქარი დუდილი ისმის, ძლიერი სუნთქვა, მუქარა და ისევ დუდილი, გრიალი და გრუხუნი. თითებით ჩაფრენია, თავით ეკვრის მიწას, ხმები და ძახილი ესმის. უნდა კითხვები დაუსვას, ილაპარაკოს, იყვიროს; სმენად ქცეულა და პასუხს ელის, პასუხს თავისი ცხოვრების გამოცანაზე... მაგრამ ქარი ძლიერდება, ღრუბლები უფრო დაბლა და სწრაფად ქრიან და ჩრდილები ეფინება მინდვრებს. რაე დგება და უმისამართოდ აგრძელებს გზას. დიდხანს მიდის, სანამ შავ ჭვრებთან აღმოჩნდება, ასეულივით, ბატალიონივით, არმიასავით გრძელ რიგებად რომ

ჩამწკრივებულან. [SEP]

უეცრად ყველაფერს ხვდება. ამ ჭვრების წინაშე ინგრევა მაღალფარდოვანი სიტყვებისა და ცნებების შენობა. მხოლოდ აქ არის ომი და არა - დაბრუნებულების თავებსა და მოგონებებში! აქ, საფლავებზე, შემზარავი ნისლივით ჩამონოლილა დაღუპული თვეები და წლები; აქ არყოფილი სიცოცხლე შესჩივის მუქართ ადსავსე ცას, სიმშვიდე რომ ვერ უპოვია; აქ საშინელი ბრალდებით სუნთქავს ეს ღამე, თვით ჰაერი, რომელშიც ჯერ კიდევ ბობოქრობს მთელი თაობის ძალა და ნება - ახალგაზრდებისა, რომლებიც მაშინ დაიხოცნენ, როცა ცხოვრება ჯერ დაწყებულაც არ ჰქონდათ. [SEP]

ჟრჟოლა იპყრობს. მკათოდ წარმოუდგა თვალწინ თავისი გმირული შეცდომა - შურისძიება, რომელმაც ერთგულება, სიმამაცე, სიცოცხლე და ახალგაზრდობის მთელი თაობა შთანთქა. ამის გაცნობიერებამ შეძრა და კინალამ დაახრჩო. [SEP]

- ამხანაგებო! - ყვირის ქარსა და ღამეში. - ამხანაგებო! ჩვენ გვიღალატეს! კიდევ ერთხელ უნდა ვიბრძოლოთ! მათ წინააღმდეგ! მათ წინააღმდეგ, ამხანაგებო! [SEP]

ჭვრების წინ დგას, მთვარე ანათებს, ბრწყინავს; ჯარისკაცები ამოსულან მიწიდან, ხელები გაუშლიათ, უკვე გაისმის მათი ნაბიჯები. ის მათ წინ ადგილზე დადის, ხელს მაღლა სწევს: [SEP]

- ამხანაგებო, გასწით! [SEP]

ჭიბიდან რაღაც ამოაქვს და ხელს მაღლა სწევს. დაღლილი, მარტოსული გასროლა, რომელსაც ქარი იჭერს და მიაქვს. შემდეგ

მუხლებზე ეცემა, ხელებს მალლა აღაპყრობს, ძალას იკრებს და ჭვრებს უბრუნდება. ხედავს, როგორ მიდიან მწყობრად, მოძრაობენ, ნელა მარშირებენ და მათ წინ შორი გზაა; დიდი ხანი დასჭირდებათ, მაგრამ წინ მიიწევენ. ისინი მიაღწევენ მიზანს და ეს მათი ბოლო ბრძოლა იქნება, ბრძოლა სიცოცხლისთვის. ისინი მდუმარედ მიდიან, ბნელი არმია, უშორეს გზაზე, გზაზე, რომელიც გულებზე გადის; ბევრი დრო დასჭირდება ამას, მაგრამ რა არის მათთვის დრო? ისინი ადგნენ, ისინი მიდიან.^{[P]_[SEP]}

თავი უვარდება, გარშემო ბნელდება, საერთო მსვლელობას მიყვება. უძღები შვილივით გდია მიწაზე ხელებგაშლილი, თვალები გაჰყინვია, მუხლები მოხრია, სხეული უძაგდაგებს, დიდებული სიზმარი ფარავს ყველას და ყველაფერს და მხოლოდ ქარი დაქრის უდაბურ, უკიდევანო სივრცეზე; ქრის და ქრის ღრუბლებს ზემოთ, ცაში, უსასრულო დაბლობებზე, ამოთხრილ სანგრებზე, თხრილებსა და საფლავეებზე.^{[P]_[SEP]}

დასასრული^{[P]_[SEP]}

1.^{[P]_[SEP]}

მიწას მარტისა და იის სურნელი ასდის. ფურისულებს სველი ბალახიდან თავი ამოუყვიათ. ისფრად ელავენ ხნულები.^{[P]_[SEP]}

ჩვენ ტყეს მივუყვებით. ვილი და კობოლე წინ მიდიან, ვალენტინი და მე - უკან. პირველად დიდი ხნის შემდეგ, ისევ ერთად ვართ. ახლა უკვე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს.^[P]_[SEP]

კარლმა ერთი დღის წინ გვათხოვა მანქანა. მაგრამ თვითონ ვერ წამოვიდა, დრო არ ჰქონდა. ერთი თვეა, რაც დიდ ფულს აკეთებს, რადგან მარკამ დაცემა დაიწყო და ეს ხელს აძლევს. მისმა მძღოლმა წამოგვიყვანა.^[P]_[SEP]

- რას აკეთებ ახლა, ვალენტინ? - ვეკითხები.^[P]_[SEP]

- ბაზრობებზე საქანელების ატრაქციონს დავატარებ.^[P]_[SEP]

გაკვირვებული შევყურებ:^[P]_[SEP]

- როდის აქეთ?^[P]_[SEP]

- უკვე კარგა ხანია. ჩემმა ძველმა მენყვილე ქალმა მიმატოვა. ის ახლა ბარში ფოქსტროტსა და ტანგოს ცეკვავს. დღეს ეს უფრო მოთხოვნადია. ჩემსავით დახავსებული ჯარისკაცი კი ამისთვის არ გამოდგება.^[P]_[SEP]

- რაღაც მოგება მაინც თუ მოაქვს ამ შენს საქანელებს?^[P]_[SEP]

თავს იქნევს:^[P]_[SEP]

- სიცოცხლისთვის ძალიან ცოტა, სიკვდილისთვის კი ძალიან ბევრი, და ეს მუდმივი ხეტიალი!.. ხვალ ისევ გზას უნდა დავადგე. კრეფელდისკენ. ძალღური ცხოვრებაა, ერნსტ! მაინც სად დაიკარგა იუპი?^[P]_[SEP]

მხრებს ვიჩეჩ:^[P]_[SEP]

- გაემგზავრა, და არაფერი ისმის მისგან. ასევე - ადოლფიც.^[P]_[SEP]

- არტური?^[P]_[SEP]

- მილიონერობამდე ცოტა უკლია, - ვპასუხობ.^[P]_[SEP]

- იცის თავისი საქმე! - მეთანხმება ვალენტინი ნალვლიანად.^[P]_[SEP]

კობოლე ჩერდება და ხელებს ჭიშკვს.^[P]_[SEP]

- ძმებო, სერნობა კარგია, განსაკუთრებით, თუ სამუშაო გაქვს.^[P]_[SEP]

- გგონია, რომ მალე იშოვი რამეს? - ეკითხება ვილი.^[P]_[SEP]

ფერდინანდი ყოყმანით თავს იქნევს:^[P]_[SEP]

- ადვილი არ იქნება. შავ სიაში მოვხვდი... არც ისე თვინიერი ვარ.

ჭანმრთელობა მაინც შემრჩა. ჯერჯერობით ცოტ-ცოტას ტიადენი მაძლევს. იმას რა უჭირს, ისეა, როგორც ყველი ერბოში.^[P]_[SEP]

პატარა ველზე ვჩერდებით. ვილი სიგარეტის კოლოფს იღებს, რომელიც კარლმა მისცა. ვალენტინს სახე უნათდება. ვსხდებით და ვენევით.^[P]_[SEP]

ხეების გვირგვინები ნელა ჭრიალებს. ერთი-ორი წიწნა ჭიკჭიკებს. მზე უკვე კარგად აცხუნებს. ვილი მთელი გულით ამთქნარებს და თავის ფარაჯაზე წვება. კობოლე ხავსისგან თავის დასაღებს იკეთებს და ისიც წვება. ვალენტინი ჩაფიქრებული ბის წიფლის კუნძვე.^[P]_[SEP]

შევეყრებ ასე ახლობელ სახეებს და ერთი წუთით ყველაფერი უჩვეულოდ მეჩვენება - აი, ახლა ისევ ისე ახლოს ვართ ერთმანეთთან, ცოტანი დავრჩით - მაგრამ ჩვენ კი ვართ ნამდვილად ერთად?^[P]_[SEP]

კობოლე რაღაცას აყურადებს. შორიდან ხმები ისმის. ახალგაზრდული ხმები. ალბათ ორგანიზაცია „გადამფრენი ჩიტების“ წევრები იქნებიან, რომლებიც ბარბითებითა და ბაფთებით ამ

ვერცხლისფერ დღეს პირველად გამოვიდნენ ტყეში სასეირნოდ. ომამდე ჩვენც ასე ვაკეთებდით - ლუდვიგ ბრაიერი, გეორგ რაე და მე.

[P]
[SEP]

უკან გადავწვები და ძველ დროზე ვფიქრობ: კოცონთან გატარებულ საღამოებზე, ხალხურ სიმღერებზე, გიტარასა და კარვებში გატარებულ დღეებზე. ეს ჩვენი ახალგაზრდობა იყო. ომის წინა წლებში „გადამფრენი ჩიტების“ რომანტიკამ მოგვიცვა - ალტაცება ახლით, თავისუფალი მომავლით, რომელიც შემდეგ, სანგრებშიც ცოტა ხანს გაგვცვა და 1917 წელს ბრძოლებში განადგურდა.[P]
[SEP]

ხმები გვიახლოვდება. ხელებს ვეყრდნობი და თავს ვწევ, ჩამვლელები კარგად რომ დავინახო. უცნაურია - ერთი წლის წინ ჩვენც ამ თაობას ვეკუთვნოდით, ახლა კი გვეჩვენება, თითქოს ეს ახალი თაობაა, ჩვენი შემდგომი თაობა, ვისაც უნდა გადავცეთ ის, რაც ჩვენ ხელიდან გაუშვით.[P]
[SEP]

ხმები ისმის. ხმები მატულობს. ერთი ხმა გამოირჩევა, მაგრამ სიტყვების გარჩევა შეუძლებელია. ფეხის სიმრავლისგან ტოტები ტყდება და ნიადაგი ყრუდ გუგუნებს. ვილაც იძახის. კვლავ ნაბიჯები, მტვრევა, დუმილი. ნათელი და გარკვეული ბრძანება: [P]
[SEP]

- კავალერია - მარჯვნივ, ჯგუფები - მარცხნივ! გასწით! გასწით! [P]
[SEP]

კოზოლე დგება. მეც მას მივყვები. ერთმანეთს შევყურებთ. ვილაც გველადავება? რას ნიშნავს ეს? [P]
[SEP]

და აი, ბუჩქებიდან გამორბიან, ტყისკენ მირბიან და ეცემიან. [P]
[SEP]

- მიზანი - ოთხასი! - ღრიალებს ხმა. - ცეცხლი! [P]
[SEP]

რადაც რახუნობს და ტკაცანებს თოთხმეტი წლის ბიჭების მთელი რიგი განოლილა ტყის პირას, ტყავის სპორტულქამრიანი გადაჭიმული ქურთუკები აცვიათ. ყველა ერთნაირ ფორმაშია: ნაცრისფერი ქურთუკები, გამაშები და ფორმის ქუდზე ნიშნები - უნიფორმასთან მსგავსება ხაზგასმულია. ყველას კლდეზე მოსაჭიდებელი, კაუჭიანი ტროსტი უჭირავს. ამ ჯოხებით ბიჭები ხეებზე აბრახუნებენ, თოფის სროლის იმიტაციას აკეთებენ.^[P SEP]

ჯარისკაცის ქუდების ქვეშ ბავშვური, ნითელლოყება სახეებია. ისინი ვერ ხედავენ ვერც იების ნაზ სასწაულს, მწვანე ფოთლებში რომ იმალება, ვერც ჩამოწოლილი აისის იისფერ მშვენიერებას და ვერც ხნულებზე გადამრბენი ბაჭიების ფუშფუშა ბენვს. კურდღლებს კი ხედავენ - მათ თავიანთი ჯოხებით მისდევენ, უფრო ხმამაღლა აკაკუნებენ ჯოხებს ხეებზე. მათ უკან ღიპიანი ზორბა მამაკაცი დგას, მათსავით ქურთუკი და გამაშები აცვია და ენერგიულ ბრძანებებსგასცემს.^[P SEP]

- უფრო მშვიდად ისროლეთ, მიზანი - ორასი! - მას საველე ბინოკლი აქვს და მტერს ათვალიერებს.^[P SEP]

- ღმერთო ჩემო! - ვამბობ შეძრული.^[P SEP]

კობოლე გაოცებულია:^[P SEP]

- ჯანდაბა, ეს რა სიგიჟეა?! - გაცოფებული ილანძლება.^[P SEP]

კობოლეს აღშფოთება არ მოსწონთ. წინამძღოლი, რომელსაც ორი ყმანვილი მიტმასნია, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრის. ზაფხულის რბილ ჰაერს აზანზარებს მაგარ-მაგარი სიტყვები:^[P SEP]

- მოკვებთ! თქვე დებერტირებო! სამშობლოს მოღალატეებო!
დონდლო ნაძირლებო! [P]
[SEP]

ბიჭები ერთხმად უბამენ მხარს. ერთ-ერთი თავის პატარა მუშტს
იქნევს. [P]
[SEP]

- ტვინის გამორეცხვა გინდათ? - ყვირის წკრიალა ხმით. [P]
[SEP]

- ნაძირლები! - ამატებს მეორე. [P]
[SEP]

- პაციფისტები! - მესამე. [P]
[SEP]

- ამ ბოლშევიკებს ბოლო უნდა მოვუღოთ, მანამდე გერმანია არ
გათავისუფლდება! - ყვირის დაზუთხულს სხაპასხუპით მეოთხე. [P]
[SEP]

- მართალია! - წინამძღოლი მხარზე ხელს უტყაპუნებს ბიჭუნას და
წინ გამოდის. - გაყარეთ, ბიჭებო! [P]
[SEP]

ამ მომენტისთვის ვილი იღვიძებს. აქამდე ეძინა. ბებერი
ჭარისკაცია, დანვება თუ არა, შეუძლია დაიძინოს. [P]
[SEP]

დგება. წინამძღოლი მაშინვე ჩერდება. ვილი გაფართოებული
თვალეებით ათვალაიერებს გარემოს და სიცილი უვარდება. [P]
[SEP]

- რა მასკარადია აქ? - კითხულობს. [P]
[SEP]

შემდეგ სიტუაციაში ერკვევა. [P]
[SEP]

- ასე, ჰო, სწორია, - უყვირის წინამძღოლს, - თქვენლა გვაკლდით!
დიდი ხანია, არ შევხვედრივართ. ჰო, რაც შეეხება სამშობლოს, თქვენ
რა, ანდერძით გერგოთ? სხვები ყველანი მოღალატეები არიან, არა?
სასაცილოა; მაშინ გერმანიის ჭარის სამი მეოთხედი მოღალატეები
ყოფილან! ახლავე აითესეთ აქედან, თქვე ჭოჭოხეთის მოციქულებო!
აცალეთ, ბიჭებმა კიდევ რამდენიმე წელი თქვენი სიბრძნის გარეშე

იცხოვრონ!^{[P]_{SEP}}

წინამძღოლს თავისი ჯარი უკან მიჰყავს. მაგრამ ტყეში ყოფნა უკვე ჩაგვეშხამდა. სოფელში ვბრუნდებით. ჩვენ უკან რიტმული შეძახილები ისმის: ^{[P]_{SEP}}

- წმინდა ომი! წმინდა ომი! წმინდა ომი!^{[P]_{SEP}}

- წმინდა ომი? - ვილი თავში იცემს ხელს. - ფრონტზე რომ ვინმეს ეთქვა ეს!^{[P]_{SEP}}

- ჰო, - ამბობს დაბოღმილი კობოლე, - ასე იწყება ყველაფერი!^{[P]_{SEP}}

სოფელში პატარა ლუდხანა ვიპოვეთ. გარეთ უკვე გაემზადებინათ რამდენიმე მაგიდა. მიუხედავად იმისა, რომ ვალენტინი ერთ საათში თავის საქანელებთან უნდა ყოფილიყო, მაინც მაშინვე მივუსხედით მაგიდას, დრო რომ არ დაგვეკარგა: არავინ იცის, კიდევ როდის ვიქნებით ერთად.^{[P]_{SEP}}

სალამოს ცას ფერმკრთალი სინითლე გადაკრავს. კვლავ ტყის სცენაზე ვფიქრობ.^{[P]_{SEP}}

- ღმერთო ჩემო, ვილი, - ვამბობ, - ცოცხლები გადავრჩით და ძლივს გამოვძვერით იქიდან - რა ხდება, კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც კვლავ სურთ ომის გაჩაღება?^{[P]_{SEP}}

- ისინი სულ იარსებებენ, - მჰასუხობს ვილი უჩვეულოდ სერიოზულად და დაფიქრებით, - მაგრამ ჩვენც ხომ ვართ. ბევრი ფიქრობს ისე, როგორც ჩვენ, უმრავლესობა. დამიჯერეთ, ლუდვიგისა და ალბერტის შემდეგ, ბევრი ვიფიქრე და რაღაცას მივხვდი. ყველა ადამიანს შეუძლია, რაღაც გააკეთოს, გოგრააც რომ ედოს, თავის

ნაცვლად. შემდეგ კვირას ჩემი არდადეგები მთავრდება, ისევ სოფელში უნდა წავიდე მასწავლებლად. წინასწარ მიხარია. მინდა, ჩემს ბავშვებს გავაგებინო, რა არის სამშობლო. მათი სამშობლო და არა - რომელიმე პოლიტიკური პარტია. მათი სამშობლო ხეებია, სახნავი ველი, მიწა და არა - ყბადაღებული ლოზუნგები. მე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე და გადავწყვიტე, რომ ჩვენ საკმაოდ მოზრდილნი ვართ იმისთვის, რომ რაღაც ამოცანა გვქონდეს. ეს არის ჩემი ამოცანა. ბევრი არ არის, ვალიარებ, მაგრამ ჩემთვის საკმარისია. და არც გოეთე ვარ. ^[P]_[SEP]

ვეთანხმები და დიდხანს შევცქერი. შემდეგ ვიშლებით. ^[P]_[SEP]

მძლოლი გველოდება. ნელა მისრიალებს მანქანა სალამოს ბინდბუნდში. ^[P]_[SEP]

ქალაქს ვუახლოვდებით, ახლახან ანთებული შუქებით გვხვდება და უცრად ბორბლების ჭრიალს გაბმული, ჩახლექილი, ხორხისმიერი ხმა უერთდება: სალამოს ცაზე, აღმოსავლეთისკენ, სამკუთხედ მწკრივად, გარეული ბატების გუნდი მიფრინავს.... ^[P]_[SEP]

ერთმანეთს ვუყურებთ. კობოლე რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრებს. ყველანი ერთსა და იმავეზე ვფიქრობთ. ^[P]_[SEP]

ქალაქი ქუჩებითა და ხმაურით გვხვდება. ვალენტინი ჩადის, შემდეგ - ვილი, შემდეგ - კობოლე. ^[P]_[SEP]

მთელი დღე ტყეში ვიყავი. ახლა დაღლილი, ერთ პატარა სოფლის სასტუმროში ოთახს ვჭირაობ. ლოგინი უკვე გაშლილია, მაგრამ ჭერ დაძინება არ შემიძლია. ფანჯარასთან ვჯდები და გაზაფხულის ღამის ხმაურს ყურს ვუგდებ.^[P]_[SEP]

ჩრდილები მოცოცავენ ხეებიდან, ტყიდან ძახილი მოისმის, თითქოს იქ დაჭრილები შველას ითხოვენო. მშვიდად ვიყურები სიბნელეში, რადგან წარსულის აღარ მეშინია. მე მას ჩამქრალი თვალებით შევყურებ, არ გავურბივარ, პირიქით, მასთან შესახვედრად მივდივარ. გონებაში კვლავ თავშესაფრები და სანგრები მიტრიალებს, მაგრამ როდესაც ისინი ბრუნდებიან, შიშისა და სასონარკვეთის ნაცვლად, ძალა და ნება მოაქვთ.^[P]_[SEP]

მეგონა, ქარიშხალი მოვარდებოდა, გამიტაცებდა და გადამარჩენდა - მაგრამ ის ჩუმად მოვიდა, ისე, რომ ვერც ვიგრძენი. ის ჩემში იყო. სასონარკვეთა რომ დამატყდა თავს, მეგონა, ყველაფერი დავკარგე. მაგრამყველაფერი კვლავ დაბრუნდა. ვიცოდი, გამომშვიდობება დასასრული იყო. დღეს უკვე ვიცი: როცა იბრდები, აუცილებლად რაღაცას ემშვიდობები, როცა იბრდები, რაღაცას ტოვებ, და ასე, უსასრულოდ.^[P]_[SEP]

ჩემი არსებობის ერთი ნაწილი ნგრევას მივუძღვენი - ნგრევა სიძულვილის, მტრობის, მკვდრების საკუთრებაა. მაგრამ სიცოცხლე ჩემთან დარჩა. ეს არის ჩემი ამოცანა და გზა. მინდა, საკუთარ თავზე ვიმუშაო და მზად ვიყო, მინდა, ხელები და ფიქრები დავასვენო, საკუთარ თავს მნიშვნელობა კი არ მივანიჭო, არამედ წინ წავიდე,

დარჩენაც რომ მინდოდეს. ბევრი რამაა ასაშენებელი და გამოსასწორებელი, ამოსათხრელია ყველაფერი, რაც ჭურვებისა და ქვემეხების წლებში ჩაიმარხა. არაა აუცილებელი, მესანგრე იყო, - უფრო სუსტი ხელები და მცირედი ძალაც გამოდგება. მინდა, ჩემი ადგილი ვიპოვო. მაშინ გაჩუმდებიან მკვდრები და წარსული არაფერს დამიშავებს, პირიქით - დამეხმარება.^[P SEP]

რა მარტივია ყველაფერი; მაგრამ რამდენი დრო დასჭირდა ამის მიხვედრას. ალბათ თავიდან დავიბენი; მავთულხლართებისა და ასაფეთქებელი კაფსულების მსხვერპლად ვიქცეოდი, რომ არა ლუდვიგის სიკვდილი, რომელიც რაკეტასავით აიჭრა ჩვენგან და გზა გვიჩვენა. ჩვენ სასო წარგვეკვეთა, როცა დავინახეთ, რომ ჩვენი ერთიანობის ენერჯიამ, ნებამ და სიკვდილის პირას საჩუქრად მიღებულმა სიცოცხლემ ვერ ჩარეცხა სანახევრო სიმართლისა და თავის დამკვიდრების მოძველებული ფორმები, ვერ იპოვა ახალი გზები; პირიქით, ყველაფერი დავინწყების მორევში, ფრაგმენტების ჭაობში, საბრუნავსა და საქმიანობაში ჩაახრჩო. დღეს კი ვიცი, რომ ყველაფერი ცხოვრებაში მხოლოდ მზადება, ცალკეული ადამიანის ქმედებაა, რომელიც მის ყველა უჭრედს, ყველა არხს მოიცავს - ისევე, როგორც ხის ყველა უჭრედი და არხი მალლა მიისწრაფვის, რათა მაცოცხლებელი წვენი შეისრუტოს, მალლა ავიდეს და მზით გამთბარ სიმწვანედ იქცეს, კენწეროდ, თავისუფლებად. დანყებას ვაპირებ.^[P SEP]

ეს არ იქნება იმ ოცნებების ასრულება, რომლებიც ახალგაზრდობისას მიტრიალებდა. ეს გზა, როგორც ყველა სხვა გზა,

ქვებით, სრიალა გბატკეცილებით, დანგრეული ადგილებით, სოფლებითა და მიწდვრებით იქნება სავსე - შრომის გზა. მარტო ვიქნები, შეიძლება, ამ გზის რომელიმე მონაკვეთზე ვინმე ვიპოვო - სამუდამოდ ალბათ, არა. შეიძლება, ხშირად მომიწიოს აბგის აღებამ, მიუხედავად იმისა, რომ მხრები დაღლილი მაქვს; ხშირად ვიყოყმანებ გზატკეცილებსა და საზღვრებზე, რაღაცის დატოვება მომიწევს, ნავიბორძიკებ და დავეცემი, მაგრამ ისევ ავდგები, არ გავჩერდები. მინდა, წინ წავიდე და უკან არ მოვიხედო. შეიძლება, არასდროს ვიყო ბედნიერი, შეიძლება, სწორედ ბედნიერების შესაძლებლობა დაამსხვრია ომმა, ყოველთვის უცხო ვიქნები და არსად მექნება სამშობლო, მაგრამ მაინც არ ვიქნები უბედური, რადგან ყოველთვის მექნება რაღაც, რაც დამეხმარება, თუნდაც ხელები, ან ხე, ან მიწის სუნთქვა.^[5]

წვენიტ ივსებიან ხეები, ჩუმი ტკაცანით სკდებიან კვირტები და შემოღამებას ბრდის შრიალი ავსებს. ოთახში ღამეა და მთვარე. სიცოცხლე შემოდის ოთახში. ავეჯს ტკაცატკუცი გააქვს, მაგიდა და კარადა ჭრიალებს. წლების წინ წაუქცევიათ და დაუჭრიათ, გაუშალაშინებიათ და შეუნებებიათ ავეჯის ნაწილებად, სკამებად და სანოლებად - მაგრამ ყოველ გაბაფხულზე, წვენიტ ჩადგომის ხანს, ისევ ხმაურობს სიცოცხლე, იღვიძებს, იზმორება და აღარც მაგიდებია, აღარც სკამები - ისინი კვლავ ჩართული არიან წრებრუნვაში; ჩემ ფეხქვეშ ჭრიალებს და მოძრაობს იატაკი, ჩემს ხელებში ტკაცანებს ფანჯრის რაფა, გზის ნაპირას კი დაგლეჯილი, დამპალი ცაცხვის კუნძი

აყვავებულა, დიდი ყავისფერი ყლორტები ამოუყრია - მალე ჭადრების ფართოდ გაშლილ ტოტებსაც პატარა, ვერცხლისფერი ფოთლები ექნება.^[P]_[SEP]

wignis el versia moamzada: DiaDma
DaTuCHam.

diadi datuchas momzadebuli el. wignebis sanaxavad
ewviet jgups:

